

1168
2002

კვირის პალიტრა

ბგპ

98 სვ

25-30

N21(102) 23IV-29IV.2002.

ფასი 60 თ.



დათო ხუჯაძეს აბრესიული ქალბატონები ავიწროებენ

მის დანახვაზე გაგაქანებს მუსიკის ეკვეთებით




ინგა გრიგოლია
მუხაზი პრეზიდენტის
გამო იღვა



სად
ატარებს
უიკენდებს
ემზარ
კვიციანი

2003



გვ. 6

ჯუმბერ ლომინაძე:

**„ადვილად ვინიბლავი უარადკანინი
ქალგატონებით. ერთ-ერთ მათგანთან,
მართლაც მშვენიერ ქალგატონთან,
ამერიკაში ფოტოს გადავიღე...
ღია იაჭვიანა...
ღია ნაოშიზეს იჭვიანობდა...“**

მინიატურები

ვაი ღა არ გამონდეს?.. 3

ერთი კითხვა 4

პერსონა

ჯუბერ ლომინაძე -
ჯოჯოხეთური არჩევნები,
ფერადკანიანი ქალები, ატომური
ბომბი და... ისევ სიყვარული 6

შაგონებით თქვენი სოცია

ტესტი ერუდინიაზე 9

აქლავა

„ახლა სოლი რომ მოვიყვანო,
შეიძლება ერთ კვირაში გავექცეო“ 10

ქოლვა

ივნიცილიან „ქურნალისტურ
გამოძიებას“ ეკრანზე
ვეღარ ვიხილავთ 12

კრიმინალი

„ჩემი ძმა მკვლელად არ
გაგვიგრდია. ამ საშინელ
სოციალურ იგი
აპაღმყოფობამ მიიყვანა“ 14

ჩაქლავა

ექიმი ბილი - რეალური
თუ ვირტუალური 16

უიკანდი

კვიციანის შიშით მის ხბოს
გზელის არ ეპარება 18

კარიოზი

მატყუარა სესილია, გარმანი
ლოლო აბაშიძე და მოქილიკე
ნოდარ ღუმბაძე... 21

მხოვრება

თავის გაღასარჩენად ამერიკაში
წასული ქართველები აქაური
გაჭირვებულებისთვისაც ირჩებიან 24

ანტიდუარკანანი

ინფორმაციულ-შემეცნებითი
კოლაჟი გონა ღვალის
უბის წიგნაკიდან 26

ქალი საჭესთან

ინგა გრიგოლია ინსექტორს
პარაგისხევიში პრეზიდენტის
გამო ეომებოდა 26

ტკივილი

„ირაკლის თვითმკვლელის
პარსკვლავი ჰქონდა
გამოსახული...“ 29

სამყარო

სუკერმოდელი 32

**კვიციანის შიშით მის ხბოს
გზელის არ ეპარება**



როცა დანაშაული ხდებოდა, სახ-
ლში, დედაჩემის გვერდით მეძინა.
მილიცია მაშინაც ფულის გამო-
ძალვაზე მუშაობდა. ეგონათ, ფულს
მივცემდი. ჩემს ოჯახს ამის საშუ-
ალება არ ჰქონდა. ისიც ვერ ვიკა-
დრე, ნამდვილი დამნაშავეები „ჩამ-
ეშვა“ და ასე აღმოვჩნდი ციხეში.

18

**„ახლა სოლი რომ მოვიყვანო,
შეიძლება ერთ კვირაში გავექცეო“**

ჩემთვის მიუღებელია ის, რასაც
ქართული ესგრადის შესახებ
ჭორაობენ. ბევრი ფიქრობს, რომ
დღეს სცენაზე მხოლოდ „ცისფერ-
ები“ ღვანან. სცენაზე თუ ჯანსა-
ლი კაცი არ ღვას, იმის ნამდერსაც
არანაირი ფასი არ აქვს, თუმცა,
არიან გამონაკლისებიც.



10

**„ჩემი ძმა მკვლელად არ გაგვიგრდია. ამ
საშინელ სოციალურ იგი აპაღმყოფობამ მიიყვანა“**



ხომერიკმა თავის ნაცნობს, შა-
რაძენიძეს ფინანსური დახმარება
სთხოვა. მან ხომერიკს ფულადი
დახმარება ვერ გაუწია, სამაგი-
ეროდ, ურჩია, ძვირად ღირებული
ავტომანქანა გაეცაყებინა და მის-
თვის მიეყვანა. ხომერიკი და-
თანხმდა...

14

**ინგა გრიგოლია ინსექტორს პარაგისხევიში
პრეზიდენტის გამო ეომებოდა**

ავარიის წინა დღეს, ხელოსანმა
გამაფრთხილა: თავიდან მუხრუჭე-
ბი კარგად არ დაიჭერს და ფრთხი-
ლად იყავით. ვაკეში მოვდიოდი,
ცოგა სწრაფად. დავამუხრუჭე, მა-
გრამ კარგად არ დაიჭირა და ჩემ
წინ მიმავალ მანქანას დავეჯახე.



საქართველოს
ბროშურული
ბიბლიოთეკა

26

კლჩი

ჰაჯან ჰაჯიევი:
„მეჩემთვის ღაფლივარ
ღა ქრისტიანულ ტაპარშიც...“ 34

საბანური

„ლაკლაკიძეთა მალონა“ –
უკვირვასესი სატი
მომავლინებული ცოდვის
გამოსასყიდალ... 36

ფაქორიტუვი

„სკუაღრა აქურას“
„მტირალა ბავშვი“ 38

პარსკვლავი

სიყვარულში უიღბლო კამერონ
ღიასი საკურთხეველთან
მისვლისთვის ეგზალაბა 42

რომანი

მერაბ ბურჟულაძე.
შეკვეთილი მკვლელობა
(ბაბრძელაბა) 46

მოგზაურის დღიურები

„ამერიკული ოცნების“
შრთაშესხმა არს ისე
იოლი აღმონდა... 49

გომონდი

ჰანერთელობა

- ქალური პრობლემები 54
- ღროთი მკურნალობა 55
- პრეპარატები 56
- რჩევები 57

Alma Mater

კონტინენტის უკველესი
უნივერსიტეტი ანუ 58
ნობელიანტის მშობელი
ჰარვარდი 58

სასარგებლო აზრები

აშორიგებების ენციკლოპედია 60

სკანორდი

ჰოროსკოვი

კვირის (27 მაისი – 2 ივნისი)
ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტუსტი

ხარო თუ არა აბრეშიული? 63


კალიფოსკოვი

ჩრელ-ჩრელი ამბები 64

გარეკანაზა: ბიორგი შორშოლიანს კოლაში

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, სუთვაპატიობით
გაზეთ „კვირის კალიტრის“ ღამატვაბა
შურნალი ხელმძღვანელობს თაქისუფალი პრესის პრინციპები.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბინინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

**„ირაკლის თვითგებულის
პარსკვლავი ჰონდა გამოსასული...“**



ერთადერთი ქალი ვარ, ვინც
ქმართან კა-გე-ბე-ში მოაწერა
ხელი. ჩვენი მოწმე ამ ხელის მოწ-
ერის დროს გვიად გამსახურდია
გახლდათ. ირაკლი მამამისს დას-
ცინოდა: კაცი ხარ ახლა შენ?! –
სამჯერ შეერთე ცოლი და სამ-
ჯერვე, ერთი და იგივე ქალიო...

29

მეფეთა საჩქელი – უოკოლადი

დღეს დედამიწის თითოეული
მცხოვრები წელიწადში საშუალოდ
7 კგ-მდე შოკოლადს ჭამს. ბევრი
ჩვენგანი დარწმუნებულია, რომ იგი
მავნებელი უფროა, ვიდრე სასარგე-
ბლო, მაგრამ მედიკოსები საწი-
ნააღმდეგოს ამტკიცებენ შემდეგ
ფაქტებზე დაყრდნობით.



57

**სიყვარულში უიღბლო კამერონ ღიასი
საკურთხეველთან მისვლისთვის ეგზალაბა**




კამერონმა ფილმში გამოყენებ-
ული 25 სპეციალურ-საფენებიანი
ბიუსტჰალტერი შეაგროვა და
მშობლიური სახლის ეზოში დაწ-
ვა. იმ დროიდან მოყოლებული, კა-
მერონი საერთოდ აღარ აგარებს
ბიუსტჰალტერს.

42

შეყვითილი შეკოიელოზა

მანქანამ ახლა სანაპიროსკენ
ჩაუხვია – ისე, რომ საბურავების
წილმა გააყრუა იქაურობა და
კიდევე მოუმაგა სიჩქარეს. მოუ-
ლოდნელად, საიდანღაც საგვირ-
თო მანქანა გაჩნდა და „მოსკვირს“
გზა გალაუკეტა.



46

წინასწარმეწყველი კუიფილვაი..



ასმერთე ნომერსაც „მიუკაკუნეთ“ და როგორც წინა „პროვოკაციაში“ დაგბირდით, გასული ასი ნომრის რაღაც „საანგარიშო მოხსენებასავით“ უნდა წარმოვიდგინოთ.

დიდი მწერლისა არ იყოს („ო, ძვირფასო ოთხო წელიწადლო“ – რომ ამბობს), მე ასე ვიტყვოდი: „იცი, მკითხველო, ეს ასი ნომერი, რა ასი ნომერია?... ო, ძვირფასო ასო ნომერო!“

ახლა ინტრიგანი კაცი იმაზე მომდებს შარს, – „ასო ნომერო“ მთლად კარგად ვერ ჟღერს და ცუდ ასოციაციას იწვევს, მაგრამ გვინდა თუ არა, ქართული გრამატიკის ნორმების მიხედვით, სიტყვა „ასი“ წოდებით ბრუნვაში იქნება „ასო“ და საერთოდ, იგივე გრამატიკის მიხედვით, როდესაც ორი ან მეტი სიტყვა ერთნაირად წარმოითქმის და იწერება, მაგრამ სხვადასხვა ცნებას აღნიშნავს, მათ „ომონიმები“ ეწოდება და არაფერია ამაში არანორმალური. მაგალითად, „ბალი“ ხილიც არის, რომელიც მალე იქნება ჩვენთან და „ბალი“ იმ მიწისძვრის საზომიც გახლავთ, რომელიც უკვე იყო ჩვენთან; „ბონი“ ქალაქიც არის გერმანიაში, როგორც არასოდეს იქნება ჩვენთან და „ბონი“ გაუფასურებულ ფულს, ფულის სუროგატსაც ჰქვია, როგორც ჩვენებური ფისკალური პოლიტიკის გამო, აუცილებლად იქნება ჩვენთან; „კანი“ აგრეთვე ქალაქის სახელწოდებაა საფრანგეთის რივიერაზე, რომელიც სულ არ ჰგავს ფოთს და „კანი“ ისიც არის, „საიდანაც ვძვრებით“, რომ შიმშილით არ დავიხოცოთ; „პასი“ ბურთის გადაწოდებასაც ნიშნავს სპორტის იმ სახეობაში, რომელშიც ქართველებს უკვე მთელი აფრიკა სჯობნის და „პასი“ ისიც არის, რომ ამ არჩევნებამაც თუ ჩვეულებრივსამებრ ჩაიარა, მაშინ „ჩვენი უკვე – პას!“



ჰო, მართლა! რა დროს მესაე ნომერი და გრამატიკული წიადსვლება, ხედავთ, რა ხდება საარჩევნო კომისიაში, ანუ „ცე-ეს-კა“-ში?! (აჰა, კიდევ ერთი ომონიმი: „ცე-ეს-კა“ რუსეთის არმიის გუნდსაც ნიშნავს და საქართველოს ხელისუფლების „გუნდსაც“).

არა, არა... ვინც რა გინდა დამბრალოს, მაგრამ მაინც ჩვილი გული მაქვს – ღმერთი, რჯული, ცხოვრებაში არ ვიფიქრებდი, რომ დღევანდელი ქართველი პოლიტიკოსებიდან ვინმე შემეცოდებოდა, მაგრამ როგორ არ უნდა შემეცოდებოდა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, რომელსაც უზენაესი სასამართლოს სხდომიდან გამოსულს, გულდაწყევით აღმოხდა:

– აი, ეს არის ამათი (!!!) აშენებული ქვეყანა!

არ შეგეცოდება?! შეგეცოდება, აბა რა! თან ეს ისეთი სახით თქვა, თითქოს ათი წელი აშენებდა, საძირკვლიდან დაიწყო და ვილაცამ ბოლო აგური გააგდებინა ხელიდან.

– მე ყოველთვის ვიცი, რომ ესენი (!!!) უმადურები იყვნენ და არასოდეს ვენდობოდი! – ეს სიტყვებიც ასევე „ყოფილს“ ეკუთვნის, ოღონდ, ერთ-ერთი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს.

– პირდაპირ ვაცხადებ, რომ ეს საარჩევნო კომისია ხე-

ლისუფლების დაკვეთას ასრულებს წლების განმავლობაში და ჩვენ ამას ასე არ დავტოვებთ, სტრასბურგში ვიჩივლებთ! – ამ მუქარის ავტორიც

„თამაშვარეში“ დარჩენილი გუნდის ერთ-ერთი ძირითადი „ფორვარდი“ ქალბატონია, რომელიც მანამდე წლების განმავლობაში კურიერება პარლამენტიდან იმავე „ცე-ეს-კა“-ს...

მე ერთი რამე მაფიქრებს: თუ ასე გაგრძელდა, ალბათ ასარჩევიც აღარავინ გვეყოლება, რადგან ვინც ესენი „მოტენა“ არჩევნებიდან, მერე „ცე-ეს-კა“-მ ისინიც „მიაცილა“. ერთ-ერთი საკმაოდ პოპულარული პოლიტიკური პარტიის ასევე პოპულარულმა ლიდერმა „შიდაპარტიული ბრძანება“ გამოცხადდა, რომლის მიხედვითაც მისი ორგანიზაციის წევრებს მმართველი პარტიისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ყოველგვარი კონტაქტი (მათ შორის მეგობრული, მეზობლური და სქესობრივი) ეკრძალებათ მათი „თახსირობის“ გამო, რაზეც

„თახსირობაში ბრალდებულებმა“ განაცხადეს, რომ შეურაცხყოფისათვის იჩივლებენ და შეურაცხყოფილებისთვის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმებას მოითხოვენ! ჩვენი გულჩვილი „ცე-ეს-კა“-სა და უფრო გულჩვილი უზენაესი სასამართლოს ამბავი რომ ვიცი, ეს სარჩელიც დაკმაყოფილდება... მერე კიდევ ვილაცა ვილაცას გამოუჩნრეკს „კომპრომატს“ (არ ექნებათ თუ რა!?) და საარჩევნო უბნებში მისულებს, ვინძლო „დალოცვილი ძველი დროის“ სიტუაცია დაგვხვდეს – ბიულეტენში „ამაყად“ იწონებდეს თავს ერთადერთი „კანდიდატი“ – ის, ვინც მთლად უფროსს უყვარს (ამ ეტაჰზე!)...

ერთი სიტყვით, დიდი ამბები გველის წინ.

P.S. ასი ნომრის „საანგარიშო მოხსენება“ კინლამ დამავიწყდა. ადგილის უკმარისობის გამო მხოლოდ ციფრებს მოვიყვანე: ამ დროის მანძილზე „პროვოკატორმა“ იწინასწარმეტყველა ორი სახელმწიფო მინისტრის, ოცდაორი „ისე“ მინისტრის, პარლამენტის ერთი თავმჯდომარის, საპარლამენტო კომიტეტების თექვსმეტი თავმჯდომარის გადადგომა; ერთი პრეზიდენტის არასოდეს გადადგომა-არგადარჩევა; ორი მიწისძვრა; „აფხაზეთის დაბრუნების“ სამი ოპერაციის ჩაშლა-კუდამოძებება და სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენები; ნერვები აუშალა ათასობით ნაძირალას, „გული მოჰფხანა“ უფრო მეტ პატიოსან ადამიანს...

მოკლედ, შეიძლება დავასკვნათ, რომ გასულ ას „პროვოკაცია“ მთლად უკვალოდ არ ჩაუვლია და ახლა, „დაჭარმაგებული-დაღვინებული“, კბილებგამაგრებული, უფრო მწარედ შეკუდვები კბენას...

მაკბილოს კი, რა დალევს ჩვენს ცაფირუზხმელეთზურმუხტოვან საქართველოში.

პროვოკატორი

„სჯობს, ბასილ მკალავიშვილმა ცოდვები მოინანიოს...“



— ბასილ მკალავიშვილი სახალხო დამცველს ანათემაზე გადაცემით დაემუქრა და განაცხადა: ნანა დედუარიანი მართლმადიდებელ ქრისტიანებს დევნის და მის ოფისში ჩემი ფიზიკური განადგურება იგეგმება... რა განწყობაზე დაგაყენათ ერის მოლაღატედ (მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ) გამოცხადებაში და კიდევ — მამა ბასილის განრისხება იმ 15 ამერიკელი სენატორის წერილმა ხომ არ გამოიწვია, რომლებმაც საქართველოს ხელისუფლებას ორთოდოქსი მღვდლის ალაგმვა მოსთხოვეს?

ნანა დედუარიანი, სახალხო დამცველი:

— იცით, საკმარისი ცხოვრებისეული გამოცდილება მაქვს იმისთვის, რომ ასეთმა განცხადებებმა რაღაც განსაკუთრებულად იმოქმედოს ჩემს გუნება-განწყობაზე! გადადგომისთვის ორკვირიანი ვადა მომცეს: ორი კვირა საერთოდ არ მჭირდება, რადგან არამცთუ არ გადავდგები, არამედ კვლავ ვიყრი კენჭს ამ უაღრესად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე! ანათემაზე ჩემი გადაცემა, ვფიქრობ, ცოტა რთულად განსახორციელებელი პროცესი იქნება, რადგან არც დღეს და არც გუშინ არ გავმხდარვარ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი და ამდენად მისგან განკვეთილი ჯგუფი ანათემას ვერაფრით გადამცემს! ეს უბრალოდ შეუძლებელია! თუ არ სჯერათ, სცადონ და ვნახოთ, რა მოჰყვება ამას... ამას, რა თქმა უნდა, ნახევრად სერიოზულად ვამბობ. მკალავიშვილს ვურჩევ, რომ გონს მოეგოს. ის არაკანონიერად მოქმედებს (დარბევებს ვკულისხმობ) და ამავე დროს, შეცდომაში შეჰყავს სხვა ადამიანებიც! ჩემი თვალით ვნახე მის გვერდით მდგარი ნათელი, პატრიოტული სულისკვეთებით ანთებული ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, რომ მართლაც კარგ საქმეს აკეთებენ... სჯობს, ბასილ მკალავიშვილმა ის ცოდვები მოინანიოს, რაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე მიუძღვის. მონანიე ცოდვილი ბევრად უფრო უყვარს ღმერთს, ვიდრე უცოდველი პიროვნება... რაც შეეხება ბრალდე-



ბას მისი ლიკვიდაციის შესახებ — თურმე ოფისში, ჟურნალისტების თანდასწრებით 80 კაცი შევიკრიბეთ და „სრულიად საიდუმლოდ“ დავეგვემეთ მისი ფიზიკური განადგურება!.. ეს ხომ წარმოუდგენელია! თანაც, თუ სახალხო დამცველის ოფისში დაიგეგმა ეს ამბავი, მან ჩვენთან ფეხიც კი აღარ უნდა შემოადგას, რადგან ამ შემთხვევაში, ოფისი მკალავიშვილისთვის განსაკუთრებულად სახიფათო ადგილია! ყოველივე ამის შემდეგ კი, კვლავ თხოვნით მომმართავს, რომ მათთვის დარბაზი დამეთმო. ეს არალოგიკურია; თუ მისი მოკვლის დამგეგმავი ვარ, ამ თხოვნით ხომ აღარ უნდა მომმართოს?!


გამგებლები თუ გამგე-მგლები...

— ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებს ფარსი უწოდებთ და ბოიკოტი გამოუცხადებთ. რატომ? არჩევნებში გამარჯვების შანსი არა გაქვთ?

ავთანდილ გარგიანი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:

— პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საკრებულოები ცოცხალი დეკორაციაა, რადგან მათ არანაირი უფლებები არა აქვთ. სჯობს, ყველა, თავად პრეზიდენტმა დანიშნოს, ყოველგვარი არჩევნების გარეშე! რას აკეთებენ გამგებლები? არაფერს! იცით, რომ ხალხმა გამგებლებს „გამგე-მგლები“ შეარქვა?! გამარჯვების შანსი ზოგიერთ რაი-

ონში ნამდვილად გვაქვს, მაგრამ ხალხს ვერ მოვატყუებთ, რადგან ამით ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას მოსახლეობისთვის ვერ შევძლებთ... ერთეულები ზეგავლენას ვერაფერზე მოახდენენ, სახ-



ელმწიფო მართვის სისტემა მთლიანად, ერთიანად უნდა შეიცვალოს! ხალხის მოტყუება ძალიან ადვილია, დაპირებებით ტყუვდებიან და მერე პასუხსაც არავისგან ითხოვენ ხოლმე. გავისხენოთ თუნდაც, მოქალაქეთა კავშირის ამბავი: ირწმუნებოდნენ — თუ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ვერ დავიბრუნებთ, მომავალ არჩევნებში მონაწილეობას აღარ მივიღებთო, — მილიონ სამუშაო ადგილზე რომ აღარაფერი ვთქვათ... ეს სპექტაკლები, ხალხის და დასავლეთისთვის, დემოკრატიის მოსაჩვენებლად და დამგულე; უკვე მოგვებრდა ჩვენც და ხალხსაც! არჩევნებში მონაწილეობა თუ შეცვლის რაიმეს — კი, ბატონო, მაგრამ ვერ გამოვია, რისთვის ვირჩევთ, ვინ რისი გამკეთებელია?..

„47 წელია ქრისტიანი ვარ და გაშიშვრდა, როგორ თქვენ – ნაღარეიშვილი მოინათლაო“

— პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თამაზ ნაღარეიშვილი მონათლა და მისი ნათლობის სახელი ბაგრატი... ამბობენ, თითქოს ბაგრატი მესამე კურაპალატს საქართველოს გაერთიანებაში „ეჯიბრებით“ და ქვეყნის გამთლიანებას, აფხაზეთის შემოერთებით დაიწყებო. რა არის ნათქვამში სიმართლე და რა — მოგონილი?

თამაზ ნაღარეიშვილი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე:

— არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ თამარობის დღესასწაულზე დავდე ფიცი და უმაღლესი საბჭოს დეპუტატებსაც მივალბინე — რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებო აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღსადგენად! საქართველოს ხელისუფლებას ორი თვის ვადა მივეცით, რომ აფხაზეთის საკითხი დაარეგულიროს. თუ ეს არ მოხდება, მეუ ვნახო... რაც შეეხება მონათლას — 47 წელია, რაც ქრისტიანი ვარ და გამიკვირდა,



როდესაც შევიტყვე, რა ხმებიც გავრცელდა — თითქოს ნაღარეიშვილი მონათლა და სახელად ბაგრატი დაირქვაო... ■

„ეს ამბავი ბეპრისტოვის კალიან ცუდად დამთავრდება...“



— „იტერა“ არ ენდო „თბილგაზის“ ვალის მაისის ბოლომდე დაფარვის პირობას, რომელიც მას სახელმწიფო მინისტრმა მისცა. ბუნებრივი აირი მხოლოდ იმის შემდეგ გვექნება, თუ 3.200.000 ლარს გადავიხდით. როგორ ფიქრობთ, თბილისისთვის გაზის შეწყვეტის ამბავიც არჩევნებს ხომ არ უკავშირდება?

ჟონდი პალატიური, ფრაქცია „აღორძინების“ წევრი:

— თბილისის ხელმძღვანელობა ცდილობს, რომ „თბილგაზის“ პრივატიზება მოახდინოს და ტარიფები აირზე ორჯერ გაზ-

არდოს. ეტყობა, აქამდე კარგად ვერ გაატყვევს მოსახლეობა... რატომ გვაქვს ამდენი ვალი? იმიტომ, რომ კორუპციონერულმა სახელისუფლო დაჯგუფებამ ხელოვნურად შექმნა ეს დავალიანება რუსეთთან. ხალხისგან ფული კი ამოიღეს, მაგრამ კი არ გადაიხადეს — საკუთარ ჯიბეებში მშვიდად მიუჩინეს ადგილი! ხელისუფლების მისამართით განვაცხადე, რომ თუ ერთი კვირის განმავლობაში თბილისის ბუნებრივი აირი ისევ არ მიეწოდება, ზოგიერთებს თანამდებობებიდან წასვლა მოუწევთ და ვფიქრობ, ეს ამბავი ბეპრისტოვის ძალიან ცუდად დამთავრდება... ■

ბიუჯეტის შეუსრულებლობა მოხსნილ მინისტრებს დაბრალდებათ

— თქვენი აზრით, მაინც რატომ მოხსნეს ფინანსთა და საგადასახადო შემოსავლების მინისტრები და რა შეიცვლება ამ ორი სამინისტროს გაერთიანებით?

ნოდარ ჯავახიშვილი, პარლამენტის წევრი (ფრაქცია „აღორძინება“):

— იმიტომ, რომ მთავრობა ახლა უკვე მოხსნილ მინისტრებს გადააბრალებს ბი-

უჯეტის შეუსრულებლობას. მაშინ, როდესაც ახალი ფინანსთა მინისტრი გვყავს, გასული წლის ბიუჯეტის შეფასებას უკვე აზრი აღარ აქვს! პარლამენტმა მთავრობას 2001 წლის ბიუჯეტის ანგარიში არ უნდა დაუმტკიცოს: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ბიუჯეტი შეუსრულებელია და მეორეც — ანგარიშში მოყვანილი ციფრები ერთმანეთს არ შეესაბამება... ■



ვინ არიან „შატალისტი“ პარლამენტარები...

— გასულ კვირას საგანგებო სხდომა პარლამენტართა გამოუცხადებლობის გამო ჩაიშალა. დეპუტატების სხდომებზე არგამოცხადებამ უკვე მასობრივი ხასიათი მიიღო. საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა გადაწყვიტა, გამცდენ დეპუტატთა ვინაობა საქვეყნოდ განეცხადებინა. საინტერესოა, კონკრეტულად ვინ მოხვდა ენ. „შატალისტების“ შავ სიაში?

ალექსეი გიგულაძე, მანდატურის სამსახურის უფროსი:

— არ დაიჯერებთ რომ 235 დეპუტატიდან „შავ სიაში“ 4-5-ის გარდა, თითქმის

ყველა მოხვდა. გამცდენ დეპუტატებს შორის მამაკაცებში, ზაზა ოქუაშვილი ლიდერობს (მას 35 სხდომა აქვს გაცდენილი), ქალბატონებში კი მისი მეუღლე — ნატო ჩხეიძე 32 გაცდენით. მომღეეო „საპატიო“ ადგილი „ტრადიციონალისტთა“ თავკაცს — აკაკი ასათიანს ერგო — 31 გაცდენით. 28 სხდომა აქვთ გაცდენილი კობა დავითაშვილს, ბორის კაკუბავას, ადა მარშანას, 27 — მიხეილ მაჭავარიანს, თემურ ფიჩხაას, 26-26 კი — კოტე კეჭულარიას, თამაზ ნაღარეიშვილს, ლევან პირველს, ვახტანგ რჩეულიშვილს... 20 — ლევან გაჩეჩილაძეს... მოკლედ, ჩამოთვლა რომ გავაგრძელო, თითქმის მთე-

ლი საპარლამენტო შემადგენლობის დასახლება მომიწევს. არასაპატიო მიზეზით ნაკლებად გამცდენ დეპუტატთა რიგში არიან: ნოდარ ამაღლობელი, რევაზ არველაძე, რეზო მიშველაძე, ვიტალი ხაზარაძე... შეღავათები ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მხოლოდ ოთხ დეპუტატს აქვს — ვახტანგ ბოჭორიშვილს, ჯანო ბაგრატიონს, ვია ყარყარაშვილსა და გიორგი კონიძეს. ყველა ამ დეპუტატის მონაცემები უკვე ბულალტერიას გადავეცი. სანქციები მართლაც მკაცრია — სამსაათიანი გაცდენა 75 ლარს შეადგენს! იქნებ, პარლამენტარებს ამან მაინც შეახსენოს თავიანთი მოვალეობა... ■

ჯუმბერ ლომინაძე — ჯოჯოხეთური არჩევანი, ფრანკანიანი ქალები, აბოშური ბოშები და ... ისევ სიყვარული

ნანა ქიბიშაური

ყველასთვის გასაგები მიზეზის გამო, ბატონ ჯუმბერ ლომინაძეს ძალიან დაძაბული დღის რეჟიმი აქვს. მასმედიის უფროდლების ცენტრშიც ძირითადად, ბოლოდროინდელი საქმიანობის გამო უფრო ხვდება. არადა, ის უდავოდ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში, მის ბინაში შესვლისთანავე დარწმუნდებით. შესასვლელში უზარმაზარი ნახატი შემოგვეკვებათ. ეს საღვადორ დაღის სურათის ასლია, რომელიც ბატონმა ჯუმბერმა პირდაპირ კედელზე დასაჭა. შესასვლელის შემდეგ აღმოჩნდებით მუზეუმში — სიყვარულის მუზეუმში. ამ სიტყვებში არაფერია გადაჭარბებული: ჯუმბერ ლომინაძეს მთელი კედლები თავისი მუშაობის — ქალბატონი ლიას ფოტოებით დაუფარავს. ეს ფოტოები მისივე გადაღებულია. ბატონი ჯუმბერისა და ქალბატონი ლიას სიყვარულის ამბავი დღემდე ლეგენდად დაღის მთელ თბილისში. ამ ლეგენდას ჯუმბერ ლომინაძე თვითონ მოგვიყვება. სვედიანი ამბის მოსმენით მეტისმეტად რომ არ გეტკინოთ ვულო, ბატონი ჯუმბერი ისეთ ლირიკულ გადახვევებსაც ვთავაზობთ, როგორცაა არჩვენები, ფოკუსები, ნაიბი კეპბელის ფოტოსურათების კოლექცია, ატომური ბომბი და — ისევ სიყვარული...

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებში (დახურული სპეციალობით) ვრცელდება ხმა, რომ მათთან უნდა მივიდეს ორი პირი, რომელმაც 11 საუკეთესო სტუდენტი რაღაც საიდუმლო საბუთებისთვის უნდა შეარჩიოს. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ორი პირი, ანდრეი სახაროვი და აკობ ზელდოვიჩი იყვნენ. 11 საუკეთესო სტუდენტს შორის კი, ერთი ქართველი — ჯუმბერ ლომინაძეც აღმოჩნდა. ჯგუფი სასწრაფოდ მოამზადეს ჩელიაბინსკის ოლქში მდებარე დახურულ ობიექტზე გასამგზავრებლად და საკმაოდ მკაცრი ინსტრუქტაჟიც ჩაუტარეს. მეზარობის დროს, ახალგაზრდებს თავი გეოლოგებად უნდა ვეახლებინათ და რაც მოავარია, ზედმეტი არ უნდა ელაპარაკათ.

ჯგუფის წევრებს ჯერ კიდევ არ იციან, სად მიდიან, არ იციან, რომ ყოველ დილა-საღამოს, საიდუმლო ლაბორატორიაში შესვლისა და გამოსვლის დროს, პაროლის თქმს მოუწევთ. არ იციან, რომ ისინი ბირთვული არაღის სრულყოფისთვის მუშაობას იწყებენ. ჯერჯერობით, მათ პასპორტებში მხოლოდ ერთი დამატებითი წარწერა გაჩნდა: „დაქარავებული სამხედრო“.

ჯუმბერ ლომინაძე სვერდლოვსკამდე ფოკუსების ჩვენებით არიბობს მეგობრებს. ერთ-ერთი მეზარის ვაოცებას საზღვარი არ აქვს. იგი ახალგაზრდის ვინაობის დადგენას ცდილობს. ჩვენ გეოლოგები ვართ — ისმის პასუხი. უცნობი უფრო მეტად მონიბლული შეჭყურებს ლომინაძეს. „დახნებუთ ყვე-



ლაფერს თავი, მე დავინიშნავთ ორამე ზელფასს და შემოვთავაზებთ კარგ თანამედბობას...“

„გეოლოგები“ იცინიან... ფოკუსების ოსტატი უარობს.

— იციო, ვინ ვარ? — ამყად მიმართავს უცნობი ახალგაზრდებს. **Управляющий „Уралцветметзолотом“**... ახლაც სიცილით იხსენებს ბატონი ჯუმბერი, თურა ვაჭირვებით დააღწია მამინ თავი ნამღვილი გეოლოგის წინადადებას.

ახალგაზრდა ფიზიკოსთა ჯგუფმა უხიფათოდ მიაღწია გასაიდუმლოებულ ობიექტამდე, რომელიც ცნობილია „სუნულის“ სახელწოდებით. ეს იყო ადგილი, სადაც გერმანულ ტყვეებს აბუშავედნენ. სწორედ ამ ტერიტორიაზე აპირებდა სტალიონი დახურული ობიექტის — „ჩელიაბინსკ-70“-ის (ამჟამად რუსეთის ფედერაციის ბირთვული ცენტრის) აშენებას. მამინ უკვე არსებობდა ამგვარი ობიექტი: „არზამას-16“, სადაც საბჭოთა კავშირში პირველი ატომური ბომბი შეიქმნა. მაგრამ მამინ ფიქრობდნენ, რომ შეიძლებოდა, იქ აბერიკის დაზვერვას შეეღწია და ცენტრი გაენადგურებინა. ამ და კიდევ ჯანსაღი სამეცნიერო კონკურენტის მიზნით, შეიქმნა სათადარიგო ობიექტი, სადაც თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა ამჟამად უკვე აკადემიკოსმა ჯუმბერ ლომინაძემ დაიწყო.

— ბატონო ჯუმბერ, როგორ გადანვცილეთ, გამბდარიყავით ფიზიკოსთ და ხომ არ ნანობთ, რომ კაცობრობის ისტორიაში ყველაზე საშინელი იარაღის დამზადებაში თქვენც მიგიძღვით წვლილი?




ბაგონი ჯუმბერისა და ქალბატონი ლიას სიყვარულის ამბავი დღემდე ლეგენდად დაღის მთელ თბილისში

— მეშვიდე კლასში ვიყავი, ამერიკელებმა პირველი ატომური ბომბი რომ აფეთქეს. მასწავლებელმა, მამამ გაზეთებში ამოიკითხა, რომ აფეთქების პროცესს იმხელა სიკაშკაშე ახლდა, ერთმა ბრმა ქალმა 50 კმ მანძილზეც კი აღიქვა ეს ნათება. მივხვდი, რომ უცნაური და შემზარავი რამ მოხდა, თუმცა, არ ვიცოდი, საიდან და როგორ. აღბათ, ამიტომ გადავწყვიტე, ფიზიკოსი გაემხდარიყავი. რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს — დღემდე მიწვევს ხოლმე პასუხის გაცემა კითხვაზე — თუ როგორ დავთანხმდი იმ იარაღის დამუშავებაში მონაწილეობაზე, რომელიც ათასობით ადამიანის მოსასპობად იყო გაიშნული? მაშინ ჩვენ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით და ვფიქრობდით, რომ დიდ საქმეს ვაკეთებდით. გაითვალისწინეთ იმ დროის იდეოლოგია და მისი გავლენა ჩვენს ფსიქოლოგიაზე. ამერიკელებს უკვე ჰქონდათ ბირთვული იარაღი. ჩვენც უნდა გვქონოდა, რომ ბალანსი არ დარღვეულიყო. ამასთან დაკავშირებით, ჩემი პოზიცია კვლავ ისეთია, როგორც უწინ იყო. ეს პოზიცია, მეცნიერებასა და პოლიტიკას შორის ურთიერთობის ჩემული დოგმა, რომელიც თავის დროზე აინტეგრირდება ჩამოყალიბდა: „მეცნიერება უნდა ამოხსნას ბუნების საიდუმლო, პოლიტიკოსებმა კი გადაწყვიტონ, თუ როგორ გამოიყენონ კაცობრიობის მონაპოვარი“. ერთხელ, ერთ რუს მეცნიერს ჰკითხეს: მეცნიერება რა არის? „ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება სახელმწიფოს ხარჯზე“, — უპასუხა მან. მართლაც, ასეა. მეცნიერის საქმე კვლევაა, ის კი, თუ ვინ და როგორ გამოიყენებს მეცნიერების მიღწევებს, სახელმწიფოს გადასაწყვეტია.

— ჩელიაბინსკის გასაიდუმლოებული ცენტრში, ალბათ განსაკუთრებული პირობებში ცხოვრობდით...

— იქ მიმდინარეობდა ბირთვული იარაღის სრულყოფის სამუშაოები და ბუნებრივია, საგანგებო რეჟიმის პირობებში ვცხოვრობდით. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მე ვეცნობოდი გრიფით — „სრულიად საიდუმლოდ“ აღნიშნულ ანგარიშებს. მინახავს წყალბადის ბომბის სქემა, შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დააჩნიეს XX საუკუნის მეცნიერებას. საერთოდ კი, ყველა მეცნიერი, რომელიც ისეთ საპასუხისმგებლო თემაზე მუშაობდა, რომელსაც მსოფლიო პოლიტიკის შეცვლა შეეძლო, დიდი სტრესისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის პირობებში აწარმოებდა კვლევას. ამის მაგალითად, პირველი საბჭოური ატომური ბომბის შექმნაც კარა, რომელიც დეტექტიურ აბზავს უფრო ჰგავს. ამ საქმეში უდიდესი როლი შეას-

რულა საბჭოთა დახვეწილი ლაბორანტი ბერიას ხელმძღვანელობით. საბჭოთა კავშირს, საუკეთესო დახვეწილასთან ერთად, ჰყავდა მაღალი დონის ფიზიკოსებიც, რომლებმაც იცოდნენ თავიანთი საქმე, მაგრამ საქმეც სწორედ ის იყო, რომ მათ არ ჰქონდათ საშუალო სიღრმის საჭირო რაოდენობის საწვავი, ურანი, პლუტონიუმი... ამიტომ მოხდა ფაქტი, რომელიც დიდხანს არ იყო გახმაურებული — პირველი ატომური ბომბი მოიპარეს! ბომბი, რომელიც 1949 წელს გამოსცადეს საბჭოთა კავშირში, ამერიკელის ასლი იყო — საბჭოთა მშვერავებმა სქემები მოიპარეს. მართალია, საბჭოთა კავშირს ჰქონდა საშუალება, საკუთარი ბომბი აფეთქებინა, მაგრამ მეცნიერებს შეეშინდათ, — რომ არ აფეთქდეს, სტალინს თუ არა, ბერიას მაინც ვერ გადაუურჩებოდა. როცა ექსპერიმენტმა წარმატებით ჩააბრუნა და ბომბი აფეთქდა, მათ, ვისაც სხვა შეთხვევაში დახვეწა მოელოდა, სოციალისტური შრომის გმირის წოდება და სტალინური პრემიები მიანიჭეს; ვინც ციხეში უნდა წასულიყო, ის კი მათი სიმატით დააჯილდოეს. ამ ბომბში სიმატის წილიცაა. საბჭოთა კავშირში რომ ელიტარული ფიზიკოსები მუშაობდნენ, ამას ისიც ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირმა რამდენიმე წელიწადში წარმატებით გამოსცადა მსოფლიოში პირველი წყალბადის ბომბი. მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ურთიერთობაზე, რომელიც ისევ ბირთვული იარაღის შექმნას უკავშირდება, კიდევ ერთ მაგალითს გავიხსენებ: ამერიკელებმა საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს. ომის შემდეგ ტყვედ ჩავარდნილ მეცნიერთა ნაწილი საბჭოთა კავშირში წამოიყვანა, ნაწილი კი — ამერიკაში. ამერიკელებმა შეკრიბეს გერმანელი მეცნიერები, წაიყვანეს ინგლისში და დაასახლეს ერთ დიდ აგარაკზე, სადაც ყველა საუბარი ისმინებოდა. მათ შორის მრავლად იყო მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი და ნობელის პრემიის ლაურეატიც. ეს ხდება 1945 წელს — მაშინ, როდესაც ბომბზე ვერ კიდევ გრძელდება მუშაობა. ტყვეებს უბნებთან, რომ ივლისში ამერიკამ გამოსცადა შემზარავი იარაღი... გერმანელ მეცნიერებს, ამ ინფორმაციით თავზარდაცემულებს, დაუწყიათ ერთმანეთის დადნ-



გამოჩენილ რუს მეცნიერთან ანდრეი კაპიცასთან ერთად

ამულება იმის გასარკვევად, თუ რაში შეცდნენ, რა ვერ გათვალეს... მიუღია ეს ინფორმაცია ამერიკელებმა ფირზე ჩაიწერეს. მოგვიანებით მასალა, „ფარმ-პოლის“ საუბრების სახელით ჩაბარდა მატინეს. ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ ასე შექმნეს პირველი ატომური ბომბი ამერიკელებმა. შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებს, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა მუშაობდნენ ისინი, ერთი საერთო თვისება აქვთ — ბავშვური გულუბრყვილობა. მათი ამ სისუსტით ხშირად სარგებლობენ პოლიტიკოსები.

— თქვენს შემთხვევაშიც ასე ხომ არ არის? ნარმოზდგენა, თქვენი იმიჯის ადამიანისათვის რა მძიმე შრომაა პოლიტიკოსებთან ურთიერთობა და მით უმეტეს იმ პერიოდში, როდესაც ყველას „საარჩევნო ცოდვები“ ზედაპირზე ამოდის...

— მე საზოგადოება უფრო მიცნობს, როგორც საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ვიდრე მეცნიერს. შეიძლება ბევრმა არც ის იცის, რომ მთავარი ჩემთვის დღესაც მეცნიერებაა და ამის შემდეგ არის სხვა დანარჩენი. ცესკოს თავმჯდომარეობა ჩემთვის დიდი ტვირთია და ამაზე პრეზიდენტს მხოლოდ იმიტომ დავთანხმდი, რომ მეც-

ნობის ტელეფონი
უონხელტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
822 009 005
 „მეტი „კუთხედი“,
 „მეგაკომი“ — 0,70 ლ.
 თბილისი — 0,45 ლ.
 რაიონები — 0,65 ლ.

ნიერებათა აკადემიიდან „იმელის“ შენობა 5 წუთის სავალზე... დღეს კომისიაში ისეთი რთული ვითარებაა – ხალხის მხარდაჭერა რომ არა, მე ამ თანამდებობაზე ერთი წუთითაც ვერ გაჩერდებოდი. ძალიან ბევრი სიბინძურე ახლავს არჩევნებს თან. იყო, არის და იქნება გაყალბების მცდელობა. პირადად მე, არანაირ გარეგანებაში არ ვმონაწილეობ, მაგრამ ისეთი თანამდებობა მიკავია, რომ პასუხისმგებელი ვარ ყველაფერზე, რაც კი ამ არჩევნებზე ხდება. გულუბრყვილობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ წესიერი კაცი ვარ, რადგან 70 წლის განმავლობაში, ვცდილობ პატიოსნად ვიცხოვრო. წესიერი ხალხის მოტყუება კი, ეტყობა, ძალიან ადვილია. ამ არჩევნებში ისეთი რაღაცები ხდება, ზოგჯერ მართლა მიჭირს გარკვევა. ზოგჯერ გვერკვევი ხოლმე, მაგრამ გვიან... საარჩევნო კომისია პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზეწოლის ქვეშ მუშაობს. მოვლენები ისე განვითარდა, რომ ჩვენ უნდა დაგვედგინა, ვინ არის მოქვეყნების სამართალმემკვიდრე. ვფიქრობ, ძალიან სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, როდესაც ამ შემთხვევაში არც ერთი არ ვცანით.

— როგორც ხუმრობენ ხოლმე, თქვენ იმიტომ დაინიშნეთ ამ თანამდებობაზე, რომ კარგად იცით ფოკუსების კეთება...

— რატომღაც არჩევნებს და ჩემი ბავშვობის დროინდელ ჰობის ხშირად აკავშირებენ ერთმანეთთან. ვფიქრობ, ფოკუსები აქ არაფერ შუაშია. თუმცა, ზოგჯერ აქაც შეიძლება ისე გავცდეთ, როგორც ახალი ფოკუსის ნახვისას. არჩევნების შესახებ აუცილებლად დავწერ ჩემს მეზობლებში, რომელსაც მომავალში გამოვაქვეყნებ. იქ მართლაც გულახდილი ვიქნები. დღეს მორალური უფლება არა მაქვს, ვთქვა ყვე-

ლაფერი, რისი თქმაც მინდა. უკანასკნელი ორი კვირის შესახებ კი გეტყვი: ისეთი დღეები გადავიტანე, რომ უკვე ვიცი, რა არის ჯოჯოხეთი. 70 წელს გადაცილებული კაცი ვარ. რა აღარ გადამიტანია. ჩემი ბოლო, ყველაზე დიდი ტრაგედია საყვარელი მეუღლის დაკარგვითაა გამოწვეული. მაგრამ რაც ამ დღეებში აქ ხდება, მთელი ქვეყნისთვის შემაშუოთებელია. ეს არის სისასტიკე და დაუნდობლობა, რომლითაც სხვადასხვა პარტია ერთმანეთის მიმართ არის გამსჭვალული. სამწუხაროა, რომ საარჩევნო კულტურა ჩვენში კვლავ ძალიან დაბალია.

— თქვენ მეუღლე ასენეთ. თქვენი ფოტო და კინოარქივიც მონაშობს იმას, რომ ის თქვენი ერთადერთი მუზა იყო. მაინც რით იყო თქვენი სიყვარული ასეთი გამორჩეული?

— ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი. ჩვენ ისევე ერთად ვართ. ის ჩემთანაა, ჩემშია და მე ძალიან მიჭირს მის გარეშე... თქვენ ხომ არ იცით, როგორი იყო ჩემი ლიკო...

ბატონი ჯუშერი ოთახიდან გადის, რათა შემოიტანოს ვიდეოფირი, სადაც ჩაწერილია მის მიერ გადაღებული საოჯახო ფილმი — „სეკიანი მოვინებები“ და აღბეჭდილია კადრები ფოტოგამოფენიდან, რომელიც საყვარელი მეუღლის — ლია კიკაჩიშვილის ხსოვნას მიუძღვნა. კერძოდან ბენიერი, სიყვარულით და სიცოცხლით სავსე, მართლაც მშვენიერი ქალი შემოგვჩვენებს. ჯუშერი ლომინაძე თვალს არ აცდევს მონატრებული მეუღლის სახეს. ლია ლომინაძე მეუღლესთან ჩასვლა, გასაღებულ კარებში, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოახერხა, რადგან მანამდე ის მოსკოვის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სწავლიდა. ჩასვლისთანავე ექიმ-

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. მთორე დღესვე მიბილიზებული იქნა ყველა სამხედრო-სანიტარული ნაწილი და ლია ლომინაძე, როგორც ექიმი, ერთ-ერთი პირველთაგანი გაეშურა დაზიანებულ ტერიტორიაზე.


ბატონი ჯუშერი იხსენებს:

— იმჟამად დაცვის საშუალებები პრაქტიკულად არ არსებობდა და ლიას უხდებოდა დაზიანებულ ტერიტორიაზე დადებულ ფიცრებზე სიარული, რომ არ შეხებოდა რადიაციით გაუფენილ მიწას. როდესაც ლია ობიექტზე, საკონტროლო-გამშვებ პუნქტში ბრუნდებოდა, რადიოაქტივობის გამზომი ხელსაწყოები უზარმაზარ აქტივობას უჩვენებდა. შეიძლება, სწორედ მაშინ მიღებული დასხივება აღმოჩნდა იმ უკუჩვენებელი სენის ძირითადი მიზეზი, რომელიც ლიას ამდენი ხნის შემდეგ შეეყარა... ლია სამი წლის წინ გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე მთხოვა — ჯვარი დავიწეროთო. მოვიწვიე მღვდელი და ყველა წესის დაცვით, ეს რიტუალი ლიას სარეცელთან შესრულდა. მოვიანებთ, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ჩემ მიერ გადაღებული ფილმი კინომოყვარულთა ფესტივალზე პრიზით დაჯილდოვდა, „ცისფერ გალერეაში“ შარშან მოწყობილი გამოფენის დღეს — 5 ივნისს კი, ქვეყანას ჩემი პატარა შვილთაშვილი მოვლინა. რომ არა ფოტოაპარატით ჩემი გატაცება, ლიას ამდენი სურათი არ მექნებოდა. აქ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებია აღბეჭდილი. ჩემი სიმდიდრე ეს სურათები, წიგნები და კინოკადრებია. და კიდევ, ჩემი ოჯახი — შვილი, შვილიშვილები, რძლები და შვილთაშვილი.

— ახლა თქვენს რამდენიმე პოზიციას ვისაუბროთ: ვიცი, რომ ხატავთ, უკრავთ ფორტეპიანოზე, გატაცებული ხართ ჯაზით. თურმე თქვენ, ერთ-ერთმა პირველმა იცავთ როკ-ენ-როლი თბილისში...

— ვხატავ. მიყვარს ასლების შექმნა. ჩემი კერპი ხელოვნებაში, მიქელანჯელოა. 47 წლის წინ დავხატე ფანქრით მისი „დავითი“, რომელიც ქორწინების დღეს ლიას მიუძღვნი. ძალიან მომწონს სალვადორ დალის შემოქმედება. მისი ნამუშევრების უამრავი ასლი შევიძინე ამერიკაში. საყვარელი კომპოზიტორია გლენ მილერი. ვუსმენ ჯაზს და კლასიკას. გატაცებული ვარ ცურვით. სტუდენტობის წლებში ბრანსის სტილით ცურვაში სასწავლებლის ჩემპიონიც ვიყავი. სპორტულ ტანვარჯიშში მეორე თანრიგოსანი ვარ. რაც შეეხება ფოკუსებს — მინ უამრავი რეკვიზიტი მაქვს. ერთხელ ტელევიზიაში მიმიწვიეს და მთხ-

ადვილად ვიხიბლები ფერადკანიანი ქალბატონებით. ერთ-ერთ მათგანთან, მართლაც მშვენიერ ქალბატონთან, ამერიკაში ფოტოც გადავიღე



ქვიატრად დაიწყო მუშაობა. მისი ჩასვლიდან სულ მალე, „ჩელიაბინსკ 70“-ის ყველა მკვიდრისთვის უდიდესი განსაცდელის უბი დაღა: 1957 წლის 29 სექტემბერს მოხდა უზარმაზარი ბირთვული აფეთქება, რომელიც გასაღებლოებული იყო 32 წლის განმავლობაში და მხოლოდ 1989 წელს გახსურდა



ლოდა. ეს კაცი ადრე გარდაიცვალა და აღიარება ვერ მოიპოვა. რაც შეეხება ცეკვას — მართლაც მიყვარს ცეკვა. ახლახან გაიოხ ცინცადის 75 წლისთავის იუბილეზე მიმიწვიეს საცეკვაოდ. ტვისტი ვიცეკვე-საქმუნაროდ, ისე ადარ გამოძივდა, როგორც ადრე: შარშან ფეხბურთი ვითამაშე, ფეხი ვიტკინე და ამ ფეხმა სწორედ ცეკვის დროს შემახსენა თავი.

— გავიგე სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოტანილი კარტის კოლექცია გაქვთ...

— მაქვს. კარტის კოლექციაც მაქვს და ნაომი კემპელის ფოტოების კოლექციაც: ჩემი აზრით, ის ჩვენი დროის უღამაზესი ქალია. მე ვეტრფი მის მშვენიერებას. საერთოდ, ეტყობა, ავიღლად ვიხიბლები ფერად-კანიანი ქალბატონებით. ერთ-ერთ მათგანთან, მართლაც მშვენიერ ქალბატონთან, ამერიკაში ფოტოც გადავიღე. მაშინ ცოტა არ იყოს, ჩემს მეგობრებს შემურდათ კიდევ ჩემი. ლიამ კი იეჭვიანა... ლია ნაომიზეც ეჭვიანობდა. ერთადერთი ქალი, ვისზეც ლია არ ეჭვიანობდა, მერილინ მონრო იყო, — იმიტომ, რომ ის მასაც ძალიან მოსწონდა... 60-იან წლებში ხანგრძლივი დროით მიმაველინეს ხარკოვში. ლია ყოველდღე მირეკავდა და მეკითხებოდა — როდის ჩამოხვალ. უჩემოდ ყოფნა უჭირდა. ერთ მშვენიერ დღეს, ინსტიტუტიდან ძალიან დაღლილი დაგბრუნდი სასტუმროში და როდესაც მორიგესთან მივედი გასაღების ასაღებად, მის გვერდით ლია დავინახე. ეს ჩემთვის ისეთი სიურპრიზი იყო, რომ დაბნეულობისგან მხოლოდ ამის კითხვა მოვანერხე: აქ საიდან გაჩნდი-მეთქი?!. ყოველი მძიმე დღის შემდეგ შინ დაბრუნებული რაღაცნაირად ამ სიურპრიზის გაძივებას ველოდები... აი, ასეთია ჩემი ცხოვრება, რომელიც მხოლოდ არჩევნებით არ შემოიფარგლება. თუმცა, ამ ეტაპზე, მას ჩემი დროის უდიდესი ნაწილი მიაქვს.

უჩემოდ ყოფნა უჭირდა. ერთ მშვენიერ დღეს, ინსტიტუტიდან ძალიან დაღლილი დაგბრუნდი სასტუმროში და როდესაც მორიგესთან მივედი გასაღების ასაღებად, მის გვერდით ლია დავინახე

ოვეს, დევიდ კობერფელდის საიდუმლო ამხსნა. ის ჩვენი დროის უდიდესი ილუზიონისტია, რომელსაც მისტიკასთან არანაირი შეხება არა აქვს. ამ გადაცემის მსვლელობისას ვისაუბრეთ კობერფელდზე და ბოლოს, ჩემი რამდენიმე ფოკუსიც ვუჩვენე მაყურებელს. მეორე დღეს ქალაქში ხმა დაირხა თურმე: როგორ გაუჭირდათ აკადემიკოსებს, რომ ტელევიზიით ფოკუსებს უჩვენებენ და ამაში ჰონორარს იღებენო... სხვათა შორის, იყო ერთი ქართველი, რომლის შესახებაც ბევრმა არ იცის, — ვინმე დიკ ჩიტიშვილი. როგორც ამბობენ, ამ კაცმა საპრობილეში ისწავლა ფოკუსების კეთება და მსოფლიო დონის ილუზიონისტად ჩამოყალიბდა, მაგრამ მაშინ ისეთი დრო იყო, რომ საზღვარგარეთ ვერ წავი-

ლია და ჯუმბერ ლომინაძეები შეილთან, ვიორგისთან (მარცხნიდან მეორე), შვილიშვილებთან — ჯუმბერთან (მარცხნივ) ნოდართან და რბალთან, ირინასთან ერთად



ტვისტი პრუდიციაზე

1. სადაური ნარმოშობისაა კლინტონების ოჯახი?



- ა) ირლანდიური;
- ბ) იტალიური;
- გ) ინგლისური.

2. სად შიარქშის კოზა სტალინს?



- ა) გორის სასულიერო სემინარიაში;
- ბ) ქუთაისის ციხეში;
- გ) მოსკოვში, პარტიის ყრილობაზე.

3. ზეითუნის ნაყოფი და ზეთისხილი:



- ა) ერთი და იგივეა;
- ბ) ერთიც და მეორეც ერთი ხის ნაყოფია, მაგრამ სხვადასხვაგვარი სიმწიფით ხასიათდება;
- გ) სხვადასხვაა.

4. ამეზიანი ეს არის:



- ა) ნაწლავთა დაავადება;
- ბ) კუჭის წყლულის სახელწოდება;
- გ) ბრმა ნაწლავის ანთება.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე.



ახლა ცოლი რომ მოვიყვანო, შეიძლება ერთ კვირაში ბამბიძვის

გულმზურვალე თინეიჯერების კერპი **დათო ხუჯაძე** აცხადებს, რომ მას, მედია-პოლდინგში მომღერლების გაერთიანების შესახებ პოზიცია არ შეუცვლია და კვლავ თავისი პრინციპის ერთგული რჩება. მისი თავყვანისმცემლებისთვის ცნობილია ისიც, რომ ამ ბოლო დროს, დათო, პოლიტიკითაც დაინტერესდა და ზურაბ ჟვანიას გუნდის ჯერ აქტიურ მხარდამჭერად ითვლებოდა, შემდეგ კი, პარტიულ სიაშიც მოხვდა.

რამდენად სერიოზულად არის დათო ხუჯაძე საარჩევნო კამპანიაში ჩართული და რა გავლენას ახდენს პოლიტიკა მის პირად ცხოვრებაზე, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

ნანა ქიბიშაური

— დათო, ვინ გირჩიათ, რომ პოლიტიკაშიც გვცადათ ბედი?

— არა, პარტიულ სიაში ჩემი მოხვედრა, იმდენად პოლიტიკაში ბედის ცდა არ არის, რამდენადაც პოზიციის დაფიქსირება. არავისგან ყოფილა არც რჩევა და არც მიწვევა-შემოთავაზება. მე დამოუკიდებლად მივიღე გადაწყვეტილება, რომ მხარი დამეჭირა იმ ადამიანისათვის, რომელსაც როგორც პოლიტიკოსს, სიმათით ვუყურებ. მე არ მაქვს პოლიტიკაში დიდი ამბიციები. სიძარტლე გითხრათ, დიდად არც ის მაინტერესებს, მოვხვდები თუ არა ქალაქის საკრებულოში. მაგრამ თუ შემთხვევით, ქალაქის საკრებულოში მოვხვდი, ამ საქმიანობასაც ისეთივე პასუხისმგებლობით მოვეკიდები, როგორც ჩემს აკადემიკურ საქმიანობას ვასრულებ.

— მედია-პოლდინგში გაერთიანებული მომღერლების შესახებ გამოთქვით მოსაზრება — რომ მათ საარჩევნოდ უკეთებდნენ მობილიზაციას და შემდეგ მედია-პოლდინგის შემქმნელები, საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენებდნენ. ახლა კი რა გამოდის: ამ მომღერლებზე ადრე, თავადვე ჩართეთ პოლიტიკაში?

— შოუბიზნესი არის ის, რაც მომღერალს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას აძლევს, მაგრამ შოუბიზნესი ჯერ თვითონ უნდა იყოს ჯანსაღი, ერთნაირად მისაღები ხალხისთვისაც და მომღერლებისთვისაც. თანამედროვე ადამიანისათვის, მით უმეტეს საქართველოს პირობებში, ყოველთვის მიუღებელი იქნება ხელოვანი ხალხისადმი ეს მონათმფლობელური მიდგომა, რომელსაც ზოგჯერ შოუბიზნესის წარმომადგენლები იჩენენ. ნაყოფი მომღერლებს მაინც გამოიყენებენ პოლი-

ტიკაში. მე კი, როდესაც უარი ვთქვი მედია-პოლდინგის წინადადებაზე, არჩევანის უფლება დავიტოვე. ისინი იძულებულნი იქნებიან, დაემორჩილონ პოლდინგის ხელმძღვანელობას და შეასრულონ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები. მე კი, ვისთანაც მიზნა, იმასთან ვიმღერებ.

— პოლდინგთან დაკავშირებით თქვენ ადრეც მკვეთრ განცხადებები გააკეთეთ. ამის გამო ხომ არ განაწყენდნენ იქ გაერთიანებული მომღერლები?

— ნაწყენები არ უნდა დარჩნენ, იმიტომ, რომ რასაც ვამბო, ვფიქრობ, ეს მართლ ჩემი სათქმელი არ არის. ეს ყველაფერი მართლ მე რომ მეხებოდეს, ხმაძალა არ ვიტყვდი, — ისე, ჩემად გაეკეთებდი იმას, რასაც საჭიროდ ჩავთვლიდი. რადგან ხმაძალა ვამბო, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვებზეც შემტყუვა გული და მიზნა, მათაც იცოდნენ ჩემი აზრი: მედია-პოლდინგი თამაშობს ჩატეხილი ხდის როლს, მომღერალსა და მასმედიას შორის, მომღერალსა და მსმენელს შორის. სწორად მოჰყავთ საზღვარგარეთის მაგალითი. იქ აბეგარი გაერთიანებები ასაღვარდა, უცნობი სახეების ადმინისტრაციასა და წარმოჩენაზე ზრუნავენ, აქ კი ცდილობენ, უკვე პოპულარულ და ცნობილ ვარსკვლავებს დაეატრონონ. საერთოდ, ასეთი მიდგომა მკვიდრდება: ჩაიძირება ყველა, ვინც იმის გვერდით არ ღვას, ვისაც ბევრი ფული აქვს. ბოლოს და ბოლოს, ისეთ პოლიტიკოსსაც უპირებენ ჩაძირვას, როგორც ჟვანია და მე ვინ ვარ?! აი, ასეთი მიდგომისა და განუკითხაობის წინააღმდეგი ვარ, თორემ, მომღერლების საწინააღმდეგო მე რა უნდა მქონდეს?! უძრავლესობა ჩემი მეგობარია. იმედოვნობ, რომ ეს ყველაფერი, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი ცუდი, რაც ჩვენს ესტრადაზე ხდება, დროებითი და წარმავალია.

— სხვა დანარჩენ ცუდში რას

გულისხმობდით?

— თუნდაც იმას, რაც ჩვენს ასაღვარდაობაში ხდება. ისინი ასე უცებ მოხდევებულ უამრავ ცულ ინფორმაციას ვერ მოერივნენ და გაფუჭდნენ. რა თქმა უნდა, ეს ასაღვარდაობის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს შეეხება. ჩემთვის მიუღებელია თუნდაც ის, რასაც ქართული ესტრადის შესახებ ჭორაობენ. ბევრი ფიქრობს, რომ დღეს სცენაზე მხოლოდ „ცისფერები“ დგანან. სცენაზე ჯერ უნდა ავიდეს კაცი და მერე იმ კაცმა კაცურად უნდა იმღეროს. სცენაზე თუ ჯანსაღი კაცი არ ღვას, იმის ნამღერსაც არანაირი ფასი არ აქვს, თუმცა, არიან გამონაკლისებიც. ჩემთვის მაგალითად, ასეთი გამონაკლისია ჯორჯ მაიკლი. ის აღიარებული „ცისფერია“, მაგრამ იმდენად დიდი მუსიკოსი, რომ მისი მუსიკის გარდა, მე სხვა აღარაფერი მაინტერესებს.

— ჩვენს მუსიკის სამყაროში ვინ არის თქვენთვის ავტორიტეტი?

— მე საქართველოში მტრები და ავტორიტეტები არ მაყვს. ბევრია, ვისაც პატივს ვცემ, მაგრამ ვისაც მივბამვდი — ასეთი არავინ. ალბათ, ამიტომ არის, რომ ჩემი სიმღერები ერთმანეთს არ ჰკავს და აბსოლუტურად სხვადასხვა უნარის და ხასიათისაა. ერთ სტილს, ერთ მუსიკოსს ან მომღერალს ვერ ვაღიარებ. მიყვარს მრავალფეროვნება და ვფიქრობ, ეს ჩემს შემოქმედებასაც ეტყობა.

— ახლა, ამ ინტერვიუს დროს ძალიან სერიოზული და მკაცრი ჩანართი. ძალიან კავკასიური...

— კი. ვაღიარებ რომ კავკასიური მენტალიტეტის კაცი ვარ.

— და რას ნიშნავს ეს? არ შეიძლება, ქალმა ჩაიცვას მოკლე კაბა, თუკი ფეხზე ფეხის გადადებას აპირებს?

— რა თქმა უნდა, არა.

— და ვისზე აგრძელებთ ამ შეზღუდ-

გებს? ალბათ დაზე და საცოლეზე?

- საცოლე ჯერ არ მყავს. და კი, არ გააკეთებს იმას, რაც მე არ მომეწონება.

- თუ მაინც გააკეთა, მერე რა მოხდება?

- დაიტუქსება.

- საცოლე რატომ არ გყავთ?

- შეხვედრის სურვილით ბევრი მირეკავს ტელეფონით. იმდენი ვინმე რეკავს, რომ ჩემი მშობლები უკვე მოთმინებას კარგავენ. ასეთ პირობებში რომ მოვიყვანო ვინმე, წარმოვიდგენათ, რა მოხდება? მოკლედ, ახლა ცოლი რომ მოვიყვანო, ერთ კვირაში გაშვებენ.

- პაემანზე ალბათ დაცვის გარეშე მიდისართ.

- პაემანზე სერთოდ არ დავდივარ. მე არ ვარ გატაცებული სასიყვარულო თამაშებით.

- ქალთმოძულე ხომ არ ხართ?

- არა, ქალთმოძულე ნამდვილად არ ვარ, მაგრამ უკვე ძალიან ძალიხანებენ ცანცარა ქალები. არ მომწონს ავარდნილი გოგონები, თუმცა, მეტიხმეტად სერიოზულებზეც არ შეგუბება ჭკუა.

- პირადი მცველები რატომ აიყვანეთ? მარტოს არ შეგიძლიათ თავის დაცვან?

- ბოლო დროს ისე განვითარდა მოვლენები, რომ სხვა გზა არ იყო. მეც ავიყვანე დაცვა. ოთხი კონთმაგარი ბიჭი, რომელიც სალხმ-რავალ ადგილებში დამყვება თან. კონცერტის დროს ასინი მიცავენ იმ ასალგაზრდა ქალბ-ტონებისაგან, რომლებსაც „აგრესიულად“ მოეწონება. არ არსებობს კონცერტი, ერთი ასეთი თყვანისმცემელი მაინც რომ არ აღმოჩნდეს. ახლა თავს უფრო მშვიდად ვგრძნობ.

- გამოტყვით: იმ გოგონების გარდა, რომლებსაც „აგრესიულად“ მოსწონებათ, კიდევ ვისი გემინათ?

- იცით, ვისი შემინოდა ცხოვრებაში ყველაზე მეტად? - კბილის ექიმის. ახლა შექმითხებით: მამ, რატომ ჩავაბარე სამედიცინო ინსტიტუტში სწორედ სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე? - იმიტომ, რომ მინდოდა, იქით შემემინებინა სხვები. ახლა შემეკითხებით, მამ, რატომ ვძლერი და არ ვიღებ კბილებს? გამოვიტყვებით: ახლაც პათოლოგიურად შემინა კბილის ექიმის და იმიტომაც ვძლერი. რას

იტყვით, კარგად ავხსენი?

- გადასარეგად. ისე კი, დათო, მე თქვენ ვერაფერი გავიგე: ბოლომდე აღარც დედიკოს ბიჭი ხართ, არც ქუჩის ბიჭი.

- ყველას თავისებურად ესმის დედიკოს ბიჭობაც და ქუჩის ბიჭობაც. დედა ჩემთვის უჭირფასესი არსებაა და მის აზრს პატივს ვცემ, მაგრამ ქუჩაც არ არის უცხო. იქ მოძრაობის წესებაც კარგად ვიცი და იქაური ენაც.

- ქუჩის ენა რა არის? - მხოლოდ „ჩემი დედა“ და „შენი დედა“ ისმის. ასეც შეგიძლიათ ილაპარაკოთ?

- ო, ეს ისეთი საკითხია. გააჩნია, ვინ, სად, რატომ ან რა სიხშირით ამბობს ასეთ სიტყვებს. მე, როგორც კარგად აღზრდილი ასალგაზრდა, მხოლოდ მაშინ ვამბობ ასეთ ფრაზებს, როცა საჭიროა. მეც ისევე ვიქცევი და ვცხოვრობ, როგორც ჩემი თაობის სხვა ბიჭები.

- საინტერესოა, მანამდე, სანამ პირად დაცვას აიყვანდით, როგორ აღწევდით თავს კონფლიქტურ სიტუაციებში: მეგობრების დახმარებით, პოლიციის ჩარევით თუ ქურდებს არჩევინებდით საქმეს?

- კონფლიქტური სიტუაციები ჩემს ცხოვრებაში ნაკლებად იყო, მაგრამ თუ ასეთი რამ იქნება, არაფერი არ წარმოადგენს პრობლემას - არც ქურდების მოყვანა და არც მეგობრების მთელი ბატალიონის. პოლიციისა კი - რა მოგახსენიოთ. მე მათ არასოდეს ვნდობდი. არც მაშინ, როცა ჩაგვიჩინებდნენ: ჩვენ გვიცავს ჩვენი მილიციაო, და არც ახლა.

- სმორტით თუ ხართ გატაცებული?

- ბავშვობაში ვიამაშობდი ფეხბურთს, კალათბურთს, დავდიოდი კრიეზე, მაგრამ ბოლომდე, სიმღერის გარდა, ვერაფერს დავუღე გული.

- ლექსებსაც ხომ არ წერდით?

- არა, ლექსებს არ ვწერდი, მაგრამ პოეზია ყოველთვის მიყვარდა და მიყვარს. კვითხუ-



თიკა ჯამბურიასთან ერთად

ლობ ვალაკტიონს...

- ვალაკტიონ თუ გიყვართ, წვიმიან ამინდში ოცნებაში ჩაძირვაც გეწვარებათ.

- არა. წვიმიანი ამინდი არ მიყვარს. დეპრესიული და სენტემენტალური განწყობილები-სგან მუდამ შორს ვარ. მე ლალი ამინდი მიყვარს. ოცნება კი, ყველანაირ ამინდში შეიძლება.

- ბარემ ისიც მითხაროთ, რაზე ოცნებობთ ხოლმე?

- ბევრ რამზე მიოცნებია, ასე უცებ როგორ გითხრაო?..

- დაგეხმარებით: ბევრ ფულზე? მაგარ მანქანაზე? კაი ქალებზე?

- კი. რაც ჩამოთვალეთ, ამ ყველაფერზე მიოცნებია. უფრო სწორედ - მინდა მქონდეს ეს ყველაფერი: ბევრი ფულიც, მაგარი მანქანაც, კაი ქალებიც, მაგრამ - მხოლოდ საქართველოში! ყველაფერი კარგი, რაზეც ვოცნებობ, საქართველოში მინდა, რომ მქონდეს.

დათოს გეგმების, მოსალოდნელი კონცერტების თუ გასტროლების შესახებ მის პროდუსერს, ნატო დუშაძეს ვთხოვეთ მოეთხრო. ნატო დუშაძემ:

- საუბარს მისი ხასიათის თავისებურებით დავიწყებ. მასში რაც არის, არის ყველაფერი ქართული. ძალიან შრომისმოყვარეა, მაგრამ ამავე დროს, ძალიან პრეტენზიული. თუმცა, ალბათ ასეც უნდა იყოს. რაც მთავარია, მისი პრეტენზიები სამართლიანია. არის კიდევ ერთი რამ, რაც ძალიან მასარებს: დათო ხუჯაძე პოპულარულია არა მხოლოდ თინეიჯერებში - მას ყველა თაობის წარმომადგენლებში ჰყავს თავისი მსმენელი. დათო უცხოეთშიც - ვგულისხმობ რუსეთს და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს - ძალიან სწრაფად გახდა პოპულარული. ახლახან შევიტყვეთ, რომ დათოს ალბომს ერევანშიც სისტემატურად ატრიალებენ. ივნისში დათო იქ გამართავს კონცერტს, შემდეგ ალბათ ისევ რუსეთი და აზერბაიჯანი იქნება. ამჟამად, ის მეორე ალბომზე მუშაობს, პარალელურად კლიპზე. გასტროლებამდე კი, ერთი კონცერტი აქვს დაგეგმილი.




სხვადასხვაგვარი აზრი არსებობს იმის შესახებ, თუ რამდენად მისაღებია ჩვენთვის ის ცხოვრების წესი, მუშაობის სტილი თუ პრინციპი, რომელსაც საქართველოში მყოფი უცხოური ორგანიზაციები ამკვიდრებენ. შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ თქმული, ამერიკულ ორგანიზაცია „ინტერნუსზე“ ნაკლებად ვრცელდება: ჟურნალისტთა წრეში, მისი მოღვაწეობის შესახებ აზრი ერთგვაროვანია. იმ პროგრამების ეფექტურობა, რომელიც „ინტერნუსმა“ მასმედიის სფეროში უკვე განახორციელა, საგამოძიებო ჟურნალისტიკის მაგალითითაც კარგად ჩანს. ერთ-ერთი ასეთი სატელევიზიო პროექტის ვადა — კერძოდ, გადაცემა „ჟურნალისტური გამოძიება“, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერით ყოველ პარასკევს გადის, ამ თვის ბოლოს ამოწურება. გადაცემის წამყვანი ნინო ჯაფარიანი ამბობს, რომ აკაკი გოგიჩაიშვილთან შედარებით, ნაკლები მტერი ჰყავს. თუ რატომ — ამას თავად ნინო, ასე ხსნის:

ნანა ჰიბიშაური

— აკაკი გოგიჩაიშვილმა ძალიან კარგად იცის, რა უნდა: კონკრეტულ ამბავს აშუქებს, გადაცემა „60 წუთი“ ბრალს სდებს და ამხელს მოხელეებს, რომლებიც არაკეთილსინდისიერად იქცევიან. ჩვენი ჟურნალისტური გამოძიება კი, ცალკეულ შემთხვევებზე არ აკეთებს აქცენტს, ვცდილობთ, ისეთი თემა შევარჩიოთ, რაც ცალკეულ ადამიანებს კი არა, არამედ საზოგადოებას შეეხება. გადაცემა ბრალს არ სდებს კონკრეტულ ჩინოვნიკებს, მისი მონაწილეები მოცემულ პრობლემაზე მსჯელობენ და შესაბამისი დასკვნების გამოტანას ცდილობენ. მაყურებელს კი, საშუალება აქვს, თავად განსაზღვროს, თუ ვის რა როლი მიუძღვის ამა თუ იმ კონფლიქტში. ალბათ, ეს არის მიზეზი იმისა, რომ პირადი მტრები არ მყავს...

— თქვენი ჟურნალისტური კარიერა საკმაოდ წარმატებით განვითარდა. ალბათ ეს არ იყო ადვილი...

— ჩემს კარიერას და პროფესიულ ინტერესთა სფეროზე თუ ვილაპარაკებთ, იქ ისეთი დომხალია, რომ მეც კი მიჭირს მასში გარკვევა: ვსწავლობდი კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში, შემდეგ დავამთავრე ბიოლოგიის ფაკულტეტი, ჩემს პროფესიად კი, ჟურნალისტიკა იქცა. რა იქნება მომავალში — ჯერჯერობით არ ვიცი.



„ჟურნალისტური გამოძიების“ წამყვანი დათო კიკალიშვილს სიმულანგობაში ამხელს

იხნისიდან „ჟურნალისტურ გამოძიებას“ ქკანზე ვეღარ ვიხილავთ

ამჟამად, ვსწავლობ თეატრალურ ინსტიტუტში — სარეჟისორო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ვარ. დღეს რომ ჟურნალისტი ვარ, ეს ზაზა დარასელიის და ნატო ონიანის დამსახურებაა: ამ ადამიანებს არ ეშინოდათ ახალგაზრდა კადრების მიღების და გაზრდისა. ბიოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ვიყავი, ტელევიზიაში რომ მივედი. კურიერად ვმუშაობდი: სართულიდან სართულზე დავატარებდი საინფორმაციო ბიულეტენებს, ვრეკავდი რაიონებში და ადგილობრივი ხელმძღვანელისგან ვიღებდი ინფორმაციას. მერე წავივი სიუჟეტის გადასაღებად. ამის შემდეგ გავხდი „მეორე არხის“ საინფორმაციო სამსახურის რედაქტორი, მერე — ტელეწამყვანი. „ინტერნუსის“ კონკურსშიც მივიღე მონაწილეობა და გავიმარჯვე. გავხდი საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამის — „კვირის“ პროდიუსერი.

— ამბობენ, „ინტერნუსში“ ჟურნალისტებს საკმაოდ კარგი ანაზღაურება აქვთო. ალბათ, ამანაც იქონია გავლენა თქვენს არჩევანზე?

— არა მხოლოდ ამან. მე ისე მინდოდა ამ ორგანიზაციაში მუშაობა, რომ ისიც კი ვიფიქრე — თუ ვინმესთან ხმამაღლა ვიტყვი, „ინტერნუსის“ კონკურსში ვმონაწილეობ-მეთქი, არაფერი გამომივიდოდა და მართლაც, სანამ არ მითხრეს, რომ მიღებული ვიყავი, ოჯახ-

ის წევრებისთვისაც კი არაფერი მითქვამს. ეს ყველაფერი 6-7 წლის წინ ხდებოდა. მაშინ, ჩემს ოჯახსაც უჭირდა და ძალიან ბედნიერი ვიყავი, როცა გავიგე, ხელფასი 100 ლოლარი მექნებოდა. იმ სიუჟეტის დამონტაჟებამ, რომელიც საკონკურსო ჩვენებაზე უნდა გასულიყო, გვიანობამდე — ღამის სამ საათამდე გასტანა. ოჯახში ვერ ავხსენი, რატომ დამავიანდა ასე ძალიან. თავი მოგვიანებით ვიმართლე — იმ დროს უკვე ძალიან ბედნიერი ვიყავი.

— რა გასწავლათ ამერიკელებთან მუშაობამ?

— მართალია, ორგანიზაცია, რომელიც ვმუშაობ, ამერიკულია, მაგრამ იქ ამერიკელებთან ერთად, ბრიტანელი და ფრანგი კონსულტანტებიც არიან. შეიძლება ითქვას, რომ მე „ინტერნუსში“ ვისწავლე, რა არის ტელეჟურნალისტიკა. სემინარებზე ხშირად გვაძლევენ ამოცანა-სავარჯიშოებს, რომელშიც, ძირითად დილემად, რჩება კითხვა: რა არის უფრო მნიშვნელოვანი — იყო პირველი თუ იყო მართალი; მაყურებელს მიაწოდო ოპერატიული, მაგრამ დაუზუსტებელი ინფორმაცია, თუ დაავიანო, მაგრამ ინფორმაცია გადაამოწმო? გვასწავლიან იმას, როგორ უნდა მოვიპოვოთ, შემდეგ კი, შევინარჩუნოთ ჩვენი მაყურებლის ნდობა. ეს ყველაფერი თითქოს საგანგებო სწავლების გარეშეც ვიცით, მაგრამ რომ შეადაროთ „ინტერნუსის“ კურს-

დამთავრებული ჟურნალისტის საქმიანობა სხვებისას, განსხვავებას ნამდვილად იგრძნობთ. ეს ორგანიზაცია დამოუკიდებელი მასმედიის განვითარებას ემსახურება და უმეტესად, დამოუკიდებელ ტელეკომპანიებს ეხმარება: სიმართლის თქმას დამოუკიდებელი ტელეკომპანიების დამოუკიდებელი ჟურნალისტები უფრო ადვილად ასწავლებენ.

— მე მგონია, სიმართლის თქმა, დღევანდელ ქართულ ჟურნალისტთაში დიდ პრობლემას აღარ წარმოადგენს. პრობლემა ის უფროა, თუ რა ხდება ამ სიმართლის თქმის შემდგომ, — რადგან „წერე-იკითხე“ პოლიტიკამ ბევრ ჟურნალისტს დაუკარგა სერიოზულ თემებზე მუშაობის ხალისი.

— უიმედობა ზოგჯერ მეც მეუფლება ხოლმე: ზოგჯერ მეჩვენება, რომ ყველაფერი, რაც მიკეთებია და რასაც ახლა ვაკეთებ, ილუზიაა და მეტი არაფერი. ასეთი ჩავარდნები ისეთი ქვეყნის ჟურნალისტებს, როგორც ჩვენი, აუცილებლად ექნებათ. თუმცა, ამისგან დაზღვეულნი სხვა „დაწყობილი“ ქვეყნების ჟურნალისტებიც არ არიან. ნამდვილ პროფესიონალებს არანაირი პირობები თავის მოვალეობაზე უარს არ ათქმევინებს. ჩვენ ხალხს ის უნდა გავაგებინოთ, რა ხდება მათ გარშემო. რაც თქვენ თქვით, იგივე აზრი მხოლოდ ჟურნალისტთა წრეში კი არა, მოსახლეობაშიცაა. ამას წინათ, ქუჩაში გამაჩერეს და მკითხეს: მითხარით, ერთი, რაიმე მნიშვნელობა თუ აქვს იმ გადაცემას, რომელსაც თქვენ ამზადებთ?! ხალხს უნდა, დაინახოს შედეგი, მაგრამ ეს ჟურნალისტს არ უნდა მოსთხოვოს — ჩვენ ზომ არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია, ეს სხვა ორგანოების კომპეტენციაა. მაგრამ შედეგი იმ საქმიანობას, რასაც დღეს ქართველი ჟურნალისტები აკეთებენ, ნამდვილად აქვს. ის შეიძლება დღეს არ ჩანს, მაგრამ მომავალში აუცილებლად გამოჩნდება.

— ჟურნალისტთა მიმდებარე პროფესიისა ქალისთვისაც და მისი ოჯახის წევრებისთვისაც. სამზარეულოსთვის თუ იცლით ხოლმე?

— მეც ისევე ვცხოვრობ, როგორც ყველა სხვა ჟურნალისტი: შინ დასაძინებლად შევდივარ. ზოგჯერ, კვირაში ერთხელ, სახლის დალაგებასაც ვახერხებ. საოცარი მზარეული ვარ და კერძების გასაკეთებლად დრო რომ აღარ მრჩება, ამაზე გული მწყდება-მეთქი, — ვერაფრით ვიტყვი. ჩემი მეუღლეც, დათო მაკარიძე „ინტერნისში“ მუშაობს, კო-

მპიუტერული დიზაინით არის დაკავებული. ასე რომ, ოჯახში იმის ასხნა არ მჭირდება, რატომ მოვდივარ შინ გვიან ან რატომ ვერ ვახერხებ ხოლმე საოჯახო საქმის კეთებას.

— შეუძლებამდევ ერთად მუშაობდით?

— კი, თანამშრომლები ვიყავით.

— მერე?

— მერე აღარც მახსოვს კარგად, რა და როგორ მოხდა. შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ ჩვენი სასიყვარულო ურთიერთობის დეტალები, ისეთი, რომლის მოყოლაც საჯაროდ ედირებოდა, არ მახსოვს. მახსენდება ერთი ფრანგი თუ იტალიელი ექიმის სიტყვები: „სიყვარული ავადმყოფობაა; რაღაც პერიოდის განმავლობაში, ადამიანი ავად არის, მერე, ნელ-ნელა გამოჯანმრთელდება, მაგრამ შეიძლება, საბოლოოდ მაინც არ განიკურნოს...“ მე მგონი, არც ჩემი „ავადმყოფობის“ პერიოდი იყო ურიგო. უბრალოდ, რა იყო და როგორ — ეს ჩემს თანამშრომლებს უფრო კარგად ახსოვთ, ვიდრე ჩვენ.

— არ მინდა იმის დაჯერება, რომ ორივე ისე ხართ თქვენს საქმიანობაში ჩაფლული, რომ ვერც გაიგეთ, როგორ შეუძლებდით.

— ფაქტია, რომ ასე მოხდა...

— თუ გახსოვთ, ქორწილი გქონდათ?

— როგორც მახსოვს, არ გვქონია. ჩემს ოპერატორს ემანსოვრება დღე, როდესაც მე მასთან და ჩემს მომავალ მეუღლესთან ერთად გადაღებაზე წავიდი. მეორე დღეს, ჩვეულებრივად მივედი სამსახურში და გამოვაცხადეთ, რომ დაქორწინდით.

— დასვენებისთვის თუ იცლით ხოლმე?

— თითქმის ვერა. ყველაზე მეტად, ერთ რამეზე მწყდება გული: დასვენების ყველაზე კარგი საშუალება და ყველაზე დიდი სიამოვნება ჩემთვის ტყეში სეირნობა, ქალაქარეთ გასვლა, ფეხით სიარული და ყოველივე ეს მენატრება. ადამიანი რაც უფრო ახლოს არის ბუნებასთან, მით უფრო თავმდაბალია, უშუალო, ბუნებრივი, თავისუფალი, ნამდვილი.

— ფლორისა და ფაუნის მოყვარულს, შინ ძალიან ან კატაც გეყოლებათ.

— სპარსული კატა მყავს, მია. თითქმის ყველა ადამიანს საშუალო მაგიდაზე თავისი ოჯახის წევრების ფოტოსურათები უდევს ხოლმე, მე კი ჩემი ფისოს ფოტო მაქვს. ძალიან ჯიშინია, ცნო-


ბილი და სახელოვანი მშობლების შვილი. მას ისეთი საბუთები აქვს, ბევრ ადამიანს რომ შეშურდება. დედა ჩემპიონი, მამა ჩემპიონი, ცისფერი სისხლი... მოკლედ, ისეთი ღირსეულები აქვს, როგორითაც მე ვერ ვიტრიალებ. ალბათ ამიტომ, ჩემს სახლში კატის უამრავი ფოტოა, რასაც ვერ ვიტყვი ჩემს ფოტოებზე.

— თქვენი პროგრამა მალე მთავრდება. „ჟურნალისტური გამოძიება“ ეთერში აღარ გავა. უახლოეს მომავალში ალბათ ახალ პროექტზე დაინწყებთ მუშაობას.

— ამის იმედი მეც მაქვს. იცით, რაში მაქვს ილბალი? — ყოველთვის კარგი ადამიანების გვერდით მიწევს ხოლმე მუშაობა. ამას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

— „კვირას“ დათო კიკალიშვილთან ერთად ამზადებდით...

— ჩვენ დღესაც საუკეთესო მეგობრები ვართ. დღემდე სიამოვნებით ვიხსენებ იმ წლებს, მათ შორის — დათოს ოინებს. დღეს ისეთი პოპულარული წამყვანია, არც ვიცი, შეიძლება თუ არა მოგყვე მისი ადრინდელი სიმულანტობის შესახებ... ერთ დროს, დათოს ძალიან „უყვარდა“ „ავად გახდომა“. დარეკავდა, თავს მოიმკვდარუნებდა, ხმას მოისუსტებდა და იტყოდა: ავად ვარ, ვერ ვლაპარაკობო. ზოგჯერ კი, ხმა საერთოდ „არ ჰქონდა“ — ან ტელეფონამდევ „ვერ მიდიოდა“ და მისი ოჯახის წევრები გვირეკავდნენ — დათო დღეს ვერ მოვაო. მაშინ ამაზე ძალიან ვბრაზობდი: უმოკლეს დროში, მარტოს მიწვევა გადაცემის მომზადება... ძალიან კარგი ბიჭია, სიკეთით სავსე. იმედი მაქვს, სადაც არ უნდა ვიყო და რა გადაცემაც არ უნდა მოვამზადო, ყოველთვის ასეთი ადამიანებით ვიქნებით გარემოცული...



„ჩვენ ძველად არ გავიჭრდით. ამ საუნიელ ცოდვაზე იგი ავადმყოფობა მიიყვანა“

29 წლის ილია ხომერიკს, რომელიც მისი ნათესავების თქმით, ადრე შიზოფრენიით იყო დაავადებული, ამჟამად განზრახ მკვლელობისთვის ასამართლებენ. მოკლული, განსასჯელის ერთ-ერთი ნაცნობის მეზობელი — მიხეილ დადოიანი გახლავთ. როგორც საქმის მასალებიდან გამომდინარეობს, ხომერიკმა იგი ავტომანქანის გატაცების მიზნით მოკლა.



დაც იქ დაიმალა. დადოიანი შინ ცხრის ნახევრისთვის მივიდა, ავტომანქანა მან ჩვეულ ადგილას — სახლის წინ გააჩერა. შეიარაღებული ილია ხომერიკი მისკენ გაემართა. დადოიანი ავტომანქანიდან უკვე გადმოსული იყო და კარს კეტავდა. ხომერიკი მას მიუახლოვდა და იარაღის მუქარით, მანქანის გასაღები მოსთხოვა. დადოიანმა გასაღები არ მისცა. მაშინ ხომერიკი მას მოკვლით დაემუქრა. არც ამ მუქარამ გაჭრა და დადოიანმა, წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, ხომერიკისკენ გაიწია. ეს უკანასკნელი დარწმუნდა, რომ მხოლოდ მუქარით ვერაფერს გახდებოდა და დადოიანს ტყვია ესროლა. ხომერიკმა იგი მუცლის არეში დაჭრა. დადოიანმა ყვირილი დაიწყო, თან შევლას ითხოვდა. ხომერიკს შეეშინდა, ყვირილზე გამოსულ მოქალაქეებს არ დაეკავებინათ და შემთხვევის ადგილიდან გაიქცა, ავტომანქანის დაუფლება კი მაინც ვერ შეძლო.

შუახნის მიხეილ დადოიანი მძიმედ დაიჭრა. ხმაურზე გამოსულმა მეზობლებმა ის მაშინვე კლინიკურ საავადმყოფოში წაიყვანეს, სამედიცინო დახმარების მიუხედავად, სამი დღის შემდეგ დადოიანი გარდაიცვალა.

დადოიანის დაჭრის შემდეგ, ასკანის ქუჩიდან ხომერიკი პირდაპირ შარაძენძესთან, წყნეთში წავიდა. პროკურატურის ინფორმაციით, გზაში მას ორმოში ჩაუვარდა ფეხი, ამ დროს იარაღიდან, რომელიც მუცელთან, ქაშარში ჰქონდა გაჩრილი, შემთხვევითი გასროლა მოხდა და ტყვიამ ხომერიკი მარცხენა ფეხში დაჭრა. ჭრილობის მიუხედავად, მას საავადმყოფოსთვის არ მიუძღოთა, რადგან ჩადენილი დანაშაულის გამჟღავნების შეეშინდა. მთელი ორი თვის განმავლობაში იგი წყნეთში, თავისი დის სახლში მკურნალობდა, შემდეგ კი ოზურგეთის რაიონის სოფელ ბაღათში გაემგზავრა.

სამართალდამცავებმა ხომერიკი 2001 წლის 23 იანვარს დააკავეს. პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში ის ავტომანქანის გატაცების განზრახვას ადასტურებს. მისი თქმით, 1998 წლის დეკემბერში ოზურგეთიდან თბილისში სამკურნალოდ ჩამოვიდა, რადგან ტუბერკულოზით იყო დაავადებული. მკურნალობისთვის საქმარისი თანხა არ ჰქონდა, ამიტომაც ფული მეგობარს — შარაძენძეს სთხოვა.

რეალიზაციას შარაძენძე იკისრებდა, აღებულ თანხას კი ერთმანეთს გაუყოფდნენ. ხომერიკი დათანხმდა, თუმცა, განზრახვის განსახორციელებლად, ცეცხლსასროლი იარაღი მოითხოვა. შარაძენძემ ეს პრობლემაც მოაგვარა. მას თავისი ნაცნობის — ვინმე გიორგი მამამთავრიშვილის სახლი მისაწავლა და უთხრა, რომ იარაღს გიორგი ათხოვებდა.

მამამთავრიშვილმა ხომერიკს პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი 21 საბრძოლო ვაზნითურთ ათხოვა. იარაღსა და საბრძოლო მასალას, სამართალდამცავთა თქმით, ხომერიკი თბილისში, დის დროებით საცხოვრებელ სახლში ინახავდა. მან შარაძენძის მიერ შეთავაზებული „ბე-ემ-ვე“-ს გატაცება გადაიფიქრა და გადაწყვიტა, ავტომანქანა ნაცნობის მეზობლისთვის — მიხეილ დადოიანისთვის წაერთმია ყაჩაღური თავდასხმის გზით. დადოიანს „ვოლკო“ ჰყავდა, თუმცა ის მას კი არა, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციას ეკუთვნოდა. აღნიშნული ავტომანქანით დადოიანი კორპორაციის თავმჯდომარეს ემსახურებოდა.

ხომერიკი შარაძენძეს ტელეფონით დაუკავშირდა და თავისი განზრახვის შესახებ უთხრა. შეუთანხმდა, რომ გატაცებულ ავტომანქანას მას მიუყვანდა. ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა ხომერიკმა 1999 წლის 2 მარტს განიზრახა. მან თავის ნაცნობებს თბილისში, ასკანის ქუჩაზე წაყვანა სთხოვა. აღნიშნულ ადგილას საღამოს, დაახლოებით რვა საათზე დატოვეს. შეიარაღებული ხომერიკი დადოიანის საცხოვრებელ სახლს მიუახლოვდა. პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი იქვე, ჩიხში, შენობის ნანგრევებში დამალა, თავა-

მეზო ცანავა

აღსანიშნავია, რომ განსასჯელის ფსიქიკური დაავადების შესახებ პროკურატურის მიერ წარმოდგენილ მასალებში არაფერია ნათქვამი. სამართალდამცავთა თქმით, ხომერიკის შიზოფრენიით დაავადების შესახებ ოფიციალური დოკუმენტები არ არსებობს. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წინასწარი ძიებისას ხომერიკის ფსიქიატრიული ექსპერტიზა არ ჩატარებულა. უფრო მეტიც, იმ ეტაპზე ეს საკითხი არავის დაუყენებია.

გამომძიებელთა ცნობით, ილია ხომერიკმა მკვლელობა ანგარების გამო ჩაიდინა. ფაქტი 1999 წლის მარტში მოხდა. თუმცა, საბრალდებო დასკვნის თანახმად, ბრალდებულმა დანაშაულის ჩადენა რამდენიმე თვით ადრე განიზრახა. 1998 წლის დეკემბერში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, ხომერიკმა თავის ნაცნობს, დაბა წყნეთში მცხოვრებ ვინმე მაშუკა შარაძენძეს ფინანსური დახმარება სთხოვა. პროკურატურის ინფორმაციით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო, შარაძენძეზე ამჟამად ძებნაა გამოცხადებული. როგორც გაირკვა, მაშინ მან ხომერიკს ფულადი დახმარება ვერ გაუწია; სამაგიეროდ, იგი დანაშაულის ჩადენისკენ წააქნა და ურჩია, თუ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება სურდა, უცხოური, ძვირადღირებული ავტომანქანა გაეტაცებინა. შარაძენძემ ხომერიკს შესაფერის ობიექტზე კონკრეტულად მიუთითა. მას დაბა წყნეთში მცხოვრები ერთ-ერთი მოქალაქის კუთვნილი „ბე-ემ-ვე“-ს მარკის ავტომანქანის გატაცება შესთავაზა. გატაცებული მანქანა ხომერიკს მისთვის უნდა მიეყვანა,

ილია ხომერიკი:

„... მან მითხრა, რომ წყნეთში იყო „ბე-უმ-ვე“-ს ტიპის ავტომანქანა, რომლის ღირებულებაც 30.000 დოლარს აღემატებოდა. თუ ამ მანქანას მომიყვან, მე 20.000 დოლარად გავყიდი და თანხას გავციოფო... მითხრა, რომ იარაღი გიორგი მამათავრიშვილს, მეტსახელად ყილიშას ჰქონდა. მე მას ვიცნობდი. რისთვის მჭირდებოდა იარაღი, მისთვის არ მითქვამს. მან „ყარაბანი“ მოძცა, 21 საბრძოლო ვაზნით. იარაღი დის სახლში შევიანხე, ისე, რომ არავის ენახა. ამ იარაღიდან, ახალ წელს რამდენჯერმე გავისროლე სალუტის ნიშნად. ჩემს დამ ჩემს ხელში პისტოლეტი რომ დაინახა, გამიწერა და მიხოვა, იგი პატრონისთვის დამებრუნებინა. დავბირდი, რომ ასეც მოვიქცეოდი, თუმცა, იარაღი კვლავ ფარულად დავმალე... ახალ წელს გასროლების შემდეგ, იარაღში ოთხი ვაზნა დარჩა.

შარატენიძემ რომ მითხრა, ის „ბე-უმ-ვე“ დავათვალიერე, მაგრამ მისი პატრონი წყნეთელი იყო და ამიტომაც, მის გატაცებას მოვერიდე. სხვა მანქანის ძებნა დავიწყე თბილისში. ჩემი ნაცნობის - ერიკას მეზობელი „ვოლგოზე“ მუშაობდა. მანქანა მომეწონა და ერიკას შევეკითხე - რა ელირება-მეთქი? მიპასუხა - როგორც ჩემთვისაა ცნობილი, 45.000 აშშ დოლარი ღირსო...

ერიკასთან რამდენჯერმე მივედი, რათა მძღოლის განრივი შემესწავლა. იგი სახლში გვიან, საღამოს 11 საათზე დაბრუნდა. როცა მანქანის გატაცება გადავწყვიტე, წყნეთიდან იარაღი წამოვიღე. პისტოლეტი ცელოფანის პარკში გავახვიე და ნაცნობს, რომელიც ლესელიძის ქუჩაზე ცხოვრობდა, თავის სახლში რაღაც ნივთის

შენახვა ვთხოვე. დამთანხმდა და პარკში ჩადებული იარაღი მისი სახლის ეზოში ძღვარ მაცივარში შევიანხე...

დადლიანმა „ვოლგო“, როგორც ყოველთვის, სვეტთან გააჩერა. მე ამ დროს მანქანისკენ გავიქეცი, იარაღი დადლიანს მუცლისკენ მივუშვირე. მან ნაცნობად ჩამთვალა, იფიქრა, რომ ვიღაც ეზუმბროდა და ჩემკენ წამოვიდა. როცა იარაღი დაინახა, მიხვდა, რომ მანქანის გასატაცებლად მინდოდა. ის ისე მომიახლოვდა, რომ იარაღის წართმევას ადვილად შეძლებდა, თანაც ფიზიკურად, ჩემთან შედარებით, დიდი და ძლიერი იყო. ამის გამო გადავწყვიტე ფეხში დამეჭრა და ისე გავქეულიყავი, რომ ავტომანქანა აღარ გამეტაცებინა. იარაღის ლულა დადლიანის მიმართულებით, მისი ფეხებისკენ დავეუშვი და ერთხელ გავისროლე. დადლიანმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ჩაიკეცა და ყვირილი მორთო. არ ვიცოდი, სად დაიჭრა. მუცელში ალბათ იმიტომ მოხვდა, რომ მაშინ ძალიან ველეავდი და ხელი მიკანკალებდა... რამდენიმე წამი გავჩერდი, შემდეგ გავიქეცი და „მარშრუტკაში“ ჩავჯექი. ფილარმონიასთან სხვა „მარშრუტკაში“ გადავჯექი, მერე - კერძო ტაქსიში და წყნეთში წავიდი...

ილია ხომერიკმა სამართალდამცავებს განუცხადა, რომ დადლიანის მოკვლა არ უნდოდა. პროკურატურამ მისი სიტყვები სარწმუნოდ არ მიიჩნია. სამართალდამცავთა თქმით, დაკავებისას ჩამორთმეულ ახსნა-განმარტებაში ხომერიკი არსად აღნიშნავს, რომ დადლიანის დაჭრა ფეხში განიზრახა და იარაღიც მხოლოდ ფეხში დაუმიხნა მას.

სასამართლოსთვის ხომერიკს ჩვენება ჯერჯერობით არ მიუცია. განსასჯელის

ინტერესების დამცველი ადვოკატი ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას მოითხოვს და შესაბამისი შუამდგომლობით სასამართლო კოლეგიას მიმართა. თუმცა, მოსამართლის თქმით, ექსპერტიზის დანიშვნის საკითხი მხოლოდ მას შემდეგ გაირკვევა, როცა მას სამედიცინო დაწესებულებიდან ხომერიკის ავადმყოფობის რაიმე დამადასტურებელ ცნობას წარუდგენენ.

ძატიონო ხომერიკი, განსასჯელის და:

„რვა დედამიშვილი ვართ და ობლად გავიზარდე. ილია, მე და ჩემმა დებმა გავზარდე. იგი სულ სხვა ბუნების ადამიანი იყო, მისგან დანაშაულის ჩაღენას არავინ მოელოდა. მაგრამ რვა წლის წინ ავად გავვიხდა, ფსიქიკა მილად მოეშალა. 1994 წელს მისი მკურნალობა აუცილებელი გახდა და ექიმთან მივიყვანეთ. მან გვირჩია, ილია ფსიქო-ნევროლოგიურ დისპანსერში დავეყვინა. ასათიანის ქუჩაზე მდებარე საავადმყოფოს მივმართეთ, მაგრამ იქაურ პირობებს რომ გადავხედეთ, უარი ვთქვით და ჩემი ძმა კვლავ შინ წავიყვანეთ. არც ვათბობა ჰქონდათ, არც საკვები, პირადი ჰიგიენის საკითხიც მოუგვარებელი იყო; მოკლედ, ილიას იქ ვერ დავტოვებდით. ამიტომაც გადავწყვიტეთ, მისთვის შინ გვემკურნალა როგორმე. რაც შეეხება წამლებს - ხან კერძო აფთიაქებში, ხან დისპანსერში ვყიდულობდით...“

აიყვანეს თუ არა ილია ხომერიკი დისპანსერში აღრიცხვაზე, განსასჯელის ნათესავებმა, როგორც თავად განაცხადეს, არ იცინ. თავად დისპანსერიდან კი, ამის შესახებ ცნობას სასამართლო კოლეგია მომდევნო სხდომისთვის ელის.

ბანკის მმართველას ჯერ მხოლოდ საზღვრის უკანონო დარღვევაში ადანაშაულებენ

„გერმანიის ბანკის მმართველთა ბელი, რომლებიც ამ რამდენიმე დღის წინ უკრაინაში დააკავეს, თვით ამ ქვეყნისა და გერმანიის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მოლაპარაკებაზე გადაწყდება“, - განაცხადა უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

მისი ინფორმაციით, ამჟამად დამნაშავეები რონოვში იმყოფებიან. დადგენილია მმართველთა ვინაობაც: კრემერი (25 წლის), შიშერი (24 წლის) და ჰერცი (27 წლის). დაკავებულები გერმანიის ქალაქ ჰამბურგის მცხოვრებნი არიან.


როგორც გაირკვა, მმართველებს ბანკში შეჭრისას მძევლად, ასევე გერმანელი მოქალაქე - ახალგაზრდა ქალი კერსტინ ხარკე აუყვანიათ. უკრაინის მილიციის თანამშრომელთა განმარტებით, ახლა ის უსაფრთხო ადგილას იმყოფება, სტრესიდანაც გამოვიდა და თავსაც კარგად გრძნობს. სულ მალე იგი შინ გაემგზავრება. რაც შეეხება მმართველებს, გერმანია ჯერჯერობით მათ გადაცემას არ მოითხოვს. უკრაინაში კი დამნაშავეებს ჯერ მხოლოდ საზღვრის დარღვევასა და ცეცხლ-

სასროლი იარაღის უკანონოდ ტარებაში სდებენ ბრალს. და კიდევ ერთი: ამბობენ, რომ დაპატიმრებისას მმართველები სამართალდამცავებთან გარიგებას შეეცადნენ და გათავისუფლების სანაცვლოდ, მათ 50.000 ამერიკული დოლარი შესთავაზეს, მაგრამ უკრაინული მილიცია მოუსყიდავი აღმოჩნდა...

უკანონო დატუსაღებული მმართველი

უჩვეულო კრიმინალი მოხდა რუსეთის ქალაქ კალუგაში. 54 წლის ადგილობრივი ბიზნესმენი და მისი ორი თანამშრომელი სისხლის სამართლის საქმის მთავარი პერსონაჟები იმის გამო აღმოჩნდნენ, რომ ბიზნესმენის დამაყაჩაღებელს საკუთარი სასჯელი დაუწესეს. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ შეიარაღებულმა ჯგუფმა, საკუთარი ბინიდან გაიტაცა ადგილობრივი მცხოვრები და 2 დღე დატუსაღებული ჰყავდა, გათავისუფლებაში კი, 72.000 რუსულ რუბლს სთხოვდა. თურმე, ეს გატაცებულს იმის კომპენსაციად დაუწესეს, რაც მას ბიზნესმენის ბინიდან მოუპარავს. დაზარალებულმა უკანონო პატიმრობიდან პირდაპირ კანონიერში გადაინაცვლა; ბუნებრივია, წინასწარი პატიმრობა გამტაცებლებსაც განუსაზღვრეს.

ექიმი გილი



რეალური თუ ვირტუალური

სამედიცინო ცენტრი, „ექიმი გილი“, უკვე ორი წელია, ფუნქციონირებს და მრავალი მადლიერი პაციენტიც ჰყავს. ცენტრს მისი საქმიანობის უკეთ გაცნობის მიზნით ვესტუმრეთ. ჩვენი ყურადღება იქ გამეფებულმა სიმშვიდემ, წესრიგმა, სისუფთავემ მიიპყრო. მასპინძლობა კი სანდომიანმა, კეთილდამიჯნულმა, გასაოცარი ინტელექტისა და ადამიანური სითბოს მქონე ექიმმა — ბორის გილმა გაგვიწია, სწორედ იმან, ტელერეკლამის კლიპიდან რომ გვაცნობს საკუთარი სამედიცინო ცენტრის მუშაობის თავისებურებებს.

— როგორია სამედიცინო ცენტრში მოსულ პაციენტთა რეაქცია, როცა ტელერეკლამიდან ნაცნობ პიროვნებას აქ მართლაც ხვდებიან? რატომ გადანყვიტეთ კლიპში თავად მიგვლოთ მონანილეობა?

— ბევრს ეგონა, რომ კლიპში მსახიობი მონაწილეობდა, უკვირთ, როცა აღმოჩნენ ხოლმე, რომ სინამდვილეში, მე ექიმი ვარ. კლიპში თავად იმიტომ გამოვედი, რომ ვიცი, კლინიკა მაღალ დონეზე მუშაობს, რომ მე სარეკლამო ტყუილებს არ ვამბობ. მე არ მეშინია საკუთარი თავის ჩვენება, რადგან ვიცი ჩემი საქმე. სწორედ იმავე მიზეზით სამედიცინო ცენტრს ჩემი სახელი „ექიმი გილი“ დავარქვი.

— დავინწყით იმით, რომ ეფექტური მკურნალობისათვის დაავადების ზუსტი დიაგნოსტიკაა აუცილებელი, როგორია თქვენს ცენტრში გადანყვიტილი ეს პრობლემა?

— ჩვენი მუშაობის პრინციპი, როგორც დიაგნოსტიკის, ასევე მკურნალობის დროს ავადმყოფისადმი კომპლექსურ მიდგომაში მდგომარეობს. ძალზე იშვიათია შემთხვევა, რომ ადამიანს ერთი, ცალკე აღებული დაავადება აწუხებდეს, ჩვეულებისამებრ პაციენტს რამდენიმე პათოლოგია ერთდროულად აღენიშნება, ამიტომ ჩვენთან მოსულ ადამიანს პირველ რიგში ყოველმხრივ ვიკვლევთ. მიდგომა პაციენტისადმი ინდივიდუალურია და კლინიკიდან გამომდინარე ყველა აუცილებელი ანალიზი კეთდება. ინფექციის ზუსტი დიაგნოსტიკისთვის ჩვენ ვიყენებთ დნმ-დიაგნოსტიკის მეთოდს. ეს ულტრათანამედროვე კვლევის მეთოდია და პრაქტიკულად 100%-ის სიზუსტით იძლევა პასუხებს, ხოლო სხვა დიაგნოსტიკის მეთოდების სიზუსტე 30-დან 70 პროცენტამდე მერყეობს. მართალია, კვლევის ეს

მეთოდი საკმაოდ ძვირად ღირებულია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სხვადასხვა სახის ცალკეული გამოკვლევებით ჯამში პაციენტს შესაძლოა იგივე თანხა დაეხარჯოს და თანაც შედეგი საეჭვო იყოს, ვარჩევთ ისევ ერთ და ზუსტ მეთოდს.

— საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ჰგონია, რომ „ექიმი გილის“ მუშაობის პროფილი სექსოლოგიური პრობლემების მოგვარებაა, მაგრამ როგორც აქ ვნახეთ, საქმე სულ სხვაგვარად ყოფილა.

— „ექიმი გილი“ გაცილებით მეტ და მნიშვნელოვან პრობლემებზე მუშაობს, ვიდრე მხოლოდ სექსუალური პრობლემაა. ჩვენი სამედიცინო ცენტრი ფართო პროფილის მქონე დაწესებულებაა. უროლოგია, გინეკოლოგია, პროქტოლოგია (სწორი ნაწლავის პრობლემები), სექსოლოგია — აი, მოკლე ჩამონათვალი იმ სფეროებისა, რომელშიც ჩვენი ექიმები მოღვაწეობენ.

დაავადებათა მკურნალობა კომპლექსურია, მედიკამენტოზურ თერაპიასთან ერთად აქტიურად ვიყენებთ ფიზიოპროცედურებს, ლაზერულ თერაპიას, კვანტურ თერაპიას, რომლებიც აძლიერებს მედიკამენტების მოქმედებას. მაგალითად, შარდსასქესო ტრაქტის ინფექციების დროს, ფიზიოპროცედურების გამოყენება საშუალებას გვაძლევს, შევამციროთ ანტიბიოტიკებით დატვირთვის სიმძლავრე, შედეგად კი მცირდება მათი მავნე გავლენა ორგანიზმზე. პროსტატიტების დროს ვიყენებთ მასაჟებს წელისა და ქვედა მუცლის არეში, ვაკუუმურ მასაჟს, მიო-

ელექტროსტიმულაციას (კუნთების სტიმულაცია), რაც არაჩვეულებრივ ეფექტს გვაძლევს და პაციენტის გამოჯანმრთელებაც ჩქარდება.

— რადგან წინამდებარე ჯირკვლის პრობლემას შევხვებით, იქნებ აქვე გვიამბოთ, გაქვთ თუ არა დადებითი შედეგები პროსტატის ადენომის მკურნალობისას. ადენომა ხომ ასაკოვან მამაკაცთა საკმაოდ დიდ პროცენტში გვხვდება და ამ საკითხისადმი მოსახლეობის ინტერესიც დიდია, რასაც ჩვენს რედაქციაში შემოსული შეკითხვებიც ადასტურებს.

— პროსტატიტი (წინამდებარე ჯირკვლის ანთება) ხშირად სხვადასხვა ნიშნით ვლინდება — ცისტიტის, რადიკულიტის მსგავსი სიმპტომებით, პოლისიმპტომურად (მრავალნიშნაანი), მაგრამ ზოგჯერ იგი სრულიად უსიმ-

პტომოდაც მიმდინარეობს. ქრონიკული, უმკურნალეული პროსტატიტი გადადის პროსტატის ადენომაში (კეთილთვისებიანი სიმსივნე), რომელიც თანდათან პროგრესირებს და მისთვის დამახასიათებელი კლინიკით ვლინდება. ადენომის კონსერვატიული (უოპერაციო) მკურნალობა, მისი ზრდის დამუხრუჭებაში მდგომარეობს. მისი ასოლუტური განკურნება არ ხდება, მაგრამ პროცესის შეჩერება შესაძლებელია, რაც ხშირად ოპერაციას აგვაშორებს ხოლმე თავიდან. თუ პაციენტი ჩვენთან დროულად მოდის, ჩვენი მკურნალობით დაავადების პროგრესირება ფერხდება და ავადმყოფის მდგომარეობა სათანადოდ უმჯობესდება. მაგრამ თუ ავადმყოფი დაიგვიანებს, მაშინ მკურნალობის ერთადერთი რადიკალური მეთოდი — ოპერაციაა.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ შარდსასქესო სისტემის ნებისმიერ ინფექციას მკურნალობთ. დღეს ქლამიდოზის ფართოდ გავრცელებული პრობლემა ხშირ შემთხვევაში გადაუჭრელი რჩება. პაციენტი იტარებს ექიმის მიერ დანიშნულ მკურნალობას, შემდეგ იღებს ანალიზს და აღმოჩნდება, რომ იგი ისევ ინფიცირებულია.

— გვაქვს ხოლმე რთული ინფექციის შემთხვევები. როცა ანტიბიოტიკოთერაპია ქლამიდოზის, ტრიქომონიაზის დროს ეფექტს არ იძლევა, პაციენტს უტარდება პლაზმაფორეზი (სისხლის გაწმენდა). ყველა შემთხვევაში ვატარებთ განმეორებით საკონტროლო ანალიზებს, მათ შორის

ზემოთ ხსენებულ დნმ-დიაგნოსტიკას და მკურნალობას ვაგრძელებთ მანამ, ვიდრე დადებით შედეგს არ მივიღებთ.

— ძირითადად რა პრობლემებით მიმართავენ ქალები „ექიმ გილს“?

— ჩვენთან ხშირად მოდიან ქალები საშვილოსნოს ყელის ეროზიით, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა ანთებითი პროცესებით. კლინიკაში აქტიურად ვიყენებთ ინდივიდუალურად შერჩეულ მედიკამენტოზურ თერაპიას, კვანტურ დასხივებას, კრიოთერაპიას (სიცივით მკურნალობა), შედეგი ძალიან სწრაფია, თითქმის ყველა პაციენტი განიკურნა.

აქვე გეტყვი, რომ გვაქვს წარმატებები უნაყოფობის მკურნალობის სფეროში — 2 წლის მუშაობის მანძილზე გვყავს 8 ბავშვი, რომელიც ჩვენ მიერ ნამკურნალებ მშობლებს შეეძინათ. მათ შორის ერთი წყვილი 12 წელი იყო უშვილო. მკურნალობის პროცესში ვიყენებთ სპერმატოგენეზის (სპერმის წარმოქმნის პროცესი) გამააქტიურებელ პრეპარატებს, ფიზიოპროცედურებს, პლასმაფორეზს, რომელიც საგრძნობლად ზრდის ქაღისა და მამაკაცის შვილოსნობის უნარს. არის შემთხვევები, როცა მამაკაცს უვითარდება აუტოიმუნური აგრესია საკუთარი სპერმატოზოიდების მიმართ. ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმი გამოიმუშავებს ანტისხეულებს სპერმატოზოიდების წინააღმდეგ და ებრძვის მათ. ასეთ დროს პლასმაფორეზი შეუდარებელ ეფექტს გვაძლევს.

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, „ექიმი გილი“ უოპერაციოდ მკურნალობს სწორი ნაწლავის დაავადებებს (ბუასილს და ნაპრალს). ხომ არ აღენიშნებათ რეციდივი (განმეორებითი განვითარება) თქვენ მიერ ნამკურნალებ პაციენტებს?

— სწორი ნაწლავის დაავადებებს ხშირად თან ერთვის ქრონიკული კოლიტი (მსხვილი ნაწლავის ანთება). ამასთან უნდა გაითვალისწინოთ, რომ არანამკურნალებმა კოლიტმა შეიძლება გამოიწვიოს სწორი ნაწლავის დაავადების გამოვლენა. ამიტომ აღნიშნულ დაავადებათა თანხვედრის შემთხვევაში მკურნალობა მიმდინარეობს კომპლექსურად და იწყება კოლიტის მკურნალობით.

დღეს მსოფლიოში ბუასილის მკურნალობა ოპერაციის მეშვეობით სულ უფრო და უფრო იშვიათად ხდება. ჩვენი კლინიკა ბუასილის მკურნალობისას იყენებს უახლეს მეთოდებს, როგორცაა კვანძზე ლიგატურის დადების მეთოდი და კვანძების ელექტროკოაგულაცია. ეს არის უსისხლო, უმტკივნეულო მეთოდები და რაც მთავარია მკურნალობის პერიოდში ავადმყოფი არ კარგავს შრომისუნარიანობას.

საერთოდ სწორი ნაწლავის პათოლოგიის მკურნალობისას დიდი მნიშვნელობა აქვს ექიმთან პაციენტის დროულ მისვლას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ადამიანები სირცხვილის თუ კომპლექსების გამო თავს იკავებენ, ვიდრე მათი მდგომარეობა კრიტიკული არ გახდება.

— თქვენს კლინიკაში აქტიურად მუშაობს ტრადიციული მედიცინის კაბინეტი. რა დაავადებების დროს მიმართავენ ხოლმე ტრადიციულ მედიცინას?

— ტრადიციული მედიცინის მეთოდებს ვიყენებთ, ძირითადი მკურნალობის კომპლექსში, რაც ერთიორად ზრდის მის ეფექტურობას. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებების — ართრიტების, ართროზების, ოსტეოქონდროზების მკურნალობის კარგი შედეგები. ტრადიციული მედიცინის კაბინეტში გამოიყენება მანუალური თერაპია, წერტილოვანი მასაჟი, ფიზიოპროცედურები, ჩინური ნემსთერაპია, სუჯოკოთერაპია, აურიკოლოთერაპია (ყურის ნემსთერაპია), ელექტროსტიმულაცია. ჩვენთან მოდიან ასაკოვანი ადამიანები სახსრების ისეთი ღრმა დაზიანებით, რომ პერანგის გახდაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად; აქ მკურნალობის შემდეგ კი მათი მდგომარეობა უმეტეს შემთხვევაში საგრძნობლად გაუმჯობესებულია.

ჩვენი საუბარი რამდენჯერმე შევწყვეტეთ იმის გამო, რომ ექიმს საკონსულტაციოდ პაციენტები ელოდნენ. გადაწყვეტილ ერთ-ერთ მათგანს გავსაუბრებოდი. 80 წელს გადაცილებულმა მამაკაცმა, რომელიც კლინიკაში პროსტატის ადენომის დიაგნოზით იყო შემოსული, მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესება აღნიშნა. შემდეგ კი ექიმს ვთხოვე, ეამბნა მის შესახებ.

— ავადმყოფი 84 წლისაა. 3 წლის წინ დაუდგინდა პროსტატის ადენომის დიაგნოზი, ვუმკურნალებთ, ჯირკვალის ზომამში აღარ მატულობს, ანთებითი პროცესიც ჩაცხრა, ჩვილები მოეხსნა, დამე აღარ დგება — მოკლედ, ოპერაცია ჯერჯერობით თავიდან ავიცილეთ.

— და კიდევ ერთი თემა — იმპოტენცია. შესაძლებელია თუ არა მისი განკურნება?

— იყო დრო, როცა ასაკობრივი იმპოტენციის განვითარება დიდი ტრაგედია იყო მამაკაცისათვის, მაგრამ დღეს არსებობს პრეპარატების მთელი რიგი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, დავეხმაროთ პაციენტს ასეთ მდგომარეობაში. თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს არის მხოლოდ დახმარება და არა განკურნება. იმპოტენციის აბსოლუტური განკურნება ბლუფია. შეიძლება განკურნო კლამანი

ინფექციისაგან, ანთებისაგან, მაგრამ შეუძლებელია, 65 წლის მამაკაცს დაუბრუნო 25 წლის ბიჭის სექსუალური აქტიურობა პრეპარატებით მიხმარების გარეშე.

— ძირითადად, ვინ არიან თქვენი პაციენტები? ხელმისაწვდომია თუ არა დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის ღირებულება ყველასათვის?

— ჩვენი პაციენტები ხშირად არიან საკმაოდ ცნობილი ადამიანები — შოუბიზნესის წარმომადგენლები, პოლიტიკოსები. არიან ჩვეულებრივი მოქალაქეებიც. რაც შეეხება მკურნალობის ღირებულებას, ანალოგიური კლინიკების ფასებთან შედარებით იგი დაბალია, მაგრამ ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობისათვის — საკმაოდ მაღალი. თუმცა, კვლევის მეთოდების ღირებულება თავად პაციენტის მომსახურების ხარჯებიდან განისაზღვრება.

— რატომ გადამწყვეტით სამედიცინო ცენტრის მაინცდამაინც თბილისში გახსნა?

— მე ბავშვობა თბილისში გავატარე. ამიტომ ყოველთვის აქეთ მომიწევდა გული. როცა მომიწივს ცენტრის გახსნენლად, ბევრი აღარ მიეოყმანია.

— თვალში საცემია პაციენტთა უშუალო და თბილი დამოკიდებულება თქვენთან. როგორ ახერხებთ ამას?


— პაციენტებთან ურთიერთობისას ჩვენი პრინციპები გვაქვს. ვცდილობთ, ავუხსნათ ყველაფერი: რას ნიშნავს მის ანალიზში ესა თუ ის ცვლილება. ექოსკოპირების დროს თავად ვჩვენებთ, სად არის პათოლოგია. ეს ნდობის მოპოვებაში გვიწყობს ხელს. მკურნალობის შემდეგ იგი ნახულობს, რომ ის ცვლილება გამოსწორდა.

გარდა ამისა, ვცდილობთ, პრობლემები არ შევუქმნათ ავადმყოფებს. მათ შეუძლიათ, სასურველ დროს ჩაეწერონ მათთვის საჭირო სპეციალისტთან მიღებაზე, ამგვარად იზოგება პაციენტის დრო და ნერვები.

აღნიშვნის ღირსია თავად ექიმთა ყურადღებიანი და თავაზიანი მოპყრობა ავადმყოფებისადმი. ჩვენთან ყველა ექიმი სერტიფიცირებული და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია. ასე რომ, „ექიმი გილი“ ყოველმხრივ აკმაყოფილებს თანამედროვე სამედიცინო ცენტრისთვის საჭირო მოთხოვნებს. იმედია, თქვენი ყურნალით მიწოდებული ინფორმაცია სრულყოფილ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს ჩვენს საქმიანობაზე. „ექიმი გილი“ ყველას გელით! ჩვენი ტელეფონებია:

25-27-09; 29-05-25.





კვიზიანის უიუი აიხ ცაონ აბაიხ აქ აბაიხა

უჯარმამდე, გზიდან ხელმარცხნივ, პატარა მთის ძირში მდებარე ტბებთან ულამაზესი პეიზაჟი იშლება. შორიდანვე მწვანეში ჩაფლულ ძველ სახლსა და რამდენიმე შენობის ნანგრევსაც შეამჩნევთ. ამ ადგილზე ჯერ კიდევ ორი წლის წინ, უჯარმის გაპარტახებული სანერგე მეურნეობა ყოფილა. ახლა კი, აქაურობას საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში, ემზარ კვიციანი ბატონპატრონობს. მეც სწორედ მასთან შესახვედრად გავეშურე. თუმცა, სულაც არ მეგონა, რომ ჩემი მასპინძლის უჩვეულო ამბულაში ნახვის ექსკლუზიური საშუალება მომიცემოდა... სკვებთან ჩაჩოქილი, მეფუტკრის „სკაფ-

ანდრიანი“ კაცი დაძახებაზე შემოტრიალდა: ოჰ, მოხვედითო? — სიცილით გამომეპასუხა და ჩემკენ გამოემართა. დავიბენი: მეფუტკრე, კოდორის ხეობის მტრების რისხვა, ემზარ კვიციანი აღმოჩნდა... ძველი, ჭრაჭუნა ხის კიბით უჯარმის ყოფილი სანერგე მეურნეობის ასევე ყოფილი ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე ავედით და ჩვენი ინტერვიუც იმ აივანზე შედგა, საიდანაც ულამაზესი ბუნების სურათი იშლება — ახალი „ნამოჩიტული“ ნერგებით, ტბითა და მთით, სადაც, როგორც ჩვენი მასპინძელი ამბობს, უახლოეს მომავალში წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის აშენებასაც აპირებს.

ეკა ლომიძე

— კოდორელი სვანი აქ როგორ და საიდან მოხვედით?

— ორი წლის წინ, რაღაც საქმეზე ვიყავი აქეთ წამოსული, ამ მთაზე ამოვედი ჯიპით. სანერგე მეურნეობის დირექტორს დაუნახივარ. გამოვიდა, საუბარი გამიბა: აქ არაფერი აღარ ხარობს, ფინანსები არ გვაქვს, რომ სწავაი მაინც შევიძინოთ და ტრაქტორით მიწა დავხნათო... მაშინ გამიჩნდა იდეა, რომ ერთი ჰექტარი მიწა ჩემი ხარჯებით მომეხნა. გენერალმა თამაზ დუმბაძემ ტრაქტორი მომცა და საქმე დაიწყო. მეურნეობა ყოველთვის მიზიდავდა. აზარტში შევედი. აქაურობა შევისყიდე და მეორე წელია, თუ კოდორში არა ვარ, აქეთ გამოვრბივარ და ფუტკრის მოვლით თუ მიწაზე მუშაობით დიდ სიამოვნებას ვიღებ.

— აქ მონეულ მოსავალს რას უპირებთ? გაცივდით?

— რად უნდა გაცივდო? კოდორის საქმეს ბევრი რამ სჭირდება. აქ მოწეულ პროდუქტსაც იქაურებს მოვანხმარ.

— ფუტკარი თქვენ მოაშენეთ?

— კი, ბატონო. კოდორშიც მყავდა. დღეა ჩემი უვლიდა, სანამ ძალიან მოხუცდებოდა. ახლა მე ვუვლი, საინტერესო ჩვევები აქვს ამ მწერს... აქაური თაფლი ჯერ არ ამომიღია, კოდორული თაფლის მსგავსი კი, ქვეყანაზე არ მეგულება.

— ვინა ხართ თქვენ — მეზობელი, პოლიტიკოსი თუ მეურნე?

— პოლიტიკოსი ნამდვილად არ ვარ. სხვა რა გითხრათ ჩემზე? — ის ვარ, ვინც ჭანვარ.

— მეურნეობისადმი ინტერესი ალბათ ბავშვობიდანვე გამოგვყავთ?

— დიას. სულ მასწავლება ერთი ამბავი: 11-12 წლისა ვიქნებოდი, სკასთან მივედი და ფუტკრების შესადრომ ხერხელში სული შევუბერე. დამესივნენ და ისე დამკბინეს, რომ თავიდან ფეხებამდე გავსივდი. მაშინ ყველაზე მეტად რისიც შემინოდა, სწორედ ის — ნემსი გამიკეთეს. ძალიან ცუდად ვიყავი.

— კოდორში დაიბადეთ?

— დიას. დღეაჩემს შშობიარობის დროს ორი ქალი — გრაფინია კვიციანი და ერთიც, გურჩიანის ქალი ეხმარებოდა თურმე, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა ჩემი დაბადების დროს... პატარა, ძალიან მტირალა ვყოფილვარ, მწვის ჭამა მჭყარება, თანაც, ძალიან ვცელქობდი თურმე. თამაშის მეტი არაფერი მაინტერესებდა.

— მაინც რას თამაშობდით ყველაზე ხშირად — ომობანას?


— მდიდარი ფანტაზია მქონდა და სულ ისეთ რამეს ვიფიქრებდი, მეგობრები აღტაცებას ვერ ფარავდნენ. მინდოდა, რაღაც რაინდული გამეკეთებინა, მევაჟაკა, მაგრამ ამის

აქაური თაფლი ჯერ არ ამომიღია, კოდორული თაფლის მსგავსი კი, ქვეყანაზე არ მეგულება

საშუალება არ მეძლეოდა. სახლიდან არსად მიშვებდნენ. ამიტომაც ვიჯექი ბავშვებთან და ჩემს საგმირო თავგადასავლებს ვიფიქრებდი. მოგვიანებით მიხვდი, რომ ტყვილი დიდი უზნეობა — დავიფიცე, აღარასოდეს ვიცრუებ-მეთქი. თუმცა, მერე დედას მაინც ვატყუებდი ხოლმე, გვიან სახლში მისულს რომ მკითხავდა — სად იყავიო?

— მრავალშვილიანი ოჯახის მერამდენე შვილი ხართ?

— მერვე — ყველაზე უმცროსი, რომელსაც ჩემი სიცელქის გამო, არაერთხელ მომხვედრია უფროსი ძმებისგან. ყველაფერზე მტუქსავდნენ. იარაღთან ახლოს არ მაკარებდ-



ნენ. 27 წლის ვიყავი, პირველად საკუთარი
არაღი რომ შევიძინე.

— **სანადიროდ დადიოდით? ვიზი
თუ მოგიკლავთ?**

— კი, ბატონო. ვიხეზე ნადირობის პრო-
ცესი მძიმეა. ვიხეზე ზემო სვანეთში, ძალიან
შორს ბინადრობს. კარგად უნდა იცნობდე
გზებს, ბევრი ძებნისა და წვალუბის შედეგად
რომ მაგნო, ამიტომაცაა ვიხეზე ნადირობა
აზარტული და სასამაოუნო. მარტონი არ
დადიან მონადირეები, როცა ვიხებს ეძებენ.
ერთხელ წავედი მარტო, გზა ამერია, სულ
სხვა მხარეს მოხვდი. კინაღამ ტყეში შერ-
ჩი. ბავშვობაში უფროსებისგან მოცემული
რჩევები გამახსენდა მაშინ.

— **ალბათ ნადირობის ქალღმერთ
დალისთან დაკავშირებით...**

— პო. მასწავლიდნენ — ძალი თუ შეგ-
ხვდა ტყეში და დაგიძახა, არ გამოელაპარა-
კი: თუ დაელაპარაკები, საჩუქარს მოგცემსო;
ცხვირსაზოცისნაირი ნაჭერი ყოფილა ის
საჩუქარი; 5 წელი უნდა შეინახო თურმე;
თუ შეინახავ, წყალობას არ მოგაკლებს, თუ
არა და — დაგლუპავს. ლალატს არ აპატიებს
არავის ძალი. ბევრი ოჯახი დაუღუპავს...

— **ერთხელ მითხარით — მგელს
არასოდეს მოგვლავ, დაფიცებულნი
მაქვსო. ასე რამ შეგაფყვართ ეს
მოურჯულბელი ნადირი?**

— მისმა განსაკუთრებულმა თვისებებმა.
ძალიან კარგად ვიცნობ მგელს, ნათესაობა
იცის, ოჯახის წევრთან — დასთან ან დე-
დასთან, შეგვარებას არ ახდენს. ვაჟაკური
ბუნების ცხოველია, შეურიგებელი. მისი
მოთინიერება შეუძლებელია. თქმა რომ იციან
— მგელი შეგჭამსო, — ტყუილია. მგლისგან
დაგლეჯილი კაცი არ მინახავს სვანეთში,
სადაც მგელს, წმინდა გიორგის ლეკვს უწოდებ-
ენ. ამიტომაც ჩვენთან საგვარეულოებია,
რომელთაც მგლის მოკვლა ეკრძალებათ
ფიცის გამო.

— **თქვენ რატომ დაიფიცეთ, თქვენს
გვარსაც ეკრძალებოდა?**

— 1991 წლის 13 თებერვალს ჩემს ცხოვ-
რებაში უმძიმესი პერიოდი იდგა, რისი გახ-
სენებაც ახლა არ მინდა. მაშინ ტყეში ვიყავი
თავშეფარებული. მთვარის შუქზე დავლანდე
ჩემქვე მომავალი მგელი; გაჩერდა, შემომხედა
და წავიდა. მაშინ დავიფიცე, ამ ცხოველს
არასოდეს არ მოგვლავ-შეთქი. ახლახან, ღამით,
ზუსტად აქ ვიჯექი. ამ ტერიტორიაზე ბევრი
მგელია. დაინახე — ერთმა გამოიარა, ტბის
პირას დაბნულ ჩემს ხბოს ხმა არ გასცა და
იქვე სხვისი დაგლიჯა... ეს შემთხვევითობა
არ გვერთხი: ვისაც მგლის მოკვლა ეკრძა-
ლება, იმ გვარის ნახირს მგელი არ ევარება.

— **ამბობენ, სვანეთში გველის
კულტაც არისო.**

— კულტის რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთს
კი ამბობენ: გველმა ადამიანის შეგვარება იცის,
მათან ახლოს მიდის, წვება, და მისი ცქერით

ტკბებაო. ამიტომაც ეკრძა-
ლებიან სვანები გველის მოკვ-
ლას; მისი სახით მეგობარს
კლავო — ამბობენ.

— **ბატონო ემზარ,
გამიგონა, თქვენ ერთხ-
ელ ციხეშიც მჯდარხ-
ართ. რა ჩაიღინეთ ასე-
თი?**

— ერთხელ არა — ორ-
ჯერ. ამაზე საუბარი არ მსია-
მოუნებს, იმიტომ არა, რომ ჩემს
საკციელს ვნანობ, — უსამართ-
ლობის მსხვერპლი ვიყავი.

გული მწყდება. პირველად სხვისი ჩადენი-
ლი დანაშაული დამბრალდა, არადა, როცა
დანაშაული ხდებოდა, სახლში, დედაჩემის
გვერდით მეძინა. ამიტომაც, ძალიან ინერვიუ-
ლა მაშინ დედამ და მძიმედ გახდა ავად.
მილიცია მაშინაც ფულის გამოძალვაზე
მუშაობდა. იცოდნენ, უდანაშაულო რომ ვიყავი,
მაგრამ ვგონათ, ფულს მიეცემდი. ჩემს ოჯახს
ამის საშუალება არ ჰქონდა. ისიც ვერ ვიკა-
დრე, ნამდვილი დანაშაულები „ჩამეშვა“ და
ასე აღმოჩნდი ციხეში 3 წლით. 2 წელი
და 2 თვე რომ გავიდა, რუსეთში გამიშვეს
მიმაგრებით. იქ თავისუფლად ვცხოვრობდი,
ისევე ვვარჯიშობდი. ერთ დღესაც, ჩხუბს
შევესწარი. უამრავი ხალხი სცემდა ერთ
ქართველს. თავდამსხმელები ის ადამიანები
იყვნენ, ვინც მაშინ ქალაქს აკონტროლებდნენ.
იმ ბიჭს მივეშველე. მისი თავდამსხმელები
მწარედ ვცემე. ჩვენ რომ დამარცხებულიყავით,
მეორე დღესვე ყველა ქართველის საქმე ცუდად
წავიდიოდა. რადგან რუსები იქით დავამა-
რცხე, ადგნენ და მიჩვილეს.

— **ასე გაგიგრძელდათ პატიმრო-
ბის ვადა?**

— 2 წელი და 8 თვე დამიმატეს. ძალიან
კი გამიკვირდა კაცური თანადგომა, მაგრამ
პროკურორი ადვოკატივით დამიღვა გვერდ-
ში, ამიტომაც მომიხაჯეს ასე ცოტა ხნით
პატიმრობა. მერე გავთავისუფლდი და
საქართველოში დავბრუნდი.

— **აფხაზეთის ომში როდის ჩაე-
რთეთ აქტიურად?**

— 1992 წლის 3 აგვისტოს შევექმნი
სამხმო, რომელსაც „მონადირე“ დავარქვი.
ბრძოლაში აქტიურად ალბათ მაშინ ჩავები,
როცა სოხუმიდან ჩამოსულ გენო კალანდი-
ასგან დავალება მივიღეთ, რომ კოდორში
საპაერო სივრცე გადაგვეკეტა. „სტრულებიც“
(საზენიტო დანადგარი) მოგვეცეს, თუმცა (არ
ვიცი, რატომ) სროლას არ გვასწავლიდნენ.

— **აბა როგორღა მოახერხეთ
შეუღმფრენების ჩამოგდება?**

— ერთი სომეხი გვყავდა — იმან იცოდა
სროლა.

ორი შეუღმფრენი ჩამოავდო. ერთის
ჩამოგდება არავის გახარებია: ბავშვებით ყოფი-
ლა სავსე. თუმცა, მაშინ ანცუპოვიც დაილუ-



მეურნეობა ყოველთვის მიზიდავდა. აზარტში
შევედი. აქაურობა შევისყიდე და მეორე წელია, თუ
კოლორში არა ვარ, აქეთ გამოვრბივარ

ბა — ქართველების დაუძინებელი მტერი, ის,
ვინც გვი ლომინაძეს დაარტყა და ქართველებ-
სა და აფხაზებს შორის კონფლიქტი წაძო-
წყო. მეორე ჩამოგდებულმა შეუღმფრენმა
საკენაში მოახერხა დაჯდომა. ტყვედ ჩაგვი-
ვარდნენ აფხაზები, მათ შორის — არძინას
მოადგილე ლაბახუაც. ცოცხალი ტყვეები
დახოცილ ქართველებში გაუცვალეთ აფხ-
აზებს; მათ შორის, ერთი ჩემი ბიძაშვილი
იყო — რევაზ კვიციანი, დაჭრილი ჩავარდნო-
და ტყვედ აფხაზებს. ძალიან ნაწვალები და
დასახიჩრებელი დაგვიბრუნეს მისი გვამი:
ცხვირი და ყურები დაეჭრათ, გული ამო-
ვლით. მერე ჩვენც ვისწავლეთ „სტრულებ-
ის“ სროლა და რამდენიმე შეუღმფრენი
ჩამოვადგეთ.

— **კი. შექელით აფხაზების დაშინე-
ბა?..**

— კი, მაგრამ მაინც ბედადნენ ხოლმე
მუხანათურად თავდასხმას. ჩემი ბიჭებიც არ
რჩებოდნენ ვალში და პოზიციებს უფრო
ამაგრებდნენ.

— **ის როგორ იყო, ერთი დაკარ-
გული მებრძოლისთვის დღე და ღამე
რომ ლოცულობდით?**

— ისმინა ღმერთმა ჩემი ლოცვა და ის
ბიჭი სამი დღის შემდეგ დაბრუნდა. ღვთის
გარდა, არავის შეეძლო მისი დასხნა. ლოცვის
შესახებ ერთ ამბავს მოგიყვებით. სოფელ
ლათაში მტერს ალყაში ვყავდით მოქცეულნი,
საარტილერიო ჭურვებს გვესროდნენ. სკო-
ლის შენობაში შევედი. სანთლები ამოვიღე
ჯიბიდან და დაჩოქილმა ლოცვა დავიწყე.
უცებ ჭურვის ნამსხვრევმა შემოგლიჯა კეღე-
ლი. სანთლები ძველებურად ანთებული დარჩა,
მე კი, ფეხზე რომ ვმდგარიყავი, უთუოდ
მოგკვდებოდი.

— **კი. ბრძოლის დროს, იარაღზე
მეტად, ღმერთის იმედი გაქვთ?**

— მამაჩემი ძალიან მორწმუნე კაცი იყო.
სულ ლოცულობდა, მეც ასე გავიზარდე.
კოდორში განსაკუთრებულად მორწმუნე
ხალხი ცხოვრობს. რაც არ უნდა მორწმუნე
იყო, ღმერთი ხშირად არ უნდა ახსენო და
იმის ფიცი-მტკიცე არ უნდა დაიწყო, რომ
ღმერთი გიყვარს; მან იცის, გიყვარს თუ არა,
შენ კი, ქვეყნის დასანახავად ზედმეტ ლაპა-

რაკს, სჯობს, თავი დაანებო და საქმით დაამტკიცო, რაც გულში გიდევს...

— ბატონო ემზარ, თქვენ არაერთხელ დაგიფიქსირებიათ თქვენი პოზიცია — რომ აფხაზეთში ძალის გამოყენების წინააღმდეგი ხართ. როგორ შეფასებთ მისცემდით იმ ხალხის გამოსვლებს, რომელიც აფხაზეთში მორიგი ომის გაჩაღებით იმუქრება?

— აფხაზეთში, თუ რუსი არ იქნება, იქ იარაღით შესვლის სასტიკი წინააღმდეგი ვარ. თუ რუსი წავა, იქ აფხაზი იარაღით აღარ დაგვხვდება და შევრიდებით. პირად შეურაცხყოფად ვიღებ, როცა ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ან ცალკეული ჯგუფისგან აფხაზეთში ძალით შესვლისაკენ მოწოდება ისმის და მიმანწია, რომ ის, ვინც აფხაზეთში იარაღით შესვლისკენ მოუწოდებს ქართველებს, რუსეთის დაკვეთას ასრულებს.

— ახლა კოდორში როგორი სიტუაციაა?

— სიმშვიდეა. რუსებსა და აფხაზებს სურთ, კოდორში ისეთი კაცი იყოს ადმინისტრაციის უფროსი, რომელსაც იოლად დაიყოლიებენ ყველაფერზე. ამიტომაც ცდილობენ იქიდან ჩემს მოშორებას აქაური აგენტების საშუალებით, რომლებიც უჯარმაშიც კი არ მაყენებდნენ. რუსებს არაფერს დაუთმობ. ახლა ევტევეს (რუსეთის სამხედრო ძალების სარდალი. — ავტ.) უნდა მოვანდევინო საჯაროდ ბოდიში ხეობის წინაშე. არ ვაპატიებ, ბრალი რომ დაგვლო და გვლანძღა — ხეობაში ბანდიტები და ტერორისტები არიან თავშეფარებულნი და არავის ემორჩილებიანო. ბოდიშს თუ არ მოიხდის, ორი პატრულირების უფლება ხომ მივეცი, აწი აღარ შემოვუშვებ ხეობაში.

— ეი. კომპრომიზზე არ ნახვალთ?

— კომპრომიზების წინააღმდეგი არასდროს ვყოფილვარ — უბრალოდ, ისეთი კომპრომიზი არ უნდა დაუშვა, ზიანს რომ მოგაყენებს, რაც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება ჩვენი მხრიდან, აფხაზეთის საკითხზე მუშაობისას.

ჩვენი ბიჭები მამას ჰპაძავენ ყველაფერში. ამას წინათ მისი განსაცემელი ჩაუცვამთ, იარაღი აუღიათ და ისე გადაუღიათ სურათები.



თანამდებობის პირებისგან თავგანწირვა საჭირო, რომელსაც დიდი-დიდი, სკამის დაკარგვა შეიძლება მოჰყვეს და სხვა არაფერი. სკამის გულისთვის კი, სამშობლო არ უნდა გაწირო და უბედურების მომტან ხელშეკრულებას ხელი არ უნდა მოაწერო.

— ისევ აფხაზეთში ძალით შესვლის საკითხს დაგუბრუნდები: როგორ ფიქრობთ — თამაზ ნადარეიშვილი და სხვები მართლა შეასრულებენ თავიანთ მუქარას?

— გარდა მუქარისა, ეგ ხალხი კაბინეტში ვდომით და თეთრი ხელებით არაფრის გამკეთებელი არ არის. რომ ყვირიან — იარაღი ავიღოთ ხელში, — ვისი შეილების სისხლით უნდათ ბრძოლა, თავად რომ იარაღს ხელს არ ჰკიდებენ? ან რად ამტვრევენ კარს, რომელიც ღიაა?! თუ ჩვენ მსოფლიოს დავარწმუნებთ, რომ აფხაზებს არ ვესვრი, ყველა გვერდით დაგვიდგება. ეს ხალხი კი, რას აკეთებს? ავინებენ ყველას და აფხაზსაც ეშინია, ქართველის გვერდით რომ დავდგე, არ გამასარებსო. აფხაზეთი მარტო არძინბა არ არის — იქ უამრავი ხალხია, ვისაც ჩვენკენ შემოტრიალება უნდა. მიეცი გადაწყვეტილების მიღების საშუალება და რუსს ნუ შეუწყობ ხელს, რომ აფხაზი შენგან შორს ღემოდისკენ წააქეზოს.

ბატონ ემზართან საუბარი ამით არ დამთავრებულა, კიდევ ბევრი რამ თქვა გვერდის შესახებ, მაგრამ როგორც მთხრა, ბერი ჩანაფიქრის წინასწარ განმარტებას, საქმის უჩუმიად კეთება ურჩევნია. ამიტომ მთხოვა — აჯერად, უკვე ნათქვამით შემოვიფარგლოთო...

მეორე დღეს, მის მეუღლეს — მშვენიერ თეთრულდ ანსიანს შევხვდი, რათა, ურნალისტური ენით რომ ვთქვათ, ბატონი ემზარის პორტრეტი შეგვესო... თეთრულდს მოფერებით, თეთუნას ეძახიან. ახლანაირად გარდაცვლილი ძმის გამო დამწუსრებულმა, ხათრი მაინც არ ვამიტებს და რამდენიმე კითხვაზე ვამცა პასუხი.

— ემზარს მეტსახელად ბაბაჯოს ეძახიან. ბაბაჯო სვანურად „ბაბუა შემოგველოს“ ნიშნავს. მე რომ მომიტაცა, მამაჩე-



მისთვის შეუტყობინებიათ: შენი ქალიშვილი ბაბაჯომ წაიყვანაო. გადარეულა კაცი. მანქანა იარაღით გაუვსია და იმ „მოხუცის“ მოსაკლავად წამოსულა, ქალიშვილი რომ წაართვა, მაგრამ ვაჟაკი სიძის ნახვით ძალიან გაიხარა... შესანიშნავი მეუღლე, მეგობარი და არაჩვეულებრივი მამა ემზარი.

— სვანური რა გაქვთ ხასიათში?

— ორივენი ფიცხები და ამაყები ვართ. როგორც ყველა სვანი, ემზარიც უზომოდ ერთგულია ოჯახის. თუმცა, იმის გამო, რომ ხშირად არ არის ოჯახში, ქალიც მე ვარ და კაციც.

— კოდორში თუ ყოფილხარ მის გვერდით მძიმე წუთებში?

— ფეხმძიმეც კი მის გვერდით ვიყავი, როცა კოდორს ბომბავდნენ აფხაზეთის ომის დროს. სულ სარდაფში მიწვედა უფროს შვილთან ერთად დამალვა. იყო დრო, როცა საჭმელიც კი არ გვექონდა იმ მძიმე პირობებში. მერე ჩვენ სამშვიდობოს გვიშვებდა ხოლმე ემზარი, თავად კი დიდი ხნით ვერ გენახულობდა.

— ალბათ ბავშვებს მამა ავინყდებოდათ კიდევ?

— მართლაც ეგრე იყო. ერთხელ, საბავშვო ბაღში მივევარდი, გიორგისთან: წამოდი ჩქარა, მამიკო ჩამოვიდა-შეთქი. რომელი მამიკო? — გაოცებულმა შემომხედა ბავშვმა... ერთხელაც, კოდორიდან გიორგისთან ერთად სვანეთში ბებია-ბაბუასთან გამიშვა ემზარმა. სამი თვე ვიყავი იქ. ერთ ღამეს ჩამოვიდა და მამის დავრჩი მეორე ვაჟზე ფეხმძიმედ... მერე კი, იესე რომ განჩნდა, ექვსი დღის შემდეგ შეძლო ემზარმა ჩამოსვლა. კოდორში რომ შეუტყობინებიათ, ბიჭი შეგეძინაო, ისეთი სროლა ამტყვდარა, რომ აფხაზებსაც შეუტყვიათ და ერთმანეთს ამშვიდებდნენ თურმე: ნუ გეშინიათ, მეორე ბაბაჯო დაიბადაო... მერე, თბილისში რომ ჩამოვიდა წვერგაბურძენილი ემზარი ნათესავებთან ერთად, სადარბაზოსთან ისეთი სროლა ატეხეს, რომ შიშისგან გულგახეთქილი მეზობლის ქალი ძლივს მოასულიერეს... დიდებული მამა ემზარი, მაგრამ ძალიან რბილი — ხმას ვერ აამაღლებინებ ბავშვებთან.

— ორვე მრავალშვილიანი ოჯახის წევრები ხართ, თავად ორ შვილზე აპირებთ შერყევას?

— ჩემი ძმის გარდაცვალების მერე მტკიცედ გადაწყვიტე, რომ კიდევ ორ შვილს გაეჩენ. ემზარი კი 12-ზე და მეტზეა თანახმა. უყვარს მრავალრიცხოვანი ოჯახი. ჩვენი ბიჭები მამას ჰპაძავენ ყველაფერში. ამას წინათ მისი ტანსაცმელი ჩაუცვამთ, იარაღი აუღიათ და ისე გადაუღიათ სურათები. ემზარი ამბობს — ჩემი ვალი უნდა მოვიხადო სამშობლოს წინაშე, აბა, ჩემს შვილებს ხომ არ დავუტოვებ საქმეს საწვალელადო?!

შაცყუანა სესილია, ზანშაცვი დო დო აბაშიძე და შოქილიკე ნოდან დეშბადი...


ამ რუბრიკით, რომელიც ცნობილ ხელოვანთა ცხოვრების ამსახველ, ხალისიან მოგონებებს გადავაზობთ, ამჯერად, ბატონი გიგა ლორთქიფანიძის ნაამბობს წარმოგიდგინთ. ბატონი გიგას „პერსონაჟთაგან“, ბევრი დღეს ცოცხალი აღარ არის და ამდენად, მათი გახსენება ჩვენს გულეებში განსაკუთრებული გრძობას აღძრავს...

ნანა ჭიბიშაური

სესილია და შალვა ღამბაშიძე

მე რომ ჩაძინებული გამაღვიძოს ვინმემ და უცბად მკითხოს: ვინ არის შენთვის ყველაზე საყვარელი მსახიობი? — დაუფიქრებლად ვუპასუხებ: სესილია-მეთქი. ის არის ჩემთვის კარგი ქალის, კარგი მსახიობის და კარგი ადამიანის განუმეორებელი სინთეზი. მე მას, როგორც ქალს გმირობად ვუთვლი თუნდაც იმ ფაქტს, რომ მან ბებიას როლის განსახიერებისას (ამჯერად სასცენო როლზეა საუბარი. — ავტ.) კბილის პროთეზი მოიხსნა და ჩავარდნილი ზედა ტუჩის გამო, საუბრის დროს ისე ჩლიფინებდა, რომ მართლაც 80 წლის ბებია ეგონებოდა კაცს. ეს ამბავი ზმირად მაქვს მოყოლილი, მაგრამ მოკლედ, კიდევ ერთხელ გავიხსენებ: იქნებ, თქვენს ახალგაზრდა მკითხველს მანაც არ ჰქონდეს გაგონილი. თბილისში ჩამოსული ფრანგი რეჟისორი ჟან ღონმარტი, რომელიც ერთ დროს პარიზის თეატრების გაერთიანებული დირექტორიც იყო, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ნახვის შემდეგ, ატირებული და აღტაცებული მოვიდა ჩემთან და მთხოვა — ის ბებია გამაცანითო. დაუშვასხეთ სესილიას. მაშინ ის 53 წლის იყო. მხნე, ენერგიული, სწრაფი სიარული იცოდა. თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მანერით გააღო კარი და შემოვიდა. გრიმი უკვე მოცილებული ჰქონდა. ისე გამოიყურებოდა, მართლაც არ ჰგავდა ბებიას. ჟანმა იფიქრა, რომ ჩვენ სწორად ვერ გავიგეთ, თუ რა ითხოვა და გაიმეორა: არა, არა, მე ბებიას გაცნობა მინდოდა. როდესაც მიხვდა, რომ მის წინ სწორედ ის ქალი იდგა, ვისი ნახვაც სურდა, მუსლი მოიყარა და სესილიას ეამბორა. მაშინ წარმოთქვა

ის სიტყვებიც, რომელიც სამუდამოდ დარჩება ჩემთან: ეს არავითარი თქვენი ბებია არ არის. ეს ბებიაჩემია, რომელიც პროვანსში ცხოვრობს... ბებიის როლი იყო ერთადერთი, რომელიც სესილიამ თავიდანვე მიიღო და შეიყვარა. ნებისმიერი სხვა როლის შეთავაზების დროს, ბუზლუნს იწყებდა, უარს ამბობდა და დათანხმების შემდეგაც კი, სულ როლის, პიესისა და მისი დამდგმელის ლანძვარებში იყო. ასე იყო ერთი ტიპური საბჭოთა პიესის — „ალანის ოჯახის“ დადგმის პროცესშიც. ამ პიესაში, სესილია და შალვა ღამბაშიძე, რომელთაც ახალგაზრდობიდანვე ხნიერი ადამიანების როლის თამაში დაეხედათ, მოხუც ცოლ-ქმარს ასახიერებდნენ. როგორც წესი, სესილიამ თავიდანვე ათვალწუნა პიესა. დაიწყო როლის დამუშავება, აიყოლია შალვა ღამბაშიძეც და, სცენაზე თუ კულისებში, მხოლოდ ერთი შეფასება ისმოდა: რა საზიზღრობაა, რა საძაგლობაა!.. მოვიდა პრემიერის დღე. სესილიამ ბრწყინვალედ ითამაშა. ბატონი შალვა კი მოგვიანებით გამოგვიტყდა: თურმე „ეს ოხერი.“ სესილია რეპეტიციე-



ბზე ილანძვებოდა, სახლში კი, როლზე მუშაობდა; გამაბრიყვა, პრემიერის დღეს თვითონ შესანიშნავი სახე შექმნა, მე კი რას ვბურტყუნებდი სცენაზე, თვითონვე არ მესმოდო... ამის შემდეგ, მათ კიდევ ერთ პიესაში ითამაშეს ერთად. ეს იყო შესანიშნავი სპექტაკლი „უფსკრულთან“, რომელსაც ძალიან რთული ბედი ზვდა წილად: ზმირად ხსნიდნენ რეპერტუარ-იდან, რადგან სცენარის მიხედვით, წამლის არქონის გამო, ბავშვი იღუპებოდა, ცენზურა კი მოქმედებდა: როგორ შეიძლება, საბჭოთა კავშირში უწამლობით ბავშვი დაიღუპოს?! სესილია და შალვა კვლავ მოხუცებს თამაშობდნენ. როდესაც სესილიას ვუთხარით, რომ მისი გმირი ერთი აფერისტი და სპეკულანტი გლეხის ქალი იქნებოდა, ბოლომდე არც მოგვისმინა — უკვე როლისა და პიესის ლანძვარებში დაიწყო. უსმინა შალვამ, უსმინა და ბოლოს, თვალმოწყურულმა უთხრა: აბა, სესილი, მაგას ვინ ჭამსო?! მართლაც, ორივე მსახიობმა განუმეორებელი სახეები შექმნა და ერთმანეთს ტოლი არ დაუღო.

პრემიერის მეორე დღე

ბედნიერი კაცი ვარ ჯერ იმით, რომ ნოდარ ღუმბაძეს ბავშვობიდანვე ვიცნობდი და მერე იმით, რომ ყოველი მისი ნაწარმოები პირველმა, მე გავაცოცხლე სცენაზე. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ჯერ დაბეჭდილიც არ იყო, ხელნაწერშივე წავიკითხე და გადავირეე კაცი. იმ დროს შექმნილი ნაწარმოებებიდან, ეს ერთადერთია, სადაც მთავარი გმირი „ოროსანი“, უფრო მეტიც — კომკავშირელი არ არის. არც რაიკომი იყო ნახსენები,

მთხოვა კოლონიის უფროსმა და სხვა რა გზა იყო? – დაეთანხმდი. მართლაც, ძალიან პატარა სცენაზე მოუწიათ მსახიობებს თამაში. სპექტაკლს დიდი დეკორაციაც არ სჭირდებოდა. საკნებიდან გამოიტანეს ნარები, წამოწვენენ ზედ მსახიობები და სპექტაკლი დაიწყო. უცნაური რამ მოხდა. თუკი თეატრში, სპექტაკლის მსვლელობისას, გაუთავებელი სიცილ-ხარხარი იყო, აქ ერთხელაც კი არავის გაუცინია – მთელი სპექტაკლის განმავლობაში, გაუნძრევლად ისხდნენ პატიმრები, სცენას მისჩერებოდნენ და ღვარღვარად ჩამოსდიოდით ცრემლები: მათთვის არ იყო ეს მხიარული ამბავი, მათთვის ეს იყო ტრაგიკული ავტობიოგრაფია, რომელსაც შორიდან უყურებდნენ... ჩემთვის ეს კიდევ ერთი გაკვეთილი აღმოჩნდა – გაკვეთილი იმისა, რომ მთავარი, ის კი არ არის, რას თამაშობ ან რას ღვამ, – მთავარია, ვისთვის თამაშობ ან ვინ უნდა ნახოს ის სპექტაკლი, რომელსაც რეჟისორი ღვამს.

შეთავსებით სუფლიორი

გული მწყდება, რომ დოლო აბაშიძესთან, ამ შესანიშნავი მსახიობთან და მართლაც სამაგალითო ქართველ ვაჟკაცთან, მხოლოდ ერთხელ მომიწია მუშაობამ. ეს იყო ფილმში „დათა თუთაშინა“, სადაც დოლომ სეთურის როლი ითამაშა. დოლო ტიპური კინორატისტი იყო. არ უყვარდა ტექსტის სწავლა, თავს კი იმით იმართლებდა, მეხსიერების ამბავი არ მაქვს მთლად კარგად... სიზარმაცეს ვერც სეთურის ხატორით მორია. რა უნდა შექნა? – დოლო ამ როლში მართლაც შეუცვლელი იყო და... მე თვითონ ვიკისრე სუფლიორის მოვალეობის შესრულება. ამ სცენის გადაღების დროს, თქვენი მონაძორჩილი იდგა კადრს მიღმა და დოლოს ტექსტს ჰკარნახობდა. ერთხელაც დოლომ ვერ გაიგონა, რა უკარნახე, კისერი დაიგრძელა, ცალი თვალი მოჭუტა და ჩამეკითხა: „ჰა?“ – ეს იმდენად სასასიათო სცენა გამოვიდა, რომ კადრიდან ამოსაჭრელად ვერ გავიმეტე და დავტოვე. ეს ეპიზოდი, შეიძლება ვინმეს უადგილოდაც კი მოეჩვენოს, მაგრამ ეს დოლოსეული „ჰა?!“ ჩემთვის ერთ-ერთი უსაყვარლესი კადრია... ერთი-ორჯერ ვნახე დოლო ჩხუბის დროს და იცით, რა დამემართა? – იმ წუთებში ჩემს თვალწინ „ვეფხისტყაოსანი“ გაცოცხლდა და: თვალნათლივ დავინახე, რას ნიშნავდა „კაცი კაცსა შემოსტყორცნა“... დოლო აბაშიძე ჩემთვის იყო ტარიელიც, ავთანდილიც და ფრიდონიც, ის იყო ჩემთვის ქართველი გმირის განსახიერება – ფიზიკურად

უძლიერესი კაცი, ბავშვის სილაღლით. ვერც ერთი „ოცკაროსანი“, რომელსაც ეს ჯილდო მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მიუღია, ვერ მივა დოლო აბაშიძის სოსანასთან, რომელიც მან ფილმში „დიდი მწვანე ველი“ განასახიერა. გარდაცვალებამდე, ერთი კვირით ადრე ვნახე დოლო. ეს უზარმაზარი ვაჟკაცი, თოჯინასავით დაპატარავებული იწვა სასთუმალზე, თუმცა, სენიც და სიკვდილიც მხოლოდ ხორცზე ზეობს. ლეგენდები, არც ავად ხდებიან და არც კვდებიან.

აფიშა

ოტია იოსელიანის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში – „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ – განსახიერებული როლი გივი ბერიკაშვილს მართლაც ძალიან მოუხდა. სპექტაკლი კახეთშიც ჩავიტანეთ და გივის სოფელშიც ვაჩვენეთ. იმ სოფელში, საიდანაც გივი ბატონი ბრძანდება, სულ ბერიკაშვილები ცხოვრობენ და მათ შორის, გივიც ბევრს ჰქვია. ამიტომ, მთავარ როლში მონაწილე გივი ბერიკაშვილს დაბნეულობა რომ არ გამოეწვია, აფიშაზე მისი სახელისა და გვარის გასწვრივ, ფრჩხილებში იყო მიწერილი: პანწკალანთი.

სამშობიაროს რიგში...

ოთარ მეღვინეთუხუცესს და გურანდა გაბუნიას, დიდხანს არ ჰყავდათ შვილი. გურანდა გათხოვებიდან 7-8 წლის შემდეგ დაფეხმძიმდა და მშვენიერი გოგონაც გვაჩუ-



ქა. მაგრამ მის მშობიარობასთან დაკავშირებით ისეთი კურიოზის მოწმე გავხსნი, რომ დღემდე მეცინება. ყველას კარგად მოეხსენება ჩვენი ოთარი რაოდენ ემოციური და ფეთქებადი ხასიათის კაცია. დაღვაწიანი ბიჭი და როგორც იქნა, გურანდას მუცელი ასტკივდა. გააქანეს თურმე სავადმყოფოში და დაასხა ოთარს ჭირის ოფლმა. ნერვიულობს, ლელავს, მხარდაჭერა სჭირდება. და დამირეკა: გიგა, მიშველე, გურანდა წაიყვანესო. რა თქმა უნდა, წავიდი. ვღვაწართ მე და ოთარი სამშობიაროს ფანჯრების ქვეშ, ვცემთ ბოლთას, ვიყურებით საათზე, მაგრამ რად გინდა? – ნანატრი ბავშვი არა და არ ჩნდება. უკვე დამდებია. ისევ გვესმის გურანდას ყვირილი. მე და ოთარი დაღლილობისა და ნერვიულობისგან ფეხზე ძლივს ვდგავართ. აცივდა კიდევ და გადავწყვიტეთ, მოსაცდელში დავმსხდარიყავით. ხუთი წუთის შესულებიც არ ვიყავით, რომ შემოვიდა ერთი ბიჭი, დაჯდა სკამზე და მშვიდი სახით იღიმება. სამიოდე წუთის შემდეგ, შემოდის მედლა. მე და ოთარს უკვე ერთმანეთის გულისცემაც კი გვესმის. მედლა ჩვენ თვალს გვარიდებს და იმ სამი წუთის წინ მოსულ ბიჭს ეუბნება: გილოცავთ, ბიჭი გყავთო! და უცებ იფეთქა ოთარმა: ქალბატონო, ბოლოს და ბოლოს, ვინ გვგონივართ? მე დიდიდანი რიგში ვარ, ჯერ მე მოვედო!... ქალი გაოგნდა, ოთარი კი განაგრძობს: დილას აქეთ, აქ ვღვაწარ, ჯერ ჩემი რიგია, ეს ჩემს შემდეგ არ მოვიდაო?! თან მე მიყურებს, უნდა დავუდასტურო, რომ ის ბიჭი ურიგოდ წავიდა... ძალიან სასაცილო იყო. ამაოდ ვცდილობდი დამემოშმინებინა – ჩემს მეგობარს არაფრის გავგონება არ უნდოდა, ოთარ მეღვინეთუხუცესი მთელი გულით ბრაზობდა...

თავის გადასარჩენად ამერიკაში წასული ქართველები აქაური გაჭირვებულებისთვის ირჯებიან

საზღვარგარეთ არაღვალურად მცხოვრები ქართველები, აქაური გაჭირვებული ოჯახების დახმარების მიზნით, საგანგებო ფონდის შექმნას აპირებენ. ყოველთვიურად ხუთ-ხუთი დოლარიც რომ მოვაგროვოთ, უკიდურესად გაჭირვებულებს მცირე ნუგეშს მაინც ვცემთო, — მითხრა თბილისელმა ექიმმა ქალმა, რომელიც უკვე სამი წელია, ამერიკაში, ნიუ-ჯერსის შტატში ცხოვრობს და თბილისიდან ოჯახის წევრების მიერ გაგზავნილ ჟურნალ-გაზეთებს ეცნობა. მთელი ღამე არ მძინებია, როცა გომელი ბავშვების სიდუხჭირის შესახებ წავიკითხე („გზა“, №10), აქ მცხოვრებ ყველა ქართველს ჩამოვუარე და ვთხოვე, წაეკითხა... ყველას, საკუთარი გაჭირვება გაგვახსენდაო, — მომწერა ქალბატონმა მარინამ, რომელიც ამერიკაში სამუშაოდ სამი წლის წინ წავიდა. აქ მეუღლე და

ორი შვილი დატოვა, ქალბატონი მარინას ძმაც — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ახლა საზღვარგარეთ მუშაობს, მათი დის ქმარიც, ცნობილი ინჟინერი, სახალინზეა წასული... ამ ადამიანებმა ვინაობის გამხელა არ ისურვეს: ეშინათ, ფულის გამოძალვის მიზნით, ვინმემ მათი ოჯახის წევრები არ შეაშინოს. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ისეთი კრიმინოგენული მდგომარეობაა, ქველმოქმედებისაც უნდა გეშინოდესო, — მითხრა ქალბატონი მარინას მეუღლემ, პაატამ, რომელიც ცოლის თხოვნით, გომში, მრავალშვილიანი ოჯახისთვის დახმარების ჩასატანად გაემგზავრა, მერე სამტრედიელ ლალი ჯიბაშვილს შესვდა („გზა“, №14) და მასაც გადასცა ამერიკიდან გამოგზავნილი თანხა, შემდეგ კი თავისი ოჯახის სვედიანი ამბავიც გაგვიმხილა.

ლელა ჭანკობაძე

— ჩემი მეუღლე საკმაოდ ცნობილი ექიმი იყო. მე კომაროვის სახელობის ფიზიკო-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში ვასწავლიდი. ოჯახს რომ ვეჭმნით, მომავალი გარანტირებული გვექონდა: ჩვენი ხელფასებით შეგვეძლო შვილების აღზრდა და ბედნიერად ცხოვრება, მაგრამ საქართველოში მალე ყველაფერი თავდაყირა დადგა. ისეთი სიდუხჭირე გამეფდა, რომ იძულებული გავხდი, რისკზე წავსულიყავი. ვერასდროს ვიფიქრებდი, თუ ქუჩაში დავდგებოდი და რაიმეს გაყიდდი. ესეც გავაკეთე. გაჭირვებას რომ ვაგმკლავებოდი, მე და ჩემმა მეუღლემ სოკოს სათბური მოვაწყვეთ. ჩემი ცოლისა და, თამრიკო და მისი ქმარიც, გვერდში ამოგვიდგნენ. შუა ზამთარში, საშინელ სიცხეში, ცივ წყალში ვწურავდით ბაბბას — სოკოს მოსაყვანად იყო საჭირო. იმ წლებში თითქოს ბუნებამაც გავვიმეტა. საშინელი ყინვა იდგა. ყველანი დაბნეულები და შეშინებულები ვიყავით. მე და მარინა ვიბრძოდით იმისთვის, რომ როგორმე, ჩვენი წინაპრების დანატოვარი ნივთები მაინც შეგვენარჩუნებინა. მაგრამ გაჭირვება აუტანელი აღმოჩნდა და მასთან გამკლავება ვერ შევძელით. სილატაის ზღვარზე მისულებმა, ერთმანეთის თვალებში შიში და სასოწარკვეთა დავინახეთ. ეს ყველაზე ძნელი და მძიმე წუთი იყო ჩვენს ცხოვრებაში.

— ამერიკაში სამუშაოდ წასვლა მარინას იდგა იყო?

— ყველგან ხელი მოგვეკარა. არაფერი გამოგვდიოდა. თამრიკომ თავისი ბინა გაყიდა, მცირე ბიზნესი რომ წამოგვეწყო. ბინაში აღებული ფული დავკარგეთ: ვერც მოგება მივიღეთ და ვერც საწყისი თანხა


შევიწარჩუნეთ. მერე ჩემი ბინა (გმირთა მოედანზე) დავაგირავეთ. ვალებში ჩავვარდით, ვალები უნდა გადაგვეხადა. ამაზე ორი აზრი არ იყო. მეგალებს არ შევუწუხებოვართ: გვიცნობდნენ და იცოდნენ, ფულს აუცილებლად დავუბრუნებდით. ამ დროს გამოჩნდა ახლობელი, რომლის დაც ამერიკაში იყო წასული. იმდენს აგზავნიდა ამერიკიდან, რომ მისმა ოჯახმა ამოისუნთქა. მაშინ თქვა მარინამ — დროა, მეც გავრისკო. პირველ ცდაზე არ გაუმართლა: ტურისტული ვიზით მიდიოდა, მაგრამ მოატყუეს და სამი ათასი დოლარი დავკარგე. ხლა ის კაცი, ვინც მაშინ მარინას ეხმარებოდა, ციხეში ზის. ჩვენ მის წინააღმდეგ სარჩელი არ შეგვიტანია: ვინ იცის, მასაც როგორ უჭირდა, მაშინ ხომ ყველა, არსებობისთვის იბრძოდა. ახლა იმ საშინელ წლებზე აღარავინ საუბრობს. თითქოს ყველას გეინდა, დავივიწყოთ სასოწარკვეთისა და იმედგაცრუების წლები, როცა მთელი ღამეები პურის რიგებში ვიდექით, ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში ფეხით მივიდიოდი, როცა არ ვიცოდით, სად მოგვხვდებოდა ბრმა ტყვია...

— თქვენ თავად არ გიფიქრიათ წასვლაზე?

— ვერსად ვერ ვიცხოვრებ. საქართველოს გარეშე როგორ უნდა გავეძლო?! თბილისი, ქუთაისი, ფოთი, ჩემი საყვარელი ქალაქებია. ვერ წარმოძღვრებ, მათზე მეტად, რამ უნდა მომხიბლოს. სხვისი დიდება ჩემს ქუთაისზე დიდი არ შეიძლება იყოს. მარინაც ასეთია. არ ეგონა, თუ წასვლას შეძლებდა, არც უნდოდა წასვლა. მაშინ თორნიკე, ჩემი ბიჭი,

მეოთხე კლასში იყო, მარიაში — მეორეში. თორნიკე ამ სამ წელიწადში ისე შეიცვალა, მისი ცნობა შეუძლებელია. მარინასთვისაც ძალიან ძნელი აღმოჩნდა ახალ გარემოსთან შეგუება. ენობრივი ბარიერი არ ჰქონდა, თორემ, ალბათ, უფრო გაუჭირდებოდა. ახლა ამერიკელებთან მუშაობს. ერთ კარგ ოჯახს საოჯახო საქმეების მოგვარებაში ეხმარება: კარგად უხდინან, კარგადაც ეყრობიან. წელს დაბადების დღე რესტორანში გადაუხადეს.

— ექიმის დიპლომი თუ გამოადაგა?



გომელი ლენასა და ჯემალ შიუკაშვილების შვილები

თამარიკო:

— არა. ერთი თვის წინ, თავისი დიპლო-
მი გამოგვიგზავნა. გული მეწურება, რომ
წარმოვიღგენ მარინას თეთრი ხალათის
გარეშე... თავიდან, „სასწრაფოს“ ექიმად
მუშაობდა; პაციენტებს ისე უყვარდათ,
ზოგჯერ უმიზეზოდ იძახებდნენ ხოლმე;
ბევრს მასთან საუბარიც კი ამშვიდებდა...
მეც ექიმი ვარ. წლების მანძილზე, გააფთრე-
ბით ვიბრძოდით, სტუდენტები რომ გავმს-
დარიყავით. მარინამ ბევრსაც მიაღწია და
უფრო მეტის გაკეთებაც შეეძლო. მაგრამ
მისი კარიერა ალბათ დამთავრდა. სამი
წელია, არ გვინახავს ერთმანეთი. თავიდან,
ექვსი თვით წავიდა.

— **მასთან ერთად, ალბათ, ბევ-
რი ქართველი ცხოვრობს. ბრუკლინ-
ში რომ ჩავედი, ქართველები ტი-
რლით შემომგებნენო, — გამიმხი-
ლა ტელეფონით საუბრისას. რატომ?
რა იცით იქ მცხოვრები ქართვე-
ლების შესახებ?**

— ბევრი რამ არ ვიცი იმ ხალხზე,
ვინც იქ მუშაობს, მაგრამ ვხვდები, რომ
ყველა მათგანს ძალიან უჭირს. მარინას
ტელეფონით საუბრის დროს წამოსცდება
ხოლმე, რომ ერთ ქართველს ნერვიული
სტრესი აქვს, ცუდად არისო... ნერვიული
შეტევები იქ სურდოსავითაა. მარინასაც
ალბათ, ძალიან უძძიმს უჩვენობა. ყოველთვი-
ურად სამას დოლარს იხდის ჩვენთან
ტელეფონით საუბრისთვის. როცა შევატყობ,
რომ ცუდ ხასიათზეა, ვეკითხები ხოლმე
— როგორ არიან ქართველი გოგონები-
მეთქი? ზოგს თურმე ისე უჭირს სამსახ-
ურის მოძებნა, რომ იძულებულია, ისეთ
ოჯახში იცხოვროს, სადაც დედ-მამა ან
ყველა, ნარკომანია. გასათხოვარი, ანგელოზ-
ივით გოგონები ფსიქიკურად დაავადე-
ბულებს უვლიან. სამსახურის გამოცვლა
ძნელია. ორი-სამი თვის მანძილზე უმუშე-
ვარი რჩები თურმე და იძულებული ხარ,
დანაზოგიც კი დახარჯო. რამდენიმე
ქართველმა თვითმკვლელობაც კი სცადა
თურმე. სისულელეა, რომ ამბობენ — აქედან
წასულები ამერიკაში ამორალურ ცხოვრე-
ბას ეწვეიანო. მარინა ხშირად მეუბნება
ხოლმე: აქ იმით ვარ ბედნიერი, რომ არც
ერთ უწესო ქართველს არ შევხვედრივა-
რო. მონატრებულ ოჯახის წევრებზე
დარდით, ქალებს ჩამაგებელი აქვთ თვალები,
უძილობის დასაძლევად უამრავ წამალს
სვამენ. ზოგი რობოტივით მუშაობს და
ციდილობს, არაფერზე და არავისზე არ
აფიქროს, რომ არ გაგიჟდეს.

— **მარინას წასვლის შემდეგ,
საგრძნობლად თუ გაუმჯობესდა
თქვენმა მატერიალურმა მდგომარეობამ?**

— ახლა ჩვენ ბევრს ვეხმარებით, მაგრამ
ვიჭირვებთ და ამის ხარჯზე, ჯერ ვერც

ბინა ვიყიდეთ და ვერც დაგირავებული
ბინა გამოვიხსენით...

პაპატა:

— მარინა არავისთვის თავს არ ზოგავს,
ყველას ეხმარება. ჩვენი ახლობლებიდანაც,
უმეტესობას ძალიან უჭირს. ჩემი და,
ქუთაისში ცხოვრობს. სამი პატარა ბიჭი
ჰყავს. ძალიან გვიან გათხოვდა. მეორე
მშობიარობის დროს, სერხემლის გამრუდე-
ბა დაემართა... ვერ ვუთხარი მარინას, ჩემს
დას უჭირს და დაეხმარე-მეთქი, რადგან
ვიცი, რომ ყოველი ცენტრი საშინელი
მონატრების ფასად აქვს ნაშოენი. მაგრამ
მარინამ თვითონ დაურეკა და უთხრა: ჩადი
თბილისში, რაც დაგჭირდება, ყველაფერს
გაგიკეთებენო. მარინას მეგობარს, ექიმ გოგ-
ონას გაუჭირდა ძალიან. მასაც დაეხმარა.

თამარიკო:

— ზოგჯერ ისეთ გუნებაზე ვარ, ვიტყვი
ხოლმე: მოვიდებ ბავშვებს ხელს და მეც
წავალ აქედან-მეთქი. თვითონ მარინას კი,
ვერ ათქმევინებ, — არ ჩამოვალო. ამბობს —
საქართველოში უნდა ვიცხოვრო. შარშან
ძალიან რთული ოპერაცია გამიკეთეს თავის
ქალაზე. ვისთანაც მარინა ცხოვრობს, იმ
ოჯახის დახმარებით, გერმანიაში წავიდა
სამკურნალოდ. თანაც, მინიმალურ ფასებ-
ში გამიკეთეს ოპერაცია: ორმოცი ათასი
დოლარი ღირდა, ჰე კი მხოლოდ სამი
ათასი დაეხარჯე. გაოცებული დავრჩი. ერთი
სიტყვით, მარინა ძალიან კარგ ხალხთან
მუშაობს.

— რას უგზავნით ამერიკაში?

— ძირითადად, ფოტოსურათებს და ჟუ-
რნალ-გაზეთებს. ახლა ორი ფილმი ჩავწე-
რეთ: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და „მე,
ბებია, ილიკო და ილარიონი“. მარინა ამ
ფილმების ნახვით ძალიან ისიამოვნებს.
როცა მეუბნება — რაღაცამ სიხარული
მომანიჭაო, — ეს ათასჯერ უფრო მეტ
სიამოვნებას მე მანიჭებს, რადგან ასეთ დროს,
მგონია, რომ წუთით მაინც გაუნელდება იმ
მონატრების სიმწარე, რასაც ჩვენი უნახაო-
ბით განიცდის.

პაპატა:

— ყაზბეგის პროსპექტზე, მარინას ბინა-
ში ვცხოვრობდით. ის ბინა გავყიდეთ და
გლდანში გადავედით. ბავშვებიც იქვე მივიყ-
ვანე სკოლაში. მივედი სკოლის დირექ-
ტორთან და ვუთხარი: მეუღლის წასვლის
შემდეგ, ჩემი მისია ის არის, რომ ბავშ-
ვებთან ერთად ვიყო-მეთქი; ვთხოვე, იშვი-
ათად, ერთი გაკვეთილი მაინც ჩამატარე-
ბინეთ-მეთქი. დამეხმარა და საათები მომ-
ცა. სკოლამ და ახალმა გარემომ იძულებ-
ული გამხადა, მიეღო ძალების მობილი-
ზება მომეხდინა. მართოს ბავშვების აღზრდა
მაინც გამიჭირდა. დახმარება თამარიკოს
ვთხოვე. მისი ქმარი სახალისზე წავიდა
სამუშაოდ. თამარიკო, თავის შვილთან ერ-
თად, საცხოვრებლად ჩვენთან გადამოვიდა.



სამგრედელი ლალი ჯიბაშვილი

ერთად ვზრდით ბავშვებს. თამარიკომ ჩემს
შვილებს დროებითი უღელბა გადაატან-
ინა.

— **ალბათ, ძნელია ცხოვრება,
როცა ცოლი ამერიკაშია, ქმარი კი
— საქართველოში...**

— ხანდახან საკუთარ თავსაც არ ვუშხ-
ელ იმას, რასაც განვიცდი. სურათებს რომ
ვათვალიერებ, ხმის ამოღების თავიც აღარ
მაქვს. ყოველთვის მინდოდა, ისეთი ცოლი
მყოლოდა, რომელიც არ იქნებოდა მხო-
ლოდ „კუსხარკა“; მეგობარი მჭირდებოდა.
ახლა ჩემი სულიერი მეგობარი ჩემგან
ძალიან შორსაა. ეს საშინელებაა. არ ვიცი,
კიდევ რამდენი წელი ვიქნები უძმისოდ.
როგორც კი მატერიალურ პრობლემებს
მოვაგვარებთ, მაშინვე დაბრუნდება. რომ
მიდიოდა, დავფიქრდი — რა გავატანო-
მეთქი? — ჩემი ქორწინების ბეჭედი მოვ-
იხსენი და კისერზე ჩამოვიკიდე; თავად
მარინას, ბეჭედი უკვე გაყიდული ჰქონ-
და... ოცნებად მექცა ნორმალურად ცხ-
ოვრება — ისე, როგორც ექიმისა და მას-
წავლებლის ოჯახს შეეფერება.

— **მარინას ჩამოსვლის შემდეგ,
თქვენმა ფაქტობრივად, ხელახლა მოგი-
წვეთ ერთმანეთის გაცნობა. ამაზე
თუ გიფიქრიათ?**

— ამაზე ბევრს ვფიქრობ ხოლმე. ალ-
ბათ, ქორწილს ხელმეორედ გადავიხდით...
ამ რამდენიმე წნის წინ, ბავშვები მის ნივთებს
ათვალიერებდნენ და საქორწილო კაბა
გამაღეს. ხელით შეხება ვერ შევძელი,
ცრემლი მომერია; ბავშვებს რომ არ შეე-
ჩნიათ, მეორე ოთახში გავიდი... 8 მარტი
არის ჩვენი შუულებების დღე. სანამ მარინა
აქ იყო, ამ დღეს მისთვის ყოველთვის მიმ-
ქონდა ყვავილები. წასულია, ყვავილებს კი
მაინც ვყიდულობ და უსიტყვოდ ჩვენს
საძინებელში ვდებ ხოლმე...

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. შიზოფრენია არ იკურნება.
2. ჰუტინი გარეგნულად კეისარს ჰკავს.
3. ბასა ფოცხიშვილს იტალიელი ბაბუა ჰყავს.
4. სატევარი, ყელე, ხანჯალი და ყამა სინონიმებია.
5. ორი აპრილი გოგი ქვეთარაძის დაბადების დღეა.
6. დიუბეგი უმაღლესი ხარისხის მაკელონური თამბაქოა.
7. გამოთქმა „ვრავ ნაროლა“ პირველად ვლადიმერ ლენინმა იხმარა.
8. საბჭოთა კავშირმა ავღანეთის ომში 13300 ჯარისკაცი დაკარგა.
9. რუსუდან ფეტვიაშვილი სამხატვრო აკადემიაში უგამოცდოდ მიიღეს.
10. „მტერს მიწას მხოლოდ საფლაოდ მივცემ“, – წერდა მუხრან მაჭავარიანი.



11. პაბლო პიკასოს სახელოსნო პარიზში ბატოლავუარის ქუჩაზე მდებარეობდა.

12. პეტი გრძელიწინდას ამქვეყნად ყველაზე მეტად (რა თქმა უნდა, რევანდის კრემის შემდეგ) პოლიციელები უყვარდა.

13. კრემლი მდინარე მოსკოვისა და ნეგლინიის შესართავთან მდებარეობს. იგი გვიმით არასწორი სამკუთხედი და 27,5 ჰექტარ ფართობს მოიცავს.
14. „მეორე მსოფლიო ომის დროს კიდევ როგორღაც მოახერხეთ, რომ რომი და პარიზი ღია ქალაქებად გამოეცხადებინათ. დღეიდან ამის იმედი ნუ გექნებათ!“ – მუშტებს უქნევდა ვეროპის ქვეყნებს ნიკიტა ხრუშჩოვი.
15. „ქართული ენის დამახინჯება კრიმინალური დანაშაულია“, – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ედიშერ მაღალაშვილმა. P.S. ეს საზოგადოებრივი მართლა რომ ისევ ბოლდეს სისხლის სამართლის კოდექსით, საქართველოს ტელევიზიის დიქტორთა უმრავლესობა ალბათ კარგა ხნის დახვრეტილი იქნებოდა.
16. „სამხრეთ და ჩრდილო ოსეთის წარმომადგენლებმა მიმართეს გერმანიის რწმუნებულს, გრაფ შულენბურგს, რომ მას ეშუამდგომლა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის შეერთებაზე საქართველოსთან ფედერაციულ პრინციპებზე“, – წერდა გაზეთი „რევოლუციური დრო“, 1918 წლის 15 ივნისის ნომერში სათაურით „ოსების შუამდგომლობა“. P.S. თვით ის ამბავი, რომ ჩრდილოეთ ოსეთს საქართველოსთან უნდოდა



ინგა პრიბოლია ინსპექტორს უახლოესი უახლოესი კამ კოპოპოპო

რუმბიკის დღევანდელი სტუმარი, ყველასათვის ნაცნობი, ლამის „მომბის“ ენერჯიული წამყვანი — ინგა პრიბოლია. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზორის ეკრანიდან ზოგიერთ მაყურებელს აგრესიულ ქალბატონად ეჩვენება, პირადი ურთიერთობისას ძალიან სასიამოვნო, ცოცხალი მოსაუბრეა. ინგა ახალბედა მძღოლია და ავტომობილური გადაცემათა კოლოფით აღჭურვილი, თავისი ნაცრისფერი „ფორდით“, ხშირად ქმნის ავარიულ სიტუაციას.

ხათუნა ჯავახიშვილი

— ინგა, როდის ისწავლე მანქანის მართვა და ვინ გასწავლა?
 — 10 თვეა, რაც მანქანის მართვა ვისწავლე, სპეციალურ კურსებზე დავდიოდი. ბუნებით ძალიან მშიშარა ვარ და არანორმალურად გამიჭირდა მანქანის მართვის ათვისება. „მექანიკური“ მანქანის საჭესთან ჯდომა დღემდე ძალიან მიჭირს: „რიჩავს“ ხელს რომ კვიდებ, იმის მაგივრად, რომ წინ ვიყურო, ქვემოთ ვიხედები. ჩემმა მასწავლებელმა მკითხა: რა ფასიანი მანქანა უნდა იყიდო? როდესაც თანხა დაუუსახელე — იქნებ 500 დოლარიც დაამატო და „ავტომატიკა“ იყიდო, — მირჩია.

— ალბათ პირველად ძალიან გაგიჭირდა მანქანით ქალაქში მართვა გამოსვლა?

— თბილისი ძალიან გადატვირთული ქალაქია ტრანსპორტის მოძრაობის მხრივ და ამის გამო, ძალიან დაძაბული ვივარდები ხოლმე საჭესთან. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა, ძლივს მივეჩვიე. დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, თუ ვინმე არ მეჯდა გვერდით, ვერ ვჯდებოდი საჭესთან. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, რომ ასე არაფერი გამომივიდოდა, დავვარდები მარტო და წავედი. ასეთი გამოთქმა მაქვს: „რადღაც მე მანქანის მართვა მოვახერხე, ე.ი. ადამიანს ყველაფრის გაკეთება შეუძლია, ანუ არანაირი გადაუჭრელი პრობლემა არ არსებობს“.

— ერთი წელი არც არის, რაც საჭესთან ზიხარ. აქედან გამომდინარე, ალბათ ეს შენი პირველი მანქანაა.
 — ეს ჩემი პირველი მანქანაა და საკმაოდ იაფფასიანი. როცა პირველად ჯდებოდი, ძვირად ღირებული მანქანა არც უნდა იყიდო. ჯერჯერობით, არც ვაპირებ გამოცვლას: სანამ კარგად არ ვისწავლი მართვას, ჩემთვის ახალი მანქანა მენანება. ამ „ფორდს“ უკვე ორჯერ დასჭირდა სერიოზული რემონტი და ეს რომ ძალიან „მაგარი“ მანქანა იყოს, მოვკვდებოდი ამაზე დარდით...

— მანქანა საკუთარი ფულით შეიძინე თუ ვინმემ გაჩუქა?
 — ჩემით შევიძინე, 3.300 დოლარად. 7 თვე ვაგროვებდი ფულს. ჩემს ცხოვრებაში არასდროს შემეიგრებოდა ფული, მა-

გრამ მანქანა იმდენად მინდოდა, რომ 7 თვის განმავლობაში ყველაფერზე უარს ვამბობდი. ბოლოს მივხვდი, რომ ღირდა ამის გაკეთება, რადგან საკუთარი ფულით ნაყიდი მანქანის ქონა ძალიან სასიამოვნოა.

— როგორც აღნიშნე, შენს მანქანას ორჯერ დასჭირდა სეროიზული რემონტი. ავარიაში მოყვები?

— ერთხელ ჩემმა შვილმა დაამტვრია, ერთხელ — მე. იმის გამო, რომ ძალიან გაბიჭირდა მართვის დაუფლება, მაშინვე ვეჩხუბებოდი — ხომ შეიძლება, ბავშვობაში გესწავლებინა, ამხელა ქალი, ახლა ვსწავლობ-მეთქი... ეტყობა, ამის გამო, მაშინვე მა ჩემს 12 წლის გოგონას ასწავლა მანქანის მართვა. მარიამმა ჩათვალა, რომ საჭევსთან დაჯდომის უფლება ჰქონდა და ფარეხიდან თავისით გამოიყვანა მანქანა და დაამტვრია.

— შენ როგორი რეაქცია გქონდა?

— ისტერიკაში ჩავვარდი, როდესაც წარმოვიდგინე, რა შეიძლებოდა მოსვლოდა ბავშვს. როგორც მარიამმა ამხსნა, შორს არ წაუყვანია, მაგრამ ქარიშხალი იყო, საიდანაც ფიცარი გადმოვარდა, მანქანას საჭის გასწვრივ დაეცა და ჩაჭეჭყა. მანქანა საპირისპიროდ რომ მდგარიყო, სეროიზული ტრაგედია მოხდებოდა. მას მერე, მარიამი მანქანაში უჩემოდ აღარც კი ჯდება, აკრძალული აქვს.

— შენ როგორ დაამტვრეე მანქანა?

— ავარიის წინა დღეს, მანქანაზე მუხრუჭის „კალოდკები“ გამომიცვალეს. ხელოსანმა გამაფრთხილა: თავიდან მუხრუჭები კარგად არ დაიჭერს და ფრთხილად იყავიო. ვაკეში მოვდიოდი, ცოტა სწრაფად. დავამუხრუჭე, მაგრამ კარგად არ დაიჭირა და ჩემ წინ მიმავალ მანქანას დავეჯახე. მძღოლი გადმოვიდა, არა უშავსო, — თქვა, ჩავჯდა ისევე და წავიდა. დამნაშავე მე ვიყავი, მაგრამ არაფერი მომთხოვა. ეჭვი გამიჩნდა, რომ მას პოლიციასთან საქმის გარჩევის თავი არ ჰქონდა.

— იქნებ, ეს პატივისცემა იყო ინგა გრიგოლიას მიმართ?..

— არა, ეს პატივისცემა არანაირად არ ყოფილა. მანქანაში გოგონა ეჯდა, რომელმაც თავი მიარტყა... უბრალოდ, გაიქცა. ამკარად არ აძლევდა ხელს პოლიციასთან კონტაქტი. ისიც ვიფიქრე, — მანქანა მოპარული ხომ არ იყო-მეთქი?! ყოველ შემთხვევაში, მე პრობლემა არ შემქმნია.

— სახელოსნოში თავად დაგყავს მანქანა?

— არა, მაშინვე დაჰყავს ხოლმე. ორჯერ მქონდა ხელოსანთან შეხება და ვერაფერი გაუფეხე. ისიც აღმოვაჩინე, რომ როდესაც მე მიმყავს მანქანა ხელოსანთან, მკვლევარ ხოლმე; მაშინვე მანქანა სხვანაირად იქცევიან. ბოლოს, ისეთი ძვირი დამიჯდა რემონტი, ცოტა ფული რომ დამემატებინა, კიდევ ვიყიდი ერთ კარგ მანქანას. ქალს მაინც განსაკუთრებით ატყუებენ ხელოსნები.

— მანქანის ნაწილებში ცოტათი მაინც თუ ერკვევი?

— ნაწილებს საერთოდ ვერ ვცნობ. ავარიის გამო, ნაწილების ყიდვა მჭირდებოდა, მაგრამ ვერაფერში ვერკვევი. მაშინვე თბილისში არ იყო, ბიძაჩემს მივეცი ფული და მან მიყიდა. რომ დამჭირდეს, საბურავსაც



ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან:



შეერთება, თვალნათლივ მოწმობს, თუ სად გრძნობდნენ უკეთ თავს ოსები.

17. „გლიადა ნა ამერიკანსკი ზაგნივაიში კაპიტალიზმ, სოჩეტსა ნემნოშკა პაგნიცი... პატამუ შტო ნაღოელო პრაცევეტაც!“ — ხუმრობდა კომუნისტების მმართველობის დროს მიხაილ ზაღორნოვი. P.S. ეს სატირიკოსი დღეს ძირითადად, ამერიკელთა განქიქებით „ერთობა“.

18. „სანჩო პანსას როლი ბევრს აქვს ნათამაშები, მაგრამ იგი მართლა იდეალური სანჩო იყო“, — ეს სიტყვები ერთ-ერთ ინტერვიუში კახი კავსაძემ მაშუკა კიკალაიშვილის მისამართით წარმოთქვა.

19. „თუ დილა არ გვალვიძებდეს ახალი საომოვნებისათვის და საღამო არა-რა იმდეს გულში არ გვიტოვებდეს, — ტანისამოსის ჩაცმა და გახდა შრომადაც არ ეღირებოდა“, — წერდა გოეთე.

20. ძაფის საზოვანი სიმკვრივის საზომს, რომელიც გრამებით გამოსახულ 9 კმ ძაფის მასას უდრის, ღენიე ეწოდება.

21. კოლოს კვერცხი, მატლი და ჭუპრი დამღვარ ან მღორე წყალში ვითარდება. მატლი წყლის მტენარეულობით და ცხოველებით იკვებება. იგი სისტემატურად ამოდის წყლის ზედაპირზე და, ისევე როგორც ჭუპრი, ატმოსფერული ჟანგბადით სუნთქავს.

22. მსკდომარე ტყვია „დუღ-დუღი“, რომელიც ძალზე მძიმე ჭრილობას იწვევდა, პირველად ბურების წინააღმდეგ ომში, 1899-1902 წლებში ინგლისელებმა გამოიყენეს. P.S. ამ ტყვიას სახელი ინდოეთის ქალაქ კალკუტის გარეუბნის სახელის მიხედვით ეწოდა, სადაც მას ინგლისელების დაკვეთით ამზადებდნენ.

23. „ფიცი მქონდა დადებული, არც ერთ რესპუბლიკაში აღარ წავსულიყავი. სამწუხაროდ, ფიცი დავარდვიე. აღარ შემიძლია ვუყურო, რა კარგად ცხოვრობენ რესპუბლიკები. ნუთუ აღარ დადგა დრო, დიდმა რუსმა ერმაც კარგად იცხოვროს. ამ მიწაში რუსი ჯარისკაცების ძვლებიც ყრია და კარგად უნდა იცოდნენ, რუსი ჯარისკაცის ძვლები ორჯერ უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე სხვა ეროვნების ჯარისკაცის ძვლები“, — ეს სიტყვა მწერალმა ვიქტორ ასტაფიევიმა კიშინიოვში წარმოთქვა. P.S. ეს ის ვიქტორ ასტაფიევი, რომელმაც თავის განმარტებულ „ლოვლია პისკარეი ვ გრუზი“-ში ქართული ძროხები და ინდაურებიც რომ არ დაინდო.

ჩვენ მივალნით ახას!

საერთო ონის დაკლბა 31 კმ!!!

წონის დაკლბების და ჯანმრთელობის კონტროლის ახალი სისტემის საშუალებით ჩვენ დავიბრუნეთ ახალგამრღული იერი და ჯანმრთელობა!



დაიბრუნეთ თქვენი ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა ჩვენი კვალიფიციური ზედამხედველობის ქვეშ. დაგვირეკეთ: 957067; 227756; 382374; 893345008 ანდრო, ნატა

ვერ გამოვცვლი. ერთხელ ვაშლიჯვარში, რესტორანში ვიყავი დაბადების დღეზე. გვიან ღამით წამოვედი. გზაში მანქანები მისიგნალებდნენ. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. გოთუას ქუჩაზე ვცხოვრობ. უკვე სახლთან ახლოს ვიყავი, რომ მივხვდი – საბურავი იყო დაშვებული. გაჩერებას აზრი არ ჰქონდა, რადგან ვერაფერს მოვახერხებდი. დაშვებული საბურავით ვიარე ამხელა გზაზე და ღისკი გავაფუჭე.

— ბენზინის ჩასხმა ხომ არ გაგიწყვდება ხოლმე?

— ბენზინის არა, მაგრამ ამას წინათ, მანქანა ზეთის უქონლობის გამო დამიზიანდა: შორ მანძილზე წავედი, წამოვედი და თურმე ძრავაში ზეთი იყო დაკლებული. ძრავა კი გადარჩა, მაგრამ რაღაც ნაწილები გაფუჭდა.

— საშიშ სიტუაციებში თუ იბნევი ხოლმე?

— სხვების რეაქციებიდან ვხვდები ხოლმე, რომ ავარიულ სიტუაციას ძირითადად, მე ვქმნი, მაგრამ დაბნევი არ ვიბნევი: ასეთ შემთხვევებში ხშირად მაგინებენ ხოლმე მძღოლები, რაზეც საშინლად ვლიზიანდები.

— რას აკეთებ ხოლმე ამ დროს?

— ხანდახან მხოლოდ ჩემთვის ვნერვიულობ, მაგრამ ზოგჯერ – პასუხსაც ვუბრუნებ. ამ ბოლო დროს ვისწავლე, რომ სხვა მანქანის მძღოლებზე რეაქცია არ უნდა მქონდეს: რამდენიც არ უნდა მისიგნალონ და მაგინონ, მაინც ჩემს გზას მივყვები. ალბათ ამიტომაც არ ვიბნევი. მყარად მაქვს გადაწყვეტილი, რომ მძღოლების გამოხდომებს არ ავყვები. შესაბამისად, მათ რისხვასაც ვიმსახურებ. მაგრამ სამარშრუტო ტაქსების ძალიან მეშინია: საშინლად და-

დიან და ხშირად ავარიულ სიტუაციებს ქმნიან. იმდენად მაგიუებენ, რომ ერთხელ ტელეგადაცემის გაკეთებაც კი გადავწყვიტე „მარშრუტკეზე“.

— მამაკაცებს მიაჩნიათ, რომ ქალს არა აქვს მანქანის მართვის ნიჭი. თუ ეთანხმები ამ მოსაზრებას?

— შეიძლება ასეც არის. ყოველ შემთხვევაში, მე ამკარად არ მაქვს ამის ნიჭი. უბრალოდ, თავი ვაიძულე, დაუფლებოდი მანქანის მართვას. ბავშვობაში თამაში მქონდა აკვიატებული: ერთ ხელში ყოველთვის რაღაც „პაპკა“ მეჭირა, მეორეში „პასტა“, ვითომ სივარეტს ვეწეოდი (ამის გამო დედამეც ბევრჯერ მოუწიწნია ჩემთვის თმა) და ვითომ მანქანაში ვიჯექი. ასე რომ, ბავშვობიდან მომწონდა ქალი საჭესთან, მაგრამ იმის გამო, რომ ვერ ვიყიდი მანქანას, ძალიან დიდხანს ამაზე არც ვფიქრობდი. როცა მივხვდი, რომ შემძლო ყიდვა, თავი ვაიძულე და საჭეს დავეუფლე.

— მუსიკას თუ უსმენ ხოლმე მანქანაში და როგორ ხმაზე?

— საერთოდ, ხმაურიანი ადამიანი ვარ და მუსიკასაც „ბოლო ხმაზე“ აწეულს ვუსმენ. საყვარელი სიმღერები მაქვს ამოჩემებული და ვახვევ და ვახვევ. ძირითადად, მერაბ სეფაშვილსა და თემურ თათარაშვილს ვუსმენ.

— პოლიციელებთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— ბოლო ორი წელია, თმა ქერად მაქვს შეღებილი, მაგრამ ამ ზაფხულს, შეგულების პერიოდში მომინდა და შავად გადავიღებე. მანქანით მოვდივარ და პოლიციელმა გამაჩერა. საბუთები ხშირად მრჩება ხოლმე სახლში და ამჯერადაც არ მქონდა თან. მანქანიდან გადმოვედი და გავეუღიე. პოლიციელმა საბუთები მომთხოვა. მე ისევ გავეუღიე. ბოლოს, ვიღაცას რაციით დაუკავშირდა – მანქანა „შტრაფნიოზეა“ წასაყვანიო, – უთხრა. გავეუღიე. ძალიან მეჩქარებოდა და იძულებული გავხდი, შეკითხვა: მართლა ვერ მიცანით-მეთქი? შემომხვდა და უცებ მეუბნება: ქალბატონო ინგა, თქვენ როგორ ვერ გიცანით, მინისტრი ხომ თქვენ ახლობელიაო: იმ პერიოდში, შინაგან საქმეთა მინისტრი, კანა თარგამაძე იყო, ხშირად მყავდა ეთერში და ეტყობა, პოლიციელმა დაასკვნა, რომ ჩემი ახლობელი იყო...

ამას წინათ, მე და ჩემი მეგობარი მოვიდიოდით მანქანით. წინ ჟურნალისტი მათე კირვალიძე მიდიოდა და პოლიციამ გააჩერა. ვიცოდი, რომ მათეს საბუთები არ ჰქონდა. გავაჩერე მანქანა, თავი გავყავი ფანჯარაში და – ჩვენთან არის-მეთქი, – ვუთხარი პოლიციელს. თქვენ ვინა ხართო? – პოლიციელმა. ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი... მართლაც, ვინა ხარ? – ინგა ხარ, მერე რა, რომ ინგა

ხარ?! გადაღებაზე გვაგვიანდება-მეთქი, – ვუთხარი. – სად მუშაობო? – ინგა ვარ გრივოლია, რა დაგემართა, გამატარე-მეთქი!.. ასე დავისხენი თავი პოლიციის კლანკებიდან.

ერთხელაც ვარაზისხევში გამიჩერდა მანქანა. იქვე ინსპექტორი იდგა და ჩხუბი დამიწყო: პრეზიდენტმა უნდა ჩამოიაროს და ჩქარა გაიარეო. – ვერ მივდივარ-მეთქი. – არ მანტერესებს, როგორც ვინდა, გაიყვანე მანქანაო... გამაგიჟა. გასაღები მივეუღე: მიდი და გაიყვანე-მეთქი. სერიოზული, ხელჩართული ომი გვექონდა შუა ვარაზისხევში. ისეთი ომი იყო, რომ გამვლელებმა მანქანები გააჩერეს, გადმოვდნენ და მაწყნარებდნენ – ნუ ნერვიულობთო. ისინიც პოლიციელები აღმოჩნდნენ და ბოლოს, მათ მიმაცვანინეს მანქანა სახელოსნომდე. ინსპექტორი კი დამემუქრა: მსგავს სიტუაციაში თუ კიდევ ჩავარდები, აუცილებლად სურათს გადაგიღებო... მოკლედ, მანქანის წყალობით, სულ კურიოზებში ვარ, მაგრამ ძალიან მივეჩვიე. მანქანა სახლივითაა.

— ამბობენ, ვისაც მანქანა ჰყავს, უმანქანობა ძალიან უჭირსო...


— ადრე ვცხოვრობდი უმანქანოდ და სულაც არ მიმანდა, რომ მანქანის ყოლა აუცილებელი იყო, მაგრამ ახლა ძალიან მივეჩვიე და აუცილებელ საჭიროებად მექცა. სამი კვირა ვიყავი უმანქანოდ და სერიოზულად განვიცდიდი ამას. მიმანდა, რომ ყველამ უნდა იცოდეს მანქანის მართვა. ძალიან მინდა, რომ ჩემმა შვილმა კარგად ისწავლოს. ახლა ვიგრძენი, ეს რაოდენ საჭიროა: მე ძალიან დატვირთული რეჟიმი მაქვს და მანქანამ ბევრი პრობლემა მომიხსნა. გარდა ამისა, ხანდახან, ძალიან დიდ სიამოვნებასაც მანიჭებს: როცა ცუდ გუნებაზე ვარ, მანქანაში ჩავჯდები და მართლაც ვსეირნობ. გავეუყვები მტკვარს და ორთაჭაღის ბოლომდე გავდივარ. ძალიან მიყვარს იმ ადგილებში სეირნობა და ძალიან ვწყნარდები.

— დაბოლოს, რა მარკის მანქანა მოგწონს ყველაზე მეტად?

— ვგიჟდები დიდ მანქანებზე: ჩემი ოცნებაა რომელიმე „მაგარი“ ჯიპი, რომელსაც კარგა ხანს ვერ ვიყიდი, რადგან ძალიან დიდი ფასი ადევს და შენახვაც ძალიან ძვირი ჯდება. და კიდევ – საოცრად მომწონს ახალი „აულები“.

საუბრის ბოლოს, ინგამ ისიც გამიმხილა, რომ არც ერთ ორმოს არ ტოვებს ხოლმე. „ერთი ასეთი უბედურება მჭირს: არც ერთ „იამკას“ არ ვაცილებ. ტრასა თავისუფალიც რომ იყოს და მხოლოდ ერთი ორმო იყოს, მაინც ჩავარტყამ მანქანას. ჩემს სახლთან არის ერთი „იამკა“, შესანიშნავად ვიცი, რა ადგილასაა, მაგრამ მაინც ვვარდები ხოლმე...“





16 წლის წინ, მერაბ კოსტავას და რუსუდან ბერიძის შვილმა — ირაკლი კოსტავამ თვითმკვლევლობით დაასრულა სიცოცხლე. ქალბატონ რუსუდანს რამდენჯერმე შევეხმიანე, მაგრამ მპასუხობდა, რომ ასე ადვილად ვერ ისაუბრებდა ერთადერთ შვილზე; დრო სჭირდებოდა... მანამდე კი, ირაკლის ლექსების კრებული გადმომცა. სიმართლე გითხრათ, არ ვიცნობდი ირაკლის პოეზიას, მიუხედავად იმისა, რომ ერთი თაობის წამომადგენლები ვართ. ნავიკითხე და შემძრა იმ უღმობელმა რეალობამ, რაზედაც ირაკლი კოსტავას ლექსები ღაღადებს. ირაკლი დაუფარავად ლაპარაკობს მოახლოებულ სიკვდილზე: „თეთრად გაფრინდება თოვლის ფიფქები. ის ერთი ცხოვრებაც. ჩემი ფიქრებიც...“

ირაკლი კოსტავასათვის სიცოცხლე არ იყო უმნიშვნელო და ზედმეტი, მასაც ეძნელებოდა, ამ ღვთიურ მადლზე უარის თქმა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ კატასტროფა გარდაუვალი იყო და ამის თავიდან ასაცილებლად ძალა არ ეყო...

ბოლოს და ბოლოს, რუსუდან ბერიძემ თავი ხელში აიყვანა და შვილზე სასაუბროდ შეხვედრაზე დამთანხმდა.

„ირაკლის თვითმკვლელის ვარსკვლავი ჰქონდა გამოსახული...“

მაია კახიძე

– 1961 წლის 9 მარტს, ჩაჩავას სახელობის სამშობიაროში, მერაბმა, ჩემმა დედამთილმა და დედაჩემმა წამიყვანეს. საღამოს 6 საათზე დაიბადა ირაკლი. მერაბი ისეთი ბედნიერი იყო, ვაჟი რომ შეგვეძინა... მერე მითხრა: მთელი ღამე ქუჩაში დავდიოდი, ნაცნობს თუ უცნობს ვაჩერებდი და ვეუბნებოდი: წარმოგიდგენიათ, ბიჭი შემეძინა, თანაც 9 მარტს-მეთქი!.. მერაბისთვის 1956 წლის 9 მარტის მოვლენები ეროვნული სულის გამოღვიძებასთან იყო დაკავშირებული. ახალგაზრდა ვიყავი და ძალიან ლამაზი მომეჩვენა ჩემი შვილი. პალატაში რამდენიმე ქალი იწვა, ჩამოვიარე და ყველას ვაჩვენე. შავგვრემანი და თვალბებრიალა იყო ირაკლი... სახელი წინასწარ გვქონდა მოფიქრებული, ერთობლივად გადავწყვიტეთ მე და მერაბმა; ეს, რა თქმა უნდა, გამოახილი იყო ერეკლე მეფის მიმართ ჩვენი პატივისცემისა... რამდენიმე თვისა კი, მოვნათლეთ. უფრო სწორად, მე და ჩემი შვილი ერთად მოვინათლეთ. მერაბის ბებია, ეკატერინე გარდაიცვალა იმხანად. უკეთილშობილესი ქალბატონი იყო, ორი დაპატიმრებული შვილი – გრიგოლ და ივანე კოსტავები, ნუსის წვერით შეინახა გადასახლებაში, – სახნებს კერავდა. ირაკლისაც შეუკერა საბანი დიდმა ბებიამ. მის გარდაცვალებას მოჰყვა ნათლობა.

მერაბის უახლოესი და ჩემი ბავშვობის მეგობარი, აწ განსვენებული ვოვა სიხარულიძე (*რომელიც სოხუმში, ჯერ კიდევ ომამდე, აფხაზებთან შეტაკებისას დაიღუპა. – ავტ.*) იყო ჩვენი ნათლია.

— მოდიოთ, ირაკლის ბავშვობაზეც მომიყვით.

– მერაბის მეორე ბებია – ქალბატონი ოლღა დემურია და დედაჩემი გვეხმარებოდნენ. საოცრად ცელქი და მოჩხუბარი ბიჭი იყო. ფეხი მალე აიდგა, ლაპარაკი კი ორი წლისამ დაიწყო, გურიამი, ოზურგეთში ალაპარაკდა. თბილისში რომ ჩამოვიყვანე, გურული კილოთი მეკითხებოდა ხოლმე – „აი, ლაიაა?“ ორწლიანხევრისა ბაღში მივიყვანეთ. პირველ დღეს, მე და მერაბმა ჩაკვიდეთ ხელი და ერთად შევალეთ ბაღის კარი. ახლოს იყო სახლთან, ბელისისკის ქუჩის დასაწყისში. მეორე დღეს უკვე მარტო გავუშვით და მშვენივრად გაიგნო გზა. სკოლაშიც მხოლოდ ერთხელ გა-



მართალია, ცალ-ცალკე ეცხოვრობდით, მაგრამ მერაბი ჩვენთან მოდიოდა, ირაკლიც ხშირად იყო მამასთან

ვაცილე, 1 სექტემბერს და შემდეგ, თავისით დადიოდა. დამოუკიდებელი ბავშვი იყო, დამოუკიდებლობის გრძნობა ძალიან ნაადრევად ჰქონდა განვითარებული... კითხვაც ადრე დაიწყო, მეტისმეტად სერიოზული მკითხველი იყო. მთელი ჩემი ამოცანა ის გახლდათ, რომ როგორც საკვები, ისე მიმეწოდებინა მისთვის წიგნები. ცნობისმოყვარე ბავშვი იყო, უამრავ მკითხვას სვამდა ყველაფრის შესახებ და



გეგა კობახიძე და ირაკლი კოსტავა

კატეგორიულად მოითხოვდა პასუხს. ერთხელ, წითელა ბატონები დაემართა. მაშინ, სათამაშოების დიდი არჩევანი არ იყო, მაგრამ რაც იყიდებოდა, ყველაფერი შევიძინე და მიუტანე. 15-20 წუთში ყველა სათამაშო დაშალა... ფეხბურთის თამაში უყვარდა, სპორტით გატაცებული არასოდეს ყოფილა, თუმცა, მერე ისეთი აღნაგობისა ჩამოყალიბდა — მაღალი, ლამაზი, ათლეტური... ძალიან ნიჭიერი იყო მათემატიკაში, სწრაფად და კარგად აზროვნებდა. მეც ვამეცადინებდი და გულწრფელად გეტყვით: ასეთი კარგი მოწაფე არ მყოლია (როგორც ცნობილია, ქალბატონი რუსუდანი პროფესიით მათემატიკოსია. — ავტ.). ირაკლიმ კომპაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა დაამთავრა. გამორჩეულად უყვარდა კითხვა, მისი ასაკის კვალობაზე, საოცრად ნაკითხი იყო... მომხდარი ტრაგედიის ერთერთ მიზეზად, სწორედ ეს მიმაჩნია: მაგალითად, 18-19 წლის ასაკში შოპენპაუერის ღრმად გაგება ალბათ ნაადრევია... ძალიან უყვარდა პოეზია, უამრავი ლექსი იცოდა ზეპირად. რუსული პოეზიის მოტრფიალე იყო, გამორჩეულად კი, მაიაკოვსკი უყვარდა, მაგნიტივით იზიდავდა მისი ტრაგიკული ბედი... მაიაკოვსკის ბევრ ლექსს ზეპირად ამბობდა ზოლმე. ახლო მეგობრები ვიყავით, სულიერი, ამალღებული და ინტელექტუალური ურთიერთობა გვქონდა. მე ვიყავი ირაკლის ლექსების პირველი მსმენელი და შემფასებელი. ზოგჯერ, როცა ბებიასთან იყო და იქ დაწერდა რამეს, დამირეკავდა და ტელეფონით მიკითხავდა...

— ვისთან მეგობრობდა თქვენი შვილი?

— უამრავი მეგობარი ჰყავდა. ჩვენ-

თანაც იკრიბებოდნენ ზოლმე და მამამისის სახლშიც. თავისი განათლების წარმოჩენა არ უყვარდა. ძალიან კარგი თამადა იყო, თამალობის დროს უყვარდა ლექსების კითხვა. მერაბს ჰქონდა განსაკუთრებული დეკლამაციის ნიჭი (სხვათა შორის, უპირველესად, ამოღობლა მერაბ კოსტავამ), ჰოდა, მისი ეს ნიჭი ირაკლისაც

გამოჰყვა: შესანიშნავად კითხულობდა — როგორც თავის, ასევე სხვის ლექსებსაც.

ბოლო წლებში ფილოსოფიამ და რელიგიურმა ლიტერატურამ გაიტაცა. მეც და მამამისაც საუკეთესო მეხსიერება გვქონდა, მაგრამ ირაკლიმ ორივეს გადაგვაჭარბა. ჩვეულებრივ ადამიანზე 3-4-ჯერ უფრო სწრაფად კითხულობდა, ამაში კი, მე დამემსგავსა. უნივერსიტეტში, მათემატიკურზე ჩააბარა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ უდავოდ კარგი მათემატიკოსი დადგებოდა, დამთავრების შემდეგ, მეცნიერებას არ გაჰყვა. უნივერსიტეტის მერე, სარეჟისოროზე უნდოდა ესწავლა, თეატრალურ ინსტიტუტში. საერთოდ, ირაკლი ეძებდა თავის თავს და თავის გზას, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, რომ იმ უზარმაზარმა ინფორმაციამ, რასაც ის წიგნებიდან იღებდა, დიდი ზეგავლენა მოახდინა მასზე...

— ქალბატონო რუსუდანი, თქვენი და მერაბ კოსტავას განქორწინებამ არ მოახდინა ზეგავლენა? ირაკლი ხომ საკმაოდ პატარა იყო, თქვენ რომ გაიყარეთ?

— ალბათ, არა. გაყრის პერიოდში, მე და მერაბს შესანიშნავი, მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. დაძაბულობა ჩვენ შორის არ იყო. მართალია, ცალ-ცალკე ვცხოვრობდით, მაგრამ მერ-

მთელი ჩემი ამოცანა ის გახლდათ, რომ როგორც საკვები, ისე მიმეწოდებინა მისთვის წიგნები. ცნობისმოყვარე ბავშვი იყო, უამრავ შეკითხვას სვამდა ყველაფრის შესახებ და კატეგორიულად მოითხოვდა პასუხს.

აბი ჩვენთან მოდიოდა, ირაკლიც ხშირად იყო მამასთან. მე და მერაბი თანაცხოვრებისას ვერ ვეწყობოდით, თორემ ისე, უდიდესი მეგობრები ვიყავით. თან, სხვადასხვა დროს, სამჯერ შევრიგდით. ის კი არა — კა-გე-ბე-ში მოვაწერეთ ხელი. საქართველოს კა-გე-ბე-ს ისტორიაში მე ერთადერთი ქალი ვარ, ვინც ქმართან კა-გე-ბე-ში მოაწერა ხელი. ჩვენი მოწმე ამ ხელის მოწერის დროს ზვიად გამსახურდია გახლდათ. ირაკლი მამამისს დასცინოდა: კაცი ხარ ახლა შენ?! — სამჯერ შეერთე ცოლი და სამჯერვე, ერთი და იგივე ქალიო...

მე და ირაკლი ერთად მივემგზავრებოდით ზოლმე ციმბირში მერაბის სანახავად. ის ფაქტიც, რომ მერაბი დაპატიმრებული, გადასახლებული იყო და მასთან შეხვედრაც ირაკლისთვის, რა თქმაუნდა, ყოველთვის მძიმე იყო, მაგრამ ეს სულიერ და ინტელექტუალურ პროცესებთან უფრო იყო დაკავშირებული, რამაც იმ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, რომ სიცოცხლე აღარ ღირდა... რატომ, რისთვის — მიჭირს ამაზე საუბარი. თუ არსებობს იქითა სამყარო და იქ შევხვდებით ერთმანეთს, ამ მიზეზებს გაეიგებ... მაგრამ ირაკლიში, რალაცნაირად მწიფდებოდა პესიმიზმი, სევდა... მისი ლექსების ყოველი სტრიქონიდანაც ჩანს ეს. ორი ირაკლი არსებობდა: ერთი — სიცოცხლითა და იუმორით სავსე, ლამაზი, მშაკაცს ჩხუბში რომ გაჰყვებოდა, ქეიფის, გოგონების მოყვარული... მეორე ირაკლი კი — ისეთი იყო, როგორც მის პოეზიაში ჩანს და რომელიც ძალიან ბევრს ფიქრობდა სიცოცხლის აზრზე, ყოფნა-არყოფნის მარადიულ კითხვაზე, ალესილი დანებით მოკლულ სიმართლესა და სიქველზე... ირაკლის არ უყვარდა, არ სჩვეოდა ვაება. ის არც თავის ლექსებში შესთხოვს ვინმეს შევლას, მაგრამ





ირაკლის უკანასკნელი დღეების შესახებ.

— იმ პერიოდში ირაკლი განარბული იყო, ეამყებოდა, რომ მერაბი ნობელის პრემიაზე წარადგინეს, თუმცა, საბჭოთა ხელისუფლებამ იმდენი მოახერხა, რომ არც მერაბს და არც დანარჩენებს ეს პრემია არ მიუღიათ. როდესაც ჩემმა შვილმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, მე მატარებელში ვიჯექი, ოზურგეთიდან მოვდიოდი. შუაღამისას გამოძევება და აღარ დამეძინა... არა, ამ საშინელებას არანაირი წინაპირობა არ ჰქონია. ორ თებერვალს, საღამოს, მეგობრის შვილის დაბადება აღნიშნეს; ირაკლი თამადა იყო, მშვენიერი დრო გაუტარებიათ. მისი მეგობრები, იმ საღამოს ერთად რომ იყვნენ და მეორე დღეს ირაკლის თვითმკვლელობის ამბავი გაიგეს, ვერაფრით იჯერებდნენ, რომ ირაკლი აღარ იყო... ირაკლი შინ გვიან დაბრუნდა. რადგან მე თბილისში არ ვიყავი, ჩემმა მეგობარმა დაურეკა. ირაკლის უთქვამს — უკვე შინ ვარ, ზეინაბ დეიდაო. მერე უახლოესმა მეგობარმა, ზურა წერეთელმა დაურეკა. ირაკლის შუაღამისას გამოუთქვამს მასთან წასვლის სურვილი, მაგრამ ზურამ უარი უთხრა — გვიანია უკვეო. ზურა სულ განიცდიდა მერე — რატომ არ დავანებე ჩემთან წამოსვლაო?! ვაჟა ადამიას ძმა, ზურა, რომელიც ჩვენს ეზოში ცხოვრობს, გვიან დაბრუნებულა და სინათლე რომ დაუნახავს, უფიქრია — ბილიარდის სათამაშოდ დაუძახებო, — თუმცა, მანაც იმ მიზეზით გადაიფიქრა, რომ გვიანია იყო. ირაკლის ერთი მეგობარი სამჯერ მისულა, სასწრაფო საქმე ჰქონია და ვერ უნახავს... მრავალი შემთხვევითობა იყო, რომელსაც ირაკლის გადარჩენა შეეძლო, მაგრამ... მე ძალიან მჯერა ბედისწერის — ალბათ ასე უნდა მომხდარიყო... ქირომანტიის ნიშნით თუ ვიმსჯელებო, ირაკლის თვითმკვლელობის ვარსკვლავი ჰქონდა გამოსახული ცერა თითზე.

— ბარათი არ დაუტოვებია ირაკლის?
— არა.

— ქალბატონო რუსუდან, ათას რამეს ამბობდნენ — მოუწყვეს, ამით გაამწარეს მერაბ კოსტავაო...

— ყურით მორთეული ჭორებია. ბუნებრივად მიმაჩნია, რომ ასეთი ჭორები გავრცელდა, მაგრამ გულთან ახლოსაც არ მოსულა ამგვარი ხმები, ამის ლოგიკური საფუძველიც არ იყო.

ყოველგვარი ეჭვის გარეშე მივიღე, რომ მას ეს უნდოდა და ჩაიდინა კიდევ. სრულიად გამოთიშული რომ ვიყავი, მაშინაც კი არ დამცდენია საყვედური, — მე რატომ გამიკეთა-მეთქი?... მან საკუთარი თავი გაიმეტა — მე რა შუაში ვიყავი?! თუმცა, მერაბი კი ამბობდა — მე რატომ გამიკეთაო. თავისთავად, მერაბის საყვედურში იყო ლოგიკა, იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო მაშინ თვითონ მერაბი...

რამდენ საფლავს უვლით, ქალბატონო რუსუდან?

— ოთხს. ოღონდ, რეაბილიტირებული მამაჩემის საფლავი დედის გვერდით სიმბოლურად გავაკეთე; მამა 1942 წელს დახვრიტეს... ირაკლის სურათები კი, სამივე ოთახში მიკიდია. პირველი რვა წელი, ხშირად მიმიწვევდა გული საფლავისაკენ: რელიგიური ლიტერატურის მიხედვით, რვა წლის შემდეგ მიცვალებული ყველანაირ კავშირს კარგავს საფლავთან... ირაკლი შიგნით, ჩემშია... ახლა, თვეში 2-3-ჯერ მივდივარ ხოლმე სასაფლაოზე.

ერთ შეკითხვასაც დაგისვამთ: ბატონო მერაბის სურათიც თუ კიდია თქვენს ბინაში?

— რა თქმა უნდა და ძალიან მომწონს ის სურათი. ირაკლის ფოტოებს კი, რომელიც ოთახებში მიკიდია, შეჩვეული ვარ, ამ სურათების გარეშე არ შემიძლია. სხვა სურათების ნახვა ან ალბომის გადაშლა ძალიან მიჭირს — მაშინვე ქარიშხალი ამოვარდება ხოლმე...

P.S. 24 წლის ბიჭის თვითმკვლელობის შემდეგ ნათელი გახდა, რომ თავისი ლექსებით თურმე სიცოცხლეს ემშვიდობებოდა:

ჩემი წახვალა
გართიმული ცვირთი თაობის,
გამოეფინა ვარდისფერ ქუჩებს,
აუნონელა, ვიო სიმძიმე
აჩრახობის,
სულთს ხილრმეშავს გასხაპავს
ბუჩქებს...

უამრავი მეგობარი ჰყავდა. ჩვენთანაც იკრიბებოდნენ ხოლმე და მამამისის სახლშიც. თავისი განათლების წარმოჩენა არ უყვარდა. ძალიან კარგი თამადა იყო, თამალობის დროს უყვარდა ლექსების კითხვა.

ნატრობს ადამიანთა ურთიერთობების გადავილებას... ირაკლიმ მაშინ დაარქვა სახელი თავისი თაობის სატიკვარს, როცა ვერავინ ბედავდა იმის აღიარებას, რომ „სხვებს შეენაცვლა დიდი შავი მზე“... ყოფნა-არყოფნა, მისთვის ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანი საკითხი იყო, მაგრამ ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ირაკლი საკუთარ თავთან მარტო რჩებოდა...

ქალბატონო რუსუდან, რატომ არ ატყებთ განგაში, როდესაც ერთადერთი პირმშო ასეთ ლექსებს გიკითხავდათ?

— ყველა დიდი პოეტი პესიმისტური ლექსებით იწყებდა. სასაცილო იქნებოდა, ირაკლის თავისი მონაცემებით, ინტელექტითა და გონებით „ვარდის ფურცლებზე“ ან „მთვარის ქვეშ ყოფნა რა კარგია“-ზე დაეწერა. სავსებით ბუნებრივი იყო, რომ მის ლექსებში გარკვეული სიღრმე უნდა ყოფილიყო. მე ყოველთვის ვფიქრობდი — იმ ირაკლის, რომელსაც მიწაზე მყარად ედგა ფეხი, მიწიერი იყო და ყველაფერი მშვენიერი უყვარდა, — მეორე ირაკლი ვერ აჯობებდა, მაგრამ, საუბედუროდ, ასე არ მოხდა...

კრებულში, თქვენდამი მოძღვნილი ლექსი წავიკითხე. მე მგონი, ირაკლი გამოგეთხოვიათ ამ ლექსით...

— ერთხელ მითხრა: ყველაზე კარგი ლექსი შენ მოგიძღვენიო...

— თუ შეგიძლიათ, მიაგზავთ



ანსაცმლის სადემონსტრაციო მანეკენები პირველად, XIX საუკუნის ლეგენდარულმა დიზაინერმა ჰუარემ გამოიყენა. გოგონები კლიენტებს

საკუთარ ტანზე მორგებულ ტანსაცმელს წარუდგენდნენ. მოდების ნებისმიერ სერიოზულ სახლს ჰქონდა მანეკენების ოთახი, სადაც კოლექციის ჩვენება ეწყობოდა. იმ დროს მანეკენები პოდიუმზე სახალხოდ არ გამოდიოდნენ და სტუმრების ყურადღებაც მხოლოდ ტანსაცმელზე იყო გამახვილებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაშინ მანეკენი გოგონებისგან, ბუნებრივი სილამაზის გარდა, აუცილებლად მოითხოვდნენ თავის წარმოჩენის უნარს, კარგ მანერებსა და განათლებას. სხვათა შორის, სწორედ მაშინ დაიწყო მოდელად მუშაობის მსურველი გოგონების ფეხების სიგრძის შემოწმება.

რუსეთში მომხდარი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, საზღვარგარეთ ემიგრანტების პირველი ტალღა გაჩნდა. მათ შორის, მრავლად იყო ფულის და პროფესიის გარეშე დარჩენილი არისტოკრატი გოგონა და მათაც იმ საქმიანობას მოჰკიდეს ხელი, რაც ძალიან კარგად ეხერხებოდათ: ეს – მდიდრული ტანისამოსის ღირსეულად ტარება, კარგი მანერების დემონსტრირება და თავის წარმოჩენა იყო.

იმ დროს, საზღვარგარეთ ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მოდელად, რომანოვების ნათესავი და თავადების შთამომავალი ნატალი პოლეი იყო მიჩნეული. ის თურმე იმდენად ლამაზი იყო, რომ მის დაქირავებულს, მოდის სახლის – „ლელონგის“ მფლობელს, გოგონა უზომოდ შეუყვარდა, დიდი წვალებით მოახერხა ცოლთან გაყრა და ემიგრანტ მზეთუნახავზე იქორწინა.

კინოხელოვნების განვითარებამ და ეკრანის აღიარებული ქალღმერთების გაჩენამ მოდის სამყაროშიც შეიტანა ცვლილებები. გრეტა გარბოსა და მარლენ დიტრიხის ცივმა სილამაზემ მანეკენების ახალ ტალღას გაუხსნა გზა. მათ შორის, ყველაზე ცნობილი, ლედი აბლი იყო. ეს მანეკენი იმ-

სუპერმოდელი

ცნება „ტოპ-მოდელი“ და „სუპერმოდელი“ არცთუ ისე დიდი ხნის წინ გაჩნდა. თავდაპირველად მათ მაღალი კლასის მანეკენებს უწოდებდნენ, თანდათანობით კი ადამიანებმა ისინი ეკრებებადაც აქციეს.

დენად ჰგავდა გრეტა გარბოს, რომ ბერლინში ყოფნისას, ფოტოგრაფების შიშით, სამი დღე სასტუმროს ნომრიდან ვერ გამოდიოდა. როცა ქალაქში ნამდვილი გარბო ჩაეიდა, პრესა ერთხმად ამტკიცებდა, რომ „აბლი გაცილებით უფრო ჰგავს გარბოს, ვიდრე თვით გრეტა გარბო...“

მოდის ცნობილი სახლების კოლექციების წარდგენას დელოფები და პრინცესებიც არ თავილობდნენ. მაგალითად, 1951 წელს, კრისტინ დიორის ერთ-ერთი მოდელი, პრინცესა მარგარეტი იყო; 1953 წელს კი, დიორის კაბების დემონსტრირებას ჰელენა არპელის ახდენდა.

60-იანი წლების სიმბოლოდ, მოდელი ტვივი იქცა. მას მოზარდი გოგონას იმიჯი ჰქონდა და იდუმალ ქარიშხალსა და სინაზეს ერთდროულად განასახიერებდა. მამაკაცებში კი, ტვივი ქალზე მზრუნველობისა და შორიდან ტკობის სურვილს აღძრავდა.

დროის შესაბამისად იცვლებოდა ცხოვრების სტილი, მოდა და სილამაზის სტანდარტებიც. პოდიუმზე კი ერთმანეთს ვარსკვლავები ცვლიდნენ. სამოდელი ბიზნესში წინსართი „ტოპ“ ლინდა ევანგელისტამ დაამკვიდრა: სწორედ ის იღებდა იმ დროისთვის ყველაზე საარაკო პონორარებს – პოდიუმზე თითო გასვლისთვის მას 10-12 ათას დოლარს უხდიდნენ. წარმოშობით კანადელ ლინდას თანაბარი წარმატებით შეეძლო განესახიერებინა სკოლის მოსწავლე გოგონაცა

და 50-იანი წლების დელოფალიც: „მიხვდით, რომ სუპერმოდელებზე უდიდესი მოთხოვნილება იყო, – აცხადებდა ლინდა კარირის დასაწყისში. – ამქვეყნად ყველაზე მეტად, სწორედ მოდელითა მსურდა. მე შესანიშნავი განათლება მაქვს მიღებული, გარეგნობასთან დაკავშირებული კომპლექსები არ მაწუხებს და პოდიუმზე იმდენ ხანს დავერჩები, რამდენ ხანსაც შევძლებ.“

როცა ევანგელისტამ თმა შეიჭრა და თავისი „საფორმო“ ვარცხნილობა წარადგინა, ეს მოვლენა მსოფლიო სენსაციად იქცა. მას შემდეგ, ის ხან გრძელ თმას ატარებდა, ხან – მოკლეს, ხან მუქწაბლისფრად იღებავდა, ხან კი ცეცხლისფერი თმით ჩნდებოდა.

მეორე, არანაკლებ ცნობილი მოდელი, სინდი კროუფორდი ახლაც ფიქრობს, რომ



ი. ჭავჭავაძე „... კალამო“	სახელმწიფო ეკონომიკაში	ფრანგი მხატვარი ამადლეო ...	რიცხვი – „ეშმაკის ლუკინი“ ანუ ...	მოფერებითი მშენებლობა ახალგაზრდა ქალისადმი იგალიაში	უქარი	
ჩხამოძინი	ამოღონი	ინანი	სამედიის	ინი	იოხი	
განსაცმელის ჩასაწყობი ხელბარგი	„მშენ. ... ნუ ეფარები გორა- სა“	მსახრობი ქალაქი ელიავა	საკუროტო ქალაქი საფრანგეთში	ინდიელისა და ვეროპელის შვილი	ბოსგნული	... გატყდა, გავარდა“

ამ პროფესიაში სრულიად შემთხვევით მოხვდა: „მე სუპერმოდელისთვის აბსოლუტურად შეუფერებელი აღნაგობა მაქვს – ფართო თეძოები, დიდი მკერდი, დაკუნთული ფეხები და გამხდარიც არ მეთქმის. დიეტების დაცვა და თავის გაკონტროლება ხშირად მიწევდა. იმ ფიცარივით გამხდარ გოგონებს არასოდეს ვგავდი, ვის ტანზეც ყველა ტანსაცმელი იდეალურად აღიქმება; ჩვენებისთვის შეკერილი ტანსაცმლის უმეტესობა არ მერგებოდა, მაგრამ თუკი მიაჩნდათ, რომ კოსმეტიკისა და ტანსაცმლის რეკლამისთვის შესაფერისი ვიყავი, უარი რატომ უნდა მეთქვა?!“



მოდელი კრისტი ტარლინგტონი წარმოშობით კალიფორნიელია. მან სამოდელო საქმეში ღრმად ჩახედული ადამიანებიც კი გააოცა, როცა თავზეხელაღებული მოზარდიდან, ულამაზეს და საკმაოდ გამორჩეული სახის ნაკვთების მქონე ქალად იქცა. იმასაც ამბობდნენ, რომ კრისტიმ კლინტ ისტუულის გულის დაპყრობაც მოახერხა, მაგრამ რაც უფრო ვრცელდებოდა ჭორები, მით უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭდა კრისტი.

მოქნილ და მეტისმეტად დახვეწილ შავკანიან მოდელს – იმანს, ათობით მამაკაცი ჰყავდა ჰკუდან შემლილი, სპირტიან სასმელებსაც ეტანებოდა და ნარკოტიკებსაც. მისი სახელი ათი წლის მანძილზე მუდმივად ფიგურირებდა სკანდალურ ქრონიკებში, მაგრამ ამ გარემოებას იმანისთვის ხელი არ შეუშლია, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი მდიდარი მამაკაცის, დევიდ ბოუის გული მოენადირებინა.

ნაომი კემპბელის ცხოვრება და სასიყვარულო თავგადასავლები დიდი ხანია, ლეგენდად იქცა. ჭორებს მისი და რობერტ დე ნიროს ურთიერთობის შესახებ, მთელი წლის მანძილზე უტრიალებდნენ უურნალგაზეთები, ხოლო ფლამინგოს ცეცხლოვან მოცეკვავესთან – ხოაკინ კორტესთან გაჩაღებული წარუმატებელი რომანი, მოდელს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა და უურნალისტებმა ეს ამბავი დეტალურად მიმოიხილეს.

როცა დიზაინერ კელვინ კლანინის საყვარელი მოდელი, ამერიკელი ამბერ ვალეტა, რომელსაც საავადმყოფოში წვეთოვანი ჰქონდა დადგმული, გონს მოვიდა, მაშინვე უამრავი უურნალისტი დაინახა, რომელიც მოდელისგან სენსაციურ აღიარებას ელოდა. არადა, მოდელი საკვებით იყო მოწამლული, მაგრამ ეს არავინ დაიჯერა და მალე იმდენი დაუჯერებელი ჭორი გავრცელდა ცალმხრივ, გაუზიარებელ სიყვარულზე, რომ პრესაში ამბერის გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა, ქალი ღრმა ნერვიულ სტრესამდე მიიყვანა.

მილიონერ ქართან – დონალდ ტრამპთან ივანა ტრამპის განქორწინების პროცესმა ამერიკელები ორ ბანაკად დაყო: ივანას სილამაზის თაყვანისმცემლები საყვარელი ქალის დასაცავად პეტიციებსაც კი წერდნენ, ისინი კი, ვისაც სამოდელო ბიზნესი გულზე არ ეხატებოდა, მოითხოვდნენ, რომ ივანას, განქორწინების შედეგად, ქმრის მილიონებიდან არაფერი რგებოდა. თუმცა, მაშინ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და ახლა პოდიუმს ივანას ქალიშვილი, დედის სეხნია ლაშქრავს. სხვათა შორის, გოგონა პოდიუმზე გამოჩნისთანავე, სუპერკლასის მანეკენთა რიგს მიაკუთვნეს. ბოროტი ენები კი დარწმუნებულნი არიან, რომ პატარა ივანას კარიერას, დედის დიდმა გამოცდილებამ, კარგმა აღზრდამ და მამის მილიონებმა შეუწყო ხელი.

გერმანელი მოდელი კლაუდია შიფერი დიდი ხანია უურნალისტთა გადაჭარბებულ ყურადღებას იპყრობს. რამდენიმე წლის წინ, მისი და ცნობილი ილუზიონისტის, დევიდ კოპერფილდის შესაძლო ქორ-

წინების განხილვა და ამ საკითხზე დავაკამათი გერმანელ ობიგატელებს 204 ათასი დოლარი დაუჯდათ, ამერიკელებს კი – 624 ათასი.

წარმოშობით პრარელი ადრიანა სკლენარიკოვა კი სამოდელო ბიზნესში რეკორდსმენის სახელით არის ცნობილი – მისი ფეხების სიგრძე 127 სანტიმეტრია და ეს ფაქტი გინესის რეკორდების წიგნშიც არის დაფიქსირებული.

თავის დროზე, სტეფანი სეიმურმა შიმველმა მხოლოდ ერთხელ გადაიღო სურათები კარგ ფოტოგრაფთან და მისი ეს ნაბიჯი მაშინვე ჯეროვნად შეფასდა: ის „ფლეიბოის“ მოდელი გახდა და ერთ-ერთ ცნობილ საგაზეთო მაგნატს გაჰყვა ცოლად. სტეფანამ სამი შვილი ისე გააჩინა, რომ პოდიუმზე პრაქტიკულად არ მიუტოვებია და ამის შემდეგ, უურნალმა „ფლეიბოიმ“ მისი ფოტო თავის გარეკანზეც კი მოათავსა. სხვათა შორის, გინესის რეკორდების წიგნში სტეფანი სეიმურიც მოხვდა – როგორც სამი შვილის დედა-მოდელი.



რეკორდსმენთა რიგში ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი ათი თვის მოდელი – ამერიკელი მაკაილა იანგიც მოხვდა. ამ ასაკში მან უკვე სილამაზის 20 სხვადასხვა კონკურსში მიიღო მონაწილეობა და პოდიუმზეც გაისეირნა. პატარა მოდელს საუკეთესო მოძავალს უწინასწარმეტყველებენ.

მიუხედავად ამისა, ენა ერთხმად აღნიშნავს, რომ სამოდელო ბიზნესში ბედი ძალიან დიდ როლს ასრულებს. ზოგიერთი გოგონა წლების განმავლობაში ცდილობს სახელის მოხვეჭას, ზოგი კი – ღამით დაიძინებს და მეორე დღით უკვე პოპულარული იღვიძებს, თუმცა, უდავოა ის ფაქტიც, რომ დიდი შრომისა და მონღოლების შედეგად, ამ საქმეში ნამდვილად ბევრის მიღწევაა შესაძლებელი.

ნომერი	აიდას საგრფო ამავე სახელწოდების ოპერაში	ქალაქის	ელექტროფიციური გრანსპორტი	მონაკოს ქალაქი ...კარლო	ორატორი	კაქისი ძმა
პოეტური მოქმედების მიზნობა	დედ-სამშინ-სახელი	პირის-სახელი	გამიანი, სიროფი-ანი სსსმელი	რემინუ-ლი უსული	ღამის-ფრინ-ველი	ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფე ...პეტრე
					გარკვეულ საზღვრებში მოქცეული მიწის სივრცე	ღამის-შეი

სახელმწიფოებში ვიზიტები თვეობით მზადდება... აქ კი, მოისურვეს მეგობრებმა ერთმანეთის ნახვა და... იცით, ამ უპრეცედენტო მეგობრობას რამდენი მომუხრე თვალი უყურებს?

— მომუხრეებს შორის დიპლომატებიც ხომ არ ურევან?

— მე ამჟამად ღუაინი ანუ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის ყველაზე „სტაჟიანი“ ელჩი ვარ და როგორც საქართველოს ხელისუფლებასთან, ისე ჩემს კოლეგებთან კონტაქტების უფრო მეტი შესაძლებლობაც მაქვს. მე ისეთი ქვეყნების ელჩების რიგში ვდგავარ, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი... ისინი საკუთარი თვალთ ხედავენ, თუ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა დღით დღე წინ როგორ მიიწევა და კიდევ უფრო მტკიცდება. ამ ურთიერთობით ბევრი ნამდვილად აღფრთოვანებულია, ზოგს კი თეთრი შურით შურს. მეც სწორედ ამ შურზე მოგახსენებდით, თორემ პირადად მე, საქართველოში აკრედიტებულ მთელ დიპლომატიურ კორპუსთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაქვს.

— კონკრეტულად სომხეთის ელჩთან ურთიერთობაზე რას იტყობით?

— ყველაფერ კარგს. ჩვენ ერთმანეთს საკმაოდ ხშირად ვხვდებით და მთელ რიგ საჭირობორთო საკითხებზეც გულახდილად ვმსჯელობთ. ცხადია, ჩვენ, ელჩებს, ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული კონფლიქტების გადაჭრის ძალა არ შეგვწევს, თუმცა, ამ სატკივარზეც ხშირად ვსაუბრობთ. ვერც სომეხი და ვერც აზერბაიჯანელი ხალხები სამხრეთ კავკასიიდან ვერსად წავლენ. ამიტომ, ადრე თუ გვიან, ამ ორმა ხალხმა მშვიდობიანი თანაარსებობის ურთიერთმისაღები გზები უნდა დაეძებნათ. სხვანაირად უბრალოდ, არ შეიძლება!

— საერთოდ, როგორც დიპლომატს, „არა“-ს თქმა ხშირად გიხდებათ? აკი ხუმრობაც კი არსებობს; დიპლომატი, რომელიც „არა“-ს ამბობს, დიპლომატი აღარ არისო...

— ჩვენ ხომ, ჩვენს სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისთანავე შევთანხმდით, რომ ერთმანეთს ნოტების ენაზე კი არა, მეგობრობის ენაზე დავლაპარაკებოდით და დღემდე ასეცაა. ამიტომ, როცა ერთმანეთს ვხვდებით, პირდაპირ ვამბობთ, რისი გაკეთებაა შესაძლებელი და რისი — არა. ხანდახან კი ერთმანეთისთვის შეუძლებელსაც ვაკეთებთ ხოლმე, რაც, ცხადია, დიპლომატიური ეტიკეტის დაურღვევლად ხდება...

— ეტიკეტს რაც შეეხება, ერთგან ამოვიკითხე, რომ დიპლომატიისთვის ეტიკე-

ტის დარღვევა ისევე დაუშვებელია, როგორც ჭეშმარიტი მორწმუნისათვის ეკლესიაში ქუდით ან მეჩეთში ფეხსაცმლით შესვლა...

— ღმერთმა ყველა ჭეშმარიტ მორწმუნეს ამოროს ასეთი საქციელი! მეც ასეთი მორწმუნე ვარ, თანაც, მეჩეთშიც დავდივარ და ქრისტიანულ ტაძარშიც...

— მეჩეთში, ცხადია, სალოცავად, ქრისტიანულ ტაძარში კი, ალბათ, უფრო, ცნობისმოყვარეობის გამო, ხომ?

— არა, რატომ? მე ქრისტიანულ ტაძარში სანთელსაც ხშირად ვანთებ ხოლმე. თქვენთვის ეს საქციელი, უფრო ადვილად გასაგები რომ გახდეს, მინდა, ჩემ მიერ აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე გამოცემული წიგნიდან — „ჰეიდარ ალიევი და საქართველო“ ერთი ადგილი წაგიკითხოთ. აი, რა წერია იქ: „ჩვენა გვწამს ღმერთი და ვინც მადლით მოგვევლინა, აბრამ და ისმაელ, ისააკ, იაკობ, თორმეტი ტომი; ჩვენა გვწამს წიგნები, რომელიც მოსესა და იესოს ებოძათ, წიგნები, რომელიც წინასწარმეტყველებს ჩაჰბარდათ უფლისაგან; ჩვენ არ ვსდებთ განსხვავებას მათ შორის და ღმერთსაც მივინდობთ“, — ეს არის ჩვენი უკანასკნელი მოციქულის მუჰამედის პასუხი ქრისტიანთა და ებრაელთა კითხვაზე, თქვენი წინამორბედი წინასწარმეტყველებიდან ყველაზე მეტად ვისი გვამთო...

— ყველაფერი გასაგებია... ახლა კი მოდი, ისევ ჩვენს ყოველდღიურობას დაკუბურდეთ. რამდენადაც ვიცი, ბაქოში თბილისის ქუჩა არსებობს...

— დიახ. და, თანაც, ქუჩა კი არა, მთელი პროსპექტიც, რომელიც ქართველი მოქანდაკის გაა ჯაფარიძის მიერ შექმნილმა ძეგლმა — „ცეცხლოვანი რაში“, კიდევ უფრო დაამშვენა. ამ ძეგლს ბევრი, „გამოთავისუფლებული ენერჯის სიმბოლოსაც“ უწოდებს. თავად აზერბაიჯანს ხომ, მიწის წიაღიდან ამომავალი დიდი ენერჯის გამო, „ცეცხლის ქვეყანაც“ ჰქვია...

— ისე, შესაძლებლად ნამდვილად არ ვამბობ, მაგრამ, მოგესხენებათ, თბილისშიც არის ბაქოს ქუჩა, რომელიც მიწიდან ამოსულმა ენერჯიამ — მიწისძვრა მაქვს მხედველობაში, — ლამის მიწასთანაც გაასწორა...

— სამწუხაროდ, მიწისძვრამ თბილისს მართლაც დიდი ზიანი მიაყენა. როგორც კი ეს უბედურება მოხდა, ჩვენმა პრეზიდენტმა მაშინვე დაურეკა თქვენს პრეზიდენტს, თანაურგონო და მხარში ღვთისაღუთქვა, რასაც, მიუხედავად იმისა, რომ თავად აზერბაიჯანსაც ბევრი ლტოლვილი და უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანი ჰყავს, კონკრეტული დახმარებაც მალე მოჰყვება...

— თბილისში ოჯახით ცხოვრობთ?

— მეუღლესთან ერთად. ჩემი ვაჟები ბაქოში ცხოვრობენ და მუშაობენ. უფროსი ჩემსავით მენავთობა, უმცროსმა კი ეკონომისტობა არჩია. მყავს წლინახევრის შვილიშვილიც... სხვათა შორის, ჩემი მეუღლეც ჩემი თანასოფელელია. სკოლაშიც ერთად ვსწავლობდით. პროფესიით ბიოლოგია. ერთხანს კიდევ მასწავლებლობდა. ახლა აღარ მუშაობს. უფრო სწორად, ელჩის მეუღლის მოვალეობას ასრულებს — ოფიციალურ მიღებებსა თუ წვეულებებზე მოსულ სტუმრებს მასპინძლობს...

— პირადად თქვენ თუ გიყვართ სტუმრები?

— ძალიან. ამ კედლებს არაერთი საპატიო პიროვნების, დიპლომატის, ხელისუფლების წარმომადგენლის, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა თუ უბრალოდ მეგობრის სტუმრობა ახსოვს. ყველას ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. იცით, აზერბაიჯანში რას ამბობენ? ოჯახი, სადაც სტუმარი არ დადის, უბრალოდ, არ არსებობსო. აზერბაიჯანულ ოჯახში ყველაზე გემრიელი, ყველაზე ნუგბარი საჭმელი ყოველთვის სტუმრისთვისაა გადამახული და მას ოჯახის არც ერთი წევრი ხელს არაფრით ახლებს. ასეა ჩემს ოჯახშიც...

— ისე, თქვენთან, ალბათ, ტრადიციული ჩაის გარეშე არც ერთი სტუმრობა არ სრულდება...

— მეტიც — ეს ჩვენი წესია. ჩვენ სტუმარს არც კი ვეკითხებით, ჩაით ისე ვუმასპინძლებით. აკი არც თქვენ გეკითხეთ, ჩაი გნებავდით თუ ყავა...

— ძალიანაც კარგი, რომ არ მკითხეთ. ასეთ გემრიელ ჩაის ყოველდღე აბა ვინ დამალევიანებს... ისე, იქნებ, ჩაის დაყენების თქვენული რეცეპტიც გვასწავლოთ?

— განსაკუთრებული რეცეპტი ნამდვილად არ მაქვს. უბრალოდ, ჩაი ინდური უნდა იყოს, წყალი — ქართული, ნაყენი კი — აზერბაიჯანული...

— იქნებ, ისიც მითხრათ, ბატონი ჰაჯან ჰაჯიევი საკუთარ ოჯახშიც დიპლომატია თუ, როგორც მეუღლე და მამა, ზედმეტი სიმკაცრით ანდა, პირიქით, განსაკუთრებული ლმობიერებით გამოირჩევა?

— როგორც მეუღლე და მამა, მე ის ადამიანი ვარ, ვისაც ძალიან უყვარს საკუთარი ოჯახი. სხვათა შორის, წელს, ნოემბერში, 30 წელი სრულდება, რაც მე და ჩემი მეუღლე ერთად ვართ.

— სერიოზული თარიღია. ალბათ, საგანგებოდაც აღნიშნავთ...

— უეჭველად. ოღონდ, ჯერ ვერ გადაგვიწყვტია, ბაქოში აღვნიშნოთ თუ თბილისში. თუმცა, აქაც და იქაც, სტუმარი ნამდვილად არ მოგვაკლდება...



ელენე სალარიძე

«ლაკლაკიძეთა მადონა» უძვირფასესი ხატი მომაკვდინებელი ცოდვის გამოსასყიდად...

... ღვთისმშობლის ხატების კომპოზიცია სათავეს საქართველოში იღებს.

... დიდგვაროვან ლაკლაკიძეს ძმისშვილი მოუკლავს.

... მომაკვდინებელი ცოდვის გამოსასყიდად ღვთისმშობლის უძვირფასესი ხატი შეუწირავთ ზარზმის მონასტრისთვის.

... ხატი საუკუნეთა განმავლობაში ამკობდა ეკლესიას.

... XVI საუკუნეში თურქებს გამორიდებული ხატი ოზურგეთში გადააქეთ, შემოქმედის ეკლესიაში.

... ლაკლაკიძეთა მადონა მრავალფეხურიანი, რთული კომპოზიციაა.

... სახარებისეული ყოველი კომპოზიცია დამოუკიდებელი, დახვეწილი ნამუშევარია.

... იერუსალიმში შესვლის მინიატურაზე წინასწარმეტყველს გრაფიკული უჭირავს, რომელზეც ასომთავრული წარწერაც კი იკითხება.

... ანტირელიგიურმა ტალღამ ლითონქანდაკებაზე დამკვრებული 32 უძვირფასესი პატროსანი თვალი თავისი ბუდეებიანად შეიწირა.

... ხატის წარწერის გაშიფვრაზე თვით ექვთიმე თაყაიშვილმაც იმუშავა.

... ხატმწერი იმდენად თავმდაბალი ყოფილა, რომ საკუთარი ვინაობის შესახებ არაფერი მიუნიშნებია.

ლაკლაკიძეთა ღვთისმშობლის ხატს ქართული ხელოვნებათმცოდნეობის მეტრი გიორგი ჩუბინაშვილი „ლაკლაკიძეთა მადონას“ უწოდებდა და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მასზე გამოსახული კომპოზიცია (ღვთისმშობელი ყრმით და სახარებისეული მინიატურები) სათავეს იღებს საქართველოში, XI საუკუნეში და რომ საქართველოდან მიეცა დასაბამი ამ ტიპის ხატების შექმნას ბიზანტიაში და იქიდან იტალიაში. ვერ გეტყვით, რამდენად იზიარებენ ამ მოსაზრებას უცხოელი ექსპერტები, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ეს ჭედური ხატი ქართული ხელოვნების საგანძურში მადონასავით მშვენიერი და გამორჩეულია.



მარშმა. ლაკლაკიძეთა შეწირული ღვთისმშობლის ხატი XI ს.

ხატი უკავშირდება დიდგვაროვან ლაკლაკიძეთა გვარს. ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებით, არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ ერთ-ერთმა ლაკლაკიძემ მოკლა თავისივე ძმისშვილი. უდიდესი, მომაკვდინებელი ცოდვის გამოსასყიდად ოჯახს ოსტატისთვის ღვთისმშობლის ხატი შეუკვეთია, რომელიც შემდგომ ზარზმის მონასტრისთვის შეუწირავთ.

ზარზმის მონასტარი:

ადიგენის რაიონს ახლაც ამკობს ზარზმის გუმბათოვანი ეკლესია, სამრეკლო და ერთნავეიანი სამლოცველოები. ეკლესია სერაპიონ ზარზმელის სახელს უკავშირდება და მისი პირვანდელი სახე (რომლის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი) სავარაუდოდ VIII-IX საუკუ-

ნით თარიღდება. აქ დღესაც შეიძლება X საუკუნის უნიკალური წარწერის წაკითხვა, რომელიც ბარდა სკლიაროსთან დავით კურაპალატის ძლევაშილილი გამარჯვების ამბავს მოგვითხრობს. გახსოვთ, ალბათ დიდებული სარდალი თორნიკე ერისთავი და მისი თავდადება ქართველთა მოკავშირე ბიზანტიის ახალგაზრდა იმპერატორისადმი...

ზარზმის ფერისცვალების ცნობილ ხატთან ერთად ლაკლაკიძეთა მადონა საუკუნეების განმავლობაში ამკობდა ძველთაძველ ეკლესიას, რომელიც სხვადასხვა დროს განახლდა და გაფართოვდა.

XVI საუკუნეში სამცხე-ჯავახეთში განსაკუთრებით განშირდა თურქების შემოსევა. მტერი, პირველ ყოვლისა, ერის სიმიდრეს ანადგურებდა და სწორედ ამიტომ, ორივე ხატი გურიაში, შემოქმედში გადაიტანეს.

ახლა საკუთრივ ლაკლაკიძეთა ხატის შესახებ

ლაკლაკიძეთა მადონა რთული კომპოზიციური ნამუშევარია, ქართული ლითონქანდაკებლობის მნიშვნელოვანი ძეგლი. მისი ზომებიც საკმაოდ მასშტაბურია – 80 X 64 სმ-ზე. ვერცხლის ჭედური ნაკეთობა მთლიანად დაფერილია ოქროთი. კომპოზიციის ცენტრალური ფიგურა წარმოადგენს ღვთისმშობელს ყრმით (მარიამისა და იესოს სახეები ფერწერითაა შესრულებული). გამოსახულება უჩვეულო სით-

ბოთი და სინაზით გაჯადოებს თითქოს – ყრმას ხელები დედის კისერზე შემოუხვევია და ლოყა ლოყაზე მჭიდროდ მიუკრავს.

ხატის კიდევზე, რომელიც საკმაოდ ფართოა (სიგანე 13 სმ) და მოვარაყებულია ვიწრო, დახვეწილი ზოლით, განლაგებულია ცალკეული კომპოზიცია მაცხოვრისა და მარიამის ცხოვრებიდან. ეს არის ერთგვარი მშვენიერი ქობა – შესამკობელი ღვთისმშობლის გამოსახულებისა. და მიუხედავად მინიატურული ზომებისა, სახარებისეული თითოეული სცენა (ასეთი კი თოთხმეტი) ცალკე დასრულებული და შთამბეჭდავი ნამუშევარია.

მკითხველისთვის, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ძალიან მოკლედ მიმოვიხილავთ თითოეულ მინიატურას:

– ღვთისმშობლის მარჯვნივ ჯვარცმა გამოსახული, ქრისტეს სისხლჩამდინარე ჭურჭელი და გოლგოთა აქ თითქოს გამოლიანებულია და ცოდვათა განსაწმენდად მოგვიხმობს. შეიძლება ჯვარცმით კომპოზიციის დაწყებას ის დატვირთვაც ახლავს, რომ ხატი ძმათა კვლის მომაკვინებელი ცოდვის „გამოსასყიდად“ შეუქმნიათ...

– ჯოჯოხეთში შესვლა მეტისმეტად ამალღებული და სულისშემძვრელია – მაცხოვარი ორ მთას შორის (მათზე აღმატებული) დგას დამარცხებულ ეშმაკზე...

– ამალღების სახარებისეული სცენაც განუმეორებელია – ოთხ ანგელოზს ქრისტე აუტაცია, ქვემოთ მარიამი დგას ორ ანგელოზთან და მოციქულებთან.

– მიძინების ცნობილი სცენა ამ ხატის მინიატურაში თავისთავადობით გამოირჩევა.

– ცენტრალური ფიგურის მარცხენა, ზემოდან მეორე მინიატურა ხარებას ასახავს.

– მორიგ მინიატურაში ახალშობილი ქრისტეს მალლა ტაძრის ორიგინალური გუმბათი მოჩანს.

– ფერისცვალების მინიატურა ზემოწვევით ასახავს სახარებისეულ ეპიზოდს.

– ხატის მარჯვენა ნაპირზე მოთავსებული მეორე მინიატურა იერუსალიმში შესვლის ეპიზოდს წარმოადგენს. წინასწარმეტყველს (რომელიც სცენის მარცხენა ზემო კუთხეში დგას) ხელში გრაგნილი უჭირავს და ამ გრაგნილზე ასომთავრული წარწერაც კი იკითხება – „იხარე ფრიად ასულო სიონისაო“.

– მორიგი სცენა მდინარე იორდანეში განხორციელებული უფლის საიდუმლო, ნათლისღებაა, რომელშიაც გველის გაჭყლებილი თავიც ფიგურირებს.

– მომდევნო გახლავთ ქრისტემობის დიდებული მინიატურა: აქაც მოჩანს წარწერა – დიდება მალალ ღმერთ.

– ქვემოთა ქობაზე, მარცხნივ წმინდა ანას და იოაკიმეს მტრედები მოჰყავთ...

– მომდევნო მინიატურაზე გამოსახულია წმინდა ანა შადრევანიან, იქვეა ანგელოზი.

– ღვთისმშობლის დაბადება რატომღაც ბოლოსწინა სცენაა.

– ბოლო სცენა კი მარიამისა და იოსების კვერთხის სასწაულს წარმოადგენს...

ერთი სენსაციური ცნობაც ლაკლაკიძეთა ხატის შესახებ:

როგორც ცნობილია, ხატი მოოჭვილი ყოფილა დიდ ბუდეებში ჩასმული 32 პატიოსანი თელით – ზურმუხტებით, აღმასებით, ლალითა და მარგალიტებით... ამ თელების ელვარება მოსვენებას უკარგავდა არაერთ მომხდურს, რომელთაც ვერაფრით შეძლევს ხატთან მიახლოებაც კი. სამაგიეროდ, გასული საუკუნის 20-იანი წლების ანტირელიგიურმა, მრავალი ტაძარ-ხატის წამლევამა კომუნისტურმა ლაშქრობამ ლაკლაკიძეთა მადონამდეც მიაღწია – საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში 1924 წელს ხატი შემოქმედიდან ძვირფასი თელების გარეშე მიიტანეს, ხატზე კი თვალბუდეთა ნაკვალევია შემორჩა...

ლაკლაკიძის ხატის წარწერა:

ეს წარწერა ცალკე მსჯელობის საგანია და მის გაშიფვრაზე თვით ექვთიმე თაყაიშვილიც დიდხანს მუშაობდა. ეს გახლავთ უშუალოდ ცენტრალური ფიგურის გარშემო მოთავსებული ისტორიული შინაარსის წარწერა, რომელიც დამკვეთს შეუსრულებია და იმდენად მაღალპროფესიულ დონეზე, რომ იგი დეკორატიულ შემკულობადაც გვევლინება. წარწერის ექვთიმე თაყაიშვილისეულ ტრანსკრიპციაში იკითხება შემდეგი: „წმიდაო დედოფალო, მეოხ ვჟავ წინაშე ძისაშენისა და ღმრთისა ჩუენისა ყოველთა ლაკლაკათა: ერისთავთ ერისთავსა მირიანს და ხურციკს, ძეთა ხუციკისთა: მირიანს, სასანს (ანუ სვიმიონს), ქურდიას... მე გლახაკიან ეპრაქსია, დედამან ხურციკისა და მირიანისამან, შეგაკაზმე ხატი ესე სალოცველად ყოველთა ლაკლაკათა, სახსენებლად სულისა ჩემისა“.

როგორც ჩანს, ეპრაქსია, ცოდვილი ლაკლაკიძის მეუღლე, რომელსაც თავისი შვილების ცოდვათაგან განსაწმენდად (რადგანაც იცის, მის მეუღლეს ვედარაფერი იხსნის უფლის მკაცრი განსასჯელისგან) „შეუკაზმავს“ და შემდგომ ზარზმის ეკლესიაში დაუვანებია უძვირფასესი ხატი.



მარგმა. ლაკლაკიძეთა შეწირული ღვთისმშობლის ხატის დეტალი

დასასრულს, გთავაზობთ ლაკლაკიძეთა ხატის გიორგი ჩუბინაშვილისეულ შეფასებას: „ერთ მილიანობაში მოქცეულია 15 სცენა, რომელთაგან 14 მინიატურაა – თითოეული სცენა, ცენტრალური ფიგურისგან დაწყებული, მინიატურებით დამთავრებული – დასრულებული მხატვრული ნამუშევარია. კომპოზიციის პლასტიკური გაფორმება დიდი სინატიფითაა შესრულებული. ავტორი რელიეფური ხელოვნების დიდოსტატია. ლაკლაკიძეთა მადონა განსაკუთრებული ღირებულების ხატს წარმოადგენს და მის მიმართ ინტერესი არ ცხრება...“

P.S. ზემოთ მოყვანილი სტრიქონები საუკუნის დასაწყისში ითქვა და დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. განსაკუთრებული ჰარმონია, როგორც ამას ჩვენი მკვლევარები და უცხოელი ხელოვნებათმცოდნეები ერთხმად აღნიშნავენ, ხატის ცენტრალური ფიგურის კონცეფციაში ჩანს. ეს არის დედის ალერსის ძალზედ გამომხატველობითი სახით წარმოჩენა. ვინ იცის, ამ თბილ და უშუალო სცენას, სახარებისეულ მინიატურებთან ერთად როგორ ამკობდა ის 32 პატიოსანი თვალი, ურწმუნო კომუნისტებმა თავიანთი იდეების შესამკობად რომ ააგლიჯეს უწმინდეს ხატს...

«სკუადრა აძურას» «მტირალა ბავშვი»



მილანის „ინტერისა“ და იტალიის ეროვნული ნაკრების ფორვარდი ჯრისტიან ვიერი ბოლო წლებში სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორია და ტიფოზებშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. „ღღესღღობით, მსოფლიოში მისი მსგავსი თავდამსხმელი რამდენიმე თუ მოიძებნება“, – განაცხადა ცნობილმა არგენტინელმა მწვრთნელმა, ექტორ რაულ უპურმა ვიერის შესახებ ახლახან დამთავრებული იტალიის ჩემპიონატის დანწყებამდე, მაშინ, როდესაც „ინტერს“ ჩაუდგა სათავეში. „ინტერმა“ სუდეტო (ჩემპიონის ტიტული) სერია A-ს ბოლო ტურში დაუთმო „იუვენტუსს“, თუმცა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მილანელებმა შესანიშნავად ჩაატარეს განვლილი საფეხბურთო სეზონი, რაშიც უდიდესი წვლილი შეიტანა ჯრისტიან ვიერმა, რომელიც ყორუა-იაპონიაში გასამგზავრებელი ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ უმთავრეს ჯანდიდაცადაც მიიჩნევა.



ღოსიი:
დაბადების თარიღი: 1973 წლის 12 ივლისი
დაბადების ადგილი: ბოლონია
პოზიცია: თავდამსხმელი
კლუბები: „პრატო“ (1989-90, სერია C); „ტორინო“ (1990-93); „რავენა“ (1993-94, სერია B); „ვენეცია“ (1994-95, სერია B); „ატალანტა“ (1995-96); „იუვენტუსი“ (1996-97); მადრიდის „ატლეტიკი“ (1997-98); „ლაციო“ (1998-99); „ინტერი“ (1999 წლიდან დღემდე).

„სკუადრა აძურას“ მომავალი ვარსკვლავი საფეხბურთო ოჯახში დაიბადა. კრისტიანის ბაბუა ახალგაზრდობაში სამოყვარულო გუნდებში თამაშობდა, თუმცა პროფესიონალი ფეხბურთელი არ გამხდარა. სამაგიეროდ, მისმა ვაჟიშვილმა, რობერტომ თავადვე გაიკაფა ვზა პროფესიონალურ ფეხბურთში და ერთი პერიოდი, სერია -შიც თამაშობდა. 1966-67 წლების საფეხბურთო სეზონში, გენუის „სამპდორია“ ქვედა დივიზიონში დაეშვა და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, კლუბის ხელმძღვანელობამ შემადგენლობის განახლება გადაწყვიტა. უამრავ მსურველთან ერთად, რობერტო ვიერიმაც მიიღო მონაწილეობა შერჩევაში, რის შემდეგაც, იგი გუნდის შემადგენლობაში ჩარიცხეს. ერთი წლის თავზე, გენუელები სერია A-ში დაბრუნდნენ, ხოლო რობერტომ „იუვენტუსისაგან“ მიიღო მიწვევა. 1970 წლის გაზაფხულზე კი, იგი თავის საფეხბურთო კარიერაში ყველაზე მთავარ ჯილდოს – იტალიის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. თუმცა, რა თქმა უნდა, ტურინელთათვის მესამე ადგ-



ილზე გასვლა, წარუმატებლობის ტოლფასი იყო და შემდგომი საფეხბურთო სეზონის დასაწყისში, „იუვენტუსის“ რიგებში ახალგაზრდა ფორვარდები – რობერტო ბეტეგა და ფრანკო კაუზიო – გამოჩნდნენ. გუნდის შემადგენლობის ამგვარი გადახალისების გამო, რობერტო ვიერი იძულებული გახდა, სხვა ადგილი მოეძებნა და ბოლონიაში გადაბარგდა. „მე სრულიადაც არ ვარ დაკომპლექსებული იმის გამო, რომ ჩემს ოჯახში მამაკაცები ფეხბურთს თამაშობდნენ, – ამბობს კრისტიან ვიერი, – ჩემი აზრით კარგიც კია, როდესაც ადამიანებს ერთმანეთში სასაუბროდ საერთო თემა აქვთ. პროფესიონალი ფეხბურთელის ცხოვრება მუდმივ გადაადგილებასთან არის დაკავშირებული. ქანცამწვევები ვარჯიშისა და წარუმატებელი მატჩის შემდეგ კი, გსურს, რომ შენ გვერდით იყოს ვინმე, ისეთი, ვისაც შენი პრობლემის გათავისება და სწორი რჩევის მოცემა შეეძლება“.

როდესაც კრისტიანი სამი წლის გახდა, მამამისს ავსტრალიაში სახარბიელო კონტრაქტი შესთავაზეს, რის გამოც

ვიერების ოჯახი მთელი ათი წლით, მწვანე კონტინენტზე გადავიდა საცხოვრებლად. ავსტრალიაში სოკერი (ევროპული ფეხბურთი) პოპულარობით საგრძობლად ჩამორჩება ფუტის (ავსტრალიურ ფეხბურთს) და რაგბის. ალბათ სწორედ ამიტომ, პატარა კრისტიანი ადგილობრივ საფეხბურთო კლუბ „სანტა ლუჩიაში“ თამაშთან ერთად, რაგბისაც მისდევდა, რამაც დიდი გავლენა იქონია იტალიური ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავის ფიზიკურ განვითარებაზე. რაგბიში ვარჯიშმა ვიერის საშუალება მისცა, თავს ტექნიკური არსენალი ათლეტური მონაცემებისათვის შეერწყა, რაც მას დღეს, სერია -ს დაძაბულ მატჩებში უდიდეს უპირატესობას ანიჭებს ბურთისათვის ძალისმიერი ბრძოლის დროს.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ვიერების ოჯახი ფლორენციასთან ახლოს მდებარე ქალაქ პრატოში დასახლდა. 16 წლის ასაკში კი, კრისტიანმა კლუბ „პრატოს“ მაისური მოირგო, რომელიც მაშინ სერია ჩ-ში გამოდიოდა. „ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ფეხბურთში ყველაზე რთული ამოცანა გოლის გატანა იყო, – ამბობს ვიერი, – მეკარეები და მცველები პირველ რიგში, იმაზე ზრუნავენ, რომ მოწინააღმდეგეს თამაშის საშუალება არ მისცენ, ნახევარმცველები, რომლებიც ცენტრში ერთგვარ „შემკრებ-შემაჯერებელ“ სამუშაოს ასრულებენ, არც ისე შეზღუდულნი არიან დროსა და სივრცეში, აი, ფორვარდმა კი, არა მარტო იმაზე უნდა იფიქროს, თუ როგორ გაეზავნოს ბურთი კარის ბაღში, არამედ იმაზეც, თუ როგორ გაათავისუფლდეს „მხრებზე ჩამოკიდებული“ მოწინააღმდეგისგან, ხოლო ამ ყველაფრისთვის, მას მხოლოდ წამები ეძლევა. აი, რატომ ავორჩიე თავდასხმელის ამკლუა“.

შესანიშნავი ფიზიკური მონაცემები ვიერის საშუალებას აძლევდა, რომ ნებისმიერ ახალგაზრდულ ტურნირზე

საუკეთესო ბომბარდირთა შორის ყოფილიყო. „თავს ვარსკვლავად მივიჩნევი, რადგან „პრატოს“ რიგებშიც და „ტორინოს“ ახალგაზრდულ შემადგენლობაში გამოსვლის დროსაც, თითქმის ყველა მატჩში გამქონდა გოლები, – იხსენებს „ინტერის“ ფორვარდი, – და მეგონა, რომ ყოველთვის ასე იქნებოდა, მაგრამ როდესაც პროფესიონალურ ფეხბურთში დავიწყე თამაში, მივხვდი, რომ სულ უფრო და უფრო ვიზრდებოდი, თუმცა, თავიდან, ძალიან უტიფრად ვიქცეოდი ხოლმე. კლუბის ხელმძღვანელობა კი, ჩემდა გასაკვირად, ძალიან ბევრს მითმენდა“. სწორედ თავისებური, ჯიუტი ხასიათი უშლიდა ხელს ვიერის, დაემკვიდრებინა თავი იმ კლუბებში, რომელსაც „ტორინოს“ ხელმძღვანელობა იჯარით ხშირად უთმობდა ხოლმე მას. 1995 წელს ვიერი სერია -ში მოთამაშე „ატალანტაში“ შეიძინა. მაშინ ის უკვე ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში ირიცხებოდა.

1996 წლის გაზაფხულზე კრისტიანი ვიერი „იუვენტუსში“ გადავიდა. მაშინ „ბებერმა ქალბატონმა“ სკუდეტო „მილანს“ დაუთმო, რის გამოც, ტურინული კლუბის მწვრთნელმა, მარჩელო ლიპიმ საჭიროდ ჩათვალა, რომ გუნდის სათამაშო ტაქტიკაში სიახლე შეეტანა. ყველასათვის მოულოდნელად, „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობამ ვიალი და რავანელი გაყიდა. ახალშემენილ კრისტიან ვიერის კი, ლიპიმ წინ წაწეული ფორვარდის ფუნქციები დააკისრა, რომელსაც დელ პიერო და ალენ ბოკშიჩი უნდა დახმარებოდნენ თავდასხმის ორგანიზებაში. „მას თავისი ძლიერი მხარეები აქვს – ათლეტიზმი, თავით თამაშის უნარი, გამოზომილი დარტყმა, – ამბობდა მაშინ თავისი ახალი კოლეგის შესახებ ალენ ბოკშიჩი, – მისი მოსვლისთანავე, გუნდმა დივიზიონსა და პესოტოს ფლანგური გარღვევების უკეთ გამოყენება დაიწყო. კრისტიანი ხომ მშვენივრად თამაშობს დასწრებაზე. ვფიქრობ, იგი ფაბრიციო რავანელის ღირსეული შემცვლელი იქნება“.

„იუვენტუსის“ შემადგენლობაში ჩატარებულ



პირველივე მატჩში კრისტიანმა უკვე მეშვიდე წუთზე გაიტანა ბურთი „რეჯანას“ კარში, თუმცა, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჩატარებულ უკვე შემდგომ მატჩში მან სამი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, რის გამოც, ხანგრძლივი დროით, სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. საერთოდ, „იუვენტუსში“ გატარებული ის სეზონი ვიერისთვის არაერთგვაროვნად წარიმართა: მას ხან სულ სათადარიგოთა სკამზე ამყოფებდნენ, ხანაც, ძალზედ მნიშვნელოვან მატჩებში ათამაშებდნენ ძირითად შემადგენლობაში. სწორედ იმ პერიოდში, ვიერის მიმართ უკიდურესად აგრესიულად იყვნენ განწყობილნი ჟურნალისტები, რომლებიც არც ერთ შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, რათა მისი იმიჯისთვის მორიგი დარტყმა არ მიეყენებინათ. მათი აზრით, კრისტიანი „იუვენტუსის“ დონის სუპერკლუბში ყოფნის ღირსი არ იყო და მას „ატალანტას“ მსგავს პროვინციულ გუნდში უნდა ეთამაშა. რა თქმა უნდა, მასმედიისაგან განხორციელებული ამგვარი შემოტევები ამბიციური ხასიათით ცნობილ კრისტიანს ძალიან აღიზიანებდა, რაც ბოლოს, მისი და ლიპის კონფლიქტით დასრულდა. ვიერი „ბებერი ქალბატონის“ მთავარ მწვრთნელს ბრალს სდებდა იმაში, რომ იგი იშვიათად ათამაშებდა ძირითად შემადგენლობაში. ამის გამო, „იუვენტუსის“ გულშემატკივრები სულ უფრო იშვიათად ხედავდნენ კრისტიანს მინდორზე, თუმცა, ის მაინც ახერხებდა გოლების გატანას. სწორედ იმ პერიოდში ვიერიმ არაერთხელ შეძლო „დუბლის“ შესრულება.

კრისტიანი ვიერის ბომბარდირული თვისებები განსაკუთრებულად გამოვლინდა მადრიდის „ატლეთიკოში“ მისი გადასვლის შემდეგ, ესპანურმა კლუბმა იტალიელი ფორვარდი 20 მილიონ დოლარად შეიძინა. ესპანეთში გატარებულ სეზონში, ვიერიმ 24 მატჩში 24 გოლი გაიტანა





და ბომბარდირთა სიას ჩაუდგა სათავეში. მიუხედავად ასეთი წარმატებისა, კრისტიანი მადრიდში დიდხანს მაინც არ დარჩენილა. „ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ ვიერი დიდი თავდამსხმელია, – საჯაროდ განაცხადა მაშინ „ატლეთიკის“ პრეზიდენტმა, ხესუს ხილმა, – მაგრამ დიდი ეგოისტი, ძალიან არასტაბილური და ძნელად მართვადია. ჩანს, რომ ბავშვობაში დიდხანს იმყოფებოდა მშობლების გადაჭარბებული მზრუნველობის ქვეშ“.

„ატლეთიკიში“ ვიერის უსიამოვნებებმა პიკს მაშინ მიაღწია, როდესაც გუნდს მისი თანამემამულე, არიგო საკი ჩაუდგა სათავეში. ახალი მწვრთნელი, რომელიც თავისი მოთამაშეებისგან ყოველთვის აბსოლუტურ დისციპლინას მოითხოვდა, ვერ იტანდა ვიერის მუდმივ წუწუნს „შეუძლოდ ყოფნის“ შესახებ და მას „მტირალა ბავშვს“ უწოდებდა. მწვრთნელს არც თავად „მტირალა ბავშვი“ ჩამორჩა: ერთ-ერთ ინტერვიუში მას „ჭკუათხელი აღამიანი“ უწოდა და ხესუს ხილს განუცხადა, რომ იტალიაში დაბრუნება სურდა, რაც სამშობლოსადმი მოძალებული ნოსტალგიით ახსნა. „პირენეაზე მუდმივად მაწუხებს ნოსტალგია. პირველად, ეს ავტრალიაში ვიგრძენი. მას შემდეგ ყოველთვის ტანჯვას განვიცდი, როდესაც სამშობლოს დიდი ხნით ვტოვებ“, – აღნიშნა მან.

სატრანსფერო ბაზარზე ჭირვეული იტალიელი ვარსკვლავისათვის დავაში რომის „ლაციომ“ იმარჯვა, თუმცა, სამშობლოში დაბრუნებული ვიერი კვლავ პრესის ზეწოლის ქვეშ

მოექცა. რომაული კლუბის ყოველ წარუმატებლობას სპორტული ჟურნალისტები და საფეხბურთო მიმომხილველები კრისტიანის ამბიციური ხასიათითა და უპასუხისმგებლობით ხსნიდნენ. ამ ყველაფერს დაემატა გართულებული ტრავმაც, რის გამოც, კრისტიანი თითქმის ნახევარი სეზონით ჩამოშორდა ფეხბურთს, თუმცა, როგორც იტყვიან, „ზოგი ჭირი მარგებელია“: იძულებითი შესვენების შემდეგ, ვიერიმ ისევე ბრწყინვალედ გამოავლინა თავისი ბომბარდირული ნიჭი, როგორც ამას ესპანეთში თამაშისას აკეთებდა.

ჯერ კიდევ „როვენასა“ და „ვენეციას“ რიგებში სერია -ში თამაშისას, კრისტიანი ვიერი იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ ითვლებოდა. მაშინ, ჩეზარე მალდინის თავკაცობით, გუნდმა ორჯერ მოიგო ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი, 1994 წელს კი, იტალიელების გამარჯვება დიდად განაპირობა კრისტიანის შესანიშნავმა თამაშმა. იმ პერიოდში, 19 მატჩში ვიერიმ 10 გოლი გაიტანა, ხოლო მწვრთნელმა იგი გუნდის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ დაასახელა. ახალგაზრდულ ნაკრებში ასეთი წარმატებული თამაშის შემდეგ, ალბათ გასაკვირი არც უნდა იყოს ის ფაქტი, რომ კრისტიანი ვიერი იტალიის ეროვნული ნაკრების რიგებში აღმოჩნდა, როდესაც მალდინი-უფროსი დააწინაურეს და „სკუადრა აძურას“ თავკაცად დანიშნეს. ნაკრებში ვიერის ამგვარი წარმატება იმითაც იყო ნიშანდობლივი, რომ იმ პერიოდში, ის უმეტესწილად, „იუვენტუსის“ სათადარიგოთა სკამზე იმყოფებოდა.

ეროვნული ნაკრებში სადებიუტო მატჩი კრისტიანმა ბრწყინვალედ ჩაატარა და მოლოდინებულა კარში „სკუადრა აძურას“ ისტორიაში საიუბილეო მე-1000 გოლი გაიტანა. საერთაშორისო მასშტა-

ბით აღიარება, ვიერის საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატმა მოუტანა, თუმცა, ტურნირის დაწყებამდე, ვერავინ იფიქრებდა, რომ სწორედ ის განდებოდა „სკუადრა აძურას“ თავდასხმის ხაზის ლიდერი. კრისტიანის ათლეტური, სწრაფი და ტექნიკური თამაში აცოცხლებდა იტალიელთა საკმაოდ უსახურ თავდასხმას და მისი დიდი დამსახურება იყო ის, რომ გუნდმა მეოთხედფინალამდე მიაღწია.

კრისტიანი ვიერის საფეხბურთო კარიერიდან აღსანიშნავია ერთი დეტალი, რომლითაც იტალიელი ვარსკვლავი ტყავის ბურთის სხვა ოსტატებისაგან გამოირჩევა: მილანის „ინტერიში“ გადასვლამდე, ის ერთ სეზონზე მეტ ხანს არც ერთ კლუბში არ დარჩენილა. ფეხბურთის არაერთი სპეციალისტი და სპორტული ჟურნალისტი მიიჩნევენ, რომ გარემოებათა ასეთ სწრაფ ცვლას მხოლოდ უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეეძლო კრისტიანი ვიერის საფეხბურთო ოსტატობაზე, თუმცა, თავად იგი სულ სხვანაირად ფიქრობდა. „ვიდრე ახალგაზრდა ხარ და ენერჯია გაქვს, არ შეიძლება მიღწეულით დაკმაყოფილდე. თავიდან, მე ფიზიკური ძალის ხარჯზე ვცდილობდი მოწინააღმდეგის დაჯახანას, შემდეგ, დასწრებაზე თამაში და საჯარიმოსთან ბურთის წართმევა ვისწავლე. „ატლეთიკიში“ გამოსვლისას მივხვდი, თურა ძნელია წამყვან მოთამაშედ ყოფნა, რომელსაც არ აპატიებენ შეცდომებს. „იუვენტუსისა“ და „ლაციოში“ „სკუადრისათვის“ ბრძოლის კოლოსალური დაძაბულობა შევიგრძენი. ვიმედოვნებ, რომ „ინტერი“ ამ მხრივ კიდევ რაღაც სხვას შემძენს“, – განაცხადა კრისტიანმა 1999 წელს, როდესაც მილანურმა კლუბმა იგი „ლაციოსაგან“ იმ დროისათვის რეკორდულ თანხად – 50 მილიონ დოლარად შეიძინა. მას შემდეგ, ყველას ეგონა, რომ ვიერი თავის „ტრადიციას“ არ უღალატებდა და „ინტერსაც“ მალე დატოვებდა, მაგრამ იგი ასე არ მოქცეულა. კლუბში კუპერის მისვლის შემდეგ კი, იტალიელი ფორვარდის შესაშური ბომბარდირული თვისებები კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. „ადრე გუნდის შეცვლის სურვილი მქონდა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ, შევიცვალე გადაწყვეტილება: მან მითხრა, რომ ჩემს შესაძლებლობებში დარწმუნებულია, გამაცნო თავისი გეგმები, რომლის მიხედვითაც, მე მნიშვნელოვანი როლი მეკისრება“, – განაცხადა ცოტა ხნის წინ ვიერი.



საგანგებო მზადება ინგლისელი ფანების დასახურებად...

რამდენიმე დღის წინ, ბრიტანეთის საელჩომ ტოკიოში ბარების, მაღაზიებისა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ობიექტების მეპატრონეთათვის, აგრეთვე გულშემატკივრებისთვის გამოუშვა სპეციალური სასაუბრო, რომელშიც ჩვეულებრივი ფრაზებით („კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, „რა ღირს?“ და ა.შ.) გარდა, შვეა ინგლისელთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გამოთქმა – „სამწუხაროდ, სულ ეს არის, რისი დაღვევაც შეგიძლიათ“. სასაუბროს საშუალებით, ნებისმიერ იაპონელს შეეძლება, ინგლისურად წარმოთქვას თავზებულადებული ფანებისათვის დასამშვიდებელი ფრაზა: „ინგლისის ნაკრები უდიდესი გუნდია...“ აღნიშნულ გამოცემაში შესულია იაპონიაში საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვადასხვაგვარი ინსტრუქცია. რა თქმა უნდა, ცნობილი ინგლისელი ხულიგნები იაპონიაში ვერ გაემგზავრებიან, რადგან დიდი ხანია, რაც მათ სამშობლოს საზღვრებს გარეთ აღარ უშვებენ, თუმცა, აღვირახსნილი ქცევა მათგანაც არის მოსალოდნელი, ვინც იაპონიაში მოხვდება, მით უმეტეს მაშინ, როცა ისინი ალკოჰოლს მიიღებენ. სწორედ ასეთი შემთხვევებისთვის არის გამზადებული ფრაზა: „სამწუხაროდ, სულ ეს არის, რისი დაღვევაც შეგიძლიათ“. როგორ ჩანს, კორეაში ინგლისელი ფანების სულაც არ ეშინათ, რადგან იქ მსგავსი სასაუბრო ჯერ არ გამოუშვათ.



მუდრი მუკმუკრებისათვის აღად იატსიმუმს „თატმულა-1“

შვედეთის ბუკმეკერულმა ფირმამ შვენსკა შპელ-მა გამოაქვეყნა განცხადება, რომლის თანახმადაც, „ფორმულა-1“-ის შედეგებზე ფსონების მიღებას წყვეტს, მას შემდეგ, რაც ავსტრალიაში მოწყობილი რბოლა სკანდალით დასრულდა. შვენსკა შპელ-ის ხელმძღვანელობამ ისიც აღნიშნა, რომ დაუბრუნებს თანხებს მათ, ვინც მიხაელ შუმახერსა და რუბენს ბარიკელოზე დადო ფსონი. „ჩვენი წესების თანახმად, ფული მხოლოდ მათთვის უნდა დაგვებრუნებინა, ვისაც ფსონი შუმახერზე ჰქონდა დადებული, თუმცა, ვითვალისწინებთ განსაკუთრებულ შემთხვევას და გამონაკლისს ვუშვებთ“, – განაცხადა ფირმის წარმომადგენელმა პერ კოტ შაკმა. მკითხველს ვაუწყებთ, რომ შუმახერმა ავსტრიის გრან-პრი მხოლოდ მას შემდეგ მოიგო, რაც ბარიკელომ გერმანელი მრბოლელი წინ გაუშვა და თავად რბოლას ბოქსიდან ადევნებდა თვალყურს. მანამდე კი, მთელი რბოლის მანძილზე ბარიკელო ლიდერობდა.

თავდასხმის საჯი ატგნცინის ნაკრებისათვის „აქილოუსის ძუსლად“ იქცა

არგენტინის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა, მარსელო ბიელსამ განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ წაიყვანს იაპონია-კორეაში „ბარსელონას“ ფორვარდს, ხავიერ სავილას, რამაც არგენტინული ფეხბურთის გულშემატკივრებში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ამასთან ერთად, ბიელსა მსოფლიო ჩემპიონატზე საკმაოდ კარგ ფორმაში მყოფ ერნან კრესპოსთან ერთად, ძალზედ უსახურად მოთამაშე გაბრიელ ბატისტუტას (რომელსაც იანვრის შემდეგ გოლი არ გაუტანია) და გუსტავო ლოპესის (რომელმაც განვლილ საფეხბურთო სეზონში მხოლოდ სამი გოლი გაიტანა) წაყვანას აპირებს. არგენტინული ფეხბურთის გულშემატკივრებში ეჭვს იწვევს სავილასთან უბრატესობის ისეთი ფეხბურთელები-სადმი მინიჭებაც, როგორებიც კლაუდიო ლოპესი, ასაკოვანი კანიჯა, ორტეგა და კილი გონსალესი არიან. მათი აზრით, მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრების „აქილოუსის ქუსლად“ სწორედ თავდასხმის ხაზი იქცევა.



რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა



სიყვარულში ყოფილი ქაერიონ ღიასი საყურთხეველთა მისკოისთვის ეგზალა

29 წლის ქაერიონ ღიასი ვარსკვლავური სენით არ არის შეპყრობილი და სხვა ჰოლივუდელებისგან მკვეთრად განსხვავდება: ცხოვრობს საკმაოდ მოკრძალებულ ბინაში, რომელსაც პატარა ბაზრობებზე შექნილი ნივთები ამშვენებს, პროდუქტს იაფფასიან მაღაზიებში ყიდულობს, თავისივე ხელით დახვეულ თუთუნს ეწევა, ხანდახან ქსოვს კიდევ, სამი ჯაცის სამყოფ საკვებს მიირთმევს და სპორტულ დარბაზებსაც სიახლოვეს არ ექარება. საინტერესოა, რომ ამ ცოტა ხნის წინ, ქაერიონმა ხელი მოაწერა კონტრაქტს ფილმში – „ჩარლის ანგელოზები-2“ მონაწილეობის თაობაზე, რისთვისაც 20 მილიონ დოლარს გადაუხდია. ამ ჰონორარით ის ჰოლივუდის ყველაზე მაღალანაზღაურებულ მსახიობ ქალს – ჯულია რობერტსს გაუტოლდა.



ბავშვობაში ქაერიონი ცელქი ბიჭივით იქცეოდა (მას სახელიც მამაკაცური დაარქვეს), მხოლოდ ბიჭებთან მეგობრობდა და მათთან ერთად მთელი დღე დაეხეტებოდა კალიფორნიის შტატის პატარა ქალაქ ლონგ-ბიჩის ქუჩებში. თუ რომელიმე მათგანი დაცინვით ჩონჩხს დაუძახებდა (პატარაობაში ქაერიონი ძალიან გამხდარი იყო), გოგონა ისე „გაულამაზებდა“ სახეს, რომ ბიჭს მსგავსი გამოხედვის სურვილი სამუდამოდ უქრებოდა. ერთ-ერთი ასეთი „გარჩევის“ დროს, ქაერიონს ცხვირიც კი გაუტყნეს... მას შემდეგ, ღიასი მხოლოდ ერთი ნესტოთი სუნთქავს და ამიტომაც, პირი მუდამ ოღნავ გაღებული აქვს, რაც მის გარეგნობას სექსუალურობას მატებს. ამრიგად, ქაერიონს თავის დაცვა ყოველთვის შეუძლო; ეს ალბათ მამის გენების წყალობითაა: მამამისი ნამდვილი კუბელი მანო იყო და მიაჩნდა, რომ მის გოგონას თხუთმეტი წლის ასაკამდე, საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან საერთო არაფერი უნდა ჰქონოდა. მიუხედავად ამისა, ქაერიონი რომანებს პირდაპირ სკოლაში აჩაღებდა...

ერთხელ, უფროსმა მეგობარმა, რომელსაც ჯეიმსი ერეკა, ქაერიონს სკოლის დამხმარე ნაგებობის ლაბორინთში მიმალული პატარა ოთახი უჩვენა. როცა ჯეიმსმა სკოლა დაამთავრა, ქაერიონი ამ ოთახს სასიყვარულო შეხვედრებისთვის იყენებდა.

როცა გოგონა 15 წლის გახდა და მას ბიჭებთან ურთიერთობაზე ტაბუ მოეხსნა, ის მხოლოდ მასზე უფროს ყმაწვილებს ხვდებოდა, რადგან თანატოლი ბიჭები აღარ აინტერესებდა. მისი მეგობარი გოგონები შურით აყობდნენ ხოლმე თვალს მოტოციკლზე ამხედრებული რომელიმე მოხდენილი ყმაწვილის ზურგს უკან მოკლათებულ კამერონს. გოგონას ძალიან უყვარდა სისწრაფე და მუსიკა heavy metal: „ვეგიჟლები იმ გრანობაზე, როცა ტრასაზე მიქრისხარ და შენს მანქანასთან მოახლოებასაც კი ვერაფერს ბედავს...“

ჰოლივუდში ალბათ ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ვარსკვლავი, რომელსაც კარიერა მოდელით არ ჰქონდეს დაწყებული. გამონაკლისი არც კამერონია – ის პოდიუმზე პირველად თექვსმეტი წლის ასაკში ავიდა...

ერთხელ დაისმა ლოს-ანჯელესში, ერთი დამის დაწესებულების დაცვა მოატყუა: დაარწმუნა, რომ 21 წლის იყო (ამერიკაში ახალგაზრდებს დამის კლუბებში სწორედ ამ ასაკიდან შეუძლიათ შესვლა). კლუბში მრავლად ირეოდა საეჭვო ტიპი, რომლებმაც მაშინვე შეამჩნიეს მალაი, ლამაზი, ქერა გოგონა და „სამოდულო სააგენტოებში“ მუშაობა შესთავაზეს. მათ შორის ერთ-ერთი, მართლაც სერიოზული პიროვნება აღმოჩნდა: ცნობილი სააგენტო „ელიტის“ ფოტოგრაფმა კამერონის სავიზიტო ბარათი მისცა და უთხრა: „გოგონა, ეს ბარათი შენს დედ-მამას გადაეცი და სთხოვე, რომ დამიკავშირდნენ“. რამდენიმე დღის შემდეგ, კამერონის მამამ ფოტოგრაფს დაურეკა. ორ დღეში, კამერონი გადაღებებზე მიიწვიეს, ერთი კვირის შემდეგ კი, ამ საკმაოდ პრესტიჟულმა სააგენტომ დაიასს კონტრაქტი გაუფორმა და კამერონი თავის პირველ სამუშაო ადგილას – იაპონიაში გაემგზავრა.

„მშობლების სახლი ცხოვრებაში პირველად მივატოვე და რამდენი რამის ნახვა მომიხდა. ზოგიერთი გოგონა ცდუნებას ვერ უძლებდა – მამაკაცები და ნარკოტიკები მას სამუშაოს აკარგვინებდა... ძალიან ძნელია გარკვეულ ჩარჩოში მოქცევა, როცა 16 წლის ხარ და ზრდასრული ადამიანების გარემოცვაში ხვდები“.

ერთხელ კამერონმა, თავისი მეგობარი გოგონას ნაცნობი ფოტოგრაფის თხოვნით, მიშველმა გადაიღო სურათები. მოგვიანებით, როცა დაიასი სახელგანთქმული გახდა, ეს ფოტოები ამერიკული ჟურნალების ყდებზე მოხვდა და მთელმა მსოფლიომ იხილა. „არ მრცხვენია, რომ მიშველი ვიღებდი სურათებს, – თქვა კამერონმა გულახდილად. – ბოლოს და ბოლოს, მაშინ 16 წლის ვიყავი და ბევრი არაფერი მესმოდა. იმ კაცის ნაცვლად უფრო მრცხვენია, ვინც ასე უსინდისოდ გამომიყენა!“

როგორც მოდელი, კამერონი ზოგჯერ, დღეში ორი ათას დოლარს შოულობდა ხოლმე. მალე მომხიბვლელი მოდელი პროდიუსერებმაც შეამჩნიეს და კინოში სინჯებზე მიიწვიეს. თავიდან, კამერონისთვის შეთავაზებული სცენარები თითქმის სულ ინტიმური სცენებისგან შედგებოდა. ალბათ პროდიუსერებს მიაჩნდათ, რომ ასეთი სილამაზე „ტყუილად არ უნდა მოცდენილიყო“. „ჩვენ მეორე მერილინ მონროდ გაქცევთ“, – დაჟინებით უმეორებდნენ კამერონს პროდიუსერები. შეიძლება დაიასს მსგავსი ცდუნებისგან თავი ვერც ეხსნა, რომ არა აგენტი და ვიდეოპროდიუსერი კარლოს დე ლა ტორე. კარლოსმა საკმაოდ მალე მოინადირა კამერონის გული და გოგონა მალე, ჰოლივუდში მდებარე მის შესანიშნავ ბინაში გადავიდა საცხოვრებლად. კარლოსმა და კამერონმა თითქმის ხუთი წელი იცხოვრეს ერთად. მათი გაყრის მიზეზი, ჩხუბი ან სკანდალი არ ყოფილა – უბრალოდ, 22 წლის კამერონი მიხვდა, რომ უკვე მზად იყო სრულიად დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

მშობლების სახლიდან წასულმა გოგონამ მაინც ვერ მოიპოვა დამოუკიდებლობა, რადგან ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, მის მაგივრად კარლოსი იღებდა. ამსთანავე, დაიასმა თანდათან თავი მონად იგრძნო, რადგან კარლოსის ნებართვის გარეშე, ერთი ნაბიჯის გადადგმის უფლებაც არ ჰქონდა, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, კარლოსს შეეძლო, კამერონი გადაღებებზე საპარის უდაბნოშიც კი გაემგზავნა.

ერთხელ, ახალგაზრდა მოდელს, ქალის წინდების რეკლამის გადასაღებად, ერთ-ერთ არაბულ ქვეყანაში, პირდაპირ უდაბნოში წასვლა შესთავაზეს. გადასაღებ ადგილას

„საუკეთესო მეგობრის ქორწილი“



ჩასულმა კამერონმა, კბილებამდე შეიარაღებული ბედუნების ჯგუფი დაინახა და მაშინვე მიხვდა, რომ რეკლამა არაფერ შუაში იყო... კიდევ კარგი, რომ დაიასმა ბავშვობიდანვე კარგად ათვისა მანქანის ტარება: ის არ დაბნეულა – ჯიპი, სადენების გადამბით ამუშავა და თვალის დახამხამებაში გაეცალა სამიმ ადგილს...

სულ მალე, კამერონს კარლოსის მზრუნველობისგან თავის დაღწევის შესანიშნავი საშუალება მიეცა: ერთ მშვენიერ დღეს, სარეკლამო აგენტის მოლოდინში, დაიასმა მაგიდაზე დადებული სცენარის კითხვა დაიწყო. ეს „ნილბის“ სცენარი იყო. „ეს ხომ ზუსტად საჩემო ფილმი! კომედია – ხომ იცით, რომ მე ამქვეყნად ყველაზე მეტად,

„ჩარლის ანგელოზები“



სიცილი მიყვარს! – იმეორებდა კამერონი და თან აგენტს მისთვის სინჯების ორგანიზებას სთხოვდა. აგენტმა სეკუტიკურად შეხედა მსახიობობის სურვილით შეპყრობილ მოდელს, მაგრამ პროდიუსერს მაინც დაურეკა.

„იმ დღეს თავს მოუწესრიგებლად და არასექსუალურად ვერძნობდი, – აღიარებს კამერონი, – მათ კი, ისეთი ქალი სჭირდებოდათ, როგორც არის მდებარე ბავშვი ჯესიკა ფილმში – „ვინ გაწირა კურდღელი როჯერი?“, ამიტომ რაღაცების გამოგონება მომიხდა: ისე გავიჭიბე, რომ სუნთქვა შემიკრა; ჩემს გარდერობში ყველაზე პატარა კაბა მოვებნე და ჩავიცვი, თანაც ვცდილობდი, რომ რეჟისორის წინ თეძოების რხევით ჩამველო...“ განსაკუთრებული შთაბეჭდილების მოხდენა კამერონმა მაინც ვერ შეძლო. დამის კლუბის მოცეკვავის, თინა კარლაილის როლში, პროდიუსერებს დიდძალადი გოგონას ხილვა სურდათ, კამერონს კი, მათი აზრით, პატარა მკერდი ჰქონდა. „მომისმინე, შენც ადექი და ბიუსტპალტერში საფენები ჩაიწვევ“, – ურჩია კამერონს მამამისმა. დიასი ასეც მოიქცა და როლიც მიიღო. ეს მისი პირველი კინოროლი იყო. გადაღებების შემდეგ, კამერონმა ფილმში გამოყენებული 25 სპეციალურ-საფენებიანი ბიუსტპალტერი შეაგროვა და შობლიური სახლის ეზოში დაწვა. იმ დროიდან მოყოლებული, კამერონი საერთოდ აღარ ატარებს ბიუსტპალტერს.

მომავალი ვარსკვლავი ვერც კი წარმოიდგენდა, თუ თინა კარლაილის როლი მას ესოდენ დიდ პოპულარობას მოუტანდა. მან არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ როგორი იყო ფილმის ბიუჯეტი. გადაღებების დასრულების მოახლოებისას, დიასმა რეჟისორს ჰკითხა: „ნუთუ შეგძლებს სადმე იმის ხილვას, რასაც ჩვენ აქ ვაკეთებთ?“ – „რა თქმა უნდა, კამ, ნებისმიერ კინოთეატრში – ოლონდ, პრემიერას უნდა

დაელოდო“, – მშვიდად უპასუხა რეჟისორმა.


„ნიღბის“ წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კამერონ დიასი, ფაქტობრივად, ერთ დღეში იქცა ვარსკვლავად. თითქოსდა, რა უნდა დაომეობოდა მეტი, დამწვებ მსახიობს? მაგრამ კამერონი ცოტა უცნაურად მოიქცა: მან არ დაუცადა სუპერწინადადებებს და საარაკო ჰონორარებს და დებიუტანტი რეჟისორის სტეისი ტაიტლის მცირებიუჯეტური ფილმში – „უკანასკნელი ვახშამი“ მიიღო მონაწილეობა. თავისი საკციელი დიასმა საკმაოდ მარტივად ახსნა: „მასსოვს, თვითმფრინავში „უკანასკნელი ვახშამის“ სცენარს ვკითხულობდი. გვერდით უფროსი და მეჯდა, სცენარში იჭყიტებოდა და სულმოუთქმელად კითხულობდა. პირველივე გვერდიდან ჩვენ ჩუმად დავიწყეთ ხითხითი, რამდენიმე ფურცლის წაკითხვის შემდეგ კი, თავს ვეღარ ვიკავებდით და ხმამაღლა ვიცინოდით. მამინე გადაეწვებე, რომ ამ შესანიშნავ ფილმში აუცილებლად უნდა მეთამაშა!“

როცა კამერონმა ამ სურათში გადაღება დაასრულა, მიხვდა, რომ ეს მისთვის ზედამოჭრილი იყო, რადგან დებიუტანტი რეჟისორებს არა აქვთ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა, ითვალისწინებენ მსახიობის აზრს, მუდამ ძიებაში არიან და რისკსაც არ უფრთხიან. რისკს კი, არც კამერონი უფრთხოდა ოდესმე. „თუ რაიმე გსურს, ამის მიღწევა აუცილებლად უნდა სცადო!“ – შთაგონებდნენ გოგონას ბავშვობიდანვე მშობლები.

პირველ მცირებიუჯეტურ ფილმს, მეორე მოჰყვა – „შეივრძენი მინესოტა“. ამ ფილმის რეჟისორი, სტივენ ბეიგელმანიც დებიუტანტი იყო.

როცა კამერონ დიასი თვითჯულია რობერტსთან ერთად მიიწვიეს ფილმში – „ჩემი საუკეთესო მეგობრის ქორწილის“ გადაღებაზე, ყველა დარწმუნებული იყო, რომ აღიარებული ლამაზმანი რობერტსი აუცილებლად დაჩრდილავდა ახალგაზრდა და გამოუცდელ დიასს. ფილმს გრანდიოზული წარმატება ხვდა წილად და თანაც კამერონის სურათები იმდენად ხშირად იბეჭდებოდა პრესაში, რომ ჯულიამ აღიარა: „შეცდომა იქნებოდა, კამერონს

„ბილაბი“



„მოგი რამ მერის შესახებ“

ისე მოგქცეოდი, როგორც ჩვეულებრივ, უბრალოდ მხიარულ გოგონას, – ის მართლაც ღირსეული მეტოქე აღმოჩნდა! ახლა მესმის, რატომ შეარჩიეს დიასი იმ გოგონას როლის შესასრულებლად, რომელიც შეუძლებელია, ვინმეს არ უყვარდეს!“

მაღე კამერონმა მსახიობი მეთ დილონი გაიცნო. მეთს იმ დროს ფილმში იღებდნენ და თანაც, სწორედ იმ მოდელის გვერდით, სადაც ფილმის – „შეივრძენი მინესოტა“ გადაღებები მიმდინარებდა. კამერონი და მეთი ერთ სასტუმროში ცხოვრობდნენ და ერთხელ, შესასვლელში შეეჩხენენ ერთმანეთს. თავიდან მეთს კამერონი მსუბუქი ყოფაცხევის გოგონა ეგონა („ძალიან მომეწონა მისი საუცხოო უკანალი და ულამაზესი ფეხები“), მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, აღმოაჩინა, რომ ეს ფილმ „ნიღბის“ პერსონაჟი ლამაზმანი იყო. „ეი, მისმინე, ეს შენ ხარ, ვის გამოც ხუთჯერ ვნახე „ნიღაბი“?“ – მიაძახა მეთმა კამერონს და მამინე ვახშამზე დაპატიჟა. ვახშამის ბოლოს, დიასმა მეთს თავისი ტელეფონის ნომერი გადასცა... მეთმა კამერონს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაურეკა: „რაო, პატარავ, მოგენატრე? – ჰკითხა მან. – შემისხვევით, შენს ქალაქში მოვხვდი და დაგირეკე. ამ საღამოს ხომ არ შეგხვედროდი?“ კამერონს არ ეგონა, მეთის ზარი ასე თუ გაასარებდა. ტელეფონის ყურმილის დადებისთანავე, ის გარდერობთან მიიჭრა და როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, აღმოაჩინა, რომ ჩასაცმელი არაფერი ჰქონდა... დრო საკმარისზე მეტი იყო, ამიტომაც, ფრთაშესხმული დიასი, მალაზიებში გაქანდა. მის გარჯას უქმად არ ჩაუვლია – როგორც კი მოკლე, შავ კაბაში გამოწყობილი კამერონი იხილა, მეთი მამინე მიხვდა, რომ ქალზე ყურებამდე იყო შეყვარებული.

მათი რომანი დაახლოებით სამი წელი გრძელდებოდა და ძირითადად, „სატელეფონო“ ხასიათს ატარებდა: დილონი ნიუ-იორკში ცხოვრობდა, კამერონი კი – ლოს-ანჯელესში. დილონს არაფრით არ სურდა, დედასთან, მანჰეტენზე მდებარე მამაკაცების



კლუბებთან და ნიუ-იორკის ატმოსფეროსთან განშორება, კამერონი კი, მზიანი კალიფორნიის თბილ კლიმატს ვერ ელეოდა. კამერონმა და მეთამ ერთად თიამაშეს სეზონის ჰიტად ქცეულ ძმები ფარელების კომედიაში „მერიზე ყველა გიჟდება“ და მას შემდეგ, ჟურნალისტებსა და თავყვანისმცემლებს ვეღარ აუდიოდნენ, მაგრამ კამერონი ამჯერადაც თავისებურად იქცეოდა: არაფერს მალავდა და ხალისიანად უყვებოდა ჟურნალისტებს, რომ უზომოდ ბედნიერი იყო მეთთან და კატაზეც კი ეჭვიანობდა. „როცა მეთი ჩემთან ჩამოდის, კიტი მთელი დღე უკან დასდევს და მხოლოდ მეთს ელაქუტება“, – პატარა ბავშვივით შესწიოდა კამერონი უფროს დას.

როგორც ყველა შეყვარებულმა ქალმა, კამერონმა კარგად იცოდა მეთის დონჟუანური წარსული, მაგრამ უზომოდ ენდობოდა შეყვარებულს და მისი ცოლობაც ჰქონდა გადაწყვეტილი. რაოდენ დიდი იყო კამერონის გაოცება, როცა ერთხელ, მეთის პიჯაკის ჯიბეში მერაია ქერის სასიყვარულო ბარათი აღმოაჩინა!.. ეს დიღონის ნიუ-იორკის აპარტამენტებში მოხდა და წასვლის წინ, კამერონმა მაკრატლით დაჭრა მეთის ყველა კოსტიუმი და პურანგი, კედლები კი, ყველა იმ უწმასური სიტყვით შეამკო, რაც კი მის ლექსიკონში მოიპოვებოდა.

გარკვეული ხნის შემდეგ, კამერონმა რესტორანშიც მოაწყო სკანდალი. როცა მორცა თავყვანისმცემელთან ერთად მაგიდასთან მჯდომი მერაია ქერი დიანახა, კამერონმა ვერ მოითმინა, მაგიდასთან მიიჭრა და მერაიას თავზე მთელი გრაფინი ცივი წყალი გადაასხა, რომელშიც ყინულის მოზრდილი ნატეხებიც ეყარა...

კამერონ დიასის ამჟამინდელი მეგობარი, 30 წლის მსახიობი ჯარედ ლეტოა. ვაჟი დღემდე ეჭვიანობს კამერონის ძველ საყვარელზე: ერთხელ ლეტომ კამერონი აიძულა, უარი ეთქვა საკმაოდ ხელსაყრელ წინადადებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ფილმის სცენარით, დიასისა და მეთ დიღონის სასიყვარულო სცენა იყო გათვალისწინებული. „ეს ხომ ჩემი სამუშაოა და მეტი არაფერი“, – სცადა კამერონმა ეჭვიანი შეყვარებულის წინააღმდეგობის გატეხა. „არავითარ შემთხვევაში. მე იმის წარმოდგენაც არ მსურს, რომ შენ ამის ჩადენა შეგიძლია. არავითარი ჰონორარის ფასად არ მოგცემ ამის უფლებას!“ – შეუვალად განუცხადა ჯარედმა.

ამ აკრძალვას კამერონი დიდად არ გაუნაწყენებია, რადგან კინოში



მიწვევების ნაკლებობას ისედაც არ უჩივის. 70-იანი წლების პოპულარული სერიალის მიხედვით გადაღებულ ფილმში „ჩარლის ანგელოზები“, კამერონმა ლიუსი ლიუსთან და დრიუ ბერიმორთან ერთად, ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა და წარმატებამაც არ დააყოვნა: „ამ ფილმიდან ყველაფერი მივიღე, რაც კი შეიძლებოდა მესურვა, – ამბობს მსახიობი. – სამუშაოზე ვერთობოდი და ვმხიარულობდი, აწყვეტილი სიჩქარით ვატარებდი მანქანას, ვიცინოდი და ვცეკვავდი და ყველაფერ ამაში ფულსაც მიხდიდნენ!“

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, კამერონ დიასი და ჯარედ ლეტო ნიშნობის ბეჭდების ყიდვისას „გამოიჭირეს“. რა თქმა უნდა, გავრცელდა ხმა, რომ კამერონი თხოვდება, მაგრამ ქორწილი რატომღაც არ შედგა. დანაღვლიანებული ვარსკვლავი დედასთან ჩავიდა: „ის საერთოდ არ მაქცევს ყურადღებას, როგორც ქალს. ორი თვეა, მხოლოდ იმით არის დაკავებული, რომ ახალი როლი მოიგოს. სხვადასხვა საძინებელში ვვძინავს, რადგან ჯარედი ამბობს, რომ სხვაგვარად, ყურადღების კონცენტრირება უჭირს.“

ჯარედს სტაჟიანი ნაკომანი უნდა განესახიერებინა ფილმში „ოცნების რეკვიემი“. „იცოც, შვილო, – უპასუხა კამერონს დედამ, – მგონი საქმე ის არის, რომ მას არ სურს, მისტერ დიასად იქცეს და ამიტომ ცდილობს, მთელ სამყაროს და პირველ რიგში, საკუთარ თავსაც დაუმტკიცოს, რომ ისეთივე შესანიშნავი მსახიობია, როგორც შენ. ეს კი,



არც ისე ადვილია!..“ დიასმა დედას დაუჯერა. რადგან ჯარედს ასე სურდა, კამერონი მზად იყო, საიდუმლოდ შეენახა მათი ურთიერთობა – არ ევლოთ მაღალი საზოგადოების წვეულებებზე და არ მიეყროთ პრესის ყურადღება მანამდე, სანამ ლეტო ისეთივე სახელგანთქმული არ გახდებოდა, როგორც დიასია, – თანაც, ქალს ეჭვი არ ეპარება, რომ ეს მალე მოხდება...

საოცარია, მაგრამ ფაქტია: კამერონ დიასი, რომლის დანახვაზე მამაკაცებს მუხლი ეკვეთებათ, თანახმაა, აიტანოს შეყვარებულის ჭირვეულობა. რამდენიმე თვის წინ, როცა ისინი „ოსკარები“ დაჯილდოების ცერემონიიდან ბრუნდებოდნენ, ჯარედმა განუცხადა: „იცოც, ჩემი ნება რომ იყოს, გამოქვამულში გაცხოვრებდი, სადაც მარტო მე და შენ ვიქნებოდით“. საჭკესთან მჯდომმა კამერონმა არაფერი უპასუხა, მაგრამ მოსახვედში საშინელი სისწრაფით შეუხვია...

კამერონ დიასი სილამაზის გარდა, ჰოლივუდში ჭკუითაც განთქმულია. ის მზადაა მოითმინოს, რადგან ჯარედი მის ყველა გატაცებას უზმოდ იტანს, – უყვარს ძაღლები და კატები და კარგად ერკვევა ოთახის მცენარეებში, რომლებითაც კამერონს გავსებული აქვს სახლი.

საერთოდ, კამერონს ლაპარაკი უყვარს, მაგრამ ახლა, როცა საკითხი მის პირად ცხოვრებას ეხება, ის მშვიდად პასუხობს: „ვცდილობ, ვისწავლო ადამიანების გაგება – ჩავწვდებ იმას, რა მსურს მე და რას ველი მათთან ურთიერთობებისგან. იმისათვის, რომ საქორწინო საკუროთხვევლის წინ დავდგე, არ არის საჭირო ჩემთვის აღმასების ჩუქება, საკმარისია, საყვარელმა ადამიანმა შემომთავაზოს შემწვარი კარტოფილი, ცოტაოდენი შავი ხიზილალა და შემპირდეს, რომ აუცილებლად მიყიდის ახალ ფეხსაცმელს!“




არჩილიც გრძნობდა მეგის უჩვეულო დამოკიდებულებას მისდამი, მაგრამ ამას მაინც წუნანდელი შეცდომის გამოსწორების სურვილით ხსნიდა და ყურადღებას ნაკლებად აქცევდა. სიყვარული მისთვის უცხო არ ყოფილა, თუმცა, უკანასკნელად 10 წლის წინ იყო შეყვარებული. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო. სწორედ მაშინ აუტრუვედა გული სიყვარულზე: გოგონა, რომელიც სიცოცხლეს ერჩინა და მზეც და მთვარეს ფიც-ულობდა მასზე, სრულიად მოულოდნელად, მისსაკვე მეგობარს გაჰყვა ცოლად და არჩილის წლობით ნალოლიავეები გრძნობა ქარს გაატანა. შეურაცხყოფილმა ყმაწვილმა დაიფიცა, რომ აღარასოდეს არავის შეიყვარებდა და მისი გულის კარი ყოველთვის დახშული იქნებოდა იმ ფანატიკური გრძნობისთვის, რომელსაც სიყვარული ჰქვია... მას შემდეგ ყოველთვის ცდილობდა, ეს გრძნობა სერიოზულად არ აღექვა და არამც და არამც არ მოხვედრილიყო მისი გავლენის ქვეშ. მტკიცედ სწამდა, რომ სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცს შეეძლო და მუდამ ამ გრძნობის ერთგული, მხოლოდ მამაკაცი იქნებოდა, ხოლო ქალს ამინდივით ცვალებადს, ეგოიზმით შეპყრობილს შეიძლება, დღეს ერთი ჰყვარებოდა, ხოლო ხვალ – სულ სხვა, უწინდელზე რაიმეთი უფრო მაცდუნებელი... მტკიცედ სწამდა, რომ ქალი ეშმაკზე საბი დღით ადრე იყო დაბადებული და თვით ეშმაკის შეცდენაც შეეძლო. სწორედ ამიტომ ცდილობდა, სულ რაღაც ერთი დღის წინ გაცნობილ მეგისგან თავი ცოტა შორს დაეჭირა და არაფრით მოქცეულიყო მისი მომაჯადოებელი ხიბლის ქვეშ. თუმცა კი, უკვე გრძნობდა, მწერივით რომ იხლართებოდა ამ „ობობას“ უჩინარ ქსელში... ერთი მხრივ, ეს არჩილისთვის კარგიც იყო იმ წუნანდელი საშინელების დასაფიცვლად, მაგრამ მეორე მხრივ, მის ყურადღებასაც მოაღუნებდა, საკუთარ თავზე კონტროლის გაწევაშიც შეუშლიდა ხელს და დაძაბული სიტუაციიდან გამოსვლასაც კიდევ უფრო გაურთულებდა...

– არ წავიდეთ? – არჩილმა მეგის გადახედა. ქალი ახლავდა გამოერკვა ფიქრებიდან, ოღნავ გაიღიმა და მანქანა დაძრა.

– თავი, რაღაც საშინელებათა ფილმში მგონია, სულ დავიბენი, არც კი ვიცი, რით დაგეხმარო... – ისე თქვა, რომ არჩილისაკენ თავი არც მიუბრუნებია.

– ახლა ყველაზე მეტად ის მაინტერესებს, ტელევიზიით თუ გადმოსცემენ რაიმეს იტალიელი ბიზნესმენის შესახებ.

– ვნახოთ, რა იქნება. ჯერ ადრეა, ასე უცებ, ვერც ტელევიზია მოასწრებდა რე-



შეხვედითო მკვლელთა

მერაბ ბურჭულაძე

აგირებას. ხვალამდე შეიძლება ეს ამბავი არც კი გახმაურდეს... გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს. თუ მართლა ის ხალხი დაგდევს მოსაკლავად, ვისზეც ეჭვი გაქვს, – შევხვდეთ, ავუსხსნათ, დავარწმუნოთ, რომ არაფერ შუაში ხარ, არ ჩაერევი მათ თამაშში და საერთოდ, დაივიწყებ ყველაფერს, რაც მოხდა. თუ საჭირო იქნება მოშორდები აქაურობას და სხვაგან წახვალ საცხოვრებლად, რომ ვინმეს ეკალივით თვალში არ ხვდებოდე...

– რას ამბობ?! მაგისთანებს ვინ ჭამს... – თუ საჭირო იქნება, მამაჩემსაც ჩაერევეთ საქმეში, გავლენიანი კაცია და მის სიტყვას წონა აქვს. ოღონდ, ჯერ დამშვიდდი, ცოტა დაისვენე. კარგად აწონ-დავწონოთ ყველაფერი. აჩქარება არაფერს გვარგებს.

– რა საოცრება ყოფილხარ და რა საშინელი შთაბეჭდილება დამიტოვე პირველად!... – არჩილი დააკვირდა ამ ქათინაურით კმაყოფილი ქალის სახეს. – პირველად ვიფიქრე, ვიღაც გამოუსვლელ ქაჯს გადავეყარე-მეთქი, ვისაც საკუთრი თავის გარდა, არავინ აინტერესებს, ვისაც თავისი კეთილდღეობისთვის თამამად შეუძლია გაწიროს გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანი-მეთქი... მართალი ყოფილა – პირველი შთაბეჭდილება მცდარი შეიძლება იყოსო... დიდ ხათაბალაში ვარ გახვეული და ძალიან არ მინდა, ამ ხათაბალაში შენც გაგზავიო და ჩემი გული-სათვის დაზარალებე.

– ისევ დაიწყე, ხომ?

– რა დავიწყე? – სიმართლეს გეუბ-

ნები და მინდა, რომ ჩემს გულწრფელობაში ეჭვი არ შეგეპაროს.

– მეჯერა, მაგრამ თუ დახმარებას შევძლებ, რატომ არ გინდა, გამოიყენო ეს შანსი?! ადამიანი ხომ, უპირველესად, გაჭირვებაში იცნობა.

– ჰოდა, გამოვიყენებ, ოღონდ, შევთანხმდეთ: რადგან სიკეთის გაკეთება გინდა, დღესაც შენს სახლში დავრჩები, ხვალ კი მეგობრებთან წავალ... არა, შენც, რა თქმა უნდა, ჩემს მეგობრად გთვლი, მით უმეტეს, რომ უკვე ორჯერ მარუქე სიცოცხლე, მაგრამ ჯერ ისინი უნდა მოვიხანსო. პირველ რიგში, ის უნდა დავადგინო, თუ ვინ გამწირა და რატომ.

მანქანა ეზოს მიუახლოვდა. მეგიმ დაასიგნალა და რკინის ჭიშკარიც მალევე გაიღო. ეზოში შევიდნენ და მანქანიდან გადმოვიდნენ. ინგა მოუთმენლად ელოდა ორივეს. ეს მოლოდინი მისი მწვანე თვალების გამოხედვამაც ნათლად ჩანდა.

– რა ქენით, რა დაადგინეთ? – მოუთმენლად იკითხა ქალმა და თვალეებში ჩააშტერდა მეგის.

– ჯერჯერობით მშვიდობაა, რომ არ ველოდით, ისეთი მშვიდობა, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს, – პასუხი არ დააყოვნა და ინგას ლოყაზე აკოცა.

– რაც თქვენ წახვედით, მას შემდეგ ვიღაცამ სამჯერ თუ ოთხჯერ დარეკა, თანაც – ხმა არ ამოუღია, სანამ გენადიმ ერთი ლახათიანად არ შეუკურთხა.

– მოვიდა გენა? – ჰკითხა მეგიმ და არჩილს მიუბრუნდა. – გენადი ინგას მეუღლეა. ფიზიკოსია, ლექციებს კითხუ-

ლობს უნივერსიტეტში. გაგაცნობ, ჭკვიანი კაცია. ორი უმაღლესი აქვს დამთავრებული, დისერტაცია ლენინგრადში დაცვა... რამდენიმე ნაშრომისა და წიგნის ავტორია, მოკლედ, მაგარი ვინმეა, რა!

— გენადი ნახევარი საათის წინ მოვიდა. ცოტა ნახვამია.

— ისევ ხვანჭკარა? — გაიოცა არჩილმა.

— არა, ამჯერად არა. რაღაც ბანკეტზე იყო, უცხოელები ყოფილან ჩამოსულები და იქ დაუღლებია.

— ისევ უცხოელები... — თავისთვის ჩაილაპარაკა არჩილმა და მეგის თვალი ჩაუკრა.

— შევიდეთ სახლში, ინგა გენას გამოიყვანს და ცოტა გული გადავყოლოთ, თორემ, ნამეტანი სევდიანი განწყობილება დაგვეუფლავს.

— მეგი, მოდი, რა, კიდევ ერთხელ დავათვალიერებ შენს მანქანას, იქნებ, ის საბუთი სადმე „ჩაიმაღლა“ და ვერ ვიპოვეთ.

— რა ვიცი, ნახე, თუ ეჭვი გეპარება!

მეგი სახლში შევიდა. არჩილმა მანქანის კარი გამოაღო და გულმოდგინედ დაიწყო თვალიერება. ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საბუთის ამოღებისას, მანქანაში სასმენი აპარატიც მოათავსეს. დიდხანს ათვალიერებდა თითოეულ კუთხეს და ყველა საეჭვო ადგილს ყურადღებით აკვირდებოდა, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა და ახალგაზრდა კაციც გულდამშვიდებული გაემართა სახლისკენ.

საშუალო სიმაღლის, თმაშევერცხელილი სიმპათიური კაცი, რომელიც ინგას მოჰყვა, შემოსვლისთანავე მიესალმა და ორივე ხელში მოიქცია არჩილის მარჯვენა.

— ძალიან სასიამოვნოა, ძალიან. მოხარული ვარ თქვენი გაცნობით. დილით გოგოებმა მიაბნეს თქვენი ფათერაკიანი თავგადასავლის შესახებ. ერთი ღამის თავგადასავალი ერთ დიდ წიგნსაც ეყოფოდა მასალად! მე საქმის კურსში ვარ და ყველანი ვეცდებით, ეს გაუგებრობა, რომელიც ახლა პრობლემად ქცეულა, მალე სასიკეთოდ მოვაგვაროთ.

გენადი საკმაოდ ენაწყვილანი ადამიანი ჩანდა.

— მეგი! ეს რა არის? მჭრი თავს სტუმართან? — არჩილს ხელი გაუშვა და თავაზიანად მიიპატიჟა გაწყობილ სუფრასთან, — ნატურალურ შავ ღვინოს ვერ ვხედავ! რა არის, გოგოებო, დაგავიწყდათ მამაპაპური ადათ-წესები? აბა, ჩქარა, ხვანჭკარა! ხვანჭკარა სუფრასთან და ცხელი ხაჭაპურები!

— ისედაც კარგა გვარიანად ხარ ნახვამი — გაკაპასდა ინგა, მაგრამ გენადის შეკრულ წარბებს რომ მოჰკრა თვალი, უსიტყვოდ გავიდა სამზარეულოში.

— მე იქნებ საერთოდ არ მინდოდა დალევა, მაგრამ სუფრასთან ახალგაზრდა კაცი ზის; რას იტყვის ეს კაცი, აქედან რომ გავა? ტრადიცია არ უნდა დავარღვიოთ. აი, დღეს პირდაღებულები, გაცივებულნი მოგვჩერებოდნენ გერმანელები... უნდა გითხრათ, რომ მართლაც აღფრთოვანებული ვაქვით ხვარნენ თავიანთ ქვეყანაში. მსგავსი, მეფური პურმარული და სტუმართმოყვარეობა არ გვინახავსო, — ერთხმად აღიარეს.

ხუთიოდ წუთის შემდეგ, ოთხივე, სუფრასთან იჯდა. ის იყო, გენადიმ სასმისები შეავსო, რომ ოთახში გვიმ შემოირბინა და დედას კალთაზე ჩააფრინდა.

— დე! ძია იაკობი მოვიდა.

— ო-ო, ჩვენი მოძღვარი! ძია კი არა, მამა იაკობი, — გენადი წამოძვრა. ბოდიში მოიხადა და კარისკენ გაეშურა. რამდენიმე წუთის შემდეგ, ოთახში მასთან ერთად თმაჭაღარა, გრძელანაფორიანი, ძალიან კაცი შემოვიდა. ჭაღარა, წვერ-ულვაშშიც საკმაოდ შერეოდა. იგი სათითაოდ მიესალმა ყველას და გენადის მიერ შეთავაზებულ სკამზე დაჯდა. ინგამ ახალი თევზი შემოიტანა, სტუმარს წინ დაუდგა, მერე მღვდელს მხარზე ხელი დაადო და არჩილს ღიმილით მიუბრუნდა.

— ბატონო არჩილ, მამა იაკობი ამ ოჯახის ყველაზე ძვირფასი სტუმარია, იგი მეგის ნათლია და მოძღვარია, თუმცა კი, ძალიან იშვიათად გვეკადრულობს ხოლმე...

— რომელმა ქარმა დაუქროლა, მამაო? — მეგიმ სიტყვა არ დაამთავრებინა.

— თქვენს მეზობლად, სულ ახალგაზრდა კაცი მომკვდარა, გაიგებდით ალბათ, თავი რომ ჩამოიხრჩო. ჰოდა, მომაკითხეს წესის ასაგებად, ის კი დამიმალეს, თავი რომ ჩამოიხრჩო. რომ მივედი, მხოლოდ მაშინ მითხრეს... თავის ჩამოხრჩობა ყველაზე დიდი ცოდვაა და ასეთი ადამიანისათვის წესის აგების უფლება არ გვაქვს...

— საწყალი, ნეტა რამ გადაადგმევინა ასეთი ნაბიჯი? — სინანულით გააქნია თავი არჩილმა.

— ეჰ, ამ ბოლო დროს ძალიან მომრავლდა ასეთი შემთხვევა — ცხოვრების მიმე პირობებმა მოიტანა. სიკვდილის წინ წერილი დაუწერია: ყველას პატიებასა და შენდობას სთხოვდა. ობლად დარჩენილ თავის ორ მცირეწლოვან შვილსა და 22 წლის დაქვრივებულ მეუღლეს მხოლოდ ამას უბარებდა — არ დაევიწყებინათ მამა და ქმარი, რომელმაც ვეღარ შეძლო ბავშვებისთვის პური რომ ეყიდა, სამათხოვროდ კი, თავმოყვარეობის გამო ვერ გავიდა. მამაკაცური ღირსება შეელახა, უმწეობა ვერ გადაიტანა. შიმშილ-

სა და ბედის დაცინვას კი, ეს ამჯობინა...

— როგორც ჩანს, მაინც შეგეცოდათ ის ახალგაზრდა კაცი? — გამომცდელად იკითხა არჩილმა და ჭიქები ღვინით შეავსო.

— მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენით. დღეს ქვეყანაში სატანა ბობოქრობს. ხელ-ფეხი გახსნილი აქვს და სწორედ იმ აკრძალულ ხილს სთავაზობს ყველას, პირველი ქალი — ევა რომ აცდუნა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში მომრავლდა ეკლესიათა მშენებლობა, ათასჯერ გაიზარდა ურწმუნოთა რიცხვი. მარტო ეკლესიაში შესვლა და სანთლის დანთება არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი მორწმუნე გახდა. ეკლესია და ღმერთი, პირველ რიგში, ჩვენს სულში უნდა იყოს, სულს კი, ერთი კარი აქვს და მასში ორი შესასვლელია — ერთი თვალისა, მეორე — გონებისა. თვალისა შესასვლელი გზა, ეშმაკისაა, ხოლო გონებისა — სიწმინდის, ღვთის გზაა...

— ჩვენი ქვეყნის საღვთისმეტყველო შევსვათ, — გენადიმ ჭიქა ასწია, — გაეძლოს ეშმაკის გამოცდისათვის და მალე გვენახოს აღმავლობის გზაზე დამდგარი.

სასმისები დაიცალა და არჩილმა ისევ შეავსო.

— მე მაინც მგონია, რომ სოკოსავით მომრავლებულმა პარტიებმა მიიყვანა ქვეყანა დალუპვის პირას. ვისაც კი ხელისუფლების სათავეში მოსვლის ამბიცია გაუჩნდებოდა, აუცილებლად პარტიას აყალიბებდა. ჩვენთან რომ პარტიებია, მე მგონი, მიუღწეველი არ იქნება იმდენი. ყველას პრეზიდენტობა უნდა... ზოგჯერ რომ ვუფიქრდები, დამოუკიდებლობა მარტო დღევანდელ ხელისუფლებაში მოსულ ხალხს აძლევს ხელს, ასე არ არის, ბატონო გენადი? — არჩილმა გენადის გადახედა.

— შეიძლება ასეც იყოს: ხელ-ფეხი გაეხსნათ — ვერც ვერაინ უკრძალავს რამეს, არც ვინმე უფროსი ჰყავთ. სოციალიზმის დროს დაგროვილი ქონება, რომელიც თავის დროზე, საეჭვო გზით მოიპოვეს, ოფიციალურადაც დაიკანონეს. უბრალო ხალხს კი, იმდენი აძახებინეს, — გაუმარჯოს დამოუკიდებლობასო, — რომ ახლა უკვე, დამშეულს, ამ დამოუკიდებლობის ხსენებაც კი აღარ უნდა.

არჩილი იდაყვით მაგიდას დაეყრდნო და ნიკაბი ხელისგულზე დადო. თავისი მდგომარეობა გაასხენდა. გენადიმ ახალი საღვთისმეტყველო წარმოთქვა და ისევ დაცალეს სასმისები.

საუბარმა გვიანობამდე გასტანა. გვარიანად შექვიფიანებულმა არჩილმა, მეგის რადიომიმღები სთხოვა. მეგიმ მიუტანა და ახალგაზრდა კაცმა შუაღამემდე უსმინა

საინფორმაციო გამოშვებებს, მაგრამ იტალიელის შესახებ ერთი სიტყვაც არავის დასცდენია. თითქოს ყველაფერი სიზმარში მოხდა.

ორშაბათს დილაუთენია წამოდგა არჩილი საწოლიდან. კიდეც არ სჯეროდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი არ იყო. ამ ორი დღის განმავლობაში, რაც მეგისთან იმყოფებოდა, ვერც პრესით შეიტყო რაიმე ახალი და ვერც ტელევიზიით. წინა დღეს, მეგობრებთან ტელეფონით დაკავშირება სცადა, მაგრამ მომხდარის შესახებ მათაც არაფერი იცოდნენ და არც არჩილს უთქვამს მათთვის რაიმე. ეს ყველაფერი შეიძლება, განზრახ იყო მიჩუმებული და თვითონაც არ უნდა წამოგებულყო ამ ანკესზე. მთავარი მანც ის იყო, რომ სულით არ დაცემულიყო და მორალურად არ გაეტეხათ... დღეს გადაწყვეტილი ჰქონდა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, სამსახურში გასულიყო და შეძლებისდაგვარად, გაერკვია რაიმე. უარი თქვა მეგის შემოთავაზებაზეც, თავისი მანქანით წაეყვანა.

არჩილი ქუჩაში გამოვიდა და სწრაფი ნაბიჯებით დაეშვა დაღმართზე. ადრიანი დილა იყო და ქუჩაში კანტიკუნტად მოძრაობდნენ ადამიანებიც და მანქანებიც. ცენტრალურ ქუჩაზეც მალე ჩავიდა და ტაქსის გამოჩენას დაელოდა. პიჯაკი მოხურული ჰქონდა და თვალზე მზის მუქი სათვალე ეკეთა. უეცრად, მასთან ახლოს, ავტომანქანამ დაამხურუჭა. ყოველი შემთხვევისათვის არჩილი გულის ჯიბეში ჩადებულ პისტოლეტს სწვდა და ჩახმახზე შეაყენა. მანქანის ფანჯრები ჩამუქებული იყო და სალონში მსხდომნი არ ჩანდნენ. რამდენიმე მოკლე სიგნალმა მიახვედრა, რომ მას ეძახდნენ, რადგან ახლომასლო სხვა არავინ ჩანდა. მანქანის მარჯვენა კარი გაიღო და თავისი ბავშვობის მეგობრის სახეს მოჰკრა თვალი: ხელით ანიშნებდა – მოდიო.

მოულოდნელობისაგან გახარებული არჩილი მანქანაში სწრაფად ჩაჯდა და ის იყო, რაღაცის თქმა დააპირა, რომ მძღოლმა ანიშნა – კრინტი არ დაძრაო. მერე ხელი გაუწოდა, მაგრამ ჩამოართვა და ისევ ანიშნა – ხმა არ ამოელო.

მანქანა სწრაფად მიდიოდა. ირაკლიმ ხელი უკან გადასწია და არჩილს მუხლებზე ახალი ტანსაცმელი დაუდო; ანიშნა – გამოეცვალა, რაც არჩილმაც უსიტყვოდ შეასრულა. ის იყო, პერანგის ჩაცმა დააპირა, რომ ირაკლიმ გულზე დაკიდულ ვერცხლის ჯვარზეც ანიშნა – მოიხსენიო. არჩილმა ჯვარიც მოიხსნა და შარვლის ჯიბისკენ წაიღო, მაგრამ მეგობარმა ახლა ჯვარი გამოართვა, გადააბრუნა და რაღაცაზე ანიშნა. ჯვრის

კუთხეები უცნაურად იყო ერთმანეთზე გადაბმული. ირაკლიმ მანქანა პირველივე სანაკვე ყუითან გააჩერა, ტანსაცმელიც და ჯვარიც შიგ ჩაუძახა და ისევ სწრაფად დაძრა მანქანა.

– ახლა შეგიძლია ილაპარაკო, ნულარაფრის გეშინია.

არჩილი უკმაყოფილოდ აბურტყუნდა:

– ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ჯვარშიც შეიძლებოდა რაიმე ყოფილიყო ჩადებული.

– ასეთი ჯვრები სპეციალურად დაამზადეს ამას წინათ. როგორც ჩანს, იმ პარტიიდან ერთი შენც გერგო. ვინ მოგნათლა?



– სამსახურის უფროსმა!

– სწორედ შენი სპეცსამსახურის უფროსის კლანჭებში მოხვედრილხარ... ამაზე მოგვიანებით. ახლა კი, როგორმე მღევარი მანქანა უნდა ჩამოვიცილოთ. დარწმუნებული ვარ – ასე უფურადღებოდ არ მიგატოვებდნენ... აი ისიც – შავი „გაზ 24“.

– ირაკლი, ამისხენი, რა ხდება?!

– ახლა მაგის დრო არ არის. ჯერ ეს მანქანა უნდა ჩამოვიშოროთ. მათ ჩემი ვინაობა არ უნდა გაიგონ; ეს შენთვის იქნება ცუდი, თორემ მე ვერაფერს დამაკლებენ.

– ეს დანჯღრეული „მოსკვირი“ ვინაია? როდის შეიძინე?

– დანჯღრეული შენ ხარ. ეს მანქანა საიმედოა. თუ უშიშროების გაცურებას შეძლებ, ჭკვიანი მაშინ ხარ კაცი.

– შენია და არ იციან?

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს?... ფრთხილად იყავი...

მანქანამ სწრაფად გადაკვეთა გზაჯვარედინი, მერე მოულოდნელად, მკვეთრად მოუხვია და სულ სხვა მიმართულებით წავიდა. შავი „ვოლგა“ წამით შეყოვნდა, მერე ისეთივე მანევრი შეასრულა და ისევ „მოსკვირს“ „დააჯდა კულზე“.

– სად მიდიხარ? საგზაოს საგუშაგოა, გზა რომ გადაგვიკეტონ?

– ასეთი მიაშიტებიც არ არიან, – ირაკლის ჩაეცინა. – შენ გგონია ყველა საგუშაგოს გააფრთხილებენ – უშიშროების თანამშრომლებს მოვლევთ და დაიჭირეთო?

მანქანამ ახლა სანაპიროსკენ ჩაუხვია – ისე, რომ საბურავების წუილმა გააყრუა იქაურობა და კიდეც მოუმატა სიჩ-


ქარეს. ცარიელი ქუჩები „მოსკვირსაც“ და „ვოლგასაც“ მოძრაობას უაღვილებდა. მაგრამ მოულოდნელად, საიდანღაც სატვირთო მანქანა გაჩნდა და „მოსკვირს“ გზა გადაუკეტა. ირაკლი წამით შეყოვნდა. მღევარი უახლოვდებოდა.

– არჩილ, ცურვა ხომ იცი?

– ჰო!

– ჩემთან შევხვდებით, გაიგე? აბა, გავედიო!

ამ სიტყვებზე ორივემ მანქანის კარები გამოაღო. მყისიერად გადახტნენ და პირდაპირ მდინარეში გადაემშენენ. ავტომატიდან ნასროლმა ტყვიებმა მხოლოდ ჰაერი გაკვეთა. შავი „გაზ 24“-დან გადმოსულმა სამმა ნიღბიანმა ახლა წყალს დაუშინა ტყვიები. ზედაპირზე არავინ ჩანდა. სამი-ოთხი წუთის შემდეგ, ისევ მანქანაში ჩასხდნენ. ერთს თითქოს რაღაც გაახსენდა, მიტოვებული „მოსკვირის“ სალონში ყველაფერი მოჩხრიკა, მაგრამ საინტერესო ვერაფერი იპოვა. ერთი მაგრად შეიკურთხა. წინ გაჩერებული სატვირთო მანქანის მძღოლსაც, რომელიც კაბინიდან შეშინებული აღეწებდა ყველაფერს თვალყურს და თან, გამალებული ცდილობდა მანქანის დაქოქვას, შეუკურთხა, მანქანაში ჩაჯდა და იქაურობას გაეცალნენ.



მოგზაურის, ხოლო შემდგომ სამუშაოს მაძიებლის სტატუსიდან ნარკომანი ჩეჩნების „მომთვინერე-ბლად“ ვიქეცი შორეულ ბრუკლინ-ში (ამ ამბების შესახებ, იმედია, იცით „გზის“ №19-დან). კაცმა რომ თქვას, სულაც არ მიზიდავდა სასტუმროს (უფრო სწორად, საერთო საცხოვრებლის) კონფლიქტურ და აუტანელ გარემოში ყოფნა. მაგრამ, რომ იტყვიან, თავს ზემოთ ძალა არ მქონდა — ჯერჯერობით, ჩემი მწირი ბიუჯეტი ახალი ბინის დაქირავების საშუალებას არ მაძლევდა. ასე რომ, ბედს შეგუებული, იძულებული ვიყავი, ცოტა ხანს კიდევ ამეტანა ლოთებისა და ნარკომანების გარემოცვაში ღამის გათევა (იქ ყოფნას ცხოვრებას ნამდვილად ვერ ვუნოდებდი).

«ამერიკული ოცნების» ფრთაშესხმა არს ისე იოლი აღმოჩნდა...

აკაკი გვებნავა

სიერპრიზების კორიანტელში

იმ დღეს რესტორანში გვიანობამდე შეერჩი და იქიდან დაბრუნებულს რატომღაც, ნომერში სინათლე ანთებული დამხვდა. თურმე ჯერ სჯდა ხარ?! — მთავარი სიურპრიზები წინ მქოლდა: ნომრის ბინადარი თავიანთ საწოლებზე სტუმრებივით ჩამოსხდარიყვნენ, მაგიდასთან უკრაინელი ტარასა იჯდა. დამინახა თუ არა, საწყალოლად შემომხვდა — რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ უცბად, გადაიფიქრა და თავი ჩაუნა. ერთბაშად კომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდი. კუთხეში თავშეხვეული რუსული ჩაცუქულიყო და მიშველეო, — მანინა. ჯერ ვერ მივხვდი, რა ხდებოდა და მოულოდნელად, ჩემგან ზურგშექცევით მუდარი ნაცნობი ფიგურა დავლანდე: ვახო მშვილად იჯდა, სიგარეტს აბოლებდა და ტელევიზორში რომელიღაც ბოვეიკს უყურებდა...

... დილით, ვახოს ტელეფონით ვესაუბრე (მითხველს ალბათ ახსოვს ჩემი მეგობარი ვახო, რომელთან ერთადაც ამერიკაში ჩავედი: იმჟამად იგი დეტროიტში მუშაობდა). პოლა, სხვათა შორის, ისიც ვუთხარი — სასტუმროში ინციდენტი შემემთხვა და ნარკომანები მივეფრთხილე-მოვეფრთხილე-მეთქი... ვახოს გადავეხვიე და უსაყვედურე: თუ ჩამოსვლას აპირებდი, რატომ არ გამაფრთხილე, დაგხვდებოდი-მეთქი.

— რომ მითხარი, ვინცხუბო, ვერ მოვიტინე და ჩამოგაკითხე... — კეთილი გოლიათის ღიმილით ამიხსნა ვახომ თავისი ვიზიტის მიზეზი.
თითქმის ნახევარი საათი ვსაუბრობდით სულმოუთქმელად და გარშემომყოფნი გადაგვაკვიწყლენ კიდევ. ბოლოს, გული რომ ვიჯერეთ, ოთახს მოკვლე თვალი.
— შენი ნამუშევარი? — კვითხე ვახოს და თავშეხვეული, საცოდავად მოკუნტული რუსლანისკენ გავახედე.
— ეკუთვნოდა და მიიღო კიდევ!..
— რა დაგიშვა ამ უბელურმა?
— ცოტა ზედმეტი მოუვიდა — „სიტუაციის ფლობა“ მომიწოდმა. მეც ავდექი და ჭკუაზე მოვიყვანე. მგონი, ტვინის შერყევა აქვს!..
— ნუ გეშინია, არ შეეტყობა. წვერიანი სად იყო? — მუსაზე კვითხე.
— ეს გვიან მოვიდა და ადვილად გაერკვა ყველაფერში, ხმა არ ამოუღია, ზის თავისთვის...
მუსამ, ეტყობა, იგრძნო, მასზე რომ ვლაპარაკობდით და მომიახლოვდა:
— კაცო, უთხარი ამ „კამალოტს“, რომ ჩვენ ძმები ვართ და ნუ დაგვერევა...
— დაწყნარდი, მუსა, გაუგებრობა მოხდა, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება!.. — დავამშვიდე და ვახოსთან ერთად ოთახიდან გავვედი.
— შენ, ბიჭო, საჩხუბრად ჩამოხვედი თუ ჩემს სანახავად? რაზე რომ გამჭირვებოდა, ხომ გეტყვოდი. მაგას ისედაც მაგრად მოხ-


ვდა ჩემგან და ახლა შენდა აკლდი?!

— კაცო, შენი გულისთვის მაგ „სირის-ტიანებს“ კი არა, ათ კაცს გავლახა!.. — აღშფოთებას ვერ მალავდა ჩემი ძმაკაცი და თან ვერაფრით გაეგო, როგორ ვძლებდი ამ „ბალაგანში“.
— თუ გიჭირს, გულახდილად მითხარი, არ დამიძალო, წამოდი ჩემთან დეტროიტში და ერთად ვიყოთ... მართალია, ჯერ ნორმალური სამუშაო ვერ ვიშოვე, მაგრამ მპირდებიან, შენთვისაც გამოინახება რაიმე...
— არა, ვახო, სამსახურის მხრივ ნიუ-იორკში მეტი გასაქანია, ვიდრე დეტროიტში. თუ გინდა, შენც დარჩი აქ... — იქით შევთავაზე ვახოს ჩემთან დარჩენა.
— მერე ამ „ბოსიაკებთან“ ერთად ვიცხვოვროთ?
— რატომ ამითან? — ფული მოვაგროვოთ და ნორმალურ ბინას ვიქირავეთ, უბრალოდ, დროა საჭირო...
— არა, ძმაო, ნიუ-იორკი ნამდვილი სასაყვეა, დეტროიტი ბევრად სჯობს. წყნარად მაინც იქნები და ათასი შარის არ შეგეშინდება.
სამწუხაროდ, კონსენსუსს ვერ მივაღწიეთ: მე ნიუ-იორკის მშფოთვარე რიტმი მიზიდავდა, ვახოს — შედარებით წყნარი ქალაქი. ბოლოს, შევთანხმდით — ვინც უკეთეს სამსახურს იშოვიდა, იმისკენ გადავიხრებოდით და მის არჩეულ ქალაქში გავაგრძელებდით „ამერიკული ოცნების“ ფრთაშესხმას.
ვახო ნიუ-იორკში სამი დღე დარჩა. რესტორანშიც მახლდა, ჩემი მომზადებული კერძებითაც „დაიშოკა“, საზეიმო სუფრაც გაუშალე, კისას თავაზიანი ნებარ თვით ქალაქშიც გავისიერეთ, ღამის კლუბშიც თავდავიწყებამდე ვაცეკვეთ ხან რუსი და ხან მულატი გოგონები... მინდოდა, ვახოს მათი „ხათრი“ მაინც გადაეფიქრებინა წასვლა, მაგრამ შენც არ მომიკვდე, მასეთ ქალებს კი არა, მზეთუნახავებს ყავას მოვატანიებ შენთვის დილაობით ლოგინში...
— წამეტრახაბა...
რას ვიზამდი? — ცალკე ძმაკაცთან გამოთხოვება მიმძიმდა, ცალკე ნოსტალგიამ წამიჭირა ყელში... რა გაეწყობა? — ეს უკვე მერამდენედ დავმორჩილდი ფორტუნას და იმედია, გავაცილე დეტროიტში მიმავალი ვახო...
ისევ ძველი სახეები ბანანებით სავსე სახილეს ფონზე...
იმის შემდეგ, რაც დეიდა თამარა (საერთო საცხოვრებლის მესპატრონი) ჩემ მიმართ კეთილად განეწყო, მის საშუალობელოში თავს შინაურულად ვგრძნობდა. ადრე თუ ქირის ასაღებად სულთამხუთავივით, ლოგინში მწოლიარეს დამადგებოდა თავს, ახლა ზოგჯერ ისე გავიდოდა ქირის გადა-

ერთგული მკითხველი


თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-
მასსოვრებთ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი
და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდ-
ებათ პასუხის ვაცემა...

1. რომელ ტელეკომპანიაში
მუშაობს ცნობილი ამერიკელი
ნამგებანი ლარი კინგი?




- ა) CNN-ში;
- ბ) CBS-ში;
- გ) NBC-ში.

2. 1894 წელს გაზეთი „ივერ-
ია“ წერდა: „... ხმა ქალიან კარ-
გი აქვს, გარეგნობა შესაფერი,
და თავიც, რამდენადაც პირველ
ნათამაშავს შავფარის, კარგად
უჭირავს სტენაზად... თამამად
შეგვიძლია ვუწინასწარმაცხვე-
ლოთ, რომ ჩვენი სტენის ფრიად
გამოსაღები არტისტი დადგება“.
ვისზე იყო საუბარი?



- ა) ლადო ალექსი-მესხიშვილზე;
- ბ) კოტე მარჯანიშვილზე;
- გ) ელისაბედ ჩერქეზიშვილზე.

3. რომელ ქვეყანაში მდებარე-
ობს მსოფლიოს უმაღლესი შე-
ნობების სიაში მეოთხე ადგ-
ილზე მდგომი ტყუილი კომპი PET-
RONAS TOWERS (452-452 მეტრი)?



- ა) აშშ-ში;
- ბ) კანადაში;
- გ) მალაიზიაში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ხდის დღე, რომ არც კი მომაკითხავდა.

– რა ხდება, დედა თამარა, ფული არ
გჭირდება? – ვკითხე ერთხელ.

– ეე... შეილო, ნეტავი შენნაირი კლი-
ენტი ბევრი მყავდეს!..

გავუთამაძი და ვკითხე: თქვენი ნდობა
რით დავიმსახურე-მეთქი?

– გეტყობა, რომ სამუშაოდ ხარ ჩამო-
სული და არა სამაიმუნოდ. შენისთანა კაცს
ადაძიანა დაბრკოლება კი არ უნდა შეუ-
ქნას, პირიქით – ხელი შეუწყოს. ჩემი
ნება რომ იყოს, ქირასაც არ გამოგართმე-
დი, მაგრამ ამ საგადასახადო პოლიციას რა
ვუყო?..

ვუსმენდი და ყურებს არ ვუჯერებდი –
ასე რამ გამოცვალა ეს ქალი, თავიდან,
ცოცხზე შემჯდარი კულიანით რომ მა-
ფროსობდა-მეთქი?

– განა მე არ ვიცი, რომ ჩემს სასტუმ-
როში ლოთები და ნარკომანები არიან... –
აღსარების გუნებაზე დამდგარი თამარა,
– მაგრამ რა ვქნა? – ასეთ პირობებში,
შეძლებული კაცი ჩემთან არ იცხოვრებს
და ამ არეული ხალხის ყურება მიწევს.
არადა, ოჯახი ხომ უნდა შევინახო... – და
ამ შეუხედავი ქალის სახეზე ისეთი სევდა
შევიხსნე, რომ გული ამიჩუყდა. მიუახ-
ლოვდი, მოულოდნელობისგან გაოცებულს
ხელზე ვაკოცე და ოთახიდან გამოვედი...
როცა ჩემს „ბუნაგში“ დაბრუნდი, მო-
ბინადრები ხმაურით თამაშობდნენ ბანქოს.
ჩემი შესვლა და მათი გაჩუმება ერთი იყო.
ტელევიზორს მიუჯექი და ფიქრებში ჩავ-
იძირე.

კარი გაიღო და თამარა შემოვიდა. ორივე
ხელით ძლივს მოჰქონდა ხილის ვეე-
ბერთელა ვაზა – წითელი ვაშლებითა და
ბანანებით სავსე. შუა ოთახში, მაგიდაზე
დადგა და ჩემკენ გამოიხედა.

– კაკო, შენ მოგიტანე, ვიცი, ვაშლი და
ბანანი ვიყვარ... – გამოიღმა და სწრაფად
გაუჩინარდა. ბანქოს მოთამაშეები ხან მე
შემომხედავდნენ, ხან ხილით სავსე ვაზას,
ხან კიდევ – მიხურულ კარს... ვერც ისი-
ნი გარკვეულიყვნენ, რა მოხდა და ვერც მე
ვიხსენებდი, როდის ვუთხარი სასტუმროს
უფროსს, რომელი ხილი მიყვარდა. ბო-
ლოს ადგეტი, წითელი, ჩვენბური „ივერი-
ის“ მსგავსი ვაშლი ჩაკბიჩე და გამარჯვე-
ბულის იერით განვაცხადე: Жить надо
уметь!

თურმე რატომ

მილიმოდნენ ქუჩაში ზანგები...

მიუხედავად სასტუმროში ასეთი „რდე-
ალური“ ცხოვრებისა, იქ ყოფნა სულ უფრო
აუტანელი ხდებოდა. ვერც ვერაფერს შეეცე-
ლიდი – ლოთებს სმას ვერ დავუშლიდი,
ნარკომანებს – კაიფს. პირიქით, ორივე
კატეგორიას ხშირად ჩემს ზარზე უწყ-

და ხან სასმლის, ხან კიდევ წაშლის ყიდ-
ვა... ერთი პირობა ისიც ვიფიქრე, ფულს
აღარავის მივცემ-მეთქი, მაგრამ როდესაც
„ლომაში“ მყოფ მუსას ათლოლარიანზე
უარი ვუთხარი, ისე ცუდად გახდა, „სა-
სწრაფოს“ გამოძახება მოვიხიდა: ექიმებმა
სიკვდილს ძლივს გადაარჩინეს, მე კიდევ,
უგულობისთვის საყვედური გამომიცხადეს...

ნოუ-იორკი, ნარკობარონებისთვის მსოფ-
ლიოში ყველაზე იდეალური ადგილია
აღბათ. იქ ნებისმიერ ნარკოტიკს ძალიან
იოლად შეიძენთ, თუნდაც ქუჩაში. თავიდან,
ამერიკაში ახალი ჩასული რომ ვიყავი,
ქუჩაში მდგომი ზანგის გალიმება მსიამ-
ოვნებდა, ჩემდამი კეთილგანწყობის გამოხ-
ატვად მიმჩნდა. მერე ეჭვი შემეპარა –
რაღა ყველა მე მილიმის-მეთქი. ბოლოს
ისიც გავარკვიე, რატომ მილიმოდნენ –
უბრალოდ, ნარკოტიკს მთავაზობდნენ.

რა გინდა, სულს და გულს, იქ რომ
ვერ იშვოვ: ჰერიონი, კოკაინი, ჰაშიში, კრე-
ვი... ერთ ციდა პარკებში აქვთ დაფასოე-
ბული და ძვირიც არ ღირს – ერთ „ჩეკს“
5-10 დოლარად ყიდიან...

ორთოდოქსი ებრაელების უბანშიც კი
შენიშნავთ ნარკოტიკებით მოვაჭრე ზანგებს
(და არა მარტო ზანგები ვაჭრობენ „თეთრი
სიკვდილით“). მასსოვს, ჩემი იქ ყოფნისას
რა ამბავი ატყდა, როცა პოლიციელებმა
სინაგოგაში აღმოაჩინეს ნარკოტიკების
საწყობი...

სამწუხაროდ, „წამალზე შემჯდარი“
რამდენიმე თანამემამულეც შემეხვდა. ერთხ-
ელ, ბრაიტონზე, ერთ თბილისელ ნაცნობს
გადავეყარე. ისე იყო შეცვლილი, თვითონ
რომ არ მომსალმებოდა, ვერც ვიცნობდი.
საუბრისას გავუბედე და ვკითხე:

– რას ჰგავხარ, ძმაო, თავს იკლავ?...
– რა ვქნა, კაცო, გვონია, მინდა? ვიცი,
რომ დღეს-ხვალ კაიფში „გავიპარები“,
მაგრამ არ შემიძლია თავის დანებება.
სამჯერ ვიმკურნალე კიდევ, მაგრამ არაფერი
გამომივიდა.

რით მენუეებებინა, არ ვიცოდი. მინდო-
და, რაღაც გამოსავალი მომეძებნა, მაგრამ ამ
დროს, ჩემმა თბილისელმა ნაცნობმა ქუჩაში
მდგომ მილიმარ ზანგს მოჰკრა თვალი, ხელით
ანიშნა – დამელოდეო და ისე უცებ დამ-
ტოვა, გამომშვიდობებაც კი დაავიწყდა...

P.S. მიუხედავად ჩემი პროტესტისა და
ახალი ბინის ყოველდღიურად ძიებისა, ოთხი
თვე მაინც მომიწია დეიდა თამარას
„სამოთხეში“ ცხოვრება. თანაც, ისეთ
პიროვნებასაც ვეძებდი, რომელთან ერთა-
დაც ბინას დავიქირავებდი, რადგანაც მარ-
ტოს ძალიან გამიჭირდებოდა ქირის გადა-
ხდა. ასე რომ, წინ ახალი თავგადასაე-
ლებია, რომელსაც, თუ თქვენი სურვილი
იქნება, მომდევნო ნომერში გამოვიტან თქვენს
სამსჯავროზე...



ჰოლივუდის ჯანსჯელაქმის „ულამაზესი ნაწილები“

ახლახან ჟურნალმა People-მა ჰოლივუდის ვარსკვლავთა სხეულის ულამაზესი ნაწილების სია გამოაქვეყნა. აღმოჩნდა, რომ საუკეთესო ფეხები ნიკოლ კიდმანს ჰქონია.

ჟურნალმა ისიც აღნიშნა, რომ ნიკოლ კიდმანი სპეციალურ ვარჯიშებს არ აკეთებს და არც სპორტულ დარბაზებს სტუმრობს – ის უბრალოდ, ბერს დადის ფეხით, ცურავს და

ხანდახან დარბის, თუმცა საერთოდ, ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევრად არ ითვლება. ჟურნალის მიერ დასახელებულ ვარსკვლავთა შორის მოხვდა აგრეთვე ნიკოლ კიდმანის ყოფილი ქმარი და ჰოლივუდში ყველაზე ლამაზი ხელების პატრონი ტომ კრუზი. მამაკაცებს შორის ყველაზე ლამაზი ფეხები ჩოგბურთელ პატრიკ რაფტერს ჰქონია. ჟურნალის აზრით, ყველაზე ლამაზი მკერდი „ოსკარის“ წლევანდელ ლაურეტს, მსახიობ პოლი ბერის აქვს, მამაკაცებს შორის კი, ულამაზესი გულმკერდით მსახიობ ბენჟამინ ბრეტს შეუძლია იამაყოს. ყველაზე მოხდენილი მუცელი მომღერალ აშერას და ჯერი ჰოლიუელს აქვთ. ეს უკანასკნელი კი, მუცლის ფორმის შესანარჩუნებლად თურმე ყოველდღიურად, მუცლის პრესის ათას ვარჯიშს აკეთებს. ნომინაცია „საუკეთესო უკანალის“ გამარჯვებული, ჟურნალს ამჯერად არ გამოუვლენია.



კაილი მინოუგი მუილგე ტცნემტმს

პოპ-ვარსკვლავმა განაცხადა, რომ ძალიან უნდა ბავშვის გაჩენა. საინტერესოა, რომ ეს განცხადება კაილიმ თავის შეყვარებულთან, ჯეიმს გუდინთან განშორებიდან ერთ კვირაში გააკეთა. მინოუგს პასუხი არ გაუცია ჟურნალისტების შეკითხვაზე – აპირებს თუ არა ის გუდინთან ურთიერთობის აღდგენას. წყვილის გაყრის მიზეზი, მომღერლის მეტისმეტად გადატვირთული გრაფიკი გახდა. კაილი მუდამ აცხადებდა, რომ სამუშაო მისთვის ყველაზე მთავარია. მომღერლის თქმით, „ჩემთვის კარიერა ოჯახზე მეტად მნიშვნელოვანია. ოდესმე მეყოლება ქმარი და შეიღებო და შეიძლება, ისინი იქცნენ ჩემი ცხოვრების მთავარ მიზნად, მაგრამ ახლა, ასე არ ვფიქრობ...“


კაილი მინოუგი და ჯეიმს გუდინი ორწლიანი ნახევარი იყვნენ ერთად. მათ არ უჩხუბიათ, მეგობრებად დაშორდნენ და განაცხადეს, რომ ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ. კაილის ახლობლები კი ფიქრობენ, რომ ქალს ისევ უყვარს ჯეიმსი, რადგან ახლახან წამოსცდა: „ახლა, ჯეიმსის მხარდაჭერის გარეშე ცხოვრებას უნდა შევეჩვიო. ეს ძალიან რთული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ აუცილებლად ასე უნდა მოვქცეულიყავი. ასეთია ცხოვრება...“ როგორც ჩანს, განშორებამ გული გუდინსაც ატკინა: „ჩვენ ერთმანეთში მხოლოდ კარგს ვამჩნევდით. კაილი განსაკუთრებული პიროვნებაა. მან ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალა, მაგრამ ამჟამად, ორივეს გვესაჭიროება ცალ-ცალკე ცხოვრება“, – აღნიშნა ჯეიმსმა.

ჰოლივუდის მითების დიქციონარში თქსმუტის ითამაშებენ

ცნობილი მოდელის, კლაუდია შიფერისა და თამბაქოს ორი კომპანიის მეპატრონის, მეთიუ ვონის ქორწილი 25 მაისს ინგლისში უნდა გაიმართოს. ახალგაზრდების გადაწყვეტილებით, ქორწილის მეორე დღიას ამხანაგური საფეხბურთო მატჩი გაიმართება. გარდა ფეხბურთისა, ქორწილის 300 სტუმრისთვის სხვა გასართობი და სპორტული ღონისძიებებიცაა დაგეგმილი. როგორც ქორწილის ორგანიზატორები აცხადებენ, კლაუდიამ ცერემონიის ჩატარების მკაცრი წესები დაადგინა: სტუმრებს თან არ უნდა ჰქონდეთ ვიდეოკამერები, ქალები კი პიკნიკისთვის განკუთვნილ თავისუფალ კაბებში უნდა გამოეწყონ. ამასთანავე, არც ერთ სტუმარს არ უნდა ეცვას თეთრი სამოსი. თავად პატარაძალმა საქორწინო კაბა Valentino-ს შეუკვთა.



ქორწილზე მოწვეულ სტუმრებს შორის არიან: მადონა, ელტონ ჯონი, სტინგი და ჩოგბურთელი ბორის ბეკერი. სასიძოს ერთ-ერთი ხელისმომკიდე, მისი საუკეთესო მეგობარი, მადონას მეუღლე გაი რიჩი იქნება. ჯერჯერობით ზუსტად არავინ იცის, თუ სად გაიმართება ცერემონია. ქორწილამდე ცოტა ხნითადრე, სტუმრები ბარათებს მიიღებენ, სადაც მისამართი იქნება მითითებული. ეს იმ მიზნით გაკეთდა, რომ ჟურნალისტების შემოტრევისგან დაიცვან თავი. თაფლობის თვეს ახალდაქორწინებულები ყველასგან მოშორებით, კუნძულ მაიორკაზე გაატარებენ.



ემინემმა ვიდეო-პტეგიდენცის მუდლო შუტაცსყი

სკანდალური სახელით ცნობილმა რეპერმა, ემინემმა თავის ახალ ალბომში შეიტანა კომპოზიცია, რომელშიც მომღერალი უცნაურ სიტყვებით ამკობს ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის, დიკ ჩეინის მეუღლეს. თურქინიანი რეპერი ლინი ჩეინის იმის გამო „მიფერა“, რომ ქალმა ნეგატიური დამოკიდებულება გამოამჟღავნა თავად ემინემისა და საერთოდ რეპის მიმართ. თავის შხრივ, ქალბატონმა ჩეინიმ სიმღერა White America-ში მისი მისამართით გამოთქმული ლანძღვა-გინების საპასუხოდ, კიდევ ერთხელ გაკიცხა იმის გამო, რომ მისი სიმღერები ქალებისა და ჰომოსექსუალების მიმართ გამოვლენილ ძალადობას ასახავს.

ნიკოლას კეიჯი პიტაძმა მცულმა გაძურდა

მსახიობის პირადი მცველი ქურდობაში დაადანაშაულეს – მას კეიჯის ბინიდან 232.000 დოლარის ღირებულების ქონების გატანა ედება ბრალად. ნაქურდალ ნივთებს შორის არის მსახიობის მაჯის საათები, საკოლექციო სასმელები და კლასიკური კომიქსების კოლექციის ნაწილი. კომიქსების შეგროვება კეიჯმა ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაიწყო და ამ საქმით იმდენად იყო გატაცებული, რომ ფსევდონიმიც, ამერიკუ-



კეცტინ ზეცა-ჯონსს და მაიკლ დეგლასს თულის შთუნა სუტით

ვარსკვლავური წყვილი აგერ უკვე მერამდენელ ჩვიის სასამართლოში იმისათვის, რომ ფული იშოვოს: თავის დროზე, ჟურნალმა Hello-მ მისი ქორწილის ამსახველი ფოტოების გამოქვეყნების ექსკლუზიურ უფლებაში წყვილს 200.000 გირვანკა სტერლინგი შესთავაზა, მაგრამ Hello-ს მთავარმა კონკურენტმა, ჟურნალმა OK!-იმ მსახიობები 1 მილიონი გირვანკით მოხიბლა და დუგლასებიც, რა თქმა უნდა, იქით გადაიხარნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ აღნიშნული ფოტოები Hello-მ OK!-ზე სამი დღით ადრე გამოაქვეყნა... ახლა დუგლასებს კომპენსაციის მიღება სურთ, რადგან ამ პუბლიკაციამ ისინი თურმე „საშინლად დაამწუხრა და შეიძლებოდა ნეგატიურად ასახულიყო მათ კარიერაზე, რადგან ფოტოები ძალიან დაბალი ხარისხის იყო“.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ სარჩელის შესატანად მაიკლმა და კეტრინმა საკმაოდ შეუფერებელი დრო შეარჩიეს, რადგან ორი ჟურნალის წარმომადგენლებმა ერთმანეთში მოილაპარაკეს და საავტორო უფლებების ერთობლივად შესყიდვა გადაწყვიტეს.



ჯედი ჰელიუელს მუღებია სჭირს

დასავლეთის პრესა იტყობინება, რომ გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მომღერალმა არიზონაში მდებარე კლინიკას მიმართა. ჯერამ განაცხადა, რომ კლინიკაში იმიტომ დარჩა (ერთი ღამის გატარება იქ 600 დოლარი ღირს), რომ მხარში ამოსდგომოდა მეგობარს, რომელიც იქ ალკოჰოლიზმისგან განკურნებას ცდილობს. გავრცელებული ხმების თანახმად კი, ჰელიუელს ბუღემია (ლორმუცელობა) სჭირს და ცოტა ხნის წინ, ამ სენით შეპყრობილი ადამიანების ანონიმურ თავყრილობასაც კი დასწრები. თუმცა, მომღერლის პრესმდივანი ბუღემიის ვერსიას უარყოფს და დაჟინებით იმეორებს, რომ კლინიკაში ყოფნა, ჯერის კეთილი ნების გამოშვებული ნაბიჯი იყო, რადგან მან გასაჭირში მყოფი მეგობარი არ დატოვა მარტო. ჩვეულებისამებრ, ხალხი ჭორად გავრცელებულ ვერსიასაც უფრო იჯერებს.



ლი კომიქსების სუპერგმირის – ლიუკ კეიჯის პატივსაცემად შეირჩია (ნიკოლას კეიჯის ნამდვილი გვარი კოპოლაა, ის ცნობილი რეჟისორის – ფრენსის ფორდ კოპოლას ძმისშვილია და გვარის შეცვლა მხოლოდ იმის გამო გადაწყვიტა, რომ სურდა, კინოში სახელი, ბიძის გავლენის გარეშე მოეხვეჭა). ყოფილმა პირადმა მცველმა ნაქურდალი ნივთების ნაწილი გაყიდა და კეიჯმა ჯერჯერობით მხოლოდ მაჯის საათის დაბრუნება მოახერხა. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს, კეიჯი უკვე მეორედ გაქურდეს: შობის წინ, მძარცველებმა მსახიობის საყვარელი მანქანა „პორშე“ გაიტაცეს, რომელიც შემდგომში ტბის ფსკერზე იქნა ნაპოვნი.

ტიჩატე გიტს მუყვანბრული თანი დასდევს



მანკეტენის სასამართლოს გადაწყვეტილებით, აშშ-დან გააძევეს გერმანიის მოქალაქე ურსულა რაიპერტ-ჰაბიშაუ, რომელმაც მეტისმეტად შეაწუხა მსახიობი რიჩარდ გირი. 51 წლის შეყვარებულმა ქალმა მსახიობის დევნა 2001 წლიდან დაიწყო და თავის კერპს დედაბიწის ნებისმიერი წერტილიდან ურეკავდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ურსულამ გირს დაახლოებით ათასჯერ დაურეკა, თანაც ყოველთვის დაჟინებით უხსნიდა სიყვარულს და ჰპირდებოდა, რომ ცხოვრების ბოლომდე არ დაანებებდა თავს. მსახიობს მოთმინების ფიალა მაშინ ავესო, როცა ქალი დაემუქრა, – შენ თვალწინ თავს მოვიკლავო. ურსულას აკრძალა გირისთვის დარეკვა, წერილების მიწერა, ფაქსის გაგზავნა და აშშ-ში ჩასვლა. მისი სახელი გამოჩენილი ადამიანების მღევენელთა „შე სიაში“ იქნა შეტანილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ განაჩენს შეიძლება ლმობიერი ეწოდოს, რადგან შეიძლებოდა სასამართლოს ურსულასთვის ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთაც კი შეეფარებინა.



ბივი მატცინი ინგლისის დედოტაოს უძღუტემს

ცეცხლოვანი ლათინურამერიკელი მომღერალი ამ პატივის ღირსი, პოლ მაკარტნისთან, ერიკ კლეპტონთან, ბრაიან უილსონთან და ოზი ოზბორნთან ერთად გახდება. ყველა ეს ვარსკვლავი მიიღებს ელისაბედ მეორის დედოფლად კურთხევის 50 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებაში მონაწილეობას. კონცერტზე, რომელიც 3 ივნისს ბუკინჰემის სასახლეში გაიმართება, რივი მარტინი სპეციალურად ამ საზეიმო დღისთვის ელტონ ჯონის მიერ დაწერილ სიმღერას შეასრულებს, რადგან ავტორი იმ დროს გასტროლებზე იქნება და თავად, მის შესრულებას ვერ შეძლებს.

ბივი იტყვას პატივმასხედი ვაბსკულაყად

25 წლის გოგონა, რომელიც მოსამზადებელ კურსებზე სწავლობდა და მომავალში პარიკმახერობას აპირებდა, მოულოდნელად, ეკრანის ვარსკვლავად იტყა. გოგონა ქუჩაში ბრიტანელმა პროდიუსერმა მამინ იხილა, როცა ახალი ფილმისთვის არჩევდა მსახიობებს. გოგონას კინოკარიერაზე არც უოცნებია. პროდიუსერმა, დეს ჰამილტონმა ის სუპერმარკეტში შესვლისას დაინახა. მანამდე ჰამილტონი ორი თვის განმავლობაში ეძებდა საჭირო კანდიდატს და 700 გოგონა დაიწუნა. როგორც კი მან კეტლინ მაკდერმოტი იხილა, მანვე მიხვდა, რომ მას შეხვდა, ვისაც ამდენი ხანი ეძებდა. პროდიუსერი გოგონას მიუახლოვდა და ჰკითხა: სურდა თუ არა ფილმში მშრომელი ოჯახის შვილი განესახიერებინა? მოგვიანებით, კეტლინ სიცილით იხსენებდა, რომ პროდიუსერი, სექტანტი ეგონა, რომელიც ამგვარი მეთოდით სექტაში მის შეტყუებას ცდილობდა, მაგრამ ფილმის სცენარის წაკითხვის შემდეგ ჰამილტონს დაუყოვნებლივ დაუკავშირდა. კეტლინ მაკდერმოტმა ფილმში Morvern Callar, რომელშიც BBC Films-მა და Film Council-მა 3 მილიონი გირვანქა სტერლინგი დააბანდეს, მთავარი როლი მიიღო. ფილმში მეორე მთავარი როლი „ოსკარის“ ნომინანტმა სამანტა მორტონმა შეასრულა. პროდიუსერი იხსენებს, რომ სინჯებზე მაკდერმოტმა გააოგნა რეჟისორები თავისი ნიჭიერებით. „მან ჩვენზე ჰიპნოზის მაგვარი ეფექტი მოახდინა – მშენებრად ითვისებდა მასალას და საერთოდ არ განიცდიდა შიშს“, – აღნიშნა ჰამილტონმა. კეტლინმა სადალაქო კურსებზე ათი თვე ისწავლა, მაგრამ ამჟამად პარიკმახერის კარიერა აღარც კი ახსოვს...

მალაგაში მანდრეტასის სანაპირთ გაჩნდა

ესპანეთის ქალაქ მალაგის ერთ-ერთ სანაპიროს კინოვარსკვლავის პატივსაცემად, მისი სახელი ეწოდა. ქალაქის მერმა, ფრანსისკო დე-ლა-ტორემ აღნიშნა, რომ ეს მსახიობის მიერ მოპოვებული მსოფლიო პოპულარობის გამო მოხდა. ზღვისპირა ქალაქის ორი სანაპირო უკვე ატარებს ამ ქალაქში დაბადებული მხატვრის, პაბლო პიკასოს და ესპანური პოეზიის კლასიკოსის, ანტონიო მაჩადოს სახელებს. ქალაქის მერის თქმით, ბანდერასი ამ პიროვნებებს პოპულარობით არ ჩამორჩება, რადგან შეძლო, მთელ მსოფლიოში მოეხვეჭა სახელი და ამასთანავე, ძალიან უყვარს სპორტის



საზღვაო სახეობები. ბანდერასი ხშირად ჩადის მშობლიურ ქალაქში და იალქნიანი ნავით მეუღლესთან – ცნობილ ამერიკელ მსახიობთან, მელანი გრიფიტთან ერთად სეირნობს. ეს ფაქტი კი, უფრო მიმზიდველს ხდის მალაგას ტურისტებისთვის. ქალაქის სანაპიროსთვის მსახიობის სახელის მინიჭების იდეა ქალაქის მმართველ კონსერვატორულ პარტიას ეკუთვნის. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები – სოციალისტები და კოალიცია „ერთიანი მემარცხენები“ კონსერვატორებს ყველაფერში ეწინააღმდეგებიან, ამ გადაწყვეტილების მიღებისას მათ უხმოდ დაუჭირეს მხარი პოლიტიკურ ოპონენტებს.



სინდი ისეუ პიდიუმგყა

ორიოდე კვირის წინ, სინდი კროუფორდი კვლავ გამოჩნდა პოდიუმზე. სახელგანთქმულმა მოდელმა ამჯერად ერთ-ერთ საქველმოქმედო ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა, რომლის მთელი შემოსავალიც ბავშვთა საავადმყოფოს უნდა გადაეცეს. ჩვენებაში სხვა ცნობილი მოდელებიც მონაწილეობდნენ: ამბერ ვალეტა, კაროლინ მერფი და ტაისონ ბექფორდი. ჩვენებისთვის გვერდი არც კინოსა და ტელევიზიის ვარსკვლავებს აუვლიათ. ჯენიფერ ლაუ-ჰიუიტმა ულამაზესი გამოსასვლელი კაბა წარადგინა; ყოფილმა მოდელმა და ამჟამად მსახიობმა – სიბილ შეფერდმა კი, კლასიკური შავი კაბა მოირგო. „სამოდელი წარსული“ ნატაშა ჰენსტრიჯმა და კარე ოტისმაც გაიხსენეს. ეს უკანასკნელი, ცოტა ხნის წინ დაუბრუნდა სამოდელი ბიზნესს და უკვე მოასწრო ჟურნალების Mode-ს და Elle-ს ყდაზე გამოჩენა.

ქალური პრობლემები

რუმბოვას უძღვება ექიმი
თამარ მამბასაშვილი

ეონსულტაციაში
სტუმრობის 7 მიზეზი

როგორ უნდა მოიქცეს 45 წელს გადაცილებული ქალბატონი, რომელიც ყველაზე მკაცრი დიეტის გამოყენებითაც კი ვერ იკლებს წონაში? უნდა მიმართოს გინეკოლოგს. სხვათა შორის, ამ დარგის სპეციალისტთან ვიზიტის სხვა მრავალი მიზეზიც არსებობს და ზოგიერთი მათგანი გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ზედმეტი კილოგრამები.

დღეს მედიცინას შეუძლია გინეკოლოგიურ დაავადებათა არა მხოლოდ კონსტატირება, არამედ მისი შესაძლო განვითარების წინასწარ გამოცნობაც. ამა თუ იმ ასაკში სხვადასხვა დაავადების შესაძლო განვითარების გათვალისწინებით, ექიმი ატარებს სპეციალურ სადიაგნოსტიკო ტესტებს და როგორც კი შენიშნავს დაავადების განვითარების ნიშნებს, დაუყოვნებლივ იწყებს მკურნალობას. მაგრამ ასეთი ჰორმონული ურთიერთობა ექიმსა და პაციენტს შორის მხოლოდ მაშინ მყარდება, როცა პაციენტი დროულად მიდის ექიმთან. მაშ, რისთვის უნდა იაროს ქალმა გინეკოლოგთან?

მიზეზი 1. კონტრაცეპციის მეთოდის შერჩევა. სპეციალისტი შეგიჩვენებთ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფერის კონტრაცეპტულ საშუალებას. ამ საკითხის გადაწყვეტა დაუშვებელია მეგობრებისა და ნათესავების კარნახით, ყურად უნდა იღოთ

პროფესიონალის რჩევა. ყველა ქალმა უნდა იცოდეს, რომ იმაზე, სწორად შეარჩია თუ არა მან ორსულობისაგან თავდაცვის საშუალება, ბევრადაა დამოკიდებული მისი ჯანმრთელობა.

მიზეზი 2. ახალგაზრდობის განსაზღვრება, ორბანიზმის დაბერების შემჩერება.

თითქოს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები და ოსტეოპოროზი (ძვლის გამეჩხვრება) არ შედის გინეკოლოგის კომპეტენციაში, მაგრამ ამ პრობლემებს ქალები მაშინ აწყდებიან, როდესაც მათი ორგანიზმი კარგავს ახალგაზრდობას – იწყება მენოპაუზა (მენსტრუაციის შეწყვეტა) და საკვერცხეები წყვეტს მუშაობას. ძვლების დაცვა ასაკობრივი სიმეფისაგან შესაძლებელია ჩანაცვლებითი ჰორმონული თერაპიის მეშვეობით. მკურნალობის კურსის დაწყებამდე, ექიმი იკვლევს, შემცირებულია თუ არა ძვლების მინერალიზაცია.

თუ ქალი გაითვალისწინებს გინეკოლოგის რეკომენდაციებს, იგი დაიცავს თავს გამოხატული ოსტეოპოროზისაგან.

მიზეზი 3. სიმსუქმისთან ბრძოლა. ბევრი ქალი ამჩნევს, რომ 45 წლის ასაკის შემდეგ, როგორც არ უნდა შეზღუდოს დღის რაციონი, მაინც უჭირს გახდომა. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ ცხიმოვან ქსოვილს აქვს არა მხოლოდ პლასტიკური ფუნქცია, არამედ ორგანიზმის ჰორმონების გამომუშავებაშიც მონაწილეობს. თუ მოვახდენთ ჰორმონულ კორექციას, ამით არ მივცემთ საშუალებას ცხიმოვან ქსოვილს,

აქტიურად შეასრულოს თავისი ფუნქცია. ჩანაცვლებითი ჰორმონული თერაპია რაციონალურ დიეტასთან ერთად (ნახშირწყლების შეზღუდვით და ცილების რაოდენობის გაზრდით), ქალს მრავალი წლის განმავლობაში უნარჩუნებს ახალგაზრდობას და ლამაზ ანაგობას.

მიზეზი 4. თავის დაცვა არასასტირო ოპერაციებისაგან. დღეს ძალზე ხშირად

გვესმის დიაგნოზი: საშვილოსნოს მიომა. ზოგჯერ მიომა პატარაა, პაციენტს არც აწუხებს, მაგრამ გინეკოლოგი მაინც დაჟინებით ურჩევს ოპერაციას. ახალგაზრდა ქალს ამოსჭრიან საშვილოსნოს და, მასთან ერთად, ხშირად საკვერცხებსაც. რატომ მიდის ექიმი ასეთი გაუმართლებელ ნაბიჯზე? – მას ეშინია, რომ არ გამოეპაროს მომენტი, როდესაც მიომა სიცოცხლისათვის საშიში გახდება. შესაძლოა, პაციენტი აღარ მოვიდეს მორიგ მიღებაზე – მიომა მკვეთრად გაიზრდება და მდგომარეობა გართულდება... მაგრამ თუ პაციენტი მოწესრიგებული ადამიანია, რეგულარულად დადის სპეციალისტთან და იცავს ყველა მის რეკომენდაციას, კარგი გინეკოლოგი ნადრევად არ დაიჟინებს ოპერაციის აუცილებლობას.

მიზეზი 5. სარძევე ჯირკვლების მდგომარეობის შემოწმება. უკანასკნელ წლებში, მკერდის კბომ და კეთილთვისებიანმა სიმსივნემ საკმაოდ იმატა. ყველა ქალმა პერიოდულად უნდა ჩაიტაროს მამოლოგური (მუტუს) პროფილაქტიკური გამოკვლევა პათოლოგიური წარმონაქმნის დროულად აღმოჩენის მიზნით.

მიზეზი 6. ონკოლოგიურ დაავადებათაგან თავდაცვა. ეს ეხება არა მხოლოდ მოზუცებს, არამედ ახალგაზრდებსაც. დღეს სქესობრივ ცხოვრებას ბევრი გოგონა ძალიან ადრე იწყებს. მაგრამ 13-14 წლის ქალის საშვილოსნოს ყელის ეპითელიუმი (ზედაპირული შრე) არ არის მზად ინტენსიური სქესობრივი ცხოვრებისათვის – იგი ვერ უძლებს ტრავმებსა და ინფექციებს სწორედ ეს ხდება ახალგაზრდა ქალებში ავთვისებიანი პროცესების განვითარების მიზეზი და ხშირად, ახალგაზრდა გოგონებს მათი ასაკისათვის შეუფერებელი პრობლემები წარმოექმნებათ. მაგალითად, საკმაოდ გავრცელებულია ენდომეტრიოზი (საშვილოსნოს ენდომეტრიუმის – შიგნითა, ლორწოვანი გარსის ქსოვილის განვითარება მისთვის უჩვეულო ადგილას – მუცლის ღრუში, საკვერცხეებზე და ა.შ.). ეს დაავადება პაციენტს ართმევს დედობის ბედნიერებას და ამასთან, საშვილოსნოს კბოს განვითარების მარკერს წარმოადგენს... მიიჩნევენ, რომ ენდომეტრიოზი გარკვეული ჰორმონული დარღვევების შედეგია. ეს დარღვევები დღეს საკმაოდ ხშირად გვხვდება, მაგრამ მათი კო-



რექტირება შესაძლებელია სათანადო მკურნალობით.

საკვრცხვების ეპითელიური სიმსივნის განვითარებას აჩერებს გარკვეული ტიპის ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატები, რომელიც პაციენტმა გინეკოლოგის მეთვალყურეობით უნდა მიიღოს. საკვრცხვების კიბოს თავიდან აცილებაც შესაძლებელია, თუკი ამ დაავადებისადმი გენეტიკურად მიდრეკილი ქალი რეგულარულად მიაკითხავს გინეკოლოგს. თუ გენეტიკური გამოკვლევა

დადასტურებს, რომ ქრომოსომაში არის გადახრა, ექიმმა უნდა ჩაატაროს პროფილაქტიკური ღონისძიება — დანიშნოს საჭირო წამლები, რათა ქალის ორგანიზმში სხვა მიმართულებით განვითარდეს. მაგალითად, ურჩევს მას, არ დააყოვნოს ბავშვის გაჩენა, ხოლო 5-7 წლის შემდეგ, დათანხმდეს საკვრცხვების პრევენტიულ (დაცვით, თავიდან ასაცილებელ) ამოკვეთაზე.

მიზეზი 7. პარბი განწყობის შენარჩუნება.

დღეს ბევრი ქალი საკმაოდ დიდ თანხას ხარჯავს საკუთარი გარეგნობისათვის: იკეთებს პლასტიკურ ოპერაციებს, მასაჟებს, ყიდულობს კოსმეტიკას, ტანსაცმელს, მაგრამ გულგრილად ეკიდება ქალურ ჯანმრთელობას. არადა, მთელი მისი ხარჯი ხომ შესაძლოა, ერთმა დაავადებამ წყალში გადაყაროს; ამდენად, გინეკოლოგის რჩევების გათვალისწინება, ქალს ახალგაზრდობას, სილამაზეს, თავდაჯერებულობასა და კარგ განწყობას უნარჩუნებს.

დროით მკურნალობა

რას ნიშნავს ქრონოთერაპია

უკვე რამდენიმე წელია, ებრძვით ქრონიკულ დაავადებას, რეგულარულად ღებულობთ წამლებს და მაინც, მკურნალობის წარმატება არასტაბილურია. იქნებ გესინჯათ მკურნალობის სხვა ფორმა, რომელიც ორმაგად ეფექტურია, ნაკლებად აღიზიანებს კუჭს და არასასურველი ეფექტებიც ნაკლებია.

ალბათ გაინტერესებთ, რა არის ეს სასწაული? უბრალოდ, აბი, რომელსაც აქამდეც სვამდით, უნდა მიიღოთ საჭირო დროს.


დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ ცოცხალ ორგანიზმთა ცხოვრება დედამიწაზე რიტმების რთულ ერთობლიობას ემორჩილება. ადამიანის ორგანიზმში დაკავშირებულია სამყაროს რიტმთან და ამავე დროს, მას აქვს საკუთარი, შინაგანი რიტმი. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია მენსტრუალური ციკლი ქალებში, რომლის შესახებაც ყველამ კარგად იცის, მაგრამ არის დღელა-მური რიტმები (მაგალითად, არტერიული წნევის მატებისა და დაქვეითების, სისხლში ჰორმონების დონის მატებისა და შემცირების რიტმები), რომელიც მხოლოდ სპეციალისტებისთვისაა ცნობილი. სწორედ მათ ცოდნას ეფუძნება ქრონობიოლოგია — სრულიად ახალბედა, მაგრამ პერსპექტიული დარგი, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს ქრონოთერაპია (დროით მკურნალობა).

ქრონოთერაპიის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ბიოლოგიური რიტმებს უნდა შევუთავსოთ ნებისმიერი მკურნალობა, რადგან რიტმის სხვადასხვა ციკლში წამლებისა და სხვა სამკურნალო საშუალებების ათვისებადობა ორგანიზმის მიერ რადიკალურად განსხვავებულია. წამლის მიღების დროის სწორი შერჩევით შესაძლებელია არა მხოლოდ გაძლიერდეს მისი ეფექტი, არამედ შემცირდეს დოზა, შესუსტდეს ან სრულებით გამოირიცხოს წამლის გვერდითი მოქმედებები.

გულის დაავადებები

გულით დაავადებულთათვის ყველაზე ცუდი დრო დილაა. ინფარქტთა შესამდედი სწორედ გაღვიძების პერიოდში ხდება (რისკი ყველაზე დიდია დილის 6 საათზე). ინსულტები და პარკუტოვანი ტაქიკარდიებიც (გულის აჩქარება) ასევე დილით ხდება ხოლმე. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეს დაკავშირებულია წნევის მკვეთრ მატებასთან: არტერიული წნევა დილის დროს ქვეითდება, ხოლო გამოღვიძებამდე ერთი-ორი საათით ადრე, 20-30 პუნქტით მატულობს. თუ სისხლძარღვები ცუდ ზღომარობაშია, ეს მატება შესაძლოა, ცუდი შედეგით დამთავრდეს.

ექიმები ცდილობდნენ, შეემცირებინათ ეს რისკი და ამ მიზნით პაციენტს უნიშნავდნენ შესაბამის წამლებს გამოღვიძებისთანავე მისაღებად, მაგრამ პრეპარატის მოქმედებისათვის დროა საჭირო, ხოლო წნევა ამ მოქმედების დაწყებამდე ასწრებს მომატებას. ბოლო დროს შექმნეს ცნობილი პრეპარატების ახალი ფორმები,



რომელსაც განხვრდლივებული მოქმედება აქვს. ის დაფარულია სპეციალური გარსით, რომელიც იცავს პრეპარატს ნაადრევი განსნისაგან. წამლებს იღებენ ძილის წინ, ხოლო მათი აქტიური ნაწილი გამოთავისუფლებას იწყებს გათენებისას და სწორედ ამ დროისათვის მულავნდება პრეპარატის მოქმედებაც. გამოკვლევებმა დადასტურა, რომ ასეთი აბები წნევას დილის საათებში 2-ჯერ უფრო ეფექტურად ამცირებს, ვიდრე საღამოს.

ართრიტი (სახსრების ანთება)

რევმატიოიდული ართრიტის დროს, სახსრების ტკივილი და შებოკილობა მაქსიმუმს აღწევს დილით ადრე, ხოლო ოსტეოართრიტის (ძვლისა და სახსრის ანთება) დროს, მუხლისა და სხვა სახსრების ტკივილი დღის ბოლოსათვის ძლიერდება. რევმატიოიდული ართრიტით დაავადებულ პაციენტებს არასტერიოიდული ანტიანთებითი პრეპარატების (ასპირინი, იბუპროფენი) მიღებას ურჩევენ ვახშმის შემდეგ. ასეთ სტრატეგიას ორი უპირატესობა აქვს: ჯერ ერთი, ეს საშუალებები უფრო ეფექტურია, თუ მას მივიღებთ მანამდე, ვიდრე ტკივილი ჰიკს მიაღწევდეს და მეორეც, ღამით მათი გვერდითი ეფექტები (კუჭის გაღიზიანება, თავის ტკივილი, აგზნებადობა) საგრძნობლად მცირდება. ოსტეოართრიტის დროს, იგივე პრეპარატების მიღება უმჯობესია შუადღის შემდეგ.

ასთმა

ასთმა „ღამის“ დაავადებაა: შეტევების პიკი დაახლოებით დილის 4 საათზე მოდის. სასუნთქი გზები ამ დროისათვის განსაკუთრებულად დასუსტებულია რამდენიმე უარყოფითი რიტმის თანხვედრის გამო. ხდება ბრონქების გლუვი კუნთების სპაზმი. ჩვენს ორგანიზმში გამოძეშავებული ანტიანთებითი და ანტიასთმური „წამალი“ — თირკმელზედა ჯირკვლის ჰორმონი კორტი-

ზოლი, შუალამის შემდეგ მინიმალური რაოდენობით გამოიშვება. ადრენალინის დონე, რომელიც სუნთქვას ოპტიმალურს ხდის, ასევე ქვეითდება ღამის საათებში. ამასთან, ალერგენების მიმართ ორგანიზმის მგრძობიერება მატულობს. ამ შემთხვევაში უნდა შეირჩეს გახანგრძლივებული მოქმედების ასომის საწინააღმდეგო პრეპარატები, რომელიც ინიშნება საღამოს საათებში. მათი მოქმედების აქტივობა ზუსტად 12 საათის შემდეგ - გამთენიისას აღწევს მაქსიმუმს.

ქრონოთერაპიის მეთოდი შემოწმდა ორალურ სტეროიდებზე - კორმოზულ პრეპარატებზე. ისინი ავადმყოფებს ეძლეოდა 8.00, 15.00 და 20.00 საათებზე. ფილტვების მუშაობა ღამის საათებში საგრძობლად გაუმჯობესდა წამლის დღე-ღამური დოზის 2/3-ის დილის 8.00 საათზე მიღებისას.

ალერგია

ასომის მსგავსად, ალერგიული რინიტებიც (სურდო) განსაკუთრებულ სიმწვავეს დილით ადრე იძენს. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ანტიჰისტამინური (ალერგიის საწინააღმდეგო) გახანგრძლივებული მოქმედების (რომლის ეფექტი 8 საათს და მეტხანს გრძელდება) პრეპარატების ძილის წინ მიღება დაეხმარება დაავადებულთა 70%-ს. ფრანგ მეცნიერთა გამოკვლევით დადასტურდა, რომ ანტიჰისტამინური პრეპარატების ეფექტურობა საგრძობლად მატულობს ძილის წინ მიღებისას.

ეუჭის ნყლეული

მრავალი ჩვენგანი საკვების ძირითად ნაწილს სამსახურიდან დაბრუნებისას მიირთმევს. ამის შედეგად, საღამოს და ღამით კუჭი გამოიშვება 20-30%-ით მეტ მჟავას, ვიდრე დღისით. ამ რიტმის გათვალისწინება აუცილებელია წყლულის საწინააღმდეგო პრეპარატების მიღებისას. ცდება აჩვენა, რომ წყლულის საწინააღმდეგო პრეპარატების დაღვევა საღამოს ერთ მიღებაზე მჟავიანობას უფრო ეფექტურად ამცირებს, ვიდრე - სამჯერად და დღის განმავლობაში.



ლიეკემია

1976 წელს, კანადელმა ექიმმა ჯორჯ რივარმა მკურნალობის კურსი ჩაუტარა ლეიკემიით დაავადებულ 120 ბავშვს. ექიმი მშობლებს ურჩევდა, რომ სამკურნალო პრეპარატი ბავშვისათვის მიეცათ ყოველდღიურად, ერთსა და იმავე დროს - ან დილით, ან საღამოს და მკაცრად დაეცვათ მიღების საათი. ხუთი წლის შემდეგ, რივარმა გააანალიზა პაციენტთა მონაცემები და აღმოაჩინა: ბავშვები, რომლებიც წამალს საღამოს სვამდნენ, 5-ჯერ უფრო ხშირად აღწევდნენ რემისიას (დაავადების პასიური ფაზა)! ეფექტი კი ხანგრძლივი იყო. მონაცემთა შემდგომმა შესწავლამ 1993 წელს აჩვენა, რომ ბავშვებს, რომელთაც ქიმიოთერაპია უტარდებოდათ საღამოობით, 2-ჯერ უფრო ხშირად უქრებოდათ დაავადების სიმპტომები ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

სიმსივნე

ჯანსაღ უჯრედთა უმრავლესობა დღეში ერთხელ განიცდის გაყოფას, ხოლო სიმსივნური უჯრედები - 2-3-ჯერ იყოფა და უპირატესად, საღამოს საათებში. სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატების მოქმედება მიმართულია გაყოფის პროცესში მყოფი უჯრედებისაკენ. თუმცა, ქიმიოთერაპიის დროს, ზემოქმედება ხდება ჯანსაღ უჯრედებზეც, კერძოდ კი - ძვლის ტვინის უჯრედებზე, რომლებიც აქტიურად მრავლდება დილის საათებში. შედეგი კი ის არის, რომ ავადმყოფს აქვს გულისრევა, ანემია, ლეიკოპენია (ლეიკოციტების რაოდენობა ქვეითდება), თრომბოციტოპენია (თრომბოციტების რაოდენობა დაქვეითებულია).

ამ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება, თუკი ქიმიოპრეპარატებს ავადმყოფი მიიღებს საღამოს, როცა ძვლის ტვინის ჯანმრთელი უჯრედები „ისვენებს“, ხოლო სიმსივნური უჯრედები აქტიურდება. ამგვარად ჯანსაღი უჯრედები თითქოს ემალებიან ქიმიოთერაპიული პრეპარატის დამშლელ ზემოქმედებას და მთელი მისი აქტივობა ათვისებია უჯრედებისკენა მიმართული. ეს პრინციპი შემოწმებული იქნა ცხოველებზე ჩატარებული ცდებით და მისი ეფექტურობა არაერთხელ დადასტურდა სამკურნალო პრაქტიკაშიც.

პრეპარატები

დისბაქტერიოზი და ანტიბიოტიკები

როდესაც გასული საუკუნის 30-იან წლებში ფლემინგმა პენიცილინი აღმოაჩინა და დაიწყო ანტიბიოტიკების ერა, საერთო აღტაცებას და ოპტიმიზმს ბოლო აღარ უჩანდა. ანტიბიოტიკების მეშვეობით დამარცხებულ იქნა ის ინფექციები, რომელსაც მანამდე მილიონობით სიცოცხლე შეეწირა.

მაგრამ იყვნენ სკეპტიკოსებიც, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ყოველი ქმედება აუცილებლად იწვევს უკუქმედებას და ისინი მართალინი აღმოჩნდნენ. გაირკვა, რომ მიკროორგანიზმებს, რომელთა წინააღმდეგაც მიმართული იყო ანტიბიოტიკების ქმედება, გამოიშვებოდა მედეგობა მათ მიმართ ანუ

გახდნენ რეზისტენტული (გამძლე) ვერ პენიცილინისადმი, შემდეგ სხვა ანტიბიოტიკებისადმი, რომელიც რეგულარულად ავსებდა წამლების არსენალს.

შემდგომში აღმოაჩინეს ანტიბიოტიკების სხვა უარყოფითი თვისებაც: ის ვერ ასხვავებს „დამნაშავეებსა და უდანაშაულოებს“ და დაავადების გამომწვევ ბაქტერიებთან ერთად, ანადგურებს ნაწლავის სასარგებლო მიკროფლორას; ლაქტობაცილებს, რემფავა სტრეპტოკოკებს, ბიფიდობაქტერიებს. რა თქმა უნდა, დღევანდელი მედიცინა ანტიბიოტიკებს გვერდს ვერ აუვლის, მაგრამ ასევე ვერ ავუვლით გვერდს ნაწლავის სასარგებლო მიკროფლორას, რადგან სწორედ სასარგებლო ბაქტერიები ქნიან არასასურველ პირობებს ნაწლავში მობინადრე პათოგენური (დაავადების გამომწვევი) მიკრო-

ორგანიზმების გამრავლებისა და ცხოველქმედებისათვის; ასევე მონაწილეობენ B1, B2, B3, PP, K, E ვიტამინების, ფოლიუმისა და ასკორბინის მჟავების (C ვიტამინი) სინთეზში (წარმოქმნაში). თითქმის სრულად უზრუნველყოფენ ორგანიზმის მოთხოვნას H ვიტამინზე (ბიოტინზე), B და B12 ვიტამინებზე. სასარგებლო მიკროფლორა აპროდუცირებს რძის მჟავას და ზრდის ნაწლავის შიგთავსის მჟავიანობას, რითაც იქმნება კარგი პირობები რკინის, კალციუმის და D ვიტამინის შეწოვისათვის. სწორედ ეს მიკროფლორა ახორციელებს ცილების, ცხიმების და რთული ნახშირწყლების ფერმენტულ დაშლას, მონაწილეობას ნაღვლის მჟავების ცვლაში და ა.შ.

ანტიბიოტიკები არღვევენ ნორმალურ ბალანსს ნაწლავის სასარგებლო და პათო-

გენურ (დაავადების გამოწვევ) მიკროორგანიზმებს შორის და იწვევს დისბაქტერიოზს. ეს დარღვევა განსაკუთრებით არასუსრველია ბავშვებისათვის, თუმცა, იგი უფროსებსაც მრავალ თავსატეხს უჩენს. სიმძიმე კუჭში, მეტეორიზმი (გაზების დაგროვება), ნაწლავური მოშლილობანი (ფლარათისა და ყაზობის - შეკრულობის მონაცვლეობა), საერთო სისუსტე - ესაა არასრული სია დისბაქტერიოზისთვის დამახასიათებელი სიმპტომებისა, მაგრამ ეს გახლავთ დაავადების მხოლოდ გარეგნული გამოვლინება. გაცილებით საშიშია მისი შინაგანი შედეგი. ნაწლავის სასარგებლო და პათოგენურ მიკროფლორას შორის, დისბალანსი დისბაქტერიოზის დროს აქვეითებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს გარემოს აგრესიული ზემოქმედებისადმი, იწვევს სხვადასხვა დაავადების განვითარების პროვოცირებას, ამწვავებს უკვე არსებულ დაავადებებს.

გაზაფხულობით ხშირია გაცივებითი დაავადებები. როდესაც მწვავე რესპირატორული დაავადება ან გრიპი რთულდება ფილტვების ანთებით, ოტიტით (ყურის ან-

თებით) ან სხვა დაავადებებით, რომელსაც პათოგენური ბაქტერიები იწვევს, ანტიბიოტიკს გვერდს ვერ ავუვლით. ასეთ დროს უნდა ვეცადოთ, დავიცვათ თავი და ჩვენი შვილები დისბაქტერიოზისაგან. როგორ? ეს შეიძლება დიეტის მეშვეობით: გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ იგი სასარგებლოა, მაგრამ დიეტით მკურნალობის კურსი საკმაოდ ხანგრძლივია, ყოველთვის არ არის ეფექტური და მისი თანამიმდევრული დაცვა ყველასთვის არ არის ადვილი.

ნაწლავური ფლორის აღდგენის შედარებით სწრაფი და საიმედო გზაა, სასარგებლო ცოცხალი მიკროორგანიზმების შეყვანა ნაწლავში, რაც მზა პრეპარატების ლინექსის ან ბაქტისუბტილის მეშვეობით ხორციელდება. ეს არის კაფსულის სახის ბიოპრეპარატები, რომლის ნაწლავში მოხვედრისას ხდება კაფსულის გახსნა და მისი შიგთავსის (სასარგებლო ცოცხალი



მიკროორგანიზმების) გადმოსვლა; რაც ხელს უწყობს ნაწლავის ნორმალური მიკროფლორის აღდგენას, ხოლო ამის შედეგად მოწესრიგდება ყველა ის ფუნქციური მოშლილობა, რაც დისბაქტერიოზს ახლდა თან.

ზემოხსენებულ პრეპარატთა დოზები დისბაქტერიოზის დროს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში შემდეგია: 2 წლამდე ბავშვებში - თითო კაფსულა სამჯერ დღეში, 2-დან 12 წლამდე - 1-2 კაფსულა 3-ჯერ დღეში, ხოლო 12 წლის ზემოთ - 2-3 კაფსულა 3-ჯერ დღეში. თუ ბავშვს არ შეუძლია კაფსულის გადაყლაპვა, მას შლიან და შიგთავსს ხსნიან მცირე რაოდენობის წყალში ან სხვა სითხეში, რომელიც ოთახის ტემპერატურისა უნდა იყოს, რადგან ცხელ გარემოში სასარგებლო ბაქტერიები იხოცება და წამალი ეფექტს კარგავს.

რჩევები


მეფეთა საჭმელი - შოკოლადი

ორიოდე საუკუნის წინ, შოკოლადს მხოლოდ მეფეები თუ მიირთმევდნენ. დღეს კი დედამიწის თითოეული მცხოვრები წელიწადში საშუალოდ 7 კგ-მდე შოკოლადს ჭამს. ბევრი ჩვენგანი დარწმუნებულია, რომ იგი მხოლოდ პირის ჩასატკბარუნებელი საკვებია, ამასთან - მავნებელი უფროა, ვიდრე სასარგებლო: ასუქებს ადამიანს, ვნებს კანს, გულ-სისხლძარღვთა სისტემას... მაგრამ ეს მოსაზრებები ყოვლად უსაფუძვლოა. მედიკოსები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ შემდეგ ფაქტებზე დაყრდნობით.

გემრიელიც, სამკურნალოც

არაფერია შოკოლადის ფილტაზე უკეთესი, სვედისა და დაღლილობის მოძალტების დროს.

შოკოლადი ნამდვილი პანაცეაა ცუდი განწყობისა და უღონობის შემთხვევაში. მისი მატონიზებელი თვისებები ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერების - თეობრომინის დამსახურებაა. თეობრომინი ალკალოიდა (ტუტე თვისების აზოტშემცველი ნივთიერება) და მცირე დოზებით, აღმგზნებად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემებზე, აუქვობებს განწყობას, ზრდის შრომისუნარიანობას. თეობრომინს დახმარებას უწევს სეროტონინი და მაგნიუმი, რომელიც შოკოლადის შემადგენლობაში შედის.



შოკოლადი ყველაზე „გულისათადი“ ტაბილეტურია. ამ დასკვნამდე ევროპელი კარდიოლოგები მივიდნენ. აღმოჩნდა, რომ კაკაოში შემავალი პოლიფენოლები ეწინააღმდეგება თრომბების წარმოქმნას, კაკაოს ზეთი კი ებრძვის ქოლესტერინს, რომელიც ათეროსკლეროზისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მპროვოცირებელი ფაქტორია.

შოკოლადი თავის ტკივილისათვის. თუ გრძნობთ, რომ თავი გტკივდებათ, შეჭამეთ რამდენიმე ნატეხი: თავის ტკივილი გაივლის ფენილეთილამინის მოქმედებით. ეს შოკოლადში შემავალი კიდევ ერთი სასარგებლო ნივთიერებაა.


თუ დიეტაზე ხართ, კვირაში 2-3-ჯერ რაციონში შეიტანეთ შოკოლადის ნატეხი. იგი ავიწვევთ ტონუსს, გაგიუმჯობესებთ განწყობას. დაგეხმარებათ ყველაზე მკაცრი დიეტის გადატანაში. განსოვდეთ, რომ ყველაზე კალორიულია თეთრი შოკოლადი, იგი 100 გ-ში 600 კილოკალორიას შეიცავს. სხვათა შორის, ბავშვებისათვის ყველაზე სასარგებლო სწორედ რძიანი შოკოლადია - მასში ნაკლებია კაკაოს ფხვნილი და ბავშვის ნერვული სისტემაც ნაკლებად აღიგზნება.

შოკოლადთან ერთად სიბერისაც ნუ გეშინიათ. საზღვარგარეთელ მეცნიერთა გამოკვლევების შედეგების მიხედვით, შოკოლადი შეიცავს მიკროელემენტებს (მაგალითად, სპილენძს), რომელიც დაბერების პროცესს აფერხებს.


შენახვის ნესი არ შეიძლება შოკოლადის შენახვა ხანგრძლივად 25 გრადუსზე მაღალ ტემპერატურაზე - იგი უგემური ხდება, ზედაპირზე კი უჩნდება თეთრი ლაქები - დაკრისტალებული კაკაოს ზეთი.

შეყვარებულებს შოკოლადი უყვართ ფსიქოლოგთა აზრით, შეყვარებული ადამიანი ხშირად ათვალისწინებს შოკოლადის ტკბილეულს. ამიტომაც, რომ მამაკაცები თავიანთ მეგობარ ქალებს და მეუღლეებს შოკოლადის კანფეტებს უძღვნიან. რას იზამთ? - სიყვარული ტკბილეულით საზრდოობს...

არც ერთი ამერიკელი არ უარყოფს, რომ ჰარვარდი, ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტია. ეს სასწავლებელი, შვიდი, მათ შორის — ამჟამინდელი პრეზიდენტის Alma Materi-ია; ის მეცნიერებისა და პოლიტიკის უამრავმა გამოჩენილმა მოღვაწემ დაამთავრა. რასაკვირველია, ინგლისელებს სრული საფუძველი აქვთ, ქედმაღლურად გაიღიმონ: როცა მათი ოქსფორდი და კემბრიჯი დაარსდა, დღევანდელი ჰარვარდის ტერიტორიაზე დათვები და ინდიელები დაიარებოდნენ. მაგრამ ე.წ. ახალი სამყაროს უნივერსიტეტებს შორის ჰარვარდი უძველესია: შარშან მას 365 წელი შეუსრულდა.



kontinentis uzvelesi universiteti, **შარშანი**
 anu 58 nobeliantis mSobeli



სათავეებთან

1636 წლის 28 ოქტომბერს ჩრდილოეთ ამერიკის ერთ-ერთი პირველი ინგლისური კოლონიის — მასაჩუსეტსის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო: კლონისტა მომავალი თაობებისთვის სკოლა უნდა აეშენებინათ. იმ დღისთვის, ძველი სამყაროდან ლეგენდარული გემით — „მეიფლაუერი-ით“ ჩამოსულ პირველ ევროპელთა ის-



ტორიული მგზავრობიდან სულ 16 წელიწადი იყო გასული. სკოლის ადგილად, პატარა დაბა ნიუ-თაუნი აირჩიეს, რომელიც სულ 6 წლის იყო. კოლონისტთა რაოდენობა ძალიან მცირე იყო და „სამასწავლებლო შემადგენლობის საშტატო განრივი“ მხოლოდ ერთმა პედაგოგმა შეადგინა: მეტი ნამდვილად არ იყო საჭირო სკოლაში ჩარიცხული 9 მოსწავლისათვის. მომდევნო წელს მზრუნველთა საბჭომ სკოლისთვის მიწის პატარა ნაკვეთი შეიძინა (ახლა ამ ტერიტორიას, ჰარვარდის ეზო — Harvard Yard ეწოდება).

ერთი წლის შემდეგ, გარდაიცვალა



ახალგაზრდა ჩარლსტონელი მღვდელი, ბრიტანული კემბრიჯის კურსდამთავრებული ჰარვარდი, რომელმაც მასაჩუსეტსის სკოლას მთელი თავისი ბიბლიოთეკა და ნახევარი ქონება უანდერძა. 1643 წელს, ინგლისელმა არისტოკრატმა ენ რეკლიფმა დააწესა მეცნიერული კვლევის მხარდასაჭერი ფონდი. ამერიკაში ფილანტროპთა სახელების უკვდავოების ტრადიცია არსებობს: 1639 წლიდან სკო-


ლას ჰარვარდ-კოლეჯი ეწოდა, 200 წელზე მეტი ხნის შემდეგ კი, დაარსდა გოგონებისთვის განკუთვნილი სპეციალური კოლეჯი, რომელსაც რედკლიფის სახელი მიანიჭეს. იმ დროისთვის ნიუ-თაუნს უკვე კემბრიჯი ერქვა, ის ქალაქ ბოსტონის ერთ-ერთ გარეუბნად იყო ქცეული, კოლეჯს კი, საუნივერსიტეტო სასწავლებლის სტატუსი მიენიჭა. საუნივერსიტეტო კემპუსის ცენტრში ჯონ ჰარვარდის ბრინჯაოს ძეგლი დაიდგა.

1643 წელს გამოცემულ ბროშურაში, კოლეჯის მთავარი ამოცანა ამგვარად არის ჩამოყალიბებული: „ცოდნის განვითარება და მომავალი თაობებისთვის მისი გადაცემა, ისეთი საშინელი მოვლენის აღმოფხვრის მიზნით, როგორცაა უკვიცი საეკლესიო მსახური“. ჰარვარდის კურსდამთავრებულთა უმრავლესობის კარიერა მართლაც, ახალი ინგლისის პურიტანულ კონგრეგაციებში მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული. პირველი 70 წლის მანძილზე, სასწავლებლის პრეზიდენტებად მხოლოდ მღვდელმსახურებს ირჩევდნენ, თუმცა, ფორმალურად, ჰარვარდი არსდროს ყოფილა დაკავშირებული, რომელიმე კონკრეტულ კონფესიასთან.

1708 წელს პრეზიდენტის სავარძელი პირველად დაიკავა საერო პირმა – მეცნიერმა, ჯონ ლევერეტმა. იმ დროიდან მოყოლებული, ჰარვარდი საბოლოოდ გაემიჯნა ეკლესიას და თავისი ძალისხმევა ინტელექტუალურ თავისუფლებათა დაცვას მიახმარა.

ჰარვარდის საუნივერსიტეტო „თავისუფლებები და პრივილეგიები“ პირველად მასაჩუსეტსის საკონსტიტუციო საბჭოს სხდომების მასალებშია ნახსენები. 1779 წლის 1 სექტემბერს, კემბრიჯის ერთ-ერთ ეკლესიაში გაიმართა საბჭოს სხდომა, რომელსაც შტატის კონსტიტუცია უნდა მიეღო, რადგან მასაჩუსეტსმა, ერთ-ერთმა პირველმა გადაწყვიტა, ბრიტანეთის ტახტისაგან დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა. ისტორიული დოკუმენტის პროექტის ავტორი, ჰარვარდის კურსდამთავრებული და აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი ჯონ ადამსი გახლდათ. თავის Alma Mater-ს მან მთელი პარაგრაფი მიუძღვნა, რომელშიც სამუდამოდ გარანტირებული იყო „ჰარვარდის ყველა უფლება, თავისუფლება, საარჩევნო სისტემა, შეღავათები და პრივილეგიები“.

კონსტიტუცია 1780 წლის 1 იან-



ვარს ამუშავდა. სწორედ იმ დროიდან მოყოლებული, ჰარვარდ-კოლეჯი სრულყოფილია უნივერსიტეტის სტატუსით სარგებლობს. მომდევნო საუკუნის დასაწყისიდან ეს სტატუსი გაამყარა მის შემადგელობაში შესულმა კიდევ ორმა სასწავლებელმა – სამედიცინო (Medical School) და იურიდიულმა (Law School). შემდგომში, ჰარვარდის ფაკულტეტებმა უნივერსიტეტს მსოფლიოში გაუთქვა სახელი.

თავდაპირველად, ამერიკის წარჩინებული ოჯახების შვილებს ჰარვარდში, უძველესი უმაღლესი სასწავლებლის სახელი იზიდავდა, იქ სწავლა მოღურად იყო მიჩნეული. თანდათანობით, მსურველთა უდიდესმა ნაკადმა და მათი მშობლების მატერიალურმა შესაძლებლობამ მზრუნველთა საბჭოს იმის საფუძველი შეუქმნა, რომ სხვა კოლონიებიდან და ძველი სამყაროდანაც კი, მიეწვიათ საუკეთესო პედაგოგები, გამოეწერათ ლიტერატურა და სასწავლო აღჭურვილობა.

და მაინც, ხანგრძლივი დროის მანძილზე, უნივერსიტეტი უამრავ საქმიანობას მისდევდა და არა ინტელექტუალთა აღზრდას. ჰარვარდის კურსდამთავრებული, ამერიკელი მწერალი და ისტორიკოსი ჰენრი ბრუკს

ადამსი, უკვე XIX საუკუნეში იხსენებდა: „ცხოვრების დიდ გზაზე ყოველგვარი იმ ცოდნით გვიშვებდნენ, რომელიც საკმარისი იყო იმისთვის, რათა საზოგადოებისთვის პატივსაცემ წევრებად ჩავეთვალეთ და კიდევ, კარიერისთვის საჭირო ინფორმაცია გვექონოდა. ნაციის ლიდერებს ჰარვარდში მაშინ არ ზრდიდნენ, სასწავლო პროცესის ძირითად ამოცანას, არა პიროვნების ჩამოყალიბება, არამედ საზოგადოების მომავალი წევრის „ჩამოსხმა“ უფრო წარმოადგენდა“.

ფართო პროფილის სამჭედლო

ჰარვარდის, როგორც ნაციის ინტელექტუალური სამჭედლოს აყვავება XX საუკუნის დასაწყისზე მოდის, იმ პერიოდზე, როცა საპრეზიდენტო სავარძელი ჩარლზ ელიოტს ეკავა. საინაუგურაციო სიტყვაში მან თავისი „ახალი კურსი“ გამოაცხადა: „დაუსრულებელი დავა-კამათი იმის თაობაზე, თუ უკეთ რა აყალიბებს მენტალიტეტს – ენა, ფილოსოფია, მათემატიკა თუ ბუნებისმეტყველება, ჰუმანიტარულ მეცნიერებებს უნდა ეფუძნებოდეს ზოგადი განათლება თუ საბუნებისმეტყველოს, – ჩვენთვის მოკლებულია პრაქტიკულ სარგებლობას. ჩვენ ვერ ვხედავთ ანტაგონიზმს ლიტერატურასა და მეცნიერებას შორის და არ ვეთანხმებით ალტერნატივას: „მათემატიკა თუ



რადიკალიზაცია



ვინც მოჰკიდა საქმეს ხელი, მანვე უნდა დაასრულოს.

ანდრეას გრიფიუსი

სიბეჯითე და შრომაა ფრთები, რომ გადალახო ზღვები და მთები.

იოჰან ფიშარტი

საზოგადოების კეთილდღეობისათვის შრომა ფრიად სასიამოვნოა.

მიხაილ ლომონოსოვი

ცხოვრება არის თამაში მქისე, ზოგს ასე უჭირს და ზოგსაც ისე. ზოგს ცოტა უნდა და ზოგსაც მეტი, შესჯახებია შეძლებას ბედი.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

გიყვარს შექება? – იყავი ღირსი.

კასია

უსამართლობა არ არის ყოველთვის მოქმედებასთან დაკავშირებული. ხშირად ის სწორედ უმოქმედობაში გამოიხატება.

მარკუს ავრელიუსი

რაცა სჭირდება, მასზე მეტი ხალხს თუ არ მიეც, ადამიანი ხომ პირუტყვად გადაიქცევა!

უილიამ შექსპირი

უნდა, რომ კაცმან იხმაროს მისი ჭკუა და გონება.

თეიმურაზ

კენტი კაცი უმწეოა, როგორც რობინ-ზონი, მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს.

არტურ შოპენჰაუერი

კლასიკური ლიტერატურა“, „მეცნიერება თუ მეტაფიზიკა.“ ჩვენ უნდა განვაკითხოთაროთ ყველა დისციპლინა, უმაღლეს დონეზე“.

ელიოტის მმართველობისას სტუდენტთა რაოდენობა სამჯერ გაიზარდა – ათასიდან სამი ათასამდე, მასწავლებელთა – თითქმის ექვსჯერ (274-მდე), შემოწირულობათა კი – ათჯერ (22,5 მლნ დოლარამდე). იმ დროიდან მოყოლებული, უნივერსიტეტის ემბლემა – ჰერალდიკური ფარი სამი წიგნით, რომელზეც დამარცვლული ლათინური სიტყვა – veritas („ჭეშმარიტება“) აწერია, – საუკეთესო განათლების სიმბოლოდაა ქცეული. ჰარვარდის 38 მასწავლებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა, კიდევ 20 პრემია, მის კურსდამთავრებულებს ხვდათ წილად.

დღევანდელი ჰარვარდისა და საერთოდ, ტიპური ამერიკული უნივერსიტეტი დიდად განსხვავდება ჩვენთვის ჩვეული სასწავლებლებისაგან. მის შემადგენლობაში შედის: ორი საერთო-საგანმანათლებლო კოლეჯი: მამაკაცთა (Harvard College) და ქალთა (Redcliff College) და 9 ფაკულტეტი, რომელსაც ტრადიციისამებრ, სკოლებს (School) უწოდებენ. მათ შორის ყველაზე პრესტიჟული, მთელ მსოფლიოში ცნობილი, ბიზნესის, სამართლისა და მედიცინის სკოლებია. ამას ემატება კიდევ ორი სამედიცინო ფაკულტეტი (სტომატოლოგიისა და ჯანდაცვის) და აგრეთვე, თეოლოგიური, სახელმწიფო მართვის, არქიტექტურული და პედაგოგიური.

მაგრამ არც ამით ამოიწურება ყველაფერი. ჰარვარდის დისციპლინათა ფართო სპექტრი (სულ – 51) კიდევ ერთ „სკოლაში“ ისწავლება, რომელიც, ფაქტობრივად, უნივერსიტეტში არსებულ უნივერსიტეტს წარმოადგენს. ეს არის ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლა (Harvard School of Arts and Sciences).

ამერიკულ უნივერსიტეტთა უმეტესობისგან ჰარვარდი ზედმიწევნით საუნივერსიტეტო განათლების ერთგულებით გამოირჩევა. ბევრი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც უნივერსიტეტის სახელს ატარებს, არსებითად არ არის – ყოველ შემთხვევაში – ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, – უნივერსიტეტი: ისინი ვიწრო პროფილის სპეციალისტებს უშვებენ, რომლებიც „დატენილები“ არიან მომავალი კარიერისთვის საჭირო დის-

ციპლინებით და კიდევ – სპორტით.


ჰარვარდი, სულ სხვაა. ჯეიმს ბრაიანტ კონანტიდან (1933-1953 წწ) მოყოლებული, უნივერსიტეტში ე.წ. ზოგადი განათლების პროგრამა შემოიღეს: თითოეული კურსდამთავრებული, ვალდებული იყო, მაპროფილებელი დისციპლინების გარდა, რამდენიმე (მისი არჩევით) ფაკულტატურ საგანში ჩაებარებინა გამოცდები. ამდენად, სადღეისოდ, იქ არავისთვისაა გასაკვირი, რომ ვთქვათ, მომავალ ფიზიკოსს ან მენეჯერს ჩათვლის წიგნაკში ისეთი საგნები აქვს ჩაწერილი, როგორებიცაა: „მეტაფორა XX საუკუნის პოეზიაში“, „ოკეანის კულტურა“ ან „რელიგიური ომების ისტორია“. ტრადიციულად, უნივერსიტეტი უშვებს არა უბრალოდ სპეციალისტებს, არამედ ფართოდ განათლებულ ადამიანებს, რომლებსაც ხელეწიფებათ ამ ცვალებად სამყაროში ორიენტირება. საყოველთაოდ გავრცელებული აზრით, ჰარვარდის კურსდამთავრებულს ძალუძს, შეიქმნას არა ერთი, არამედ ერთდროულად რამდენიმე კარიერა, თანაც, თითოეულ სფეროში უმაღლესი კლასის სპეციალისტადაც მოგვევლინოს.

დასასრული შემდეგ ნომერში




კვირის (27 მაისი - 2 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი

მარტოპი - 22/V-21/VI




ეს კვირა ძალიან შესაფერისია გაბეღული და შესაძლოა, ავანტიურული გადაწყვეტილებებისთვისაც კი. რაც უფრო აქტიური და ენერგიული იქნებით, მით უფრო მეტს მიაღწევთ. ფორტუნა თქვენს მხარეს არის. თუმცა, კვირა დღე უმჯობესია, უახლოესი მეგობრების წრეში გაატაროთ.

პირნიპი - 22/VI-22/VII




სავესებით შესაძლებელია, რომ კრედიტორებმა ძველი ვალის დაბრუნება მოგთხოვონ, თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ეს უსიამოვნება ავცდეთ. კვირის შუა პერიოდში ყველაფერი საუცხოოდ ავეწყოთ. აი, კვირის ბოლოსთვის კი დიდი ყურადღების გამოჩენა გმართებთ: გამორიცხული არ არის, რომ რაღაც უსიამოვნება შეგემთხვეთ.

ლოპი - 23/VII-23/VIII




ეცადეთ, დიდი დაკვირვებით აკეთოთ ყველა საქმე და მაქსიმალურად დაიზღვიოთ თავი შეცდომებისგან: ამ კვირაში ბევრი ისეთი რამის კეთება მოგიწევთ, რაც მომავალში წინ დაგზავდით. თქვენი ენერგიულობა და აქტიურობა სულ უფრო იზრდება, მაგრამ ისიც გაითვალისწინეთ, რომ მეტისმეტი დატვირთვა ჯერ მაინც არ ღირს, ამიტომ კარგი იქნება, თუ უქმეებში დაისვენებთ.

ქალწული - 24/VIII-23/IX



დასასვენებლად რომელიმე თქვენი ნათესავისა თუ თანამშრომლის წასვლა, დამატებით დატვირთვა. შეიძლება ეს, კვირაში ერთი-ორჯერ ყვავილების მორწყვითაც შემოიფარგლოს, თუმცა, არც სამსახურში ორმაგად დატვირთვა გამორიცხული. სამაგიეროდ, ნებისმიერი მსგავსი „განსაცდელი“ დიდ სიკეთედ დაგებრუნდება.

სასწორი - 24/IX-23/X




ეს კვირა ფრიად სასიამოვნო პერსპექტივას გიქაღი. შესაძლოა, ისეთი მოგზაურობაც მოგელით, რაზეც ხშირად გიოცნებიათ. ასეც რომ არ იყოს, ბევრი სასიამოვნო და დასამახსოვრებელი შეხვედრა გელით. თანაც, ახლა დამყარებულმა კონტაქტებმა დიდი ფინანსური წარმატება შეიძლება მოგიტანოთ.

ღრიანპილი - 24/X-22/XI



გამახვილებული ინტუიცია სამსახურში წარმოქმნილი რთული სიტუაციების შეფასებასა და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარება. თუმცა, არც გამოცდილი, ბრძენი კოლეგების რჩევები გაწყენთ, ამიტომ ნუ ითაკილებთ, ჭკუა დაეკითხოთ მათ.

მეშვილდოსანი - 23/XI-21/XII



ეს კვირა ბევრ სიხარულს მოგიტანთ - როგორც ადამიანებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ისე სამსახურში მიღწეული შედეგებით. კვირის შუა პერიოდში სიფრთხილე გამოიჩინეთ და ნურც ხანგრძლივ გარიგებებს დადებთ. უქმეებში სილამაზისადმი დიდ ლტოლვას იგრძნობთ და თუ მუზეუმში ან თეატრში ვერ წახვალთ, საინტერესო წიგნი მაინც წაიკითხეთ.

თხის რქა - 22/XII-20/I




ამ კვირაში უამრავი პრობლემა გექნებათ. ამასთან დაკავშირებით სამწუხაროდ, ვერაფრით დაგამშვიდებთ. ეცადეთ, დადლილობა გარშემომყოფებისადმი გაღიზიანებით არ გამოხატოთ. ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას, მოთმინებით აღივსეთ. სულ მალე ყველაფერი მოგვარდება.

მარწყული - 21/I-19/II




თუ აქამდე სასიყვარულო „ფორტუნე“ დაგ. გროვდათ პრობლემები, ახლა ზუსტად ის დრო ღვება, როცა აქტიურ იერიშზე უნდა გადახვიდეთ. თქვენი მიზნიღველობა და სექსუალურობაც კი, საკმაოდ გაძლიერდება. ამიტომაც საპირისპირო სქესის წარმომადგენლები მზად იქნებიან, საკმაოდ ადვილად დაჰყვინ თქვენს ნებას.

თევზები - 20/II-20/III



ამ კვირაში რაღაცის ნულიდან დაწყება მოგიწევთ. შეიძლება, ეს სამსახური იყოს ან კიდევ, იმ ადამიანთან ურთიერთობის შეცვლა, რომელიც დიდად არ გეხატებათ გულზე. იოლ ცხოვრებას ნუ ელით. გაითვალისწინეთ, რომ სხვისი აზრის მოსმენა და საკუთარისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, თქვენი უმთავრესი კოზირია.

მარტი - 21/III-20/IV




თქვენი ნიშნისათვის საკმაოდ ხელსაყრელი პერიოდი ღვება. მოჭარბებული კომუნიკაბელობა და მომხიბლაობა გავლენიან ადამიანებთან თქვენს დაახლოებას შეუწყობს ხელს. ამ ყოველივეს ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება თქვენი კარიერისთვის.

კურო - 21/IV-21/V



ღრია, სერიოზულად მოჰკიდოთ ხელი საკუთარ ფინანსურ საქმეებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკვე ამ თვის ბოლოს, სერიოზული პრობლემები გავიჩნდებათ. გაგიკვირდებათ და, ფინანსური პრობლემებისთვის და საერთოდ, საქმიანი მოლაპარაკებისთვის ყველაზე ხელსაყრელი თქვენთვის უქმეები იქნება. შესაძლოა, რომელიმე წვეულებაზე ახალი პარტნიორი ან თქვენი მომავალი საონსორი გაიცნოთ.

ხართ თუ არა აბრეშისული?



1) ჩვეულებრივ, როგორ იქცევით თანამშრომელთან კამათის შემდეგ?

- ა) შერიგების გზას ყოველთვის თავად ეძებთ - 1; ✓
- ბ) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეურიგდებით, თუ ამის საჭიროებას დაინახავთ - 2;
- გ) თქვენს პრინციპებს არასოდეს დათმობთ - დაე, შერიგების გზა თვითონ ეძებოს! - 3.

2) როგორი ქცევა გახასიათებთ კრიტიკულ სიტუაციებში?

- ა) შინაგანად ნერვიულობთ და ღელავთ - 2; ✓
- ბ) რაც უფრო დაძაბულია სიტუაცია, მით უფრო მშვიდად და მობილიზებულად გრძნობთ თავს - 1;

გ) თავდაჭერილობას კარგავთ და პანიკაში ვარდებით - 3.

3) თქვენი აზრით, როგორ ადამიანად მიგიჩნევენ კოლეგები?

- ა) თავდაჯერებულ, საკუთარ თავზე შეყვარებულ და შურიან ადამიანად - 3;
- ბ) კეთილ და მშვიდობისმოყვარე ადამიანად - 2; ✓
- გ) მშვიდ, დამოუკიდებელ და გაწონასწორებულ ადამიანად - 1. ✓

4) როგორი იქნება თქვენი რეაქცია, თუ სრულიად მოულოდნელად, ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობას შემოგთავაზებენ?

- ა) დათანხმდებით, მაგრამ შინაგანად ძალიან იღვლეებით იმაზე, შეძლებთ თუ არა საქ-

მისთვის თავის გართმევას - 2; ✓
 ბ) ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დათანხმდებით - 3;
 გ) უარს იტყვით, რადგან თქვენი სიმშვიდე უფრო ძვირად ვიდრე - 1.
 5) რა სიტყვებით შეხვდებით სამუშაოდან ჩვეულებრივზე ბევრად გვიან დაბრუნებულ

მეუღლეს?

- ა) „ახლავე მომიყვები, რა შეგემთხვა!“ - 2;
 - ბ) „სად ჯანდაბაში დაეთრეოდი?“ - 3; ✓
 - გ) „ასე რატომ აგვიანებ საყვარელო, მე ხომ ძალიან ვნერვიულობ?!“ - 1. ✓
- 6) ჩვეულებრივ, როგორ იქცევით მანქანის საჭესთან?
- ა) რისკი გიყვართ და ამიტომ ყოველთვის ჩქარ სიარულს და სხვა მანქანების გასწრებას ამჯობინებთ - 3;
 - ბ) ყურადღებას არავის აქცევთ და მშვიდად მიუყვებით გზას - 1; ✓
 - გ) არ გიყვართ როცა გისწრებენ და მუდამ ცდილობთ, ჭკუა ასწვლით თავზელებს - 2.
- 7) როგორია თქვენი შეხედულება ცხოვრებაზე?
- ა) ზომიერად ტრადიციული და დაბალანსებული - 2; ✓
 - ბ) ოდნავ აგდებული და დამცინავი - 1;
 - გ) კონსერვატიული და ძალიან მკაცრი - 3.
- 8) ჩვეულებრივ, როგორ იქცევით, როცა რაიმე საქმე არ გამოგდით?
- ა) ცდილობთ, იპოვოთ დანაშავე და ყველაფერი მას გადააბრალოთ - 3;
 - ბ) მშვიდად ეგუებით მარცხს - 2;
 - გ) მარცხის შემდეგ ცდილობთ, შესაბამისი დასკვნები გამოიტანოთ და შეცდომები აღარ დაუშვათ - 1. ✓
- 9) რას განიცდით საშინელებათა ფილმის ყურებისას?
- ა) გაურკვევლობას და შიშს - 2; ✓
 - ბ) მოწყენილობა გეუფლებათ - 1;
 - გ) ძალიან გსიამოვნებთ - 3.
- 10) წარმოიდგინეთ, რომ შემდგომ ცხოვრებაში ამ ქვეყანას ცხოველის სახით უნდა მოეცლინოთ, ამ შემთხვევაში რომელ ცხოველად ამჯობინებდით გადაქცევას?
- ა) გარეულ მტაცებელ ცხოველად - 3;
 - ბ) მდიდარი ოჯახის ნებიერ კატად - 1;
 - გ) დათვად - 2. ✓

დააჯავიეთ ქულები

10-18 ქულა — გადამეტებული კაცთმოყვარეობის გრძნობა ცხოვრების უკეთ მონყოლაში ხელს ძალიან გიშლით. გადამეტებული კი ამ გრძნობას მხოლოდ იმიტომ შეიძლება ეწოდოს, რომ საკუთარ თავზე არასაკმარისად კარგი წარმოდგენა გაქვთ და თავდაჯერებული არ ხართ. თქვენთვის სიტყვა აგრესია საერთოდ უცნობია და მას არასოდეს ამჟღავნებთ. იქნებ სჯობდეს, უფრო რეალურად შეხედოთ ცხოვრებას და სხვებს თქვენი უსამართლოდ გადათელვის უფლება აღარ მისცეთ.

19-25 ქულა — აგრესიულობა თქვენთვის ნაცნობი გრძნობაა და მას ზომიერად, საჭიროების შემთხვევაში ამჟღავნებთ ხოლმე. თანაც სწორედ

იმ დოზით, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ გარშემომყოფთა შორის თავის დამკვიდრება და გატანა შეძლოთ. ამის წყალობით თქვენი ცხოვრება საკმაოდ სწორად და მიზანმიმართულად მიედინება.

26-30 ქულა — ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სხვადასხვა კომპლექსით ხართ გადატვირთული და მის დასაფარავად ხშირად მიმართავთ აგრესიას. ყოველთვის ცდილობთ ცხოვრებაში სხვებზე მეტის მიღწევას, მაგრამ ამ დროს საკუთარ შესაძლებლობებს და ხასიათს არ ითვალისწინებთ. გარშემომყოფებს ამის გამო არ უყვარხართ და ზოგიერთი ამას არც მა-

ამეხიჯებმა მასწავლებელმა უჩივრეს ზომებს მიმართა



კალიფორნიის ერთ-ერთი სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ გაკვეთილზე ლაპარაკით ისე გამოიყვანა წონასწორობიდან მასწავლებელი, რომ მან მოსწავლეს პირი და ხელები წებოვანი ლენტით (ე.წ. სკოჩით) აუკრა. თუმცა, ამ საქციელის გამო, მასწავლებელმა მეორე დღესვე მოიხადა ბოდიში და აღნიშნა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ... ხუმრობა იყო. სკოლის ადმინისტრაციამ კი განაცხადა, რომ ინციდენტის გამოძიება მიმდინარეობს და კომენტარზე უარი იმ მიზეზით თქვა, რომ ეს „სკოლის საშინაო საქმეა“. მოსწავლეთა მშობლები სრულიად სხვაგვარად ფიქრობენ და ადგილობრივი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში მკაცრად გააკრიტიკეს მასწავლებელი. „ეს ყოველგვარ ზღვარს სცილდება. როცა ჩვენ შვილებს სკოლაში ვაგზავნით, გვკონია, რომ მათ არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ“, – აღნიშნა ერთ-ერთმა აღშფოთებულმა ქალბატონმა. „დაჩაგრული“ მოსწავლის მშობლებმა კი, პოლიციას მიმართეს. როცა რამდენიმე დღის შემდეგ სამართალდამცავები საქმის არსში გასარკვევად სკოლაში მივიდნენ, „მოძალადე“ მასწავლებელი კვლავ გაკვეთილებს ატარებდა. ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ ის ბავშვებს არანაირ საფრთხეს არ უქმნის და ამიტომაც შეუძლია ჩვეულებრივად განაგრძოს თავისი საქმიანობა.

არი საფრთხე არ ემუქრებათ“, – აღნიშნა ერთ-ერთმა აღშფოთებულმა ქალბატონმა. „დაჩაგრული“ მოსწავლის მშობლებმა კი, პოლიციას მიმართეს. როცა რამდენიმე დღის შემდეგ სამართალდამცავები საქმის არსში გასარკვევად სკოლაში მივიდნენ, „მოძალადე“ მასწავლებელი კვლავ გაკვეთილებს ატარებდა. ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ ის ბავშვებს არანაირ საფრთხეს არ უქმნის და ამიტომაც შეუძლია ჩვეულებრივად განაგრძოს თავისი საქმიანობა.

სტუდენტი მოჭრილი თავის გაყიდვას ცდილობდა

სამხრეთაფრიკელმა პოლიციელებმა 23 წლის სტუდენტი მაშინ დააკავეს, როცა ის ექიმებისთვის ადამიანის მოჭრილი თავის მიყიდვას ცდილობდა. სტუდენტი სამხრეთ აფრიკის მცხოვრებია და როგორც პოლიციელებმა დაადგინეს, სერიული მანიაკი-მკვლეელი ყოფილა, რომელიც ადამიანებს სხეულის სხვადასხვა ნაწილის გამო კლავდა. ახალგაზრდა ცდილობდა, ადამიანის სხეულის ნაწილები გაეყიდა და ამით ფული ეშოვა. მაგალითად, მოჭრილ თავს ის 980 დოლარად აფასებდა... სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მკვლეელმა თავის მსხვერპლს თავი



სამზარეულოს ჩვეულებრივი დანით მოაჭრა. როგორც პოლიციელებმა აღნიშნეს, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი საზარელი დანაშაულისა, სასამართლო ვალდებულია, სრული ობიექტურობის დაცვით შეაფასოს 23 წლის ახალგაზრდის მიერ გამოვლენილი სისასტიკე...

იესო ქრისტეს სასამართლოში უჩივრეს

ბრაზილიის საარჩევნო კანონის თანახმად, კანდიდატს სარეკლამო კამპანიის დაწყების უფლება არჩევნებამდე მხოლოდ სამი თვით ადრე ეძლევა, საპრეზიდენტო არჩევნები კი 2002 წლის ოქტომბერში უნდა ჩატარდეს. ქალაქ რიო-ბრანკოს მოსამართლემ ველინგტონ კარვალის კოლეჯში ქუჩაში ერთ-ერთი პარტიის სარეკლამო პლაკატი დაინახა, რომელზეც ეწერა: „იესო ქრისტე წინსვლის საუკეთესო გზას გვიჩვენებს!“, იფიქრა, რომ ქრისტე... პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის გვარი იყო და სასწრაფოდ სარჩელის შედგენას მიჰყო ხელი. მოსამართლე გოცებელი დარჩა, როცა სასამართლომ სარჩელი განსახილველად არ მიიღო. როგორც მოგვიანებით სასამართლოს წარმომადგენელმა აღნიშნა, მათ თურმე დანამდვილებით დაადგინეს, რომ იესო ქრისტეს სახელით, არც ერთი პარტიის წარმომადგენელი პრეზიდენტობის კანდიდატი ცნობილი არ არის.



ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი კვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა ზურაბ ფანაიამ.

ვულოცავთ ბატონ ზურაბს და ვუსურვებთ წარმატებებს!

კორუფციის სპავეზი

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. ვთხოვთ, შეავსოთ კვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. კვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (28 მაისის) 13 საათამდე.

„ფანტაზია“
კორუფციის სავაზო



„ფანტაზიაში“
მკითხველი“
შეხვედრე
წარსულთან

ბ/24
18

სიძილი ჯანმრთელობა!



— იქნებ რაინაოთ და მეც დამსვით...
 არა, მხოლოდ, ზუსტად მილიონი სამუშაო ადგილი იყო და ბოლო მე დავეკავე. მიდი, შენ ახლა იმით მივეცი
 წინასწარ გამოგინდებთ სამუშაო.

იკითხაით ყოველ სამუშაბათს, იხინათ ყოველდღა!